

114  
1944/2



# მნათობი

7-8

---

თბილისი  
1944



# მნათობი

სრულიად - საქართველოს საზღვრთა შერღვევის  
კავშირის ყოველთვიურა სალიტერატურო,  
სახელთვნო და საბოჟანგო-სამთლიცვო  
ქურნალა

ფელიწადი გოცდაერთი

90/3  
1904

## 7-8



19 ივლისი — აგვისტო  
სახელწიგანი

საბჭოთავო კომუნისტური  
პარტია საქართველოს  
44  
ბიბლიოთეკა





**საკრედიტო კოლეგია:**

აბაშიძე ირაკლი  
ასათიანი ლევან  
ბაშსახურობა კონსტანტინე  
ქალაძე კარლო  
გაზაფხილი ალიო (ვიც. რედაქტორი)  
მოსაფხილი ილო  
ტაბიძე ბალაჭიროს  
ქიაჩელი ლეო  
შენგელაია დონა.

---

ბელმოწერილია დასაბეჭდად 31/X.44წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 ფ.  
შეკვ. № 1899. შპ 00377. ტირაჟი 5350.

---

საბეჭდადის ბეჭდვითი სიტყვის კომინატი, თბილისი, ფორცხის ქ. № 5.  
რედაქციის მისამართი: მანაბლის № 13; შუეროლა ქვეშარი, ტელეფ. 3-04-64.

გრიგოლ აბაშიძე

## დაქსები ნიგნიდან „დროშები“

ოცნება უფლისწულისა

საქართველოს მთავორების სოროში,  
ვაზი ვაზზე ლერწებ გადალასტული,  
ალაგ თითა, ალაგ ალადასტურა.  
ჩემს მეფობას უნდა შენი დასტური,  
შენ კი შორს ხარ, როგორც ყარაყორტში.

არას ვეძნევ პირველობას, მეფობას,  
ქვეყნად მხოლოდ უფულოთა მოსახმარს,  
მე შენს ჩრდილად თაეათ მზემ გამომსახა.  
უწყალო ხარ, უდაბნო ხარ, შორსა ხარ,  
მაგრამ მაინც გული შენგან მეპობა.

მაგრამ მაინც შევლას შენგან მოველი,  
თუმც თბონას და შევლას არ ვარ ჩვეული,  
დამიგდია სტაერა და ფარჩეულა,  
მე ხელშეიფედ საქართველოს რჩეული,  
მხოლოდ შენი მონობის ვარ მთხოვნელი.

## ჯივთახათუნი

...და შეღა ჩემი ბედის ბორბალი,  
შეჩერდა შენი თმით დახლართული,  
შენ ერთად ერთი ხარ დედოფალი,  
ჩემი ოცნების ჯივთახათუნი.

მე ერთადერთი მხიბლავს ოცნება,  
წვრილი წარბები, წყვილად გართხმული,  
რალაც გულწრფელი, ღიით გაოცება,  
და რალაც კადრე უფრო ქართული.

სად წავალ, შენსკენ მომადრენს ქარი,  
ფრთად მიტყა შენი ყმობია უღელი,  
ყველგან თანა გღვევ ფიქრივფთ ჩქარი,  
ჩრდილივით ჩუმი და განუყრელი.

გ რ ი ვ ო ლ ა ბ ა შ რ ი ბ ე ჯ

ღე ჩემს ეტლს ქარმა ქროლვა უცვალოს,  
შეჩერდეს შენი თმით დახლართული,  
ვეფხზე უწყალოვ, ჯიქზე უწყალოვ,  
შენა ხარ ჩემი ჯივთახათუნი.

### მე არ მინდა სხვა სახელი

რა იქნება შენთან ვიყო, შენი ყმა და მინა ვიყო,  
შენი ზღლის დამწველ ცეცხლზე ერთი ფიჩხის კონა ვიყო,  
შენს გვირგვინში ჩასასმელი ერთი მისხლის წონა-ვიყო,  
სულ პაწია ჩრდილი ვიყო, შენს წამწამზე დასახრელი.

მე არ მინდა სხვა დიდება, ეს სთქვან შენი დარდით დნება,  
შენს დალალში სუნთქვა მინდა, შენს ცალთაში გარინდება,  
სიკვდილი რომ კარზე მადგეს, თვით სიკვდილიც გადიდება,  
შენი ღვების მტვერი შერქვას, მე არ მინდა სხვა სახელი.

1941 — 43 („ჯივთახათუნის სიმღერები“).

### ღარკვეთის მთვარი

„ერთი სიცოცხლე ორად გაიყო,  
თავისთავს მოსწყდა და განეშორა“.  
გ რ ი ვ ო ლ ა

„რალაც ამ ფოთლის მტკავსა,  
ორად განკვეთილი ერთარსება“.  
გ რ ი ვ ო ლ ა

მე უშენობით სასოწარკვეთილს,  
შავად მერტყმოდა ღამე დარკვეთის.  
ვით ნახევარი ფოთლის ნახევარს  
მწყდებოდი, მსურდა ხელი მოშველო,  
მე დატეულა მოდინახვ ვარ,  
სად მოგწვდებოდი, მიუწდომელო!

სად მოგწვდებოდი ცაში, მნათობო,  
თუნდ აღიდებულ წყალში გაეტრობო!  
შენგან ასრულდა მტრის დანაქალი;  
მე ძალით ძნელი გადასათქერი,  
შენსკენ ქროლვაში უცებ გავქვავდი,  
ვით მოზებოქილი მთიდან ჩანჩქერი.



დღეს დაქცეული მოდინახე ვარ,  
 ჭორივით დაეცქერ სოფლის ნახევარს,  
 ნანგრევებს ხავსი შემომგარსვია,  
 გავქვევებულვარ გაქანებული.  
 აქედ, ეს დამეც შენით საესეა,  
 ეს მთვარეც შენებრ დაქალეებული.

ვით მულამ დასცქერს მთვარე ნანგრევებს,  
 მეც მულამ შენზე ფიქრი მალეღვებს,  
 ვით ნახევარი ფოთლის ნახევარს  
 გიხმობ, მომხედე სასოწარკვეთილს,  
 მე დანგრეული მოდინახე ვარ,  
 შენ — გავსებული მთვარე დარკვეთის.

არც ნიაღვრით, არც ნიავეთ

ჩვენს სიცოცხლეს სიყვარულის  
 მეტი რა აქვს გამართლება,  
 ჩვენს სიცოცხლეს სილამაზე  
 ათამაშებს კნაბიღვებად.

მშვენიერო, სულერთია  
 სად გამტყორცნის ბედისწერა,  
 რაკი ერთხელ გამითენე  
 მე ამ ქვეყნად ერთი მჯერა:

სიცხე დასწევას ვაზის ფოთლებს,  
 სეტყვა დახვეს, დაიჯაბნის,  
 მაგრამ ერთხელ დაჩნეული  
 ფორაჯები შაბიბნის,

არც ნიაღვრით მოცალდება,  
 არც ნიავეთ წაეშლება...  
 შენზე ფიქრიც სიყვდილამდის  
 თან მიმყვება კავშნებად.

არ მეშვება შენი დარდი,  
 შენს ბატუმას შორს შევხარი,  
 მე ყვეტილა სადღა ვმოვო,  
 დაგივდივარ რტომემხმარი.

მე უშენოს, სულერთია,  
 სად მომისწრებს ბედისწერა,  
 ყველა რწმენა შენ წამართვე,  
 მაგრამ რა ვქნი, შენი მჯერა.



# ორი მოთხრობა

## 1. უსათაურო

მე-5 საუკუნეში, ისევე, როგორც ახლა, ყოველ დღით ამოდიოდა მზე და ყოველ საღამოს წვებოდა იგი დასაძინებლად. დალით, როცა ნამს პირველი სიხვი დაიბოროებოდა, პაერი სიხარულის, აღტაცებისა და იმედის ჩქამით ივსებოდა. საღამოს კი იგივე დედამიწა მიჩუმდებოდა და ბუნებრივ ბინდ-ბუნდში იძირებოდა. დღე ჰგავდა დღეს, ღამე — ღამეს. ზოგჯერ ღრუბელი გადაიბრუნდა და მრისხანე ქტილი ისმოდა ან გაუფრთხილებელი ვარსკვლავი ვარდებოდა ზეციდან, ან გაფითრებული ბერ მოიბრუნდა და უამბობდა ძმებს, რომ მონასტრის სიახლოვეს მან ვეფხა ნახა — ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ისევ-ისევ დღე ჰგავდა დღეს და ღამე — ღამეს.

ბერები მუშაობდნენ და ლოცულობდნენ. მათი მოხუცი წინამძღვარი კი უკრავდა ორგანოს, სთხზავდა ლათინურ ლექსებს და ნოტებს სწერდა. ეს საუცხოო მოხუცი არაჩვეულებრივი ნიჭის პატრონი იყო. ის ისეთი ხელოვნებით უკრავდა, რომ თვით მოხუცი ბერები, რომელთაც სიცოცხლის მიწურულში სმენა დაილუნგებოდათ, ცრემლებს ვერ იკავებდნენ, როცა წინამძღვრის სენაიდან ორგანოს ხმა ისმოდა. წინამძღვარს რომ რამეზე ლაპარაკობდა, თუნდაც სრულიად ჩვეულებრივ საგანზე, მაგალითად ხეებზე, მხეცებზე, ან ზღვაზე, არ შეიძლებოდა უცრემლოთ ან უღამილოთ მოესმინა კაცს. გეგონებოდა, თითქოს მის ვულშაად ისეთივე სიმები ჟღერდა, როგორც ორგანოშია, როცა ის მრისხანებდა ან დიდ სიხარულს მიეცემოდა, ან ლაპარაკობდა საშინელსა თუ დიდებულ რამეზე, მას ზეშთავონებით სავსე ვნებათა დღევა იპყრობდა. მოელვარე თვალებს ცრემლა აწვებოდა, სახე ვარდისფრად სუფივოდა, მისი ხმა ჰქუბდა, როგორც გრავინვა და მისი მსმენელი ბერები გრძნობდნენ, როგორ ატყვევებდა მათ სულს წინამძღვარის ზეშთავონება. ასეთს დიდებულსა და საუცხოო წუთებში მისი ძალა უსაზღვრო ხდებოდა და მას რომ ბერებისათვის ზღვაში გადაეარდნა ებრძანებია, ყველანი, გამოუცლებლივ, აღტაცებით შეასრულებდნენ მის ნებას.

მისი მუსიკა, ხმა და ლექსები, რომლებითაც ის აღიდებდა ღმერთს, ცასა და დედამიწას, ბერებისათვის მუდმივი სიხარულის წყაროს წარმოადგენდნენ. მოხდებოდა ზოგჯერ, რომ ცხოვრების ერთფეროვნების გამო მათ ბერადებოდათ ხეები, ყვავილები, გაზაფხული, შემოდგომა. ზღვის მხედილი — ჰქანცავდა მათ სმენას, ფრინველების გალობაც უსიამოვნოთ ეჩვენებოდათ. მაგრამ მოხუცი წინამძღვარის ნიჭი, როგორც პერა, მუდამდღი საჭირო იყო მათთვის.

გადიოდა ათეული წლები და ისევ-ისევ დღე ჰკავდა დღეს და ღამე ღამეს. მონასტრის საახალრევს გარეული ფრინველებისა და მხეცების *გარეულნი* აღამიანის სულიც არ გაიჭიჭიანებდა. მოსახლეობის უახლოესს *მანამ* იყო. საჭირო იყო ასიოდე ვერსი უდაბნოს გადალახვა, რომ მონასტრიდან იქამდის ან იქიდან მონასტრამდის მიგვეღწია. უდაბნოს გავლას მხოლოდ ისეთი აღამიანები ზედავდნენ, რომელთაც სიცოცხლე აღარაფრად უღირდათ, უარყოფდნენ მას და მონასტერში მიდიოდნენ, როგორც შამარეში.

როგორი განცვიფრებელი დარჩნენ ბერები, როცა ერთ ღამეს ამით კარებს კაცი მიადგა. ის ქალაქის მცხოვრები აღმოჩნდა. სრულიად ჩვეულებრივი, ცოცხალი აღამიანი, სიცოცხლის მოტრფიალე. მანამ წინამძღვრის ლოცვა-კურთხევას გამოითხოვდა და ლოცვას იტყუოდა, ამ კაცმა მოითხოვა ღვინო და პური. შეკითხვაზე, თუ როგორ გაჩნდა ქალაქიდან უდაბნოში, იმან მონადირას გრძელი ჰმზავით უპასუხა: წანადიროდ წასულს, ნადვინევს, გზა არეოდა, ბერად შედგომისა და სულის ცბონების წინააღმდეგ მან ღმინილთ უპასუხა: მე თქვენი ტოლი არა ვარო.

როცა გამოიძინა, თვალი მოავლო ბერებს, რომლებიც მას ემსახურებოდნენ. საყვედურით გაიჭიჩა თავი და სთქვა: არაფერს არ აკეთებთ თქვენ, ბერებო, მარტო ჰმამსმაზე ხართ ვადაგებულო. ამით გინდათ იცხოვროთ სული? დადიქრდით: იმ დროს, როცა თქვენ მშვიდად ქამთ და სვამთ და ნეტარებაზე ფრენობთ, თქვენი მახლობლები იღუპებიან და ჯოჯოხეთში მიდიან. ერთი ნახეთ, რა ხდება ქალაქში შოგი შიმშილით იხრება, ზოგმა არ იცის რა უყოს თქრთს, გარყვნილებაში იძირება და აღუბება, როგორც ბუხები თაფლში. აღარაფერი სწობთ, სამართალიც აღარ გააჩნიათ! ვისი საქმეა მათი ხსნა? ვისი საქმეა ქადაგება? ჩემი ზოპ არა, დილიდან საღამომდე რომ მთვრალი ვარ? განა მოსთვის მოგენიქათ მშვიდი სული, მოსიყვარულე გული და ღვთისმოსავობა, რომ ოთხქედელშუა დასხდეთ და არაფერი აკეთოთ?

მთვრალი ქალაქელის ნატყვები თავხედი და უწესო იყო. მაგრამ უცნაურად იმოქმედა მოხუც წინამძღვარზე. მოხუცმა გადახედა თავის ბერებს, გაფითრდა და სთქვა: — ძმებო, ეს ხომ სიმართლეს გვეუბნება! მართლაც, საწყალი აღამიანები უფიცობისა და სისუსტის გამო გარყვნილებითა და ურწმუნოებით იღუპებიან. ჩვენ კი ადგილიდან არ ვბძვით, თითქოს ეს ამბები არც კი შეგვეხებოდეს, რატომაც არ უნდა წავიდე და არ მოვავგონო ქრისტი, რომელიც მათ დაეიწყებიათ.

ქალაქელას სიტყვებმა გაიტაცა მოხუცი. მეორე დღესვე აიღო მან ზელში თავისი ცვერთხი, გამოეთხოვა ძმებს და ქალაქისაკენ გაეშურა. დარჩნენ ბერები უმუსიკოთ, ულექსოთ, ვეღარ იმწინდნენ მის ქადაგებას.

მოხუცის მოლოდინსა და ნატვრაში გავიდა ერთი თვე, მეორე. მოხუცა კი არ ბრუნდებოდა. მესამე თვის გასულს მისი ცვერთხის ნაცნობი კაცუნი მოისმა. ბერები გაეშურნენ მან შესახვედრად. ყველამ ერთად მიაყარა კითხვები, მაგრამ მოხუცი იმის მაგიერ, რომ სისხარულით მისალმებოდა მათ, მწარედ ატირდა და ერთი სიტყვაც არ დასძრა. ბერებმა შეამჩნიეს: ის საგრძნობლად დაბერებულყო. სახე დაქანცულა ჰქონდა და ღრმა მწუხარების გამოხატაედა. როცა ატირდა, შეურაცყოფილი აღამიანის შეხედულება ჰქონდა.

ბერებიც ატირდნენ და თანაგრძობით ეკითხებოდნენ ტიროლისა და მწუხარების მიზეზს. მაგრამ მან სიტყვიც არ გასცა და თავის სენსაცს მოუკრა. შვიდ დღეს იყო იქ უსმელ-უტყმელი. აღარც უკრავდა, ტირილდა მხოლოდ. ბერებსაც მოწოდებდა, იმათ თხოვნაზე, რომ გამოსულიყო და გაეზიარებინა მათთვის თავისი მწუხარება, მოხუცი ღრმა დუმილით უპასუხებდა.

ბოლოს გამოვიდა, თავი მოუყარა ბერებს და ნამტირალევი სახით, მწუხარებისა და აღშფოთების გამოძეტყველებით, მოუთხრო მათ, რაც უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში გადახდა თავს; მისი ხმა მშვიდი იყო, თვალები უღიმოდა, როცა ბერებს მონასტრიდან ქალაქისაკენ მიმავალ გზას აღწერდა. გზაზე, უამბობდა იგი, ვალოზდნენ ფრინველები, ჩუხჩუხებდნენ წყაროები და გულს ტკბილი, ახალგაზრდული იმედება აღლუვებდნენ. ეს მიდიოდა და ბრძოლის ველზე მიმავალ, გამარჯვებაში დარწმუნებულ მეომრად გრძობდა თავს. ოცნებით წინ მიისწრაფოდა, თხზავდა ლექსებს და საკალოზებს და ვერც კი შეამჩნია, როგორ დაიღოა გზა.

მაგრამ მოხუცის ხმა შედრკა, თვალებმა იცვლეს და ის მრისხანებით აერთო, როცა ქალაქზე და ადამიანებზე მოყვია ლაპარაკს. არასოდეს არ უნახავს, არც გაუბედნია წარმოდგინა ის, რაც მას შეემთხვა ქალაქში შესვლისთანავე. მხოლოდ აქ, პირველად თავის სიცოცხლეში, სიბერის ეკამს დაინახა და გაიგო მან, რა ჭლიერია მაცდური, რა მშვენიერია ბოროტება და რაოდენ სუსტი, სულმოკლე და არაბანი არიან ადამიანები. უბედური შემთხვევის გამო, პირველი საცხოვრებელი, სადაც ის შევიდა, გარყვნილების სახლი აღმოჩნდა. ორმოცდაათიოდე ადამიანი, დიდი ფულის პატრონია, სკამდნენ და უზომოდ სვამდნენ ღვინოს. ღვინით დამთვრალნი, მღეროდნენ სიმღერებს და თამამად ლაპარაკობდნენ სიტყვებს, რომელთა წარმოთქმას ვერ გაბედავს ღვინოს მოშიში ადამიანი. უსაზღვროდ თავისუფალთ, ხალისიანთა და ბედნიერთ არც ღმერთის, არც ეშმაკის, არც სიკვდილის არ ეშინოდათ. ამბობდნენ და აკეთებდნენ ყველაფერს, რაც სურდათ, მადიოდნენ იქით, საითაც ერეკებოდა ბიწიერება. და ღვინო ქარვისებურად წმინდა, ოქროს ნაპერწკლებით მოელვარე, გამოუთქმელად ტკბილი და სურნელოვანი უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ყოველი კაცი, ვინც მას სვამდა, ნეტარებით იღიმებოდა და ისევ და ისევ ეწაფებოდა მას. ადამიანის ღმირს ისიც ღმირით აძლევდა პასუხს და როცა მას სვამდნენ, ნაპერწკლებით იფრქვეოდა, თითქმის იცოდა, რა მაცდური მომხიბლაობა იფარებოდა მის სიტკბობაში.

მტირალი მოხუცი უფრო მეტი გაცხარებით და მრისხანებით განაგრძობდა აწერას, რაც ენახა: — მოქვიფეთა შორის, სუფრაზე, — ამბობდა ის, — ნანევრად მოშველი შეძავი ქალი იდგა. ძნელი წარმოსადგენია და ძნელი მოსაძებნაა ბუნებაში იმაზე მშვენიერი და წარმტაცი რამ. ეს ქვეწარმავალი, ახალგაზრდა, თმარძელი, შავვერემანი, შავთვალა, ბაგეშსოკანი, ურცხვი და თავხედი თოვლივით თეთრ კბილებს აჩენდა, იღიმებოდა, თითქმის უნდოდა ეთქვა: „შემომხედეთ, რა უტიფარი და რა ლამაზი ვარო!“ მისი მხრებიდან ლამაზ ნაკეცებად ეშვებოდა აბრეშუმი და ფარჩა. მაგრამ ხილამაზეს არ სურდა დამალვა და ხარბად სჩქებდა ნაკეციბიდან, როგორც ნორჩი სიმწვანე ვანაფხულის ნიდაგიდან. უტიფარი ქალი სვამდა ღვინოს, მღეროდა სიმღერებს და ნებდებოდა სულყველას, ვინც კი მოისურვებდა.



შემდეგ მოხუცმა ხელების მრისხანე ჩაქნევით ასწერა ცხენების დოლი, ხარების კიდილი, თეატრები, მხატვართა სახელოსნოები, სადღესასწაულები და თიხისაგან ძერწიდან შეშველ ქალებს.

ის შთაფონებით და ლამაზად ლაპარაკობდა. თითქოს უხილავ ჰიმებს უკრავდა, გაშეშებული ბერები კი ხარბად უსმენდნენ მას და ალტაცებით სული ეგუბებოდათ. მოხუცმა ასწერა მაცდურის მთელი მომხიბლობა, ბოროტების სილამაზე და ქალის საზიზღარი სხეულის წარმტაცი მოხდენლობა, დასწყევლა ეშმაკი, მიბრუნდა და თავისი ოთახის კარებს მიამურა.

როცა შეორე დღეს ის სენაკიდან გამოვიდა, მონასტერში არც ერთი ბერი აღარ დახვედრია. ყველანი ქოლამში გაქცეულიყვნენ.

## 2. ხელოვნების ნაწარმოები

სანა სმირნოვმა, დედისერთა ვაჟმა, რომელსაც ილიაში „ბირტის უწყებებია“ 222 ნომერში გახვეული რაღაც ნივთი ჰქონდა ამოჩრდილი, გულაჩუყებული ადამიანის სახე მიიღო და შევიდა ექიმ კოშელკოვის კაბანეტში.

— აა, საყვარლო ჭაბუკო! — მიეგება მას ექიმი. — აბა, როგორ გრძნობთ თავს? კარგს რას მეტყვი?

საშამ თვალების ზამხამით დაიდო ხელი გულზე და მღელვარე ხმით წარმოსთქვა:

— მოგიკოხათ, ივანე ნიკოლოზის ძე, დედილომ. დამავალა გადმოცემთ მაღლობა... მე დედისერთა ვარ და თქვენ სიკვდილს გადამარჩინეთ... განმეტრნეთ შიშზე ავადმყოფობისაგან და... ჩვენ ორთავემ არც კი ვიცით, როგორ გადავიხადეთ მაღლობა.

— კარგია ერთი, ჭაბუკო! — გააწყვეტინა ექიმმა წაბამოყენები სახით. — მე ის გავაკეთე, რასაც ჩემს ადგილას გააკეთებდა ყველა.

— მე დედისერთა ვარ... ჩვენ ღარიბი ხალხი ვართ და, რა თქმა უნდა, ვერ გადავიხდით თქვენს ამაგს და... ჩვენ ძალიან გერცხვენია, ექიმო, თუშკა, უნდა ვთქვა, რომ დედილო და მე... დედისერთა შვილი, დაქინებდით ფთხოვთ მიიღოთ ჩვენგან მაღლობის ნიშნად... აი, ეს ნივთი, — რომელიც... ძვირფასი ნივთი, ძველებური ბრინჯაოსი... ხელოვნების იშვიათი ნაწარმოები.

— არ იყო საჭირო! — მოიტეშა ექიმი. — აბა, რა საჭირო იყო.

— არა! გთხოვთ უარი არ გვითხრათ! — განაგრძობდა ბუტბუტს საშამ და თან ხსნიდა ზეჟულ ნავთს. — თქვენი უარით მეცა და ჩემს დედილოსაც გააწყენინებთ... ძალიან კარგი ნივთია... ძველებური ბრინჯაოსი... განსვენებულ მამილოსაგან დატოვებულია და ჩვენ ვინახავდით, როგორც ძვირფას სასწოვარს... ჩემა მამილო ძველებურ ბრინჯაოს იძენდა და ყიდდა... ახლა დედილო და მეც ამითვე ვცხოვრობთ...

საშამ გახსნა ნივთი და საზეიმო გამომეტყველებით დადგა იგი შიგთიღზე. ეს იყო ძველებური ბრინჯაოს ხელოვნურად ნაკეთები სასანთლე. იგი გამოხატავდა ჯგუფს: კვარცხლბეკზე ორი ქალის ფიგურა იდგა, ევას სამოსელით, ისეთ პოზაში, რომლის ასაწერად არც გაბედულობა მყოფნის, არც შესაბამი ტემპერამენტი. ფიგურები კვლუცად იღიმებოდნენ და სეერ-



თოდ ისეთი სასანახავი იყვნენ, თითქოს სასანთლის დაქვრის, მწველელმა რომ არ შეეზღუდა ისინი, ქარცხლებელიდან გადმოხტებოდნენ და ყუთში ისეთ დებოშს მოახდენდნენ, როგორცხედაც, მკათხველო ფიქრიც კი უხერხელია.

ექიმმა შეხედა სასანთლეს, დინჯად მოიფხანა ყური, ჩაახველა და გაუბედავად მოიწმინდა ცხერი.

— დიახ, ნიეთი მართლაც ჩინებულა, — წაიბუტბუტა იმან, — მაგრამ... როგორ ეთქვა... მეტად არა ლიტერატურულია... ეს დეკოლტე კი არა, უშეაკმა იცის, რა არის...

— ვითომ რატომაო?

— თვით მაცდური გველიც უარესს ვერაფერს მოიფიქრებდა. მაგიდაზე ასეთი ფანტასმაგორიის დადგმით ხომ წაიბილწა მთელი ბინა!

— როგორ უცნაურად უყურებთ, ექიმო, ხელოვნებას! — იწყინა საშამ. — ეს ხომ მხატვრული ნიეთია, შეხედეთ! რამდენი სილამაზე და მოხდენილობა! სულს მოწიწებს გრძობით აესებს და ყელში ცრემლები გებჯინება! როცა ასეთ სალამაზეს ხედავ, გავიწყდება ყოველივე მიწიერი... ერთი უყურეთ, რამდენი მოძრაობაა, რამდენი პაერი, ექსპრესია!

— ეს სველაფერი მშვენიერად მესმის, ჩემო კარგო, — შეაწყვეტინა ექიმმა, — მაგრამ მე იდეახის პატრონი ვარ, აქ ბავშვები დარბიან, მანდილოსნები შემოდიან.

— რაღა თქმა უნდა, თუ ბრბოს თვალსაზრისით შეხედავთ, — სთქვა საშამ, — მაშინ, რასაკვირველია, ეს მაღალხელოვნური ნაწარმოები სხვა შექმით წარმოგვიდგება... მაგრამ ექიმო, დადგეთ ბრბოზე ხელა, მით უფრო, რომ თქვენი უარით შეც და დედოფლსაც უღრმესად გვაწყენინებთ. მე დედისერთა ვარ... თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ... ჩვენ გიძღვნიოთ ჩვენთვის უძვირფასეს ნიეთს და... და ეწუხებარ მხოლოდ, რომ მეთრე ცალი არა გვაქვს ამ სასანთლისა...

— გმადლობ, გენაცვა, დიდი მადლობელი ვარ... ღოკითხვით დედილო, მაგრამ, ღმერთმანი, თვითონვე განსაჯეთ, აქ ბავშვები დარბიან, მანდილოსნები შემოდიან... მაგრამ რა გაეწყობა, დარჩეს თქვენ ხომ კაცი ვერაფერს შეგასმენს...

— შესასმენი არაფერია, — გაუბარდა საშამს. — ეს სასანთლე აქ დადგით, ამ ეაზის გვერდით. აფსუს, რომ შეიარე არა გვაქვს მამ, მწვიდობით, ექიმო.

საშამს წასვლის შემდეგ ექიმმა დიდხანს უყურა სასანთლეს და ყურის ქვეშით დიდხანს იფიქრა.

„უღაოთ საუცხოო ნიეთია! ამბობდა იგი, — გადასადგებად დასანანებელია... დატოვებაც შეუძლებელია... კვი... აი ამოცანა! ვის შეგიძლება ვაჩუქო, ან შეეწირო?“

დიდი ფიქრის შემდეგ ექიმს მოაგონდა ადვოკატი უზოვი, თავისი კარგო მეგობარი, რომლისაც ფული ემართა ერთი საქმის წარმოებისათვის.

— ჩინებულა, — გადასწყვიტა ექიმმა. — ის, როგორც მახლობელი, ფულას გამოართმევას იუხერხულებს. სრულიად მართებული იქნება მისთვის ამ ნიეთის მიძღვნა. წავლდებ ამ ნიეთს! ის ხომ უცოლო და ქარაფშუტა კაცია...

ექიმმა საჩქაროდ ჩაიცვა, აიღო სასანთლე და გასწია უზოვისაკენ.

— ძმობილს გაუმარჯოს! — უთხრა მან ადვოკატს, რომელიც შინ დაუბე-  
და... შენა გარჯისათვის მაღლობის გადასახდელად მოვედი, ~~მგონიშნის~~  
არ მივაქვს, ეს ნივთი მაინც შიილე! აი, ძმობილო... შესანიშნავი ნივთი!

ნივთის დანახვაზე ადვოკატი აუწყებდა ალტაცებას მიეცა.

— აი, მესმის! რა ნივთია, და... — გაღიხარებრა მან. — აჰა! ეშმაკმა იცის  
ბმათი თავი! რას არ გამოიგონებენ, წყველები! საუცხოოა! წარბაქი რამ  
არის! საღ გიპოვნია ეს მშვენიერება?

გადმოანთხდა თუ არა თავისი ალტაცება, ადვოკატმა შიშით მიიხედა კა-  
რებისაკენ და სთქვა:

— მაგრამ, ძმაო, გამაცალე შენი საჩუქარი, მე ვერ დავიტოვებ...

— რათა! — შეცბა ეჭიმი.

— მატომ რომ... აქ დედანემი შემოდის, კლიენტები მოდიან... მოსაშა-  
ბურისაც მრცხვენია...

— აჰა-აჰა-აჰა!.. არ გაბედო უარის თქმა! — გაასავსავა ხელები ეჭიმმა. —  
ეს ღორობა იქნება შენი მხრით! მხატვრული ნივთია.. რამდენი მოქარაობა...  
ექსპრესია... ლაპარაკიც არ მინდა! — მწყყენინებ!

— წაესვათ მაინც რამე! ლედვის ფოთლით მაინც იყოს დაფარული.

მაგრამ ეჭიმმა უფრო მეტიდ გაასავსავა ხელი, გამოვარდა უზოვის ბინი-  
დან და, კმაყოფალი, რომ საჩუქარი თავიდან მოიშორა, შინისაკენ გაე-  
შურა...

მისი წასვლის შემდეგ ადვოკატმა დაათვალიერა სასანთლე, გასინჯა ხე-  
ლით ყთველა მისი ნაწილი და ეჭიმის მსგავსად, დიდხანს იმტერია თავი: რა  
მოუხერხოს ამ საჩუქარს?

„მშვენიერი ნივთია, — მსჯელობდა ივა — გადასაგდებად დასაანებელია.  
მაგრამ ბინაში შენახვაც უხერხულია. უმჯობესი იქნება ვაჩუქო ვისმე... აი  
რა! ამ საღამოსვე მივართმევ კომიკოს შაშკინს. იმ ცუდლულტს უყვარს ასე-  
თი რამეები, მეორე დღეს ხომ მისი ბენეფისიც არის...“

სთქვა და გააკეთა. საღამოს კომიკოს შაშკინს მიერთვა მზრუნველობით  
შეფუთული სასანთლე. მთელი საღამოს განმავლობაში კომიკოსის ოთახ-  
ში საჩუქრისათვის თვალის გადასავლეზლად იერიშით მიდიოდნენ მამაკა-  
ცები; იღვა ღრიანცელი და ცხენას ჭიხვინის მსგავსი სიცილი ისმოდა. რო-  
ცა კარებს რომელიმე მსახიობი ქალი მოადგებოდა, შაშკინე გაისმოდა კო-  
მიკოსის ზრინწიანი ხმა:

— არა, არა, გეთაყვა! არ შეიძლება შემოსვლა! მე ჩაუტყელი ვარ!

სპეტაკლის შემდგომ კომიკოსი ხელების ფშვნეტით ამბობდა:

— საღ ჯანდაბაში წავილო ეს სისამაგლე? მე ხომ კერბო ბინაზე ვცხოვ-  
რობ! ჩემთან მსახიობი ქალები შემოდინან! ეს ხომ ფოტოგრაფია არ არია,  
რომ უჯრაში ჩავდო!

— თქვენც აიღეთ და ვაპყიდეთ — ურჩია პარიკმახერმა. — აქვე, განაპირახ

ერთი მოხუცი ქალი ცხოვრობს, რომელიც ძველებურ ბრინჯაოს ყიდულობს... მიზრძანდით და იკითხეთ სმარნოვის ქალი... იმას ყველა კომიკოსი დაეთანხმა... ორიოდღე დღის შემდეგ ექამი კოშელკოვი თავის კაბინეტში იჯდა და შუბლშეკრუხებით ფიქრობდა სადღევლას სიმეცეუებზე. უცრად გაიღო კარი და ქარივით შემოიჭრა საშა სმარნოვი. ის იღიმებოდა, სახე უბრწყინავდა, მთელი მისი აღნაგობა სავსე იყო ბედნიერებით... ხელში ეჭირა გაზეთში გახვეული რაღაც ნივთი.

— ექიმო! — დაიწყო მან სულშეგუბებით. — წარმოიდგინეთ ჩემი სახარული! თქვენს ბედზე მოვახერხეთ თქვენი სასანთლისათვის წყვილის შეძენა! დედლიო ისეთი ბედნიერია... მე დედისერთა ვარ... თქვენ შე სიკვდილს გადამარჩინეთ...

და საშამ, მადლობის გრძნობით ათრთოლებულმა, დაუგა სასანთლე ექამის წინაშე. ექიმმა პირი დააღო. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ აღარაფერი უთქვამს: მას ენა წაერთვა.

თარგმანი ქ. შ-ძისა.

## ნაკისუღში

### 1. ტყვე ქართველი ქალის დაღუპვა

ქრიალებს ანძა. ქარი ზოგჯერ წყლის წვეთებს ესერის, ხშირათ შეაკრთობს მის ისედაც ბავშვურ სინაზეს. მთელი დღე არის ცირას ზვირთთა შხუილი ესმის და საუბარი გაურკვეველ, უცხო ენაზე.

ზომალდი საით მიდის ნეტავ? ვის ჰკითხოვს, — ნიავს? თუ ამ ზღვის ფრინველს? ჩქარა, თორემ მოდის საღამო. ამ ზღვის ქარის მსგავსს ბედს ის საით წაუყვანია? კვლავ სად წაიყვანს? — ზღვა ყოფილა დაუსაბამო.

ვერა გაიგო. უფრო მეტად მას ის აშფოთებს, რომ ზღვას შენდობის ნატამალიც აღარ ატყვია. ჩამავალი მზის სხივნი მშვილბად სდევენ ნაფოტებს, ისინიც ისე ჩუქვიან, არას ეტყვიან.

ველარ ენდობა, ვერ ენდობა ამ ზღვას, იალქანს. წამოღგა, მაგრამ ზღვის წინაშე კვლავ შიში იგრძნო. ქრიალებს ანძა, ქარი წივის, მაშინ რაღა ჰქნას, თუ განზრახულის შესრულება ველარ შეიძლო?

უცებ ისკუბა. ვით ქვესკნელი შუა გაიყო ზღვა; მას ჩაეკრა, სამუდამოთ მასვე დაწებდა. უკანასკნელი ნუგეში კი მისთვის ეს იყო: ზღვა სამშობლოსკენ, ყულევისკენ მიაქანებდა.

### 2. ქართველი ტყვეები უცხოეთში

იყო გაჭეცვა სამშობლოში ოცნება მისი, მაგრამ მას ბედმა უღმობელმა არ დააცალა. არავინ ჰყავდა წყლის მომტანი, არც გამეცემი ხმის. ის მარტოთ იყო, და ამ დილით გარდაიცვალა.

შეგროვდა ხალხი. სანუგეშოს არას ეტყვიან. ეს დაფლეთილი სუღარა მას ვინ წაახურა?

„სადაურია?“, „ვინ არისო?“ — ესლა შეიტყვეს,  
რომ ხელი წელი თურმე თუფან-ბეგს ემსახურა.

ერყენული  
ხელმოწერა

უცხოთ მსჯელობენ უცხო ხალხი, მიწურის კართან.  
არაინა სჩანს მასზე ტკბილი სიტყვისა მთქმელი.  
უცებ შენიშნეს, რომ მოდიან იმის ცხედართან —  
შორით ემჩნევათ — ორი ტყვეა, ორი ქართველი.

მოუახლოდნენ. მათ თვალებში ფიქრი და ჯავრი  
გამოკრთის, მაინც თავს იჭერენ ამაყათ, მზნეთა.  
ცხედარს, ზისაგან გამოთლილი პატარა ჯვარი  
გულზე დაადვეს, ვით წესია ქრისტიანეთა!



### წინდა აღვიღი

დასტურეს, განდევნეს ამ მშობლიურ მთებიდან მტერი,  
 უკან დასტოვეს ნახანძრალი სივრცე ბრძოლებმა.  
 ახლა მიღამოს კვლავ ეძლევა სიცოცხლის ფერი  
 და თავის ეტლში მხარგამლილი ჯდება ცხოვრება.  
 კელზე ბალახი წამოზრდილა ყველგან ახალი,  
 კვლავ ოცნებაში ხვევს მწვერვალებს სუფთა ცის მზერა.  
 ნაძვი თეთრ კლდესთან ადრინდულად დგას ტანმაღალი,  
 და მღერის წყნარად გადარჩენის შართალ სიმღერას.  
 როს დადუმდება, თანაგრძნობით დახედავს საფლავს,  
 რომელშიც წევს და ვერ თავსდება მეზრძოლი ერთი,  
 იმ ჭარიშხალში ვინც აქ ედგა სიცოცხლეს საფრად,  
 იცავდა მამულს და ბრძოლაში გაერღვა მკერდი.  
 დიდხანს ბორჯავდა ტყვილისგან სხეული მისი,  
 მთა ნისლიანი დაჰყურებდა როგორც მშობელი...  
 ნაძვთან დამარხეს მეგობრებმა დიდების ღირსი  
 და ქვიც დაადგეს ბალახების ცრემლით სოველი.  
 დაბინდებისას მინდვრებიდა მუშა დაღილი  
 აქ რომ მოაღწევს და ამ ადგილს სანამ გაცდება,  
 მოდის ბილიკზე მლოცველივით ის თავდახრილა,  
 ამ ნაჭირილობეც წმინდა მიწის პატივსაცემად.  
 ბილიკს ნიავეც გამოჰყევა დაუღალავი,  
 ნაძვთან გმირობის სადიდებლად შეხედება მთვარე,  
 და ცის სარკეში დაინახავს ნაძვი მაღალი  
 საშობლოსათვის დაღუბულის მომღიმარ თვალებს.



დ. თუგაძის მიერ

## ორი ბექობი

მილიდარია გმართა ამბებით ჩვენი ქვეყანა, — წარსულში უცხო თავდასხმელთა საჯირითო ასპარეზად ქცეული, ბედდაძვირებული. ეს პატარა საგმირო ამბავი სვანეთში, ლახაშურის მიდამოებში მოვისმინე.



ულრანი ტყით შენაბდულ მთებში მოხუც სვანთან ერთად ვმოგზაურობდი. საღამო იყო, ჩამავალ მზისგან ცას ხანძარი გასჩენოდა, ყალანჭარი ნისლის დროშები წითლად გაშლილიყვნენ ცაზე.

ჩემს თანამგზავრს, როგორც ყველა სვანს, გონებაც და ენაც სატყეარსავით უჭირდა.

სიამაყით მიამბობდა სვანეთის ბრძოლას თავისუფლებისათვის.

უფათერაკოდ გადავიარეთ გიფთავალა ხეები. როდესაც ფრილო კლდეებს გაეცდით და ოდნავ გზა გავიკაფეთ, მან გაჭაფული ცხენი ერთ ადგილას გააჩერა და... ჩვეულებრივად ბოხბოხა ხმით მოსაუბრემ, ახლა ღბილათ შითხრა:

— აი, ამ ბექობებს ხომ პხედავ?

— ბექობი რომელია? ერთი შათგანი თითქმის მთა არის, მეორე კი მართლაც მომცროა, ბექობის ოდენაა.

— ეს ბექობები მთლად ქვა-ლოდებისაგანაა შემდგარი.

— რა უნდა აქ ამდენ ლოდს? ვან შესძლო მათი მოზიდვა, პირამიდებსავით აღმართვა? — ვეკითხებოდი ჩემს თავს, მაგრამ მოხუცს ვერ ვეუბნებოდი, რომ ნირი არ შემეცვალა მისი თხრობისათვის.

მოხუცმა ღრმად ამოიკენესა... თითქოს თვალდა ზმანებაშია, — იმნაირი გამომეტყველებით წარმოსთქვა:

— ეს ბექობებიც ისეთივე საამაყო ძეგლებია ძველი ქართველი გმირებისა, როგორც ქონგურაინი კოშკები, ყოველ ხეობაში რომ გვხვდებოდა, ჯერ ისევ მკერდშეუღეწავი.

სვანი გაჩქურდა. იგი არწივის თვლებით მოელამუნა ქარიშხლების და მტრის ფინთაზის სამიზნო ნაგებობებს.

მე წარსულის საოცრება ვიყნოსე. სმენა გავიმახვილე. მოხუცმა აბედს გაუტენმა ნაპირები და შეუღდა კვესებას. ყალიონი გააჩაღა, გააბოლა და დაიწყო:

— როდესაც ჩვენს საშობლოს მტერი შემოესეთოდა, სვანებიც პარველი მოწოდების უმაღლესელებდნენ მხარის დასახმარებლად.



ერთხელ; როდესაც ისინი დროშის ფრიალით მიემართნენ, მესხეთი-საყენ, რათა კლდნიერება ენანებანათ ვერავთ თავდამსხმელი მტრისაგან აღვიღას შევისვენეს.

ბიჭლინთუქა

შალე ერთ-ერთ მეომარს დაეხადა აზრი:

— ძებო! ცხადია, ბევრი ჩვენგანი ევლარ დაბრუნდება მშობლიურ ქუთხეში. ზოგს სამშობლოსათვის სიკვდილი დაგვახუტავს თვალემა... ზოგს გამარჯვების ორბები შეგვეისხლება მხრებში და გამოგვაქროლებენ მშობლიურ შთებში.

ზოდით, ომში მამაელებმა თითო-თითო ქვა დაგდოთ, დავაგროვოთ ამ მინდორზე.

როდესაც დავბრუნდებით, ასევე შოგიქცეთ... მეორე ზენი ამართოთ, შევადართოთ, გავიფოთოთ რამდენი ვყოფილვართ, რამდენი ვადარჩენილა... რამდენს დავისაკლავებთ. რამდენა ენაცვლება სამშობლოს.

— მერე, მერე? — ვიჩქარებდი მოხუცს, რომელიც შორეულ წარსულის უღრანებში დამატარებდა და ამბავს ძლივს-ღა იგონებდა.

— ზო და... ყველას მოეწონა წინადადება.

— ჰაი, ჰაი, რომ მოეწონებოდათ! — ჩავურთე მე, უდიდეს მღვღვარებაში მყოფმა.

— ხორხოცობით შაიფანტ-მოიფანტნენ მეომრები ვადაწყვეტილების შესასრულებლად და შალე აღიმართა ეს წიწოლა ბეჭობი.

ქართული მუღამ მღერის.

თავისთავად ეძალებოდა ენას მედიდური სიმღერა... სიმღერა, გამარჯვების რწმენის ჩამგონებელი.

უნავარიებზე მიძვინაფულმა მხედრებმა დაზარინშულა ფარები მოიმარჯვეს და ლილვს მოძახილით, ცხენების თქავა-თქუფით გადაიარეს:

შთათა დაქმნილი გრეხილები,

ჩაკუბრებულნი ხეობანი,

შმაგი უფსკრულება...

მიილტვოდნენ და შიახნელებდნენ გარემოს.

— კარგაბალი მეომარი წასულა სამშობლოს დასაცავად, — წარმოესმაქვი მე და მექობს სასოებით შევაცქერდი.

— იცობლე, მტერს მოახვედრია რისხვა — ღვართქუფად თავს დამტყდარ ქართულთაგან...

— შაგრამ... დაბრუნებით რამდენილა დაბრუნებულა?


— ბევრი რომ ევლარ დაბრუნებულა, ეს მცირე ვეიმატა ბეჭობიც მოწმობს, — მწუხარედ წარმოსთქვა მოხუცმა, სენური ქუდი თვალემაზე ჩამოიფხატა. ეტყობოდა სურდა კურცხლები არ დამენახა...

მაინც ვერ დამალა ცრემლებით დალორთხილი სახე, აღარც ყალბონს აბლაკუნებდა.

.ღუშდა მოხუცი.

ჩვენ ყურს ვუგდებდით ისტორიის მსვლელობას. იქ, უღრან შთებშიაც, გარკვევით გვესმოდა მისი მტკიცე ნაბიჯი, სამშობლოსადმი წმინდა სიყვარულის ღაღადება.

ზეიადად დაგვექროდნენ მთები... ისინი მოგვესახლებინათ თუ ვითუვალა მეომრებმა რა საარაკოდ დასდევს თავი მამულსაგან.





## იონანე მკისხანე ჩაპინის ზიღოზე

ჰა, შეილის მკვლელი ტყვედქმნილია გრძნეულ ტილოზე,  
მოგჩერებია, სულს გინსჰვალავს ტანჯულ თვალებით.  
— ილოცე ჩემთვის, — გუბნება — ჩემთვის ილოცე!  
მე ენახე სისხლი და დიდების ყრუ მწვერვალები.

მამულის, სჯულის, ტახტის მტრები არ გაეახარე,  
მჩაჯვრელ ურდოებს ჩემს ფეხებთან ვხედავდი მორჩილთ.  
შემდეგ კი სისხლა... ჩემდ დვიძლის სისხლი დავღვარე,  
ბებურაშა მუხამ მოვიკვეთე ყლორტები ნორჩი.

ძლიერი მოვკალ, ტახტზე სუსტი დაემკვიდრება —  
ჩემი თევდორე, ცრემლით თვალებგადანამული...  
ამდენი სისხლით მოხვეჭილი რუსთა დიდება  
ვის ჩაეაბარო, ვინ იწნება ბურჯი მამულის?

ამ კარზე მომდგარ მოხუცებას ვინ დამივანებს,  
გამძლავრებულ ტახტს ვინ მიიღებს გულასმიერი?..  
ო, შეილო ჩემო, ჩემის სიყრმის პირშო ივანე,  
რად გათავხედდი, რად მეჩვენე ესდენ ძლიერი,  
რომ ჩემავ ხელით მოვიკვეთე ნორჩი ყლორტები?  
ო, შეილო ჩემო, წუთუ აღარ განმეორდება!”

მიხვალ ტალოსთან, და წარსულში გადაეშვები,  
მოგონავს სისხლი და დიდების სჩანს მწვერვალები...  
გიცქერას მეფე განწირულად, როგორც შეშლილი,  
და მეტყველებენ, მეტყველებენ მისი თვალები!



მისილ ჯაფარიძე

# ქამთაბაჩის ასული

აქიხა 5 მოქმედიხაღ

მოქმედიხი პირნი:

1. მეფე იმერეთიხა.
  2. არჩილი — უფლისწული.
  3. ხარშიმ ახაშიძე — სარდალი და ფეოდალი იმერეთიხა.
  4. ივლიანე — ხარშიმის აზნაური.
  5. ქამთაბერ წერეთელი — ფეოდალი იმერეთიხა.
  6. რუსუდანი — ქამთაბერის ასული.
  7. მამუკა — ქამთაბერის მოურავი.
  8. მერაბი — მამუკას ვაჟი, მოყმე და მეომარი ქამთაბერისა.
  9. ჩუბინა — მეფის კარის კაცი — ძმა მამუკასი.
  10. აგაბო — მეფის კარის კაცი.
  11. კარკიტა — ქამთაბერის აზნაური — ბოვანო.
  12. შიო — მეწიასკვილე ბერი.
- რამდენიმე მხლებელი.

## პირველი მოქმედიხა

(იმერეთი მეფის სასახლე ბაღში. სიჩრდილობელ ქვეშ, ქვის მაგიდაზე, მოხუცი ჩუბინა, კალათიდან ვაშლებს არჩევს და თედუშე ალაგებს. შემოდის გაცხარებული აგაბო).

აგაბო — არ შეიძლება ასე კაცო, არ შეიძლება სირჩიე რამე ჩუბინა, კაცი არა ხარ?

ჩუბინა — რა მოხდა აგაბო?

აგაბო — მეტი რაღა იქნება კაცო, ამ ერთი კვირის წინად შესანაშნავე კაპოეტს წააგდებინა თავი და გავჩუმდი, გუშინ წინ დადიანისეული თოხარიკი სატყვერით გამოშოგნა და იმაზედაც გავჩუმდი, ხარმა ურჭინათქო მოვიგონე... პო დო ახლა კიდეც...

ჩუბინა — ვინა კაცო, ვინ სჩადის შავას? ვინ?

აგაბო — როგორ მეკითხები ჩუბინა? ვინ იხამდა? ვინ ჩაიდუნდა?

ჩუბინა — დაიცა, უფლისწული? არჩილი? ზო, ზო, ზო... თოხარიკიო?.. არ გამიგია!

აგაბო — წელან შაშვის გალიას გაუარა, ეს შაშვი რატომ აღარ გალობსო? რა უნდა მეთქვა? რა ვიცი რატომ აღარ გალობს! შეუსვა კატა შიგ და გააგლეჯინა. უყურებდა და კედებოდა სიცილით!

ჩუბინა — აგერ, წვერი, ხედავ? კვართით რომ შემტრუსა იმ ლამეს!

აგაბო — რა ვქნა კაცო, რა უყო? ძალიან თავაშეებულია, ძალიან ვერც ვეუბნები მეფეს, არა და...

ჩუბინა — მეფე სად ბრძანდება?

აგაბო — აგერ!  
(ხელს გაუშვებს).

ჩუბინა — მებაღეებთან?... რას აკეთებს?..

აგაბო — ყვეაღლებს რწყავს! გამოართვა მებაღეს ლასტოქა და წყვეს თითონს!

ჩუბინა — გუშინ წინ, ვახსოვს, რამდენი შეშა დახერხა?

აგაბო — და თოხი რომ გამოპირა მჭედლებთან!

(შემობრბის არჩილი მშვილდისრით).

არჩილი — ჩუბინა! სანდა ხარ? სწორეთ შენ დაგძებ!

ჩუბინა — ბრძანე, უფლისწულო! აქ ვახლავარ! ვაშლს ხომ არ მიირთმევ?

არჩილი — ჩუბინა, შენ რომ ზღაპარს მომიყუევი, ისო... (ვაშლს ისარი ჰჭრავს და ვაშლი მშეთუნახავით იჭყავს...) (ვაშლს აწოდებს) აჰა დაიქი, გესერი!

(ჩუბინამ აღარ იცის რა ქნას).

აგაბო — რას ამბობ უფლისწულო? ისრით ხუმრობა როგორ შეიძლება?

ჩუბინა — ერთიჯ ვნახოთ მომხედვს, ხომ დამაშავე კაცია!

არჩილი — არა, ჩემო ჩუბინა, არა, დადექი, შენი ქირამე! შენ გენაცვალე! (მოხბევს).

აგაბო — შემოგაკვდება შენ ეგ ბერიკაცი, თორემ აი ნახავ!

არჩილი — რას ამბობ, აგაბო? არა გრცხვენია? ჩვენ ხომ მეგობრები ვართ!

(მოხბევს).

აგაბო — არ იქნება არჩილი რამდენჯერ მოთქვამს!

ჩუბინა — დამჭრი უფლისწულო!

არჩილი — ეგებ!.. რას ამბობთ? მამ მე სროლა არ მცოდნია! იმ შაშვისა არ იყოს!.. აგაბო, შენ სწორედ შაშვის გული გაქვს, ლამის იტირა, კაცო! შაშვი რა არი? შაშვი კი არა, გინდა კაცს წავგალიჯო თავი! არა გრცხვენია? რა იქნება?

ჩუბინა — არა შენი ქირამე, არა, აბა ეგ რა გართობაა? ბავშვი ხომ აღარ ბრძანდები, აწი გვირგვის დაგზურავენ და ქვეყანა უნდა მართონ!

არჩილი — ჰო... აბა მაშინ გაბედეთ და უარი მოთხარბთ რამეზე! დადექი! დაიქნ!

(ჩუბინა — „დაიცა“ „დაიცა“ ძახილით არჩილისკენ მიიწევს, არჩილს უყარ იხვეს და სფეროს, ჩუბინა შეპყვირებს და ვაშლი ვაგარდება ხელიდან, ხელს ისინჯავს).

ჩუბინა — დაიცა თქვა, ხომ გეუბნებოდნი!

არჩილი — მოგხელა? მოიტა შეგნხვათ! არ მოგხვედრია?

ჩუბინა — არ შანდა, არა!

(ბალიდან შედის ხმა მოსმის: — რა აშავია?).

არჩილი — არიქა, მამაჩემი მოდის! არაფერი უთხრათ, თორემ ვაი თქვენი ბრალა!

(საჩქაროდ გადის. შემოდის მეფე).

მეფე — რა მოხდა?

აგაბო — სარდალი ბარძიმი აბაშიძე გეხსლათ, მეფეო!

მეფე — სთხოვეთ! (ჩუბინას) რა მოხდა, ჩუბინა? რა ყვირილი იყო?

ჩუბინა — არაფერი, შენი ქირამე... ისე, რაღაც უცაბედათ...

(შემობრბის ბარძიმი).

ბარძიმი — სიკეთე და დღეგრძელობა, მეფე ბატონო!

(ჩუბინა და აგაბო ვადაიან).

- მეფე — იცოცხლე, ჩემო ბარძიმ! მობრძანდი, დაბრძანდი (დასხდებიან) რას იტყუა კარგსა და ახალს? კიდევ ხომ არას გვიბარებენ?
- ბარძიმ — არა მეფეო, რაც მათ სიმწარე იგემეს ამ ომში, ისიც კარგა ხანს ეყოფათ!
- მეფე — სწორედ გითხრა, არ მოველოდი დღეს, ბარძიმ, ქამთაბერი კაუნდა მესტუმროს თავის ქალიშვილით!
- ბარძიმ — ოო, შესანიშნავი ასული ჰყავს ქამთაბერს! მშვენიერია!
- მეფე — აქებენ, აქებენ! თითონაც ძალიან გვასახელა ამ ომში ქამთაბერმა, არა ბარძიმ? რომ ქამთაბერს არა, ჩვენ ზრუსილში ომს წავაგებდით!
- ბარძიმ — ავარგა, ივარგა ამ სიბერეში!
- მეფე — მე მაგის ნიჭმა გამოოცა, ომის ზერხებმა! სამხედრო საქმე მაგას არსად შეუესწავლია და ხომ ზედაც, სიბერეში როგორი ოსტატობა გვიჩვენა ბჭოლისა, სიმართლე გითხრა, ომის მოგების იმედი აღარა მქონდა! აბა შენ თითონ გასჩნდე, ვდგევერ და არ ვიცი რა ვიღონო, შენს მეტი შარდალი არა მყავს, ჯარს გაძლულა უნდა, დრო არ იცდის, მტერი მეტია, ძლიერია... ოხ, ის ღამე რომ გამახსენდება... არა, ქამთაბერმა პირდაპირ იხსნა სამეფო დაღუპვისაგან.
- ბარძიმ — მეც დიდათ გამოოცა, მეფეო, ქამთაბერმა, ახალგაზრდობაში, წინა ომებში, არასოდეს თავი არ უჩენია არც ზერხით, არც ხმალით და არც სხვა რაიმეთი, და ახლა კი...
- მეფე — მართალია, მართალი ვიცი, მახსოვს პირიქით, ჩვენ მუდამ გვეშინოდა მავნის სისუსტისა... უყურე შენ... რა ხდება ხოლმე ადამიანში!
- ბარძიმ — დიახ, მოზღვბა ხოლმე, ისე შემთხვევით, საბედნიეროთ.. რა მავნის პანუხია და ერთი სათხოვარი შექვს შენთან, მეფეო! უნდა გაიხსჯო ჩემი გულისათვის, უნდა მიმოციქულო ქამთაბერთან, აქნებ რძლათ! მომცეს თავის ქალიშვილი!
- მეფე — რძლათაო? ბიჭოსს.. (დაფიქრდება) შენ ვაყები გყავს, ემას ერთ ქალის მეტი არა გააჩნია რა... ააა! მიგიხვდი! საწერეთლოს გინდა დაეპატრონო?
- ბარძიმ — მიმიხვდი, მეფე, გულის ნადებს! რათ დაგიმალო? სწორეთ ეგ გახლავთ ჩემი განზრახვა! ასე სჯობია ქვეყნისათვის! საწერეთლოსათვის!
- მეფე — ვითომ?..
- ბარძიმ — რალა თქმა უნდა! მაშ ის ივარგებს, რომ ქამთაბერმა შორებელ ეინმეს ჩაუვდოს ხელში ყმა და მამული? ან გურიელს მისცეს, ან დალიას, ან აფხაზეთიდან ემხვარები ჩამოგვისახლოს, ან კიდევ უფრო შორებელი მოსტეზნოს ვინმე და ისეც უპატრონო საწერეთლო სულ გაგვუპატრონოს?
- მეფე — უპატრონოო?.. (იციინს) რათა ბარძიმ? სულ ასე წყალში რათ უყრი ყველაფერს?
- ბარძიმ — მაშ რა იქნება, შენი ჰირიმე! ჩვენს ისედაც ერთ ლუკმა იმერთს კიდევ სხვისი ხელის წამოპოტინება ეჭირება? მე მგონი ქვეყნისთვის ურიგო საქმე არ უნდა იყოს ჩემი სურვილი! თუ დაიმდაბლებო, მეფე, თავს და თავათაც ურიგეთ ამ საქმეს წერეთელს...
- მეფე — ვერცხვი უცილოთ, ჩემო ბარძიმ!

ბარძიმი — ხომ ამბობენ, მეფეო, წერეთელი და აბაშაძე მტრობენ ერთ-მანეთსო, ეს დამოყვრება, მე მგონი, ყველას თვალშია ჩვენი აბრს დაიშახტურებს.

მეფე — წამო, ცაცხვებისაკენ გავიაროთ! (გაემართებია) დღეს გურიელის კაცებს მოვეფლი, თუ კი ვერა... (კალიან). (შემოდინ ჩუბინა და აგაბო).

აგაბო — აბა კაცმა როგორ უნდა მოგიომინოს ეს საქციელი? მარჯვე დრო ხელთ გქონდა და არ გაუშვილე მეფეს!

ჩუბინა — შემეცოდა, კაცო! შემეცოდა! შენ რატომ არ გაუშვილე?

აგაბო — მე? ჰიჰი! ჩემთვის კი არ უსერაა, შენ გესროლა!

ჩუბინა — რომ შეთქვა, მართლაც მწარეთ დასჯიდა! ბავშვია, გულში ჩაირჩენდა და მერე ვინ იცის, როგორ გადაიმიხიდა!

აგაბო — ერთი ამას უყურეთ, თურმე რას ფეკრობს? რაშდენ ხანს აბირებ სიწოცხლეს? რაშდენ მეფეს გინდა ემსახურო? რას იცინი, რას? მე და შენ აწი მალე დაგვიძახებენ საიქიოდან! მამ შეგეშინდა და იმიტომ არაფერი უთხარი? ხოო?

ჩუბინა — ეხ, შენ ზუმრობ და სულ ჩვენი ბრალია, ჩვენი ვანებიერებთ და გაუზნედა.

აგაბო — მერე, ზომ იცი, უზნერ კაცი უშკუოზე უარესია!

ჩუბინა — ჩვენ ვინ გეკითხავს? განსვენებული დედოფლის შემდეგ სულ ასე გასწორ-გასწორ იზრდება, თავშიშვებული!

აგაბო — ობოლია, ობოლიო, და აი ეს იცის! ოჰ! ჩუბინა, ეამთაბერი მობრძანდა თავის ქალიშვილით!

(შემოდინ ეამთაბერი, რუსუდანი და მერაბი).

ეამთაბერი — მშვიდობა აქაურობას! გამარჯობათ დამხედურებო!

აგაბო და ჩუბინა — მშვიდობა და გამარჯობა თქვენს მობრძანებას!

(მერაბი და ჩუბინა ერთმანეთს გადაეხვევიან).

ეამთაბერი — მერაბ!

მერაბი — ბრძანე, ბატონო!

ეამთაბერი — ოფლიან ცხენებს არ მოხადონ! ხელით ატარონ შესრობამდე!

მერაბი — იციან, ბატონო! როგორც ჩამოვხდიო, იქვე გავაფრთხილე!

ეამთაბერი — ჰო!.. თავისუფალი ხარ! როცა დამპირდები, დაგიძახებ!

მერაბი — ბატონი ბრძანდები!

(გასვლას აბირებს ჩუბინასთან ერთად).

რუსუდანი — მერაბ!

(მერაბი მყისვე მობრუნდება).

ეამთაბერი — რა გინდა მაგასთან? წაგიდეს! (მერაბი ჩუბინასთან ერთად გადის) რა გინდოდა? (ჩამოჯდება) უჰ!.. მეც დავლილივარ! შენ, შეილო?..

აგაბო — მოვასვენოთ!..

რუსუდანი — არა, არა, მე არაფერი არ მიწდა!

ეამთაბერი — მეფე სად ბრძანდება?

აგაბო — აგერ ცაცხვებში, ბატონო! ის და ბარძიმი გნებავთ, მოვხსენებ!

ქამთაბერი — არა, არა, მე თითონ ვეახლები!

აგაბო — როგორც გენებოთ!

(შემოდის ჩუბინა).

ჩუბინა — აგაბო! მარანში გიხმობენ!

(აგაბო გადის. ქამთაბერი ცაცხებისაკენ აპირებს წასვლას).

რუსულდანი — მამა! მე?

ქამთაბერი — შენ აქ იყავი მოვალთ!

(გადის).

ჩუბინა — ბატონის ასული, პირველად ბრძანდებით სასახლეში?

რუსულდანი — არა, მეორეთ! მხოლოდ მაშინ პატარა ვიყავი! თქვენ? თქვენ ვინ ბრძანდებით?

ჩუბინა — მე? თქვენ ერთი ბერიკაცი ღყავთ შინ! მოუტრავად!

რუსულდანი — მამუკა? შერაბის მამა?

ჩუბინა — დიახ! დიახ! შე და მამუკა ძმები გახლავართ!

რუსულდანი — თომ! მამ ჩუბინა თქვენა ხართ? თქვენზე რამდენი რამ უამბნია შერაბს?

(შემარბის არჩილი. გაოცებით შეხედავს რუსულდანი).

არჩილი — ჩუბინა! ეს ვინ არის?

ჩუბინა — ეს ქამთაბერის ასული გახლავთ!

არჩილი — მამ რუსულდანი შენა ხარ? (ხარბათ უყურებს) ჩუბინა! შენ განაბავს ამისთანა ქალი?

ჩუბინა — უფლისწულო, ნუ დააფრთხე, შენი ქირიმე!

რუსულდანი — როგორ მიყურებთ?

არჩილი — რუსულდანი.. რუსულდანი.. მე მხოლოდ შენი სახელი ვიცოდი და აი როგორი ყოფილხარ!.. როგორი ყოფილხარ!..

(რუსულდანი უკან დაიხვეს).

ჩუბინა — უფლისწულო, ასე როგორ შეიძლება? როგორ ექცევი, შენი ქირამე?

არჩილი — (დაყინებით მისჩერებია) რუსულდანი რატომ აქამდე არ გვე-  
წვივ? რუსულდანი! იცი... ჩუბინა, ჩემო ჩუბინა, მე ახლა ისეთ გუნებაზე  
ვარ... რომ... აა, თუ გინდა შენ მერაოლე ისარი! (მოიხსნის მშვილდს).  
ჩუბინა, ახალგაზრდობისას შეგხვედრია ასეთი ქალი?

ჩუბინა — დაცა უფლისწულო! რა დაგემართა? (შეამჩნევს მომავალთ)  
აგერ მობრძანდებიან კიდევ და აი, მოვახსენებ შეფეს, როგორც იქ-  
ცევი!

არჩილი — (ჩუმბათ) ჩუბინა! ხმა! კრინტი!..

(შემოდის შეფე, ბარძიბი და ქამთაბერი).

შეფე — (ლაპარაკით მოდის) და ყველაზე დიდათ მოვალენი ქვეყნის წი-  
ნაშე ჩვენა ვართ თმ! ეს არის შენი ქალი, ქამთაბერი? რამოდენა გამ-  
ხდარა? დაჯღებულა! რა კარგი რამ არის!

რუსულდანი — იცოცხლე, შეფე ბატონო!

შეფე — შენ იცოცხლე და გაახარე, შვილო ჩემო (შუბლზე აკოცებს)  
მართლა, ქამთაბერი! შენთან მოციქულობ და მაცისრა ბარძიბმა!

ქამთაბერი — ბარძიბმა? ბრძანე ბატონო!

შეფე — (რუსულდანს გადახედავს) ჩუბინა, მოდი ქალებისაკენ წაუძახე  
ჩვენს ცქრიალა სტუმარს, თორემ ჩვენთან ძალიან მოეწყინება!



ქამთაბერი — გაკეცვა, შვილო!  
(ჩუბინა სისახლეში შედძლება რუსუდანს).

მეფე — არჩილ დაგეტოვებ!

არჩილ — (თავს დაუკრავს მაშას, ჭურღულად ჩაუვლის ქამთაბერს და ჩემათ ჩაულაპრაკებს) — შენთან დიდი საქმე მაქვს!  
(დაღს).

ქამთაბერი — ბრძანე, მეფეო!

მეფე — ბარძიმს უნდა, რომ დაგემოყვროს, ჩემო ქამთაბერ, და ჩემის აზრით, არ იქნება ურიგო საქმე! ვინმე შორებლის ჩამოსიძებას ისევ ამის ვაფი გერჩიოს.

(ორივენი ქამთაბერს შეყურებენ).

ბარძიმი — მე გაგეტლებით, თუ კი ჩემთან ქამთაბერისათვის უხერხულა...

ქამთაბერი — არა, რას ბრძანებთ? ბატონო ბარძიმ! მე თუ ჩაუფიქრად და პასუხი მყისვე ვერ მოგახსენებ, ეს ამის გამო, რომ ამ საქმეზე ვერ არსადროს არ მიფიქრია და გთხოვთ, ნუ მიწყენთ... მოგახსენებთ, ჩემი ქალი ვერა სულ ბავშვია და, სიმაართლე გითხრათ, ვერ არც არავინ შემომძლევიდა ისე აქვენიან საუარო რა შექნება? მოხარული ვარ! სხვა რა მეთქმის? მეფე ბატონო! ხვალ მოგახსენებთ ყოველივეს, თქვენი ქირიშეთ!

მეფე — კარგი ხვალ იყოს! ეხლა მეორე ვითარებას შევეხოთ, ესეც აქვე ერთად განვახილოთ!

ბარძიმი — ბრძანე, მეფეო!

მეფე — გასარღლებას გვთხოვს ქამთაბერი! რას იტყვი ბარძიმ?

(ორივენი ბარძიმს შეხედავენ).

ქამთაბერი — მე გაგეტლებით რაკი ბარძიმისათვის...

ბარძიმი — არა, ბატონო ქამთაბერი! თქვენი არ იყოს, ამ საკათხზე, გთხოვთ, მეც ჩამაფიქროთ, მაგრამ ისე კი არ მიილოთ, თათქოს მე თქვენი წინააღმდეგი ვიყვი... არა, როგორ გეკადრებთ... ნება მომეცით მეც ხვალ მოგახსენოთ!..

ქამთაბერი — გთხოვთ ჩემი პასუხის ვადა ორი დღით გადასწოთ!

ბარძიმი — ორი დღითო?... ამით თქვენ უკვე ბრძანებთ აქვენს პასუხს ქამთაბერი! მაშ ჩემიც ინებეთ! ვერ გიყვებულვებთ თქვენს სიტყვაზე, მეფეც ბატონო! რა ექნა? არა სჯობს ქვეყნისათვის! ვთქვათ გულ-ახდილად! ქამთაბერი ჩვენს ბაღში მხოლოდ იმ ხალს გაახარებს, რომელსაც თითონ დარგავს და ვშიშობ, ვაი თუ ჩვენს ბაღში მხოლოდ პანტა და ასკილი-ლა შევერჩის აქა-იქ!

ქამთაბერი — რიმელი საბუთით შეცხებ და მაქნანებ ასე უსამართლოთ? ვინ დამიჭყენია ბარძიმ? რთმელი ჩირვევი გამიხშია? რომელი ბალახი?

ბარძიმი — რომელს გავიხარებია, ქამთაბერი?

ქამთაბერი — დამიცავით, მეფე ბატონო! მე ჩემი დღე ჩვენი ქვეყნის ერთგულებაში დამიღამებია და, გთხოვთ, ისეთ დილას ნუ გამითენებთ, რომელიც უსამართლოთ ჩირქს მოსცხებს ჩემს ხმალს და სინდისს.

ბარძიმი — კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამს!

ქამთაბერი — კარგი მხედრისაგანს მაგრამ თუ აქი...





მეფე — ქმარა! გვეყოფა რა ამბავია, ბატონებო? ასეთის მტკიცე ხალხს თვალში რაღა ფასი უნდა შეგარეთ ხალხის განმგებელთა?   
 ბარძიმი — სწორია, მეფე! ხალხი არ სცდება განმგებელთა შეფასებაში!

ქამთაბერი — სწორია მეფე! ამიტომაც გურბიან ყმება მოგიერთებს და ჩემს კალას ეფარებიან საწერეთლოში!

ბარძიმი — გამოქცეული ყმები იმდენი შევიფარე, რომ მთელი სოფელი გამაშენდა, მეფე ბატონო!

მეფე — კიდევ? კიდევ? არ გეკადრებათ, დიდებულნო, არ გეკადრებათ! (შემოდის აგაბო).

აგაბო — გურიელის კაცები გეახლენ, მეფე!

მეფე — სად მიიღე?

აგაბო — მცირე დარბაზში!

მეფე — ვასწი და სატახტოში შეუძხე, ეხლავე მოვალთ. (აგაბო გადის) ენახათ, გურაელის კაცებმა რა ამბავი მოგვიტანეს!

ბარძიმი — ვიცი, წიგლის პასუხი იქნება! რათ გვინდა, მეფე, გურიის შემოერთება? რა სახეიროა დღეს დამშეული და დარბეული გურია?

მეფე — მაშ რსმალებს მუშგდოთ სათარეშოთ?

ბარძიმი — ვიდრე მაძღრები იყვნენ, არ ინებეს და ეწა ზარალის მეტი რა იქნება მათგან? ვთქვათ, შემოვიერთეთ, ციხე-სიმაგრე აღშენეთ, სული მოვათქმევინეთ, დავათვისინეთ, ვაეძღეთ, წელში გავასწორეთ და შერე? ვინ იძლევა იმის შირობას, რომ გურიელი კვლავ რსმალებს არ დაუკრავს თავს! გურიელი გარაფშუტაა სულელია!

მეფე — მაშ ერთი გურაელის სისულელის გამო, მთელი გურია გადავაგდოთ? სულელიაო, საქმე სულელის მოვლაა, თორემ ჭკვიანი თითონ მოგვქმენის სულელიაო... ჭკვიანი ფუ საღმე გეგულებათ, მითხარით და მე თითონ მივიმბრობი მას! სულელიაო... წაიდიეთ!

(გადიან). (დაფიქრებული შევლიათ შემობრბის რუსუდანი. ილაცხს დაქმებს. გაიზენა შორე გასაელისავენ და გასახებებს).

რუსუდანი — შერაბ! შერაბ!

(შემობრბის შერაბი).

შერაბი — აჰა ვარ, რუსუდანი! აჰა ვარ!

რუსუდანი — სად წახვედი? რათ წახვედი? რატომ წახვედი?

შერაბი — ასე მიბრძანა ბატონმა!

რუსუდანი — პო და მე აქ ისე... ონ, ის უფლისწული!

შერაბი — ვიცი, ვხედავდი! შესმოდა!

რუსუდანი — შერე? წაიდიეთ აქედან!

შერაბი — ბრძანოს ბატონმა და ცხენები მყისვე მხათ იქნება!

რუსუდანი — მამა სად არის? ვეტყვი! იქაც შემოვიარა საქაილებოში, ყველანი შეგვაშფოთა! აი ხედავ, თვალში დამახსალ რხ, ისე გავცეცხლდი, ისე, მაგრამ რას ვიზამდი? როგორც იყო გოგოებში შევერთე! დრო ვიხელთე და...

შერაბი — ვიცი, ვხედავდი! არ უნდა გადმომზღარაყავი! რომ გტყენოდა რამე? რომ გტყენოდა?

რუსუდანი — შენ რა იცი? სად იყავი?

შერაბი — ვიცი, ყველაფერს შეეხედი!



რუსულ დანი — რა უნდა ჩემგან? რა?

მერაბი — უფლისწულია, განებებურებულის უთხარი მამას <sup>შენს წინააღმდეგ</sup>  
 რუსულ დანი — მამა სად არი?

მერაბი — სატახტოში.

რუსულ დანი — იქ ჩემი შესვლა შეიძლება?

მერაბი — კარებში შედი, თითონ დაგინახავს და გამოვაი უფლისწულზე  
 არაფერი უთხრა, შეუძლოთ ვარ და წავიდეთოქო, თხოვე!

რუსულ დანი — კარგი, შენ აქ იყავი!

(ვადის შემოდის ჩუბინა).

ჩუბინა — ბიჭო! მერაბ! არა, ბაძიკო, არა! არ ივარგებს, შევილო!

მერაბი — რა ბიძია? რა არ ივარგებს?

ჩუბინა — მართალია მაგ ცეცხლს ბოლი არ უჩანს, მაგრამ გამოცდილი  
 თვალისათვის მაინც შესამჩნევია! ნუ, შევილო, ნუ! სად შენ და სად ეგ?  
 ეგ ბატონის ქალია, შენ უბრალო ახნაური ხარ! არ იქნება! ტყუილიდ  
 დიტანჯები და მეტი არაფერი! მაგას თავის შესაფერს მოუძებნიან და  
 თუ ჰქვია გაქვს, დროზე აიღე ხელი! ქალს? ქალს? ქალს უყვარხარ?  
 რას გაჩუმდი? შე კაი კაცო, ოსმალთა ზარბაზნის არ შეგშინებია და  
 ჩემმა სიტყვებმა ასე გაგაფუქვს? თქვი, ბიჭო! მითხარის შეფე სა-  
 ქვეყნო საქმეებს მიმხელს ზოლმე და შენ ეგ იძებნულება? აა? მაგას  
 ვერ მანდობ?

მერაბი — ბიძაჩემო, ერთად ერთი კაცი ქვეყანაზე შენა ხარ, რომელი? ..

ჩუბინა — პო... არავის არ ვეტყვი არა! ქალსაც უყვარხარ? თუ ისე  
 გათამაშებს, აა? ამოთქვი! მითხარის!

მერაბი — შე ვიდრე ცოცხალი ვარ...

ჩუბინა — ის? ის?

მერაბი — ისიც ასეა!

ჩუბინა — ეებს!.. ზავშეები ხართ... ზავშეები!.. ვინ იცის, რომდენი ქარი  
 და ნიაფი დაგაქროლებთ! ერთ რამეს გეტყვი, სიყვარულმა, შევილო,  
 ტკბილი დარდა იცის. არ შემოიჩვიო, თორემ გაგაფუქვებს!  
 (შემოდის რუსულანი).

რუსულ დანი — მამა მალე გამოვაო, მითხრეს! იქ არ შეიძლება ჩემი  
 შესვლა, ფურაელის კაცები მოსულან!.. მერაბ! ეს თურმე შენი ბიძა  
 ყოფილა, მამუკას გავს, მხოლოდ მამუკას უფრო თეთრი წვერი აქვს,  
 თეთრი კი არა, ამათში ყვითელი, ოჭროს ფერი!

ჩუბინა — ბატონის ასულს! ცხენოსნობა მარჯვეთ გცოდნია!

რუსულ დანი — მამუკამ მსწავლა!

ჩუბინა — მართლა?.. აშან? აშან არაფერა გასწავლა?

რუსულ დანი — ხმაღში გასვლა!

ჩუბინა — მიქოს!

რუსულ დანი — მაგრამ ხმალი მძიმეა და ვერ ვერევი.

(შემოდის აგაბო).

აგაბო — დამტანჯა კაცო! დამახრჩო პირდაპირ, შენ გეცოდნება, სად  
 გაიქცაო! აგერ, აქეთ მოდის!

რუსულ დანი — ვაიმე!..

აგაბო — არაფერია, ნუ გეფიქრებათ! ახალგაზრდაა, ზავშეია!

(შემობის არჩილი).

არჩილი — რუსუდან, სადა ხარ? ან მამაშენი სატახტოდან გამოვა, შეტყვი და აქ დაბტოვებს ჩვენთან!.. ხომ კარგი იქნება? ა? ზრმაშენი კარგი იქნება! თქვენ რას იტყვით? (შეაჩერდება მერაბს) გუკუნეა გუკუნეა შენ ამათი ყაცი ხარ? რა გქვია?

მერაბი — მერაბი, ბატონო!

არჩილი — რუსუდანი აქ დარჩება! აქ არ ურჩევნია? (მერაბი წარბს შეიკრავს) აა? (ხელს წააგლებს კახერზე და უნდა დაანჯღრიოს) ბიკოს! რა ღონიერი ყოფილხარ! გინდა დამეკიდე!

ჩუბინა — აბა, როგორ გეკიდრება უფლისწულო! ახლა აქ კიდაობა უნდა გამართო?

არჩილი — მერე რა? მამას არ ცალია, სატახტოშია! სხვა რა? ვინ დამიშლის? რუსუდანს გაეხარდება კიდევ! ხომ! ხომ, რუსუდანი! მოდი! მოდი, თუ ბიჭი ხარ!

მერაბი — ნუ ინებებ, უფლისწულო! ნუ ინებებ!

არჩილი — უჰ! რა შშიშარა ყოფილხარ! არ გრცხვენია? მერე რა, თუ წაიქცევი? ნუ გეშანიო, არას გატყენ!

მერაბი — არა უფლისწულო, ჩემი წაქცევისა კი არ მეშინია, შენსას ვერიდები!

არჩილი — ბიკოს! ვერ უყურებთ? შენ ძალიან დიდი იმედი გქონია შენი ღონისა, მოდი!

(ხელს წააგლებს, მაგრამ მერაბი არ ნებდება).

მერაბი — ნუ ინებებ მეტეი, უფლისწულო! ვთხოვ! არ იქნება, ბატონმა ნება უნდა დამართოს კიდაობისა! (არჩილა არ ეშვება) უფლისწულო! (დადებდას რუსუდანს, რუსუდანი ანიშნებს დეჰიდო და მერაბიც გაყვება. გაყოფდება პატარა წრე. იმართება კიდაობა. ჩუბინა გამალებით ადევნებს თვალყურს).

ჩუბინა — ერთმანეთს არაფერი მოსწიოთ, იწამეთ ღმერთი!

ავაბო — ნელო, ნელა! ნუ გაცეცხლდებით! ნელა!

(რუსუდანი დამახული მისჩრებია კიდაობას, საითაც მოჭიდავენი გაიწვევენ, წრეც იქით მიიწვეს. ორივე მხარე ძლიერაა, თითქმის მერაბი სჯობნის, მაგრამ ბოლოს არჩილი იკრებს ღონეს და დასცემა მერაბს. მერაბის დაცემაზე რუსუდანი შეჰკოვლებს და თავისივე ხმის თითონვე შერცხვება).

მერაბი — (თითქმის რუსუდანს მიძახებს) — არაფერი! მე თითონ...

არჩილი — რა? რა თქვი? რა შენ თითონ?.. რა?

მერაბი — არაფერი, უფლისწულო!.. ისე!

არჩილი — რა ისე, რა? შენ თითონ წაიქციე? თითონ წაიქციე?

მერაბი — არა, უფლისწულო! შენ წამაქციე!

არჩილი — შენ ეკ არ გითქვამს! ტყუილია! მამ შენ თითონ წაიქციე, არა? ადვილად, ადვილად გიბრძანებ! (მერაბი მორჩილად წამოხტება) დაეწყით! (იწყებენ. მერაბეთაც მერაბი წაიქცევა) ახლა? ახლა რაღას იტყვი? ახლაც თითონ წაიქციე?

მერაბი — არა ბატონო, ორჯერვე შენ წამაქციე!

არჩილი — აი მესამეთაც წაგაქციე და ნაჯობნი ვიქნები! ალე!

(მერაბი წამოხტება).

რუსუდანი — მესამეთაც? მერაბ, მესამეთაც?

მერაბი — არა, მესამეთ...

არჩილი — მესამეთ არა? აა? არა, ხომ?

მერაბი — მე მოგახსენებთ, მესამეთ ჯერ არა მეტქი!

არჩილი — აი შესამეტად ესლა ბუნება! (დაეძგერება, მერაბი მოუხვეთ  
ღახედება) ბიჭოს! ამას უყურეთ, როგორ მიძალიანდება! *არჩილი*  
ქვადობენ. მერაბი წამოიკიდებს გადასაგდებად, მაგრამ შეერდებენ *არჩილი*  
მერაბი — ვერ გიმეტებ, ბატონო, თორემ ხომ ხედავ, რომ...

არჩილი — რას ქვია, ვერ მიმეტებ? თუ კი შე გიმეტებდი? თუ არაქათი  
გავიწყდა? გამოტყდი!

მერაბი — მაშნუ მიწყენ უფლისწულო! კიდაობაა...

(მოიხვევს და გადახედებს არჩილი მოულოდნელობისაგან შეკრთება).

არჩილი — ეს რას ნიშნავს? როგორ მოხდა?

(წამოიწივს და ეცემა, მერაბი კიდევ დაანარცხებს. არჩილი გაიცეხლდება და კიდევ  
მივარდება).

მერაბი — უფლისწულო, კმარა, თორემ რამდენჯერ მეწყევლი, იმდენჯერ  
დაეცემი!

არჩილი — (მრბნით, ეინით) — არა, შეუძლებელია!

(კიდევ დაეჯახება და კიდევ წაიქცევა).

ავაბო — მეფე მობრძანდება, მეფე!

(არჩილი მყისვე გაიქრება. ავბოს ჩაუვლის და ჩუღლაპარაკებს).

არჩილი — მამასთან არაფერი წამოგცდეს ქვადობაზე! ჩოხას გამოვიცუ-  
ლრ და მოვალ!

(გაღის).

ჩუბინა — რომ ეგ ხერხი არ გეხმარა, თავს შეეკლაქდა!

მერაბი — მართლა?

ავაბო — მაშ! არაფერი არ გასჭრიდა! არც ხეწნა, არც მუღარა!

ჩუბინა — მამის ხათრთუ კი ძალიანა აქეს! მაშინვე გონს მოვა, როგორც  
უხსენებ!

(სასახლიდან ეამთაბერი გამოდის, დანადვლიანებული, თავი აქინდრული. ყველანი უხ-  
მოდ შეჰყურებენ. დაადება. ჩუბით არი. გაუბედავად უახლოვდება, რუსუდანი, შედ-  
გება).

რუსუდანი — მამა! მამა!

(ეამთაბერი გამოერკვევა).

ეამთაბერი — აჰ?.. ჰო! ის უნდა შეთქვა, შეთქვა კი არა, მერაბს  
მიხმეთ!

მერაბი — აქ გახლავარ, ბატონო!

ეამთაბერი — ცხენები! შევდივართ!

(მერაბი მყისვე გაღის. ტბინა და ავბო ერთმანეთს გადახედავენ).

ავაბო — ეამთაბერ ბატონო! რათ მიბრძანდებით ამ უღროო დროს!

ჩუბინა — მეფეც არ გავიწყებთ! მით უმეტეს, ქალი თან გახლავს!

ეამთაბერი — მადლობთ! მადლობთ! ვიცო, გულწრფელი მასპინძლები  
ხართ. მეფეს უკვე გამოვეთხოვე! (რუსუდანს) წადი, მოემხადე, მამი-  
ლაშენთან შევდივართ!

რუსუდანი — მართლა? რა კარგია? როგორ გაეხარდება!

(გაბზის).

ავაბო — (ჩუბინას) — ხილი მაინც გაამზადე გზაზე, რუსუდანისათვის!

ჩუბინა — ჰო! ხილიც და სხვაც...

(გაღის).

ავაბო — ბარძიმი მეფესთან ბრძანდება?

ეამთაბერი — არა, ბარძიმი უკვე წავიდა! მეფე ფერიელის კაცებს ესა-  
უბრება.



- აგაბო — გვიერთდებიან გურულები, ბატონო, თუ რა შემოთვალეს?
- ქამთაბერი — პო... გურულები? მეფეს კითხე, აგაბო, მეფეს...  
 აგისნის, მე არ ვიცა, მე სახელსწიფო საქმეებში მარტხაძის...  
 ეყოფილვარ საჭირო!
- აგაბო — როგორ, ბატონო? (ქამთაბერი სდუმს). გეტყობა, ძალიან ნაწყენი  
 უნდა ბრძანდებოდეს!
- ქამთაბერი — არა, რათა? არაფერი, არაფერი, ჩემო აგაბო, ღმერთმა  
 დღეგარმელსყოს ჩვენი მეფე, ჩვენა ერა და ჩვენი ქვეყანა! რას ჩა-  
 ფიქრდი?
- აგაბო — ეხს რა ვიცო? ბატონო, ზომ მოგვსესენებათ, დროული კაცი მე-  
 ღამ ფიქრის მასმინძელია!
- ქამთაბერი — როგორ!
- აგაბო — შარშან გელათას კართან ერთი მითხოვარი იდგა, სულ ჩემათ  
 იყო, მოწყალეებს არ ითხოვდა: „თუ გემეტებათ, ისეც გაიღებთო, თუ  
 არხო და“...
- ქამთაბერი — (შეაწყვეტინებს) — ვისზე ამბობ მაგას, აგაბო?
- აგაბო — ჩემზე მოგვსენებს! თუ ჩემთან ვასამხელია თქვენი დარდი,  
 ისეც მიბრძანებთ, თუ არა და შეკითხვებთ რაღათ შეგაწუხო?..
- ქამთაბერი — არა, აგაბო! შენ სხვას ამბობ! მე მოწყალეა თვით  
 ღვთისთვისაც არ მითხოვია! მე ყველასაგან კანონიერს მოვითხოვ...  
 დიახ! და კანონიერთაფე მუზღად ყოველ უკანონოსს ია?.. რას იტყვი?
- აგაბო — კანონიერი სიტყვაა, ბატონო! (მოისმის ცხენის ქიხინი) ოპოუ!..  
 — როგორი ჭიხვანი სკოდნია თქვენს ულაყს!
- ქამთაბერი — ჭიხვინიო?.. ზოი.. ზოგი ვერ იტანს ჩემი ბედღურის ქიხ-  
 ვის საწერეთლოში, ყურში ეკლად ესობა!
- აგაბო — რა უყოთ, შენი ჭარიმე, ყოველი ყურის საამო, ჭიხვინი კი არა,  
 გალობაც არ თქმულა!
- ქამთაბერი — ხარბსა და გაუმადლარს სხვისი ყველაფერი ეკლად ესობა!
- აგაბო — მაგისთანა კაცს მიწა გააძღებს!
- ქამთაბერი — სწორეთ მიწა ვერ აძღებს მაგ სამიწეს!
- აგაბო — ვის, ბატონო ქამთაბერი? ვისზე ბრძანებთ?
- ქამთაბერი — ვინც ხარბაა, შურიანთ, ბოროტი, გაუმადლარი თუმცა  
 ამაზე ლაპარაკს თავი დაგანებთო! აგაბო, ერთი მიაკითხე, თუ კაცო  
 ხარ, დააჩქარონ, მაგვიანდება.
- აგაბო — უხლავე, ბატონო!  
 (აგაბო გადის შემოდის არალი — ზობა გამოუცვლია).
- არჩილი — მამა სად არის?
- ქამთაბერი — გურიელის კაცებს ესაუბრებთ!
- არჩილი — მართლა? ძალიან კარგი! ჯერ ზომ არ გამოვა?
- ქამთაბერი — არა მგონია! როგორ?
- არჩილი — ყველაფერს მიშლის! შიკრძალავს!
- ქამთაბერი — ოპ!
- არჩილი — მამ! გუშინ ამ ალვის ზეზე ატედი, ხელავ? აი, ყველაზე მა-  
 ლალა რომ არი, პო. და... ზომ ასულხარ ალვის ზეზე, როგორი ძნელია,  
 რამდენათ მაღლა მიიწევ, იმდენად პატარა ტოტები აქვს! რომელსაც

ფებს დაადგამ ყველა გიტყუება! უჰ.. ძალიან ძნელია.. ჰო და მაინც ავედი, მე ასე ვიცი, თუ ვთქვი, რომ მოგვცდე, მაინც შეგესრულე!!!  
 გამთაბერი — მერე?

არჩილი — დაუნახავარ ვიდაცას და მამასთვის უთქვამს! მამაჩემმა ტყავი გამაძრო, რათ ახვედიო!

გამთაბერი — რომ ჩამოვარდნილიყავი?

არჩილი — ეხ! შავაზე თუ იფიქრე, შაშით მუხლები აკიანკალდება. გულში ყველას უნდა, მაგრამ ეშინიათ, ვერც სამაჩეი გაბედავს ასე-ლას! შიში როგორ შეიძლება? სულ ერთია, ჩუმად მაინც ავალი! სხვებს ეხარბებათ, რომ ვერ აღიან და მამბუნდებენ!

გამთაბერი — სხვაც რომ ავიდეს ვინმე, შეგეხარბება?

არჩილი — რათა? პირიქით! კარგია, შევეჯიბრები და მე უფრო მალა ავალი! ავალი!.. ოო... ვინდა ქარიანში ავალი! მე ასეთი ვარ! ვიტყვი და შევასრულე! ხომ კარგია?

გამთაბერი — იცოცხლე კარგია, მაგრამ ძნელია!

არჩილი — ძნელი რომ არის, იმით არის კარგი! მაშ იოლი რომ აყოს, რაღა საწადელი იქნებოდა? გულში თხილს ვჭამდათ და ჩუბინამ თქვა: ეს ოხერი თხილი, როცა კბილები მქონდა, მაშინ არ მიყვარდა და ახლა რამ შემაყვარაო! ასეა! მე რომ ფეხზე ძირმავარა მქონდა, ერთი გაქცევა სიცოცხლეს მერჩია! ჰო და გაქცევა არა? ყველაფერი ასეა!

გამთაბერი — ყოჩაღ არჩილი! ყოჩაღ! ძალიან დაკვირვება გცოდნია, ასე უნდა გაიგო კაცი, ადამიანი!

არჩილი — ეხ, ვიცი! ყველაფერა ვიცი!

გამთაბერი — ჯერ არა, ჯერ სადა ხარ! ჯერ ცხოვრებას არ იცნობ!

არჩილი — ვიცნობ! ვიცი, რაც არის. მამაჩემმა ამისხნა: ჭიდილიაო, ბრძოლააო, წინააღმდეგობააო. ხომ მცოდნია. სწორეთ/ ისეთია, როგორც მე მიყვარს!

გამთაბერი — არა უფლისწულო, ცხოვრება სასტიკია, უღმობელი, უსამართლო! ჯერ არ იცნობ! არა!

არჩილი — არც მინდა ვიცნობდე! ისეთი ცხოვრება რათ მინდა, რომელიც ყველაფერს დამიშლის და შემაწუხებს!

გამთაბერი — ბედს გაწყველინებს! მე რომ ერთი ვაგი გამჩენოდა, ჩემ ბედს ძალდი არ დამყუფდა და ეხლა ძალდი ისე მიღრენს, ლამის თავი წამჭამოს. იცი რას ნიშნავს ვაგი, უფლისწულო?..

არჩილი — არ ვიცი! მე მხოლოდ ის ვიცი, რომ შენ ქალი გყავს და ყველა ქალებზე უკეთესია.

გამთაბერი — ა?..

არჩილი — გამთაბერი! იცი რა უნდა ვთხოვო, — დატოვე ჩვენთან რუსულდანი! ჰა! უარი არ მითხრა!

გამთაბერი — რას ამბობ, ყმაწვილო?

არჩილი — შენი ჭირიმე, ჩემო გამთაბერი! ძალიან გეხეწები! ძალიან ვთხოვ, ძალიან, ისე, ისე რომ.. თუ არა და მე წამოვალ თქვენთან! ოღონდ რუსულდანთან ვიყო და მეტი არაფერი მინდა!

გამთაბერი — დაიცა, დაიცა, უფლისწულო, კარგათ გამოგებინე, რას ამბობ? შენ ჩემი რუსულდანი მოგწონს?..

არჩილი — ძალიანი ძალიანი!



ქამთაბერი — და იცი კი, ეგ რას ნიშნავს?

არჩილი — როგორ არ ვიცი!.. რუსულანი ჩემი იქნება, და გათავდა!

ქამთაბერი — (შუბლი გაეხსნება. შორს გასკვრეტს) მართლა?.. არჩილ! შენ იცი...

(ჩაფიქრდება არჩილი სუნთქვა შეერული თვალებში შესცქერის ქამთაბერს).

არჩილი — რა? რა? მითხარი!..

ქამთაბერი — (ორაზროვნათ) შენ იცი, რას ნიშნავს ეგ?..

არჩილი — რა?

ქამთაბერი — (შემპარავად) — მამა? მამა რას გეტყვის? თანახმა იქნება? ა?

არჩილი — მართლა!.. მამაჩემი მამაჩემი ყველაფერს მიშლის! რა ექნა? რა ექნა? (შემორბის რუსულანი) რუსულანი!..

ქამთაბერი — (მყისვე) — რუსულანი ჩვენ აქ საქმე გვაქვს გადი, ცხენები შუათ იქნება, იქ დამოკადე! (რუსულანი მყისვე შორჩილად გადის. არჩილი გაქვავებული გაპყურებს შიშავალს) უფლისწულო!

არჩილი — (გამოერკვევა) — რა ექნა, ქამთაბერი რა?

ქამთაბერი — მოდი აქ! შენ უკვე დიდი ხარ! მეტი სიღინჯე გმართებს! მართალია, რუსულანი სხვებსაც ბევრს მოსწონს, მაგრამ...

არჩილი — სხვებს?.. ვის?..

ქამთაბერი — დაიცა! გული გონებას არ უნდა უსწრებდეს! თუ რუსულანზე ნამდვილად ფიქრობ, თხოვე მამაშენს, უკეთუ მისგან დასტურს მიიღებ, მაშინ შეიძლება მართლაც... (შეჩერდება) თუმცა... ეგ როდის იქნება? მანამდე შეიძლება კიდევ გაეთხოვოს!..

არჩილი — რაო? შენც მოგკლავ და თავსაც მოვიკლავ!

ქამთაბერი — (იციანის) ზა, ზა, ზა! ბიჭოს, ბიჭოს! სჩანს შენ აღარ ხუმრობ! ენახოთ, ენახოთ! უთხარი მამაშენს და ყოველივე ნათელი გახდება!

(აპირებს წასვლას მაგრამ არჩილი წინ გადაეღობება).

არჩილი — დაიცა! მიდიხარ? მიგყავს?

ქამთაბერი — რა გინდა ბიჭო?.. ზომ გითხარი!

არჩილი — დაიცა, მამას როგორ ვუთხრა?..

ქამთაბერი — თითონ შეგატყობს! მოწყენის მიზეზს გკითხავს, დაუფარე, უცბათ ნუ ეტყვის!.. როცა მეორეთ და მესამეთ შეგეკითხოს, მაშინ გაუტყდი და დასძინე, რომ შენი გადაწყვეტილება მტკიცეა და რუსულანს გარდა, შენ სხვას არ ითხოვ! თუ ვინიცობაა, უარი გითხრას, შენ ეს ნუ შეგაშინებს, ბოლოს მაინც დაგთანხმდება! ასე მოიქეცი, ქვეყანას კი ნუ მოსდებ ამ ამბავს! მხოლოდ შენ იცოდე.

(შემოდის ჩბინა, ხელში სახე აბგა უკირავს).

ჩბინა — უფლისწულო, მეფე გიხმობს, შენი ჰირიმე!

არჩილი — ეხლავე! (ქამთაბერს) რომ მკითხოს რამე, ვუთხრა?

ქამთაბერი — აჰ!.. ახლა არა! შემდეგ, ჩვენი წასვლის შემდეგ, ხეილ, ზეგ!

არჩილი — კარგი! (გაიჭყვია, შეჩერდება) — თქვენ მიდიხართ?

ქამთაბერი — მამ!

არჩილი — დაიცადეთ, ეხლავე გამოვა! გაგაცილებთ!

ქამთაბერი — არა, ნუ გავეაცილებ! ახლა ასე აჯობებს! დამაჯერე!

არჩილი — როგორ? რუსულანს არ გამოვეთხოვო?

ქამთაბერი — არა! არ არის საჭირო! ნუ იგვიანებ, მამა გზამკვლელებს!

(არჩილი გაბნის. ქამთაბერი და ჩუბინა თვალს გააყოლებენ.)

მაქარია, მაქარია! დუღს! ჯერ არ დაღვინებულა!

ჩუბინა — თბო!.. ლამის, ქვევრი გახეთქოს! ქვევრი! ან წამალი დაღვინება, ან საწამლავე!

ქამთაბერი — (იციინის) — საშუალო არა? ზოშიერი არაფერი აქვს..

ჩუბინა — მე ასე მოთქვამს და ვინც მოესწრებით, წახეთ!

ქამთაბერი — ეს რა გვისაგზღე, ჩუბინა?

ჩუბინა — ხილია ბატონო, პირს გაძველებთ ვნაში, დიდი გზა გაქვთ და...

ქამთაბერი — გზო?... (ფიქრში შედის) გზა, იცოცხლე! დიდი... ძნელი... მიხვეულ-მოხვეული... მართალია შეღობებიან... მაგრამ არა უშავს..

ჩუბინა — (გაკვირვებული უყურებს) — რა ბრძანე, ბატონო?

ქამთაბერი — (ფიქრშია) — „მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შერგან განაწირისა“.

ჩუბინა — როგორ, შენი კირამე?

ქამთაბერი — (გამოერკვევა) აა?... ჰო.. ჩუბინა! უცნაურია ბედის ვარსკვლავი, როცა გგონია სულ ჩამიქრაო; უცბათ გამოანათებს!

ჩუბინა — რაზე ბრძანებხ, ბატონო, მაგას?

ქამთაბერი — რა ვიცია, ისე, ფიქრში წაფედი და სიტყვამ მოიტანა! მამ ხილი გვისაგზღე? კარგია!

ჩუბინა — ბედის ვარსკვლავიო, ბრძანებ.. ვის ბედსაც ვარსკვლავი დაპყობია, იმას, იცოცხლე, გაუნადებს კიდევ... მამ რილას ვარსკვლავია. მაგრამ ზოგის ბედს ცეცხლი უკიდია და ალი რომ გიზგიზებს, უხარია, ასე ჰგონია, მე შინათებსო.

ქამთაბერი — შენ გგონია, ჩემ ბედსაც ცეცხლი უკიდია? არა, ბოლს შინც ვიგრძნობდი, თვალებს დამწვავდა.

(შემოდის მერაბი).

მერაბი — ცხენები მზად ვახლავთ, ბატონო!

ქამთაბერი — რუსულანი იქ არის, არა? წავედეთ! ეს შენი ძმისწული ძალიან გამომაღგა, ჩემო ჩუბინა, ჩემი მარჯვენა ხელია, მარჯვენა ხელი! თუ ვიცოცხლე და საქმეც ისე წარამართა, როგორც მე მინდა, მაგის მატყვისცემა ჩემზე იყოს!

ჩუბინა — იცოცხლე, ბატონო! შენი წყალობა ნუ მომაკლოს! რა ვიცია, თუ უკუით იქნება და ქალის ბადეში არ გაბეჭდება..

მერაბი — ბიძა ჩემო..

ქამთაბერი — როგორ?

ჩუბინა — როგორ შენი კირამე და... რაღა დასაფიცავია, აგერ წილანაც..

მერაბი — ბიძა ჩემო..

ჩუბინა — წელანაც ასე ვეუბნებოდი, ვარიტებდი, რა დასაფიცავია, ამის ხანში, კაცის გული და გონება ყველაფერს სიყვარულის ადლით ზომავს! ხე არ არი, ბატონო? მე რომ ამის ხნის ვიყავი, ერთი თავადი-შვილის ქალი მთევრდა, მზეთუნახავი იყო ის სამიწე! აბა მე იმას



ენი მომცემდა, ერთი ბერძენი იყო, დიდი სოვდავარი, ბევრი მეხიეწა საწყალი, შენი საქმე არ არი, ჩემთან წამოდიო, მაგრამ არ დავუტყუარე! ის ბერძენიც წავიდა, ის ქალიც გაათხოვეს და მე კი, აი ასე შემომათენდა, ხედავ?

(ჭალარაზე უჩვენებს).

ქამთაბერი — როგორ ბიჭო? თვალი ხომ არაეიზე გიჭირავს?

მერაბი — არა ბატონო!..

ჩუბინა — ვარიგებ, რაც გამეწყობა, რაც მაგის საქმე არ არი, ისეთს ნურას დაიჩემებს!

ქამთაბერი — არა, ჩემო ჩუბინა, ჯერ ჩვენ სიყვარულისთვის არა გვცალია, და შემდეგ მერაბს ისეთ ლამაზ ქალს ამოუფრთვე საწერეთლოში, რომ აზნაურის ქალები ყველა დაჩრდილოს.

ჩუბინა — ხომ გესმის?... თუ ქკუა გაქვს აი ასე მოიქეცი!

ქამთაბერი — აბა, გამარჯობით!

ჩუბინა — ღმერთმა კეთილად გამგზავროსთ!

(ყველანი გადიან. მცირე ხნის შემდეგ შემოდის აგაბო, სასახლიდან არჩილი გამოიბის).

არჩილი — აგაბო! წაეიდნენ? უკვე წაეიდნენ?

აგაბო — წაბრძანდნენ, უფლისწულო!

(არჩილი ვაიწყვეთ, მაგრამ შედგება).

არჩილი — არ გაგვაცილოო... და აი, გამასწრეს!

აგაბო — გნებავდათ რამე?

არჩილი — ა? არა! თუმცა მო... ქამთაბერისათვის რაღაც უნდა მეთქვას!

აგაბო — არა უშავს რა, ისევ მალე ჩამოვა და მაშინ უთხარი!

არჩილი — მალე ჩამოვა? რა იცი? თქვა? გითხრა მალე ჩამოვალო?

აგაბო — რა თქმა მინდა რა, სულ აქ არ არი?

არჩილი — ზგაბო! აბა შემომხედდე! მატყობ რამეს?

აგაბო — რას უნდა მატყობდე?

არჩილი — საერთოთ, ისე! აი სახეზე, მაგალითად, რას მამჩნევ?

აგაბო — ვერაფერს!

არჩილი — სულ ვერაფერს ვერ მატყობ? ან მწუხარებას, ან დარდს!..

აგაბო — რა დროს შენი დარდი და ნაღველია, ანგელოზის სახე გაქვს!

არჩილი — ნუთუ სულ არაფერი არ მემჩნევა სახეზე!

აგაბო — აი შებღზე კი მართლაც...

არჩილი — შებღზე მეტყობა? რა მეტყობა? რა?

აგაბო — ოფლი, უფლისწულო, ოფლი!

არჩილი — ეებს!..

(უცნაურად ზღვს ჩაიჭნებს და განშორდება. შემოდის ჩუბინა, არჩილი მას მიმართავს).

ჩუბინა — შენ? შენ რას მატყობ სახეზე? ვერაფერს?

ჩუბინა — როგორ არა, უფლისწულო! უკვე აშკარად მოსჩანს!

არჩილი — მართლა?... აგაბო კი ვერაფერს ვერ მატყობს!

ჩუბინა — (აგაბოს) როგორ არა კაცო, თვალები ქორივით გიჭრის და ამას ვერ ხედავ?

აგაბო — რას ვერ ვხედავ კაცო? რას?

ჩუბინა — აი საუღვამეზე ღინდლი რომ წამოზრდია, ღინდლი!

არჩილი — ეებს! თქვენთან ლაპარაკაც არ ღირს!..

(გარბის. მოხუცები ერთმანეთს გადახედავენ და ვერ გაუგებთ რა მოხდა. მცირე დღე-...



ყოფნის შემდეგ სასაბლიდან გამოდის მეფე ღრმად ჩაფიქრებული, დაღვრებული, ჩამოჯდება, სიჩუმეა, აქეთ-იქიდან ჩუბინა და აგაბო უახლოვდებიან, შეიჭურჭენ, სიტყვის თქმას ვერ უბედავენ, ზოლოს მეფე გადახედავს მათ).

მეფე — რას შემოძყურებთ? რას გაჩუმებულხართ?

ჩუბინა — რას დარდობ, შენი მუხლის ცირიმე?

აგაბო — დარდი ჯალათთა კაცის გულისა, გვირგვინოსანო!

მეფე — ყველაზე დიდი ჯალათი ჩემთვის ეს გვირგვინია!

აგაბო — რათა მეფეო, მავას რათ ბრძანებთ?

მეფე — მძიმეა, აგაბო, მძიმე!

აგაბო — აბა, ბატონო, ფაფანაკივით მსუბუქი რომ იყოს, ყველას გველ-რებოდა!

ჩუბინა — ბევრსა აქვს მავის დახურვის სურვილი, მეფეო, ბევრს, მაგრამ იმას კი აღარ ფაქრობენ, რომ მავისა სიმძიმემ კისრის მოტეხა იცის...

მეფე — შენის აზრით, მე კი მართელი შემჩრება კისერი, ჩუბინა?

ჩუბინა — მეფე ამის ამბობს და ყმამ რაღა თქვას?

მეფე — ყველაზე ძნელი ყმობა გვირგვინოსნობა ყოფილა!

აგაბო — მეფეო! მოგახსენებდი მაგრამ...

მეფე — მერე? თუ კი რამე გაქვს სათქმელი, რაღას უციდი?

აგაბო — ჩემი სათქმელი მცირეა, ბატონო, ალბათ თავათაც კარგათ ხედავ, რომ ყველა თავისთვის ზრუნავს და მარტოოდენ თავის ხეალეს გააქვრის!

მეფე — მართლა? შენც ასე ფიქრობ, ჩუბინა? არა, არა ზართ მართლები თქვენ გგონიათ, რომ ჩვენს დიდებულებს მარტო მირადული ზრახვეზა ამოძრავებთ? შემცდარხართ! თქვენ გგონიათ, რომ ისინი ჩემზე ნაკლებად გულშემატკივარნი არიან საქვეყნო საქმისა? არა, არა ჩემო კარგებო! მათ საქვეყნო ვარამასაგან დღედაღამ ძილი და მოსვენება არა აქვთ!

აგაბო — მამ თუ აგრეა, უჩო რაღათ უჭირავთ ზელში?

მეფე — ეჩო კი არა, ის ფოხია, თოხი, რომლითაც თავიანთ მიზნებს ბილიკებს უფარდობენ.

აგაბო — მერე ის ბილიკება საით უხვევენ, ბატონო?

მეფე — მათის ფიქრით, რა თქმა უნდა, ქვეყნის კეთილდღეობისაკენ! მაგრამ არ გამოდის და აი რატომ: მთავარი ის არის, რომ მათ ერთმანეთის არა სწამთ რა, ამიტომ უძიმით საქვეყნო ბედის გადაწყვეტაში ენდონ ერთმანეთს! ეამთაბერი გასარდლებას იმისათვის მთხოვს, რომ დამიხლოვდეს და იმ შეცდომებისაგან დამიფაროს, რომელიც ვითომ ბარძიმის რჩევით მომივა; მას ღრმად სწამს, რომ მხოლოდ მისი აზრი იხსნის ქვეყანას. ასევე ფიქრობს ბარძიმიც ეამთაბერზე. ბარძიმს უპატრონოდ მიაჩნია საწერეთლო ეამთაბერის ზელში!

ჩუბინა — ასეა მეფეო! ყოველ ბატონს თავის ბატონობა მოსწონს და ყოველ მოსამართლეს თავის სამართალი მიაჩნია სამართლიანად.

აგაბო — მიხეც ვის აძლევეთ მაგ ორში უპირატესობას, მეფეო!

მეფე — სარტყელი წილს უნდა სწვდებოდეს! ეგ სარტყლები ერთიც მოკლეა და მეორეც! კაცის გონებას ერთი ოჯახის მართვა უჭირს, ზოლო კაცის გულს მთელი სამეფო ემატარავენ! (სიჩუმე ჩამოვირდება).



- ჩუბინა — ეხ, როგორ გკადრო ჩემო მბრძანებულო, თორემ...  
 მეფე — მითხარი, მითხარი, თუ გიყვარდე!
- ჩუბინა — ნუ მათამაშებ, შენი ჭირიმე, თორემ ვაი თუ ისეთი რამ ვაკადრო, რაც არ შეგფეროს.
- მეფე — გაფიცებ შავ შენ ერთფულეზას, პირდაპირ მითხარი, რასაც ფიქრობ!
- ჩუბინა — მამ ნუ მიწყენ და, შენ არ ვარგებულხარ, მეფეო! დაუღუღელ ხარებს მეხრე უნდა! მეხრე! ურემს ხარი-კი არა, ცუდი მეხრე გადაბრუნებს.
- აგაბო — ეპეი ჩუბინა! განა ცოტაჯერ გინახავს, მეხრე დამთერალა, ურემზე დაწოლილა და ხარებს შინ მშვიდობით მალუყვანიათ?
- ჩუბინა — მაგისტანა ხარიც კარგმა მეხრემ იცის!
- მეფე — მართალი ხარ, ჩემო ჩუბინა, მართალი! ქვეყანას ჩემზე დიდი მეხრე სჭირდება! უღელს გაძლოლა უნდა! ყველაზე მძიმე უღელი კი მეხრეს აწევს! სიამოვნებით გაცეკვიდი გვირგვინს თოხზე, ხმალზე, კომბალზე, მაგრამ ვის გაუცეკვლო? იმოდენა ძალა კი შემწყვეს ჭკუისა, რომ ჭეშვქვიანი ვიცნო, მაგრამ სად არის? რომელაა? დამისახელეთ! დამისახელეთ კაცი ქვეყნის გამძღოლი, ერის წყლულის მომშუშებელი!
- ჩუბინა — ხომ მოგახსენე, ისეთს ნურას მათქმევინებ, რაც არ შეგფეროს შეტქა! აი, რა გაბრძანებინა ჩემმა სიტყვებმა! შენზე უკეთესი სამეფო კაცი ვინა გვყავს? ვინ უნდა დავისახელოთ? რაკი მაგას მოითხოვ, სჩანს ნამდვილი სამეფო კაცი შენ ბრძანდება! ეპეი, შენი ჭირი შემეყაროს, ღმერთმა ჯანი ნუ მოგაკლოს — და გონი? გონი ჩვენი ქვეყნის ვასაძღოლათ კარგი გაქვს! ვაგვიძებ, ჩემო მეხრე, ვაგვიძებ და ღმერთმა მწყალობელი!
- (მოისმის შორეული ნადური).
- მეფე — ოპო! ეს საიდან ისმის?
- აგაბო — გაღმა ყანებს მარგლავენ, ბატონო!
- (ყურს მიუვადებენ).
- მეფე — მიყვარს ნადური!.. (ნელნელა ხმას ააყოლებს ნადურს) — ხალხი მარგლავს! სწმენდს ყანებს ცუდი ზალახისაგან! ქვეყნაც ასე უნდა იმარგლებოდეს!
- აგაბო — ქვეყნის გამარგვლა მახვილს მოითხოვს, მეფეო!
- მეფე — არა, აგაბო! მეფობა ის კი არ არის, როდესაც შენი მახვილის ეშინიათ, არამედ ის, როცა შენს სიბრძნეს ამეფებენ! მახვილის ხმარებას რეგვენიც მოახერხებს. მეფე მამა უნდა იყოს და არა ბატონი! აირთ არის გვირგვინი მძიმე! (ნადურის გუგუნე ძლიერდება, კვლავ აყვება მეფე, აყვება მათ მოხუცებიც) შესანიშნავია! მხარში უღდანან ერთმანეთს, მიიწევენ, მიიბღურიან! შეც აი ასე მჭირდებიან მხარში აღამიანები! ჩუბინა! აგაბო! ჩემო საყვარელო მეგობრებო, თქვენ მიწასთანაც ახლო ხართ და ტახტთანაც, დიდებულები კი ჩემსა და ხალხს შუა ჩამდგარან და მშეს მიჩრდილავენ! მითხარით, მიჩრით რამე, კარგი და უკეთესი!
- ჩუბინა — ჩვენ შენი ძმედი გვაქვს, შენი ჭირიმე!

მეფე — თქვენ ჩემი იმედი გაქვთ, — მე თქვენი, და იმედი კი მაინც არა-  
საიდანა სჩანს, არა?  
 აგაბო — ზოგჯერ იმედიც ტყუილი ყოფილა, ბატონო!  
 მეფე — მაგრამ უიმედოთაც ყველაფერი ტყუილი ყოფილა, ჩემო კარგო!  
 (პაუზა).

აგაბო, წადი ორი ძველი ჩოხა გამოსძებნე!  
 აგაბო — ძველი ჩოხა?  
 ჩუბინა — რას აბირობ, ბატონო?  
 მეფე — ხალხში უნდა გავიდე! გული შეუბნება ხალხში გასვლას! გადავი-  
 ცვათ! ვავიდეთ!  
 ჩუბინა — ვერა, შენი მუხლის კირიმე, ვერ ვავიშვებ! საფრთხილოა  
 რომ გიციონ? შეშინია, ხიფათს არსად შეეყაროს!  
 მეფე — როგორ? ხალხში გასვლის უნდა შეშინოდეს? თუ ანეა, სჩანს,  
 ხალხს არ ედომივარს ამას რაც უფრო უმალ გამოვარკვევ, მით უკე-  
 თესია! ვინც ხალხს არ უყვარს, ის გვირგვინის ღირსიც არ არის! წა-  
 ვიდეთ აგაბო!  
 (გაღიან. ჩუბინა მარტო რჩება).  
 ჩუბინა — რა პატარა ხარ, ჩემო საშობლოვ, და რა დიდ სამსახურს  
 მოათხოვე მშობელს ერო! მოდის შენი გვირგვინოსანი ყმა შენს სამსა-  
 ხურად! მიიღე იგი და მიეცე ძაღა, შენი ძალის ასამაღლებლად.

(დასასრული პირველი მოქმედების)

### მეორე მოქმედება

(აბაშიძის და წერეთლის საზღვარი. კლდოვანი ადგილი მცირე გამოქვაბულით, იქვე წა-  
 რა. მოშორებით მოსჩანს მონასტრის შესავალი. ფარდის აბდისას ფერდობზე წამოწოლილია  
 გადამცული მეფე. მცირე ხნის შემდეგ შემოდის ივლიანე).

ივლიანე — კაი გამარჯობა!  
 მეფე — გაგიმარჯოს!  
 ივლიანე — ჰუ რა სიცხეა, კაცო!  
 მეფე — აბა, ნამეტანიას სიოც არსაიდან იძვრის!  
 ივლიანე — წერეთლის კაცი იქნები!  
 მეფე — არა, ქვემოთრო მგზავრი ვარს აქეთ მივდივარ ერთ საქმეზე!  
 ივლიანე — მარტო ხარ?  
 მეფე — არა, ორი ვართ, ის აგერ ჩავიდა ქვევით! შენ ვისი კაცი ხარ?  
 ივლიანე — მე აბაშიძის აზნაურო გახლავარ! ბარძამის!  
 მეფე — ეს წისქვილი ბარძიმს ეკუთვნის?..  
 ივლიანე — არა, ეს მონასტრის გახლავთ, მონასტრის.  
 (შემოდის აგაბო).  
 მეფე — ხომ გითხარი, ტყუილად ივლი შეთქმი აქ მოსახლე რომ არსად  
 მოსჩანს, ღვინოს სად იშოვი?  
 აგაბო — ვიშოვე მეწისქვილესთან!  
 ივლიანე — შიოსთან?  
 აგაბო — შიო ქვია, თუ არა, არ ვიცი და ისე ღვინო კი მოაქვს აგერ!  
 მეფე — ბიჭოსს ყოჩაღი ვინ არის ეგ შიო?

- ივლიანე — ბერია, ბატონო, მეწისქვილე ბერი
- აგაბო — აბა გაეშლი ახლა სუფრას! ვიდრე დაეპურდებოდნენ ჩილდებმა!
- ივლიანე — „მარტოხელა კაცი ჭამაშიც ბრალიაო“, აგაშენათ ღმერთმა, მეც მაქვს ავერ პატარა საეზალი და...
- მეფე — ჰო, რაღა თქმა უნდა! მობრძანდი! (შემოდის შიო ხელადებით).
- შაო — გამარჯობათ!
- ივლიანე — გაგიმარჯოს, ჩემო შიო! შენ რომ არ იყო ამ შუა გზაში, რა გვეშველებოდა? საფუქვავია — შენთან მოგვქვეს, გზაში გაგვიჭირდება — შენ უნდა გამოგვხედო, შემოგვალამლება და შენი სტუმრები ვართ! რამდენი წელიწადია წისქვილში ხარ?
- შიო — ორმოცი! (მოისმის სიმღერა).
- ივლიანე — კირკიტა მოდის, კირკიტა! ხმაზე ვიცანი!
- შიო — პოოუ... ეგ თუ გადაგვეკადა ახლა...
- მეფე — ვინ არის?
- შიო — წერეთლის ახნაურია ერთი რაც რამე გაინდა, მრავალყამიერში გამოათავა და ახლა დადის ასე!
- აგაბო — აბა დაბრძანდი! (ივლიანე სუფრას გადახედავს).
- ივლიანე — იფ! ჩვენზე უკეთესი სუფრა დღეს მეფესაც არ ექნება! (მოიხსნიან მათარებს და სუფრას შემოუსტდებიან).
- მეფე — ეს ღვინო პირდაპირ ნანატრივით არის! ნანატრივით! (შემოდის კირკიტა).
- კირკიტა — (ეტყობა ნასევამია) — ვანც მოვიდა, გაუმარჯოს!
- ყველანი — გაგიმარჯოს! მობრძანდით!
- კირკიტა — ვენაცვალე ჩემ ქვეყანას! სადაც გავივლ-გამოვივლი, სულ გაშლილი პურმარილათ მეგებებიან... ქორწილიდან მოვდივარ! ძიან დრო გავატარე, გადაწყვეტილი მაქვს, ას წელიწადს უნდა ვიცოცხლო! რა შეჩქარება? აა? რას იტყვი, ივლიანე?
- ივლიანე — იცოცხლო თუ არა, შენ რომ ავლა-დიდების პატრონი ხარ... ასე გამწარებული სიცოცხლე რათ გინდა?
- კირკიტა — რას ამბობ, რას? სიცოცხლე სწორეთ მაშინ გაგიტყებება, როცა გავიმწარდება! ეგ არაფერია! ცოტა მთიციადე და დრო მოგცემს!
- შიო — დრომ, შვილო, შეიძლება ყველაფერი უხვად მოგცეს, მაგრამ ერთ რამეს მაინც წაგართმევს.
- მეფე — რას, მოხუცო?
- შიო — სიყმაწვილეს, ბატონო! დღეს ზვალეობით ისე გამოგაცლის ხელიდან და ისე შემარგალამდება, რომ უკან მოხედვასაც ვერ მოასწრებს!
- აგაბო — (კირკიტას კერძს სთავაზობს) მიირთვათ!
- ივლიანე — მიირთვი, კირკიტა! ბედი რომ სუფრას გაგიშლის, დროზე თუ არ მიირთვი, დრო და ეამი აალაგებს და მშვიდ-მწყურვალე დარჩები!
- კირკიტა — როგორ? მოსწრებაზეა ეს წუთისოფელი? როცა მენატრება, მაშინ უნდა გამიშალოს თუ არა, ახლა ქორწილიდან მოვდივარ! უკაც-რავად, ივლიანე, ეს უცხო პირები ვერ ვიცანი და...

აგაბო — ჩვენ ქვემოთრები ვართ, მგზავრები!

კირკიტა — აჰა! სასიამოვნოა შენი ჭირიშვილი! თქვენზე კი არა მინდობა და კაცის გაცნობა, ბატონო, დიდასავით არის ზოგჯერ იმისთანა ტყუილად გავითენდება, რომ ვათენებას კი არა, დაბადებას დაგაწყევლინებს ისეა კაციც! მო და ინებოს მამაზეციერმა, რომ ეს ჩვენი პარველი გაცნობა და პირველი... (გაჩერდება) კაცო, ხელში არაფერი მიჭირავს და სადღეგრძელოს ისე შალაპარაკებთ? (იციან).

მეფე — აბა, დავილოცოთ!

(სწევენ მათარებს).

კირკიტა — კაცო, შე მეგონა შუა ქეიღში იყავით და ახლა იწყებთ?

მეფე — კი არ ვიწყებთ, ვათავებთ! ქეიფი კარგია, მაგრამ გზას ვადგოვართ და...

შოო — იცოცხლეთ, გაგიმარჯოსთ, ღმერთმა კეთილათ გატაროთ!

კირკიტა — შოო, შენ ის თქვი, შენგან რა სიკეთეა, თორემ ღმერთი რაღაცას გვიწყალობებს, შენი რა მადლობელი უნდა ვიყო? თუ ჩემზე გული შეგტყვია, რაღა ღმერთზე მიშვერ ხელს, შენ უფრო ახლოს არ ხარ?.. ეს იცოცხლეთ, გაგიმარჯოთ! (სვამს). ნეტარას სვამენ, ან რით ცხოვრობენ, სადაც ღვინო არ მოდის?

მეფე — გეტყობა, ღვინო გყვარებია!

კირკიტა — ეის ძულს? უკეთესი რა შევიყვარო?

ივლიანე — რომ სვამ, ზომა უნდა იცოდე!

კირკიტა — მთერალმა როგორ გავზომო?

ივლიანე — არა, ფხიზელმა! ფხიზელი უნდა ფიქრობდე ამაზე!

კირკიტა — ფხიზელი თუ ვიქნები, რაღა მექნება გასაზომი?

(იციან).

შოო — ხშირათ მაინც არ უნდა სვამდე, შეილო, ხშირათ!

კირკიტა — კაცი, ჩემო შოო, მუდამ კარგისკენ მიისწრაფვის და ასე ვარ მეც! როცა დაეღუფე, ეს ქვეყანა უკეთესი მგონია!

ივლიანე — ეგ ზომ თავის მოტყუება გამოდის!

კირკიტა — რა ვქნა, ამ ქვეყნად ვიცი, ტყუილს ვერ ავიტყვებ, და რაღა სხვამ მომატყუოს, ის მაინც მეცოდინება, როდის ვატყუებ ჩემ თავს და რაში?

შოო — ეჰ! ტყუილი რაზ გინდა, შე კაცო?

კირკიტა — ზოგიერთ სიმართლეს მაინც მიჩვენია, და როგორც გინდა ახლა შენ ისე ჩამითვალე! აბა, ვიდრე სუფრის თავს ამოვიჩრჩევდეთ, მანამდე ამით გაგიმარჯოთ!

(ჯამს მოიყუდებს და სცლის).

ივლიანე — ასე მაინც რამ გაგალოთა, კირკიტა!

კირკიტა — დარდმა, ჩემო ივლიანე! დარდმა გამალოთა, ახლა ლოთობა მადარდებს და ესვამ! რა ვქნა? ძველად ერთი ქალის საყვარული მკლავდა, ახლა ის ქალი თავათ მკლავს შინ, რათ სვამო! იმასთან ფხიზელათ ცხოვრებას ისევე ლოთობა მიჩვენია! ეჰ! სულ ერთია, ასეა თუ ისე, ბოლოს მაინც ბოლოა!

შოო — ჩვენთან პასუხს კი ახერხებ, მაგრამ იქ რას იტყვი, იქ, საიქიოში? ლოთობა რომ ცოდვით ითვლება, ზომ იცი!

კირკიტა — ღეინოც შენი გაჩენილია და მეც-თქვა, ვეტყვი ღმერთს!  
 ორივე ერთათ თუ არ ვარგოდით... შენ გაფუჭებულ სერცხველად  
 მპარალემ-თქო, ვეტყვი და რაღას მიზამს? ეს, სხვებმა პეტრეს  
 რემ მე რა მიჭირს? ჩემთან რა ანგარიში ექნება გასასწორებელი? რას  
 დამამადლის, რა მოუტია? კეთა, თუ გარეგნობა, თუ სიმდიდრე, რაა?  
 ივლიანე — ენა, კირკიტა! ენა მოუტია!

მეფე — პოო... ენა კარგი იარაღია, თუ ზმარება იცის!

კირკიტა — მაგ იარაღს პატრონას ჯავრი სჭირს! ენა ან თავს მოკვრის  
 ან თავზე გვირგვინს დაგადგამს, ერთი ვაია და მეორე ვუი!

მეფე — როგორ? ძნელია მეფობა?

კირკიტა — მწყემსობაა... ერთ გემრიელ ძილს ვერ ეღირსები! არაქა  
 მგელი არ დამეცეს, არიქა ერთმანეთი არ დარქინონ, არიქა ყინვამ არ  
 დამაჩუქოს, ტირი არ გაუჩნდეს, შიმშილით არ გაიწყვედოს და ათასი  
 უშველებელი.

ივლიანე — პო, რა ენა გაქვს!

კირკიტა — ბიჭო, ენა შექვს, — მაინც ვერ გაგერიებთ და უნო რომ  
 ვიყო, მაშინ რაღას მიზამდათ! (იციინან) რას შევბი, შიო, დამმარდა  
 ღეინო ზელადებში!  
 (ასბანენ).

მეფე — ძალიან მოლაპარაკე კაცი ყოფილხარ!

კირკიტა — ზოგი ლაპარაკით ქაშს მტრს, და ზოგი ლაპარაკისაგან არა  
 უშურით!

მეფე — (მათარას აიღებს) ეს მართლაც შესანიშნავი ღეინოა! (შეოს) ეს  
 შენ გაგიმარჯოს ასეთი კარგი ღეინისთვის, მოხუცი!

ყველანი — შიო იცოცხლე, შიო გაგიმარჯოს!

კირკიტა — რა გენალელება, ჩემო შიო, ამ კარგთ ღეინისათვის შენ  
 გაქვით და გადიდებთ, იმას კი აღარ ეკითხულობთ ვისი მოყვანილია,  
 ვისი გასზღულს, ვისი დაბარული, ვისი დაწურული და ვისი დაყენ-  
 ბული!

მეფე — პოო... ეს კი სწორი შენიშვნაა, პირველი სადღეგრძელო მომყვა-  
 ნის მარჯვენას ეკუთვნის! თუ უინდა შენი ნაშრომი დაფასდეს, უპირ-  
 ეველეს ყოველისა, სხვისი უნდა დააფასოს!

კირკიტა — კაი დაგემართოს, მაგრამ ასე რომ არ ზღება ამ ჩვენს უკუ-  
 ლმართ წუთისოფელში! ამას წინათ ჩვენებურ მესტიერესათვის საღბი-  
 ნო შაირები გამოვთქვი, მეფის ნადიმში მოხვედრილა, უმღერია, მო-  
 წონებია მეფეს და ბედაური უწყალობებია!

მეფე — მართლა? შენ?

კირკიტა — მე რა? მეფემ ჩემი არსებობაც არ იცის!

მეფე — თუ არ უთხრეს, საიდან ეცოდინება?

კირკიტა — მაგას არ ვამბობ მეტ?... ერთი საწყალი მოყმისა არ იყოს,  
 კაცმა კაცი, ომი მოიგო და ახლა მის ბატონს მეფე ქარდლობას და-  
 პირებია!

მეფე — ვის დაპირებია მეფე სარდლობას?

კირკიტა — ჩვენს ბატონს, ეპოპეის წერეთელს!

მეფე — რაში?

კირკიტა — ჩრესილის ომის მოგებაში!

მეფე — მერე? ვინ მოიგო ეს თბილი, როგორ თქვი წელან?

ივლიანე — ეხ, დაანებე კაცო თავი, რაღაცას შენი ბატონო <sup>ჩემი</sup> ბატონო <sup>მე</sup> შენი საქმეა? არ ვაგივას თორემ, მაგ ენას კბილსა და კბალსა და გიტანებობს და ყბაზე დვლერებს შემოგიჭერს!

კირკიტა — აბა, ენა შე კაცო, როგანი ხომ არ არი, მარტო ლუკმის სიტრიალებლათ იყოს პარში დავმუნჯადეთ? ხომ იცი, ივლიანე, კაცი ხელფეხის შეკერას უფრო ადვილად ურიგდება, ვიდრე ენისას; კინარა, რას მერჩის? ისეთს რას ვამბობ, რომ მთელმა ქვეყანამ არ იცოდეს? როგორ, შენ არ იცი თუ?

ივლიანე — არ ვიცი არ გამოვიცა!

კირკიტა — მთელი ჯარი ხედავდა, ყველამ გაიგო და შენ ახლა კითხვობ? წყალგალმა არ გამოსულა ჯერ ეგ ამბავი? როგორ მოხდა? საწერეთლოში სიხშირი რომ ნახო, სააბაშიცეოში გათუნებამდე იციან და, ღმერთმა კეთილად ავახდინოსო, გამოგძახიან!

ივლიანე — არა, ჩვენში კი, მართალია, ამბობდნენ რაღაცას, მაგრამ კარგათ არ შიგდია ყური, ეამთაბერსო ვილაცა ყავდა კარავშიო და ყველაფერს ის ეუბნებოდაო, ასე ჯობია შეტევაო, უხიზავდაო, რა ვიცი...

კირკიტა — გცოდნია, შე კაი კაცო, და რაღას მეკითხები?

ივლიანე — არა, ის არ ვიცი, ვინ არის, ის ახალგაზრდა, რომელმაც...

კირკიტა — მისივე მოურავის ვაჟია, მერაბი!

(მეფე და ავაბო ერთმანეთს გადახედავენ).

ივლიანე — ეხ, მისივე ყოფილა და რაღას ერჩი? ის მოურავიც მისია და ის მისი ვაჟიც და...

მეფე — მაშ ომი წერეთლის მოგებულო არ ყოფილა?

კირკიტა — ჩვენში, ბატონო, ერთი ლაზარე ცისკარაძეა, ხაჭაპურით გაითქვა სახელი, — ცისკარაძის ხაჭაპური ცნობილია ჩვენში. ლაზარემ მისა გამოცხობის რა იცის, ცოლი ფეხობს შიო, მაგრამ შიას ხაჭაპური რომ ახსენო, კაცი ვერ მიხვდება! ასეა ეგეც! შე რომ მკითხო, მერაბის მოგებულოა, მაგრამ შე ვინ მკითხავს?

მეფე — შეფემ იცის ეგ ამბავიო?

კირკიტა — მაგასთანა კარგი მეომრის გაზრდისათვის სარდლობა უნდა მოგცეო, და თუ არ იცის, აბა რანაირათ ეტყოდა მეფე ეამთაბერს?

მეფე — მაშ ომი მერაბს მოუგია!

კირკიტა — არ დავეძებ ბატონო, მოვიგეთ ეს ოხერი ომი, ხომ არ წაგვიგია რას დამახრჩეთ წყურვილით, დამალევინეთ ერთი ყლაპი ღვინო! (ხელადას მასწვდება) ეს იმ მერაბს გაუმარჯოს! (მოიყუდებს. მეფე და ავაბო წამოდგებიან და ვანზე გავლენ).

ივლიანე — (შიოს) ხედავ შიო, პაგ ახლა ჩემს იმედათ სევამს, ასე გონია, მე მივიყვან სახლში! ხომა რომ არაფერში აქვს მაგ ვლახაცს! რას იფიქრებს ეს უცხო ხალხი? მაგათ, კაცო, ისადილეს და ადგენ, ხომ ხედავ, წასვლა უნდათ! უთხარი, გეყოფა, ადგილი, სირცხვილია-თქვა!

შიო — (კირკიტას) — გეყოფა, გეყოფა! მეტი აღარ გინდა, თორემ ურემზე დასადები გახდები და აქედან შენი წამლები კაცი არ იქნება!

კირკიტა — (იციანის. სიმთვრალისაგან ძლივს ლაპარაკობს მაგრამ მაინც ყოჩაღობს) ხე... ხე... ხე... შიო! შიო! გენაცვალე შე შენ, ჩემზე რომ ასე ზრუნავ და მპატრონობ, მაგრამ შენი წისქვილის სარეგლა ხომ





არ გვინიერ, ჭირისუფლობას რომ მიწეუ? აა? ხე... ხე... ხე... მე რაააა დაველე, იმას კიდევ შევირგებმ..

(იქვე ზელადაზე დაფრდნობილს ჩამოეძინება).

შ ი ო — (ხელს ჩაიქნევს) ავლიანე, ყური უგდე თუ კაცი ხარ, ცოდვა არი ეს ოხერი! (მეტეს და აგაბოს მიმართავს) აბა მე წავალ წისქვილში, ბიჭებს მივხედავ, თორემ...

ა გ ა ბ ო — ჰო! აი ჩემო შიო, ეს შენი (ხელში ფულბიან ქისას ჩაუდებს).

შ ი ო — აჰ! როგორ გეკადრებათ? არა, ბატონო!

ა გ ა ბ ო — გამომართვი, არ მაწყენინო კარგი!

შ ი ო — იცოცხლე, შენი ჭირიშე! (ივლიანე ამ სურათს თვალს არ ამორებს) ივლიანე, თუ კაცი ხარ, ეგ ზელადა არ დამიკარგო აქ! (გადის. ივლიანე კირკიტას მივარდება და აღვიძებს).

ა ვ ლ ი ა ნ ე — კირკიტა, კაცო! ვინ არიან ეგენი? შეხედე, შიოს რამდენი აჩუქეს? ვინ არიან ეგენი?

კ ი რ კ ი ტ ა — აა?.. ეგენი? ჰოო... ერთი ბაბუაჩემის გერია, მესამე ცოლს მოყოლილი და მეორე...

ი ვ ლ ი ა ნ ე — ეებს!.. ელაპარაკე ახლა ამას!

კ ა რ კ ი ტ ა — აბა რა უიცი შე! სულ ერთი არ არი? მასპინძლები არიან! ეს თქვენი სადღეგრძელო იყო მასპინძლებო! (მეფე და აგაბო მოიხედავენ) — მოდიოთ კაცო, სად ჯანაბაში წახვედით? ხომ ვითხარით, ცხოვრება უკულმართიათქვე! აბა სად გინახავთ, სტუმრები მასპინძლებს ეპატიებოდენ სუფრაზე? (ისევ ძილი სძლეეს) მოდიოთ, თორემ თუ რამე დარჩა, აგერ ივლიანე გამოუყვანს წირვას! (ჩაეძინება. მეფე და აგაბო განაგრძობენ საუბარს, ივლიანე არ იცის რა ჭას, ცდილობს კირკიტა გააღვიძოს, მაგრამ არაფერი გამოუდის).

ა გ ა ბ ო — აა? არა ბატონო?

მ ე ფ ე — ძალიან, ძალიან კმაყოფილი ვარ ყველა ის ნაკლოვანებანი, რომელიც ხალხში განვლით ენაზე და შევიტყე, ლეთას შეწყენით, ვფიქრობ დაეძლიო და აღმოვფხვრა! მაგრამ ის, რაც ესლა აქ აღმოვაჩინეთ, აი ის მერაბი, ყველაზე დიდ მონაბოვრად მიმანია! თუ სამეფოს ერთი სარდალი შეემატე, ერთერთ საქვეყნო სატკივარს მოხდილად მივიჩნევი!

ი ვ ლ ი ა ნ ე — (აღვიძებს კირკიტას) — კაცო, ეს ხალხი როგორ გაგვიდგა ჯანზე! (მათ) რას გვემდურათ, კაცო? ხომ არაფერი მაწყენინეთ?

მ ე ფ ე — არა, როგორ გეკადრებთ! უკაცრავად, უკაცრავად! მიგატოვეთ!

ა გ ა ბ ო — აგერ რაღაც ლაპარაკს შეგყევით და ხომ იცით!

მ ე ფ ე — ერთი ეს მიძხარი, თუ კაცი ხარ, ჩვენ ახლა წერეთლის მიწაზე ვართ არა?

ი ვ ლ ი ა ნ ე — კი! (ბეჭუზე დაჰკრავს ხელს) შენ რომ ახლა აბაშიძის გამოცეული ყმა იყო, სამშვიდობოს უკვე გამოსული იქნები!

მ ე ფ ე — როგორ?

ი ვ ლ ი ა ნ ე — ეთქვათ მოგდევნი! აგერ ეს წყალია საზღვარი, თუ გაასწარი გალმა, — მორჩა, კაცი უბატონოთ ხმას ველარ გაგცემს! ასეა იქიდანაც.

მ ე ფ ე — კი მაგრამ, რათ გაუბრიან ყმებზე ბატონებს?

ა ვ ლ ი ა ნ ე — ეგ საკითხავია? ბატონს არ გაუმწარებია?

მეფე — (გაიჭინებს და აგაბოს გადახედვას) როგორ არა, ჩემო კარო, მე რომ ბატონებისაგან სიმწარე მინახავს, იმდენს შენ საფეხებზე იმეორებ...  
 იელიანი — ჰოო... აგაშენოს ღმერთმა! მამ რაღას მეკითხები? ბატონი კი არა, რომ გაგამწარებს, ცოლს გაეძევეო, შეაღს, დედშამას!..

(მოიხმის რუსუდანის ნაწვეტ-ნაწვეტი ხმა).  
 რუსუდანი ხემა — დაიქანცე მერაბ!.. აღარ შემიძლია! მერაბ!.. მუხლი მეკვეთება! (შემორბიან რუსუდანი და მერაბი) გვიშველეთ! მღვრები, მოგვდევენ! დავიღალე! აღარ შემიძლია!

აგაბო — მერაბ!

მერაბი — აგაბო!

რუსუდანი — მეფეო!

მერაბი — მეფეო!

(აგაბოს მყისვე ტუჩთან ხელი მიიქვს და ანიშნებს გაჩუმდითო, მათაც სიტყვა პირშივე შეაშრებათ, მაგრამ ივლიან მინც გაიგონებს, გაცუბულია, ყველანი ერთ წუთს გაუძმრევლად არიან, ივლიან ყველას სახეზე ცდილობს ამოიკითხოს რამე, ბოლოს აგაბო არღვევს სიტყვას).

აგაბო — უნ მოგვდეეთ? საით მიდინხართ?

რუსუდანი — აბაშიძესთან! მამას გამოვექცეით!

მეფე — რატომ!

რუსუდანი — მე და მერაბმა ერთათ ცხოვრება გადავწყვეტეთ!..

მეფე — მერე?..

რუსუდანი — როცა მამას გაუმეღავენთ, განრისხდა! დიღეშში ჩავდებამ დაგვიბირა!

მეფე — მერე?

რუსუდანი — რაღა უნდა გვექნა? გამოვიქცეით!

მეფე — (მერაბს გადახედვას და მას ეკითხება) — მერე?

მერაბი — ეს დაიღალა თორემ... მდინარემღი რომ როგორმე მიგვეღწეა...

რუსუდანი — სულ ერთია მე მინც ვერ გავცურავდი! (ცრემლი მოადგება, ხელს აიფარებს) სულ ჩემი ბრალია, ჩემია!..

მეფე — დაწყნარდი!

რუსუდანი — მერაბ, შენ კიდევ მოასწრებ გასვლას მდინარეში გასწი, ბავს უშველე!

მერაბ — არა, რუსუდანი! მე მაგას არ ჩავიდენ!

რუსუდანი — ჩემთვის! ჩემი თხოვნისათვის!

მეფე — არა რუსუდანი! ეგ ვერსად ვერ წავა!

აგაბო — მღუფრებმა იციან საით ზართ?

მერაბი — როდესაც ტყის პირს გამოვეყვით, ისინი უკვე სერზე გაღმოდგენ, დაგვიანახეს, ამას რომ არ შეშინებოდა, არ ვუთხარი, იქნებ როგორმე მდინარემღე მიგვეღწეა, მაგრამ...!

რუსუდანი — როგორ? დაგვიანახეს? იციან სადაც ვართ? ვაიმე, მე არ შემიძლია მამასთან შეხვედრას არ შემიძლია! რაღა ვქნათ? მერაბ! ავერ, გამოქვამული!

(აიჭყვია).

მერაბი — რუსუდანი! დაიცა რუსუდანი მანდ გზა არ არის! არც სამალავია! დაიცა!

(დადგნებით ვადის).

მეფე — მაშ ეს ყმაწვილია ზრესილის ომის მომგები? რა საოცარია, აგა-  
ბო, სიყვარული? ხედავ, ისეთი საოცარი... სად წაფილენ? *მარტონის*  
აგაბო — აგერ! კლდის ყურში *გინჯის*

მეფე — ჰო, აგერ!.. შეხედე, შეხედე! რა არი ახალგაზრდობა! მახეში გაბ-  
მული ჩაბრუნებით არ ფართხალობენ? აღარ იციან რა ქნან. საწყლები!  
აგაბო — რაო? რას ბრძანებდით?

მეფე — საოცარია შეთქი, ისეთი საომარი ზერხების მომგონს, ქალის მო-  
ტაცება ვერ მოუხერხებია!

აგაბო — ასეა, ბატონო! ზოგჯერ ვინებამ გულის საქმეში დაბნევა იცის!  
მეფე — ჰო, კი სწორია! სამაგიეროთ გულშიც იცის ვინების საქმეში  
ხელის შეშლა! აგაბო, შეხედე! ჰტირის?

აგაბო — სტირის, ბატონო! მავათ ახლა ასე გონიდა, ქვეყანა დაუქ-  
ციეთო!

მეფე — აბა, საცოდავები! ცეცხლი უკიდობთ! წამო, წამო, დავაწყნაროთ.  
(გაღიან).

ივლიანე — (კირკიტას აღვიძებს) კირკიტა! კირკიტა!  
კირკიტა — აა?

ივლიანე — ადუ, კაცო, რა დროს ძილია? რა დროს ძილია? რა იმბებო  
ხდება, ადუქი, გადაცმულია! გადაცმული! ნეტა რას მოაწყაფებს?

კირკიტა — აგერ იყო და სად გაქრა ასე უცბათ...  
ივლიანე — ეინ?

კირკიტა — ხელადა!  
ივლიანე — რა დროს ხელადაა კაცო? ჰო, შიომ ხელადა არ დამიჯარ-  
გოო... (მოსინჯავს ხელადას) ბიჭოს, ღვინიაია!

კირკიტა — (თვალ დახუჭულია) მოიტა! პირი მაქვს გამომშრალი, გა-  
მომადფიზლებს!

ივლიანე — (აწოდებს ხელადას) კირკიტა, მე ახლა გაეჭიკევი და ბარძიმს  
შეეატყობინებ, ბარძიმს! გაივე?

კირკიტა — ბარძიმი?.. რა დროს ბარძიმი? ბარძიმიც ხელში მიჭირავს  
და ფეშხუმიც!  
(მოიფუძებს ხელადას).

ივლიანე — ვერ მიხვდი, რას გეუბნები? გააღვიძე კაცო, რა დროს ძი-  
ლია? მეფეა, ნამდვილი მეფე!

კირკიტა — (მისაგან შეისვენებს) მართლაც რო მეფეა, ნამდვილი მე-  
ფე! (ხელადას შეატრიალებს და ძროზე ხელს შემოჰკრავს) ჩვენ ამისი-  
მოყმენი ვართ მეფე ნუნუას ქვეშევრდომები!

ივლიანე — ეებს!.. სულ წახვედო ხელიდან, სულ...  
(გაბრაზებული ხელს ჩაიჭნებს და ვაღის).

კირკიტა — ასეა... მოგრამძალად კი არა, ჩვენის ნებითვე! თუ ამ კურთ-  
ხელის სამფლობელოში არა ვართ, ისე ვერსად ვერ ვძლებთ! რასაც  
ვიშოვით, ამისათვის გვინდა, მუდამ თავის ჭკუაზე დაფუჯვართ! რასაც  
შოისურვებს, იმას გვათქმევინებს! გვამღერებს, გვატყუებს, გვაცინებს,  
გვატბრებს, სადაც ნებავს იქ დაგვაძინებს და როცა ნებავს საიქიოსე-  
ნად მაშინ გავგისტუმრებს! მეფეა, აბა რა ჯანაბა არი? აა? რას გა-  
ჩუშვებულხართ? ტყუილია თუ? ივლიანე!.. (თვალს გაახელს) ბეი! სადა  
ხართ? ბიჭოს! როგორ მიმატოვეს, დამათერეს და მიმატოვეს, ჰმ!.. მეც

- რალა შეშველებას თქვენ იციხხეთ, აღრე რომ მიხვალთ შინ, თორემ ნა-  
რა მიჭირს? მე რომ სახლში მივალ, ცოლი შუა ძიღში იქნება ვიღაც  
რომ გაიგოს ჩემი მისვლა, ჩხუბისათვის ძიღს მაინც არ გაიფრთხილებს!  
(სიღვრიით ვადის: (შემობრბის რუსულანი, შემოსდევნ მეფე, მერაბი და აგაბო).
- რუსულანი — არ შემიძლია, მეფეო, მამასთან შეხვედრას არ შემიძლია..
- მეფე — დაწყნარდი, დაწყნარდი ქალო!.. მამაშენს მე მოველაპარაკები  
(უცერად შემოცვივდებიან მღვვრები, მათ შორის ყველაზე წინ მამუკა).
- მამუკა — არ გაინძრეთ! ხელები, ხელები მადლა!  
(ორთაყენი ხელეხს ასწევნ. მღვვრები გარს ეტრყვიან. მამუკა მერაბის პირისპირ  
მოხედება).
- მერაბი — მამა! შენც დამედევნე? შენც დამიჭირე?
- მამუკა — (ცალი ხელით თოფს უმიზნებს, მეორეთი ცრემლს იწმენდა)  
რა ექნა შეილო, ბატონია... მოვალე ვარ...  
(შემობრბის ეამთაბერი).
- ეამთაბერი — მამუკა ხელები, ხელები გაუთოკე შენს ვაჟიშვილს! თუ-  
ცა ხელი კი არა, მაგისი გულია მთავარი!
- მამუკა — გულის გათოკვა არ შეიძლება, ბატონო!
- მეფე — გულის მონადირება იციან, ეამთაბერი!  
(გაოცებული ეამთაბერი მყისვე მუხლებზე დაცემა მეფის წინაშე).
- ეამთაბერი — მეფეო! საიდან? შემიჩნე, ვერ გიცანი! (მღვვრებიც  
მყისვე იჩოქებენ და ერთად აღმოხდებიან) — მეფეო! მეფეო!  
(სიჩუმე. მოსმის მხოლოდ რუსულანის ჭეითინი).
- მეფე — აღქით! (მყისვე ყველანი უკუდგებიან და გაქვავდებიან) აგაბო!  
დავსვათ სადმე ეს ქალო! ცოლო! (მეფე და აგაბო ხელს მოჰკიდებენ  
და მოხერხებულ ადგილას დასვავენ რუსულანს) ნუ სტირი, რუსულანი!  
მე ვთხოვ! ეამთაბერი! ჩაიბარე შენი ასული მის საქციელში შენ გადა-  
ნაშაულებს ჩვენ, მშობლებს, მოვალენი ვართ ვეცადოთ და ვაგზდეთ  
შეილთა ჩვენთა გულის შესაიდუმლენი! გული ბუღეში უნდა უჯდეს  
კაცს და არა გალიაში! ეს კი მშობლის ვალია! ეს ერთი, ეხლა მეორე  
დანაშაული! რატომ სიმართლე არ მითხარი, რათ არ გამიმხილე რომ  
ხრესილის ომის მომგები შენ არ იყავი?
- ეამთაბერი — მამ ვინ, მეფეო?  
(მეფე მერაბზე მიუთითებს).
- მეფე — ვინც ბრძოლის გეგმა შევიდგინა ვინც გიკარნახა ბრძოლის ყველა  
ხერხები და გასწავლა გზები ამ ხერხთა განსაზოორციელებლად!
- ეამთაბერი — მერე? ეგ თითონ ვისია, მეფეო? ეგვე ჩემი არ არის?
- მეფე — არა, ეს შენ არ გეკუთვნის!
- ეამთაბერი — რას ბრძანებ, მეფეო? ჩემი მამაპაპისაგან დანატოვარი გვა-  
რეული, ჩემი მოურავის შეილა, ჩემი აზნაური, ჩემი მეომარი, ჩემი  
გაზრდილი... არ მესმის, მეფეო! ყურს ვერ ვუჯერებ!
- მეფე — კაცი, რომლის ალლოჰ, ნაქმა და უნარმა, ჩვენს ერთ მუკა ჯარს,  
მტრის იმოდენა ლაშქარი დაამარცხებინა, კაცი, რომლის ხმალი და საზ-  
რისი მხსნელად ევლინება ქვეყანას, არ შეიძლება ერთ ვინმეს ეკუთ-  
ვნოდეს აგა! არა, ეამთაბერი! მერაბი ხალხმა წარმოშვა და მასვე ეკუთ-  
ვნის! ხალხის წიადში მერაბები მუდამ არიან, ერთი მათგანი ნაპოვინია,  
მიგნებულია, ზოლო სხვათა მიგნებას, სახვალოდ გვაველებს ხალხი,  
რომელსაც მე და შენ ვეშაბურებთ!

ეპითაბერი — მეფეო, შენ ხალხის სამსახურისათვის აღეზარდე იგი უფ-  
ლება არა გაქვს წამართვა!

მეფე — უფლება არა მაქვს ხალხს წავართვა იგი და შენ <sup>ეპითაბერი</sup> ~~დაელოცის~~  
ლება არა მაქვს ასეთი კანდელი დაუნმო ქვეყანას!

ეპითაბერი — მერე? ღინ ამბობს? სჩანს არ ჩამისშვაა, რაკი ომი  
მოიგო!

მეფე — ეპითაბერი! მერაბი ის ზმალია, რომელიც ხალხმა თავისთვის გა-  
მოსკედა!

ეპითაბერი — ჰო და ეგ ზმალი სარდალს უნდა ეციროს ხელში და  
ხალხს მათუძოდეს!

მეფე — სარდალი ის არის, ვისაც ომის მოგება შეუძლია!

ეპითაბერი — ჩემი აზნაური, ჩემზე უკეთეს სარდლობას ვერ გაგი-  
წევს!

მეფე — მან უკვე შესძლო იგი ბრესილში წავიდეთ!  
(მეფე ხელს ჩაჰკიდებს მერაბს და საჩქაროდ გაჰყავს გასდევს ავაზოც. ეპითაბერი  
იქვე უხმოდ დანეშება ჩამოსაჯდომზე და ხელისში თავს ჩამალავს. შამუკა შორი-  
ახლოს დგას. სიჩუმეა).

ეპითაბერი — შამუკა!

შამუკა — ბატონო!  
(ეპითაბერი აღარას იტყვის. სიჩუმეა).

ეპითაბერი — შამუკა!

შამუკა — ბრძანე, ბატონო! (ეპითაბერი ახლაც გაჩუმდება შამუკა-  
მსლებლებს უახლოვდება და ზმადაბლა უბრძანებს) — აგერ იქ დამი-  
ცადეთ!  
(მსლებლები მყისვე გადიან. შამუკა ეპითაბერს უახლოვდება).

ეპითაბერი — შენ ჩემზე უხნესი ხარ, შამუკა!

შამუკა — ბევრათ, ბატონო!

ეპითაბერი — მამაჩემის სიკვდილის შემდეგ, დღევანდელ დღემდე,  
ჩემმა ცხოვრებამ შენ თვალწინ გაიარა. სთქვი, შამუკა, გაიხსენე და  
მითხარი, აშკარად, დაუფარავად მამხალე, რა შევეცოდე ისეთი ღმერთს,  
რომ ამ დღეში ჩამგადო? რა დაუშავე ჩემს ერთადერთ პირშშოს, ჩემს  
ასულს, რომლის ვარდა ქვეყანაზე არა გამაჩნია რა, რომ ამ დღეში ჩა-  
მაგდო? რა დაუშავე მეფეს? ბარძიშს? საწერეთლოს? ქვეყანას? გამე-  
ცი, შამუკა, პასუხი!

რუსუდანი — (წაილაპარაკებს) შენ რაღა დავაშავე?

ეპითაბერი — (აენთება) — რაო? რაო? მამ აქ რა გინდა? სად მორბო-  
და? რისთვის?

რუსუდანი — თავისუფალ ცხოვრებისათვის!

ეპითაბერი — მერე? სად მიდიხარ?

რუსუდანი — აბაშიძესთან ყმათ!

ეპითაბერი — აბაშიძის ყმობას ეძახა თავისუფლებას?

რუსუდანი — ასე ყოფილა, მამაჩემო, თუ გინდა ერთისაგან განთავი-  
სუფლდე, მეორეს უნდა ეყმო!

ეპითაბერი — ჩემი შვილი, რომელ ყმობაზე ლაპარაკობ?

რუსუდანი — შენი ნება-სურვილის ყმობაზე მამა!

- ქამთაბერი — ჩემი ნება-სურვილი შენ დიდებისავენ ვიკაფავდი, ვასა გვირგვინისავენ! გვირგვინი ძალაა.. გვირგვინი უფლებებისა, თავისუფლება!
- რუსულდანი — თავისუფლება მე უგვირგვინოთ მერჩია მერაბთან, შენთვის კი შეიძლება ჩემი დედოფლობა სჯობდა, მამაჩემო!
- ქამთაბერი — ჩემთვის კი არა, ქვეყნისთვის! ქვეყნისთვის იყო უმჯობესი, მაგრამ შენ ზომ ამისა არა გაგეგება რა! შენ იმდენი ჰქუა ვერ გამოიჩინე, რომ პირად ბედნიერებისათვის გაგელო კარი, ხვალინდელმა დედოფალმა ვიდაც-ვიგინდარასთან ერთად, მამაშენის მტრის, აბაშიძის ყმობა არჩიე!
- რუსულდანი — ის ვიგინდარა გუშინ შენი მარჯვენა ხელა იყო მამა, და დღეს კი მას ქვეყნის..
- ქამთაბერი — (გაცეცხლდება, ხმაღს იძრობს და მიიწევს) ხმა! კრინტი.. (მყისვე მამუკა გადაელობება) ჩამომეცალე, თორემ გაგჩეხავ!
- მამუკა — გაჩეხე, ბატონო! ვერ დაგანებებ! რუსულდანი ჩემი გაზრდილია!
- ქამთაბერი — (ხმაღს დაუშვებს და შემობრუნდება) — ვერ გაგზრდია სავარგისათ! ვერც შენ და ვერც მე! ან სულ რათ მომეც, დმერთო დამბადებლო, ჩემდა ჭირად და მტერთა საზარად?
- მამუკა — რათ ნანობ, ბატონო? რუსულდანი მტრის ვასახარს არას ჩიოდენს, ახლა რა უყოთ, თუ ეს ერთი რაღაც შეემთხვა! ჩემი რუსულდანი საზრიანია, გონიერი, იცის, არა რუსულდანი? აბა შემომხედე! რა გტირებს? ნუ, შეილო, ნუ! ცრემლი მალე ჩემს დასატირებლად დაგვირდება, მე შემიხახე, ნუ დამიხარჯავ! გეყოფა-მეთქი, ქალო, თორემ მიგატოვებთ აგერ შენც და მამაშენსაც და წყალში გადავარდება, რაც გინდათ ის ქენით!
- ქამთაბერი — მაგან ჩვენ ყველანი გადაგვყარა წყალში! თჯახს თავი მოსჭრა, სახელი შეიძცხვინა! მამის იმედები მიწასთან გაასწორა..
- მამუკა — არა, არა, როგორ გტადრებათ? რუსულდანი ყველაფერს დაუჯერებს მამას! მამამ უკეთ არ იცის, როგორც სჯობია? ვინც სჯობია? თუ კი დედოფალი დახდება, მაგახე უკეთესი რაღა უნდა ვინატრო შენთვის? ჩემი გაზრდილისათვის?
- რუსულდანი — არასოდეს!
- ქამთაბერი — (ბენთება) გესმის მამუკა, გესმის?
- მამუკა — რათა, შეილო? თუ კი ასე სჯობს?.. თუ კი ასე უკეთესი იქნება?
- რუსულდანი — ვისთვის?
- ქამთაბერი — (გაცეცხლებული წამოიჭრება) — რეგვენო! შენთვის, ქვეყნისათვის!..
- მამუკა — დაწყნარდი ბატონო! შენი ჭირამე!.. (დაეშაშ ეამთაბერს).
- რუსულდანი — ქვეყნისთვის მეფემ მერაბი წააყვანა! მე კი მონასტერში წავალ! ასე თჯობებს ახლა ყველასათვის!
- მამუკა — მონასტერში კი არა... რას ამბობ რუსულდანი? მონასტერში რა გინდა? არა, შეილო! ახლა შინ წავიდეთ, დამშვიდდები, დაწყნარდები და ყველაფერი გაგივლის.



- რუსულდანი — არა, ჩემო მამუკა, რაკი ოჯახისათვის თავი მემიქრია, შე შინ აღარ დავბრუნდები!
- ქამთაბერ — მამ სად მოუსვლელში მიდიხარ?
- რუსულდანი — მონასტერში!
- ქამთაბერ — ჰოო?
- რუსულდანი — ნამდვილად!
- ქამთაბერ — მამ არ ინანო! (მივა გასასვლელთან და გასძახებს) — ბეი, რომელა ხართ? მოდიეთ აქ! (შემოვლენ მსლებლები) შესვით ცხენზე და მღვიმევის მონასტერში წაიყვანეთ!
- მამუკა — ბატონო, ნუ ინებებ, შენი კირი შემეყაროს! ნუ მეთქი, თორემ...
- რუსულდანი — არა მამუკა ჩემი სიტყვა მტკიცეა!
- ქამთაბერ — გაპყევი მამუკა ჩააბარე მონასტერს!
- მამუკა — ბატონო, მერე გვიანლა იქნება!..
- ქამთაბერ — გიბრძანებ! მორჩა! წაიყვანე!
- (გაღიან).
- (ერთხანს ვაპყურებს ქამთაბერი მიმავალი. შემდეგ, თვალში ცრემლს მოიწმენდა კბილებზე ჩამოჯდება. შემოდის ივლიანე, ფოთილოზა, უკან ბარძიმი მოჰყვება).
- ივლიანე — აი აქ გახლდათ, ბატონო, აქ!
- ბარძიმი — მერე? სად არის? (მიიხედ-მოიხედავს, ქამთაბერს დაინახავს).
- ქამთაბერ — ბარძიმი!
- ბარძიმი — უცნაურია, ვფიცავ ზენაარს! აქ საიღან? როგორ? შემატყობინეს, გადაცმული მეფე დადისო, გაეოცდი მართალია?
- ქამთაბერ — მართალია, ბარძიმი, მართალი!
- ბარძიმი — (ივლიანეს მოუბრუნდება) შენ ჩადი, ქვევით დამიცადე! (ივლიანე გადის) რას შივამწერო მეფის ასეთი საქციელი? ან თვით სად არის?
- ქამთაბერ — ბარძიმი! დრო არის ვიყოთ გულახდილნი, მართალია, მე და შენ ერთიმ მტრები ვართ ერთმანეთის, მაგრამ მოყვრები და კირისულელები ჩვენი მატარა ქვეყნისა, და თუ ქვეყნის კირს დღესვე არ მივხეზუთ, ზვალ გვიანლა იქნება თითზე კბენანი!
- ბარძიმი — რა ამბავია, ქამთაბერ, ჩვენს თავს?
- ქამთაბერ — კაცო, ერთი მეომარი გავზარდე, ჩემი მოურავის ვაჟი!
- ბარძიმი — ჰო! მითხრეს, გადმომცეს, ვიცი! მერე?
- ქამთაბერ — სარდლობის ღირსი ეგ ყოფილაო, წააგლო ხელი და წაიყვანა, წამართვა!
- ბარძიმი — სარდლობისო? მდაბიო? დაიცა ეგ რა უქნია მეფეს?
- ქამთაბერ — ვთქვით, მდაბიო მართლაც ღირსი იყოს, მაინც არ უნდა გამიტოლოს, თუ მე პატივს მცემს!
- ბარძიმი — რაღა გავლენა უნდა გვექნეს, ქამთაბერ, ხალხში?
- ქამთაბერ — დღეს თუ მე მიყო ეს, ზვალ შენ უარეს უნდა მოელოდე!
- ბარძიმი — ჰო, საკმარისია რომელიმე შინაყვამ რისიმე ნიჭი გამოიჩინოს და მეფე მყისვე გაგვიბატონებს!
- ქამთაბერი — სჩანს ჩვენ არაფრად მივაჩნევათ აღარ ეჭირლებით!



- ბ ა რ ძ ი მ ი — თუ წერეთელი და აბაშიძე აღარ უნდა, აღარ სდომია ორი წილი თავის სამეფოსი იქნებ გურიელის ძმედი აქვს, სანაშაყმა უნდა თავის! გაგიჟებულა მეფე ჩვენის გაგიჟებულა
- ე ა მ თ ა ბ ე რ ი — ვთქვათ გაბატონდნენ მდაბიონი, მერე რა გამოვა აქედან? წინანი უკან და უკანანი წინ? უკულმა შევატრიალოთ წუთისოფლის წესი და ადათი? შეილთა ჩვენთა ფეხები ჰბანონ მდაბიოთა? მერე ამით ქვეყანას რა შეემატება? რაში წადგება? არ შესმის, ბარძიმი, არა ვითომ ამით რას ცდილობს მეფე? უაზრობაა მისი საქციელი
- ბ ა რ ძ ი მ ი — არა ეამთაბერ, მის საქციელში მე აზრსაც ვხედავ და საქმესაც, ის ნიჭს დაეძებს საქვეყნო საქმისათვის, მაგრამ არ გამოვა მავ გზით, არა ვთქვათ შენი მოყმე შეიძინა, შენ ზომ დაგკარგა
- ე ა მ თ ა ბ ე რ — ჩემი დაკარგვა საწერეთლოს დაკარგვას ნიშნავს მამასადავ უაზრობაა ღუპავს ქვეყანას
- ბ ა რ ძ ი მ ი — დაიცა, ეამთაბერი მე გერ ცოცხალი ვარ გული არ გაიტეზო! ცეცხლითა და მახვილით მოსულ ისლამს არ შეუშინებებივარ და ჩემი მეფის უწყობას ვერ მოგვერევი?
- ე ა მ თ ა ბ ე რ ი — აქ ზმალი არ არის საჭირო, ბარძიმი
- ბ ა რ ძ ი მ ი — არა, რა თქმა უნდა! ვიცი, რაც უფრო საჭიროა! ეგ სენი ისეთი სახადია, რომელსაც გერ ტყბილი ჩონგური უნდა და შემდეგ კარგად დოსტაქარი ბონღზე ზომ გაგივლია, ჩელტის ხიდზე! ფეხს შედგამ თუ არა, გადარწევს, მიჰყევი რწევას, მინებდი, ნაბიჯი კი სწორად გადადგი, წყალს არ უნდა დააკვირდე, თორემ თვალს ავირევს, სულ გაღმა უნდა უყურო, გაღმა, შორს!
- ე ა მ თ ა ბ ე რ — მიგიხვდი, ბარძიმი!
- ბ ა რ ძ ი მ ი — იმედი მაქვს, მიმიხვდები ჩემგან აბა რა გესწავლება, შენც კარგად იცი, სიტყვაში არც თაფლი უნდა იჭარბო, არც შხამი ორივე გულს ამედავნებს და ჰკუას ზელს უშლის!
- ე ა მ თ ა ბ ე რ ი — ვიცი, ბარძიმი მომეცი ზელი უკეთესი შერმისისათვის!
- ბ ა რ ძ ი მ ი — ჰა ჩემი ზელი, ეამთაბერო!

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## ღიახვის პიკას<sup>1</sup>

კარი მყოთსყ

### I

თეთრად, ბამბა-ღანათოვივით აყვავდნენ ქართლის ვაშლის ბაღები. ვარდისფერ კაბებში გამოეწყვენენ ატმები და გარგარები. მინდვრად აბიბინდა მწვანე ხავერდი. თბილმა ნივთმა გამოაღვიძა ნაზამთრი ტყეები და ბუჩქნარები, შეარხია კვირტი, გაშალა და გამოიყვანა ფოთოლი. დიდი ხანია სოფელმა თესლი და ნერგი გაიტანა. გლეხობა მოსდებოდა სამუშაოს, ყანებსა და ბაღებს.

ქართლის ბაღ-მინდვრები ველარა სცნობდნენ თავიანთ მოამაგეებს. ისინი მიდიოდნენ სამუშაოდ, მაგრამ სამუშაო იარაღთან ერთად თან მიჰქონდათ თოფი და ხანჯალი, ძველი შუბი და ხმალი.

საბრძოლო იარაღს ბუჩქებსა და ტყეში შალავდნენ. როგორც ლეკიანობის დროს, გზაჯვარედინებზე, ბილიკებსა და სათვალთვალო მადლობებზე გზირებსა და მწვერაეებს აყენებდნენ, მერე ხელმარჯვედ, თავგამეტებით მუშაობდნენ დაბინდებამდე: ხნავდნენ, სთესავდნენ, ჟარცხავდნენ, ბარავდნენ, მარგლიდნენ.

ხანდახან მინდორში ჩხუბი ატყდებოდა. მაშინ გლეხები მხარზე ბარგადებულნი ვარბოდნენ იქითკენ, საიდანაც მოისმოდა ხმაური. ყოველმა კაცმა იცოდა, რომ აყალ-მაყალი მიწის მფლობელსა და გლეხს შორის ხდებოდა. მიწის მფლობელები, მიუხეტიბოდნენ ნაკვეთში შესულ გლეხს, ცდილობდნენ განდევენას. გლეხი კი არ ნებდებოდა, მიწის მუშაობას განაგრძობდა თავის საკუთრებად. მისაშველებლად გაქცეულეებ მომხდურს ყოველი მხრიდან სცემდნენ ყიეინას და კუდით ქეას ასროლინებდნენ.

საგაზაფხულო სამუშაო ჯერ რიგიანად დაწყებულიც არ იყო, როცა მიწათმფლობელები საბოლოოდ დაჩქმუნდნენ, რომ აქ შინაურად აღარც ძალა და აღარც ხერხი არა სჭრიდა. ამიტომაც სამაზრო ქალაქ გორს მიაშურეს. დასწერეს საჩივრები და მარშლისა და მომრიგებელი მოსამართლის ხელით მაზრის უფროსს მიართვეს: გეწყებენ, გვრეკავენ სოფლებიდან, დაგვიფარეთ, გადაგვარჩინეთ.

მაზრის უფროსმაც უმაღვე სოფლებში დაპგზავნა პოლიციის გაძღაერებული რაზმები. საგანგებო, საიდუმლო ბრძანებით დაავალა ბოქაულებს, გაბედულად ემოქმედნათ, აღედგინათ მიწის პატრონთა უფლებები.

<sup>1</sup>) იხ. „წათობი“ № 1 — 2.

დააპტიმრეს, გაასამართლეს, გააციმბირეს უთნელოების გამლახელები. მაგრამ გლეხები მაინც არ აპირებდნენ უკან დახევას, დამორჩილებას. მოლიციელების გამოჩენამ სოფლად და ყანებში ისინი უფრო განახლდა და გააღიზიანა.

მიწის პატრონებიანად ისინი უკანვე იფრინეს და განაგრძეს მუშაობა. ყველაზე უფრო ერთმა შემთხვევამ ჩააფიქრა მაზრის უფროსი. გლეხებმა თიღეში ურიადნიკი და რვა სტრაცნიკი შეიპყრეს. სცემეს, თოფები წაართვეს, საკეტები გამოუყარეს და არსენასავით მიწით დაუტენეს ლულები. მერე პური აჭამეს, დაათვრეს, ცხენებზე უკლდმა შესვეს, ქვემოდან ფეხები გაუტრეს, უკან გაისტუმრეს და უთხრეს: სადაც თქვენი დაიკვეხოთ, იქ ჩვენიცა სთქვითო.

— ამის მოთმენა უკვე შეუძლებელია! — დაასვენა მაზრის უფროსმა.

დასწერა მოხსენება. მიიწვია მაზრის მარშალი, მოპრიგებელი მოსამართლე და გადაუკითხა. მერმე თავად ელიზბარს ესტუმრნენ, მოხსენების ასლი გადასცეს და სთხოვეს პირადად ხლებოდა მეფის ნაცვალ-ვორონცოვ-დაშკოვს და გუბერნატორს, რათა სიტყვიერადაც მოეხსენებინა მათთვის ყველაფერი.

„თუ მთავრობა საგანგებო ზომებს არ მიიღებს, მე ჩემის ძალით ამ არეულობის დაშვებდა არ ძალმიძს“, — სწერდა მაზრის უფროსი უმაღლეს ხელისუფალთ.

მოხსენებაში ცალკე იყო დახასიათებული ელიზბარის მიწა-წყლის გამგებლის აგრონომ გიტა მეზერიშვილის პიროვნება.

„იგი საშიში კაცია. გვაქვს ცნობები, რომ აგრონომი მეზერიშვილი აქეზებს გლეხებს — დაუფლონ მიწებს და გააძეონ პატრონები. ჩემი პირადი აზრითაც სწორედ ის არის არეულობის მეთაური: იგი ეკუთვნის სოციალ-დემოკრატიული პარტიის იმ ფრთას, რომელსაც მეთაურობენ ჯუღაშვილი და აქ საკმაოდ ცნობილი მღვდლის შვილი კეცხოველი“.

მაზრის უფროსი არა სტყუოდა. გიტა მეზერიშვილი მართლა იცნობდა ხელმძღვანელებს, რევოლუციურ მუშაობასაც ეწეოდა სოფლად, მაგრამ მოძრაობის მეთაურობისა და სულის ჩამდგმელობისაგან კი ძალიან შორს იყო.

გოლა კამკამიძე არიდებდა გიტას პროფესიონალ რევოლუციონერებს, ინახავდა ამხანაგს, აცილებდა მთავრობის დევნასა და საპყრობილეს.

— ჯერ ჩვენც ვკმარვართ, მოვა დრო და შენი რიგიც დადგება. — ეუბნებოდა იგი გიტას; რომელსაც არც თუ მაგდენად მოსწონდა თავისი ორჭოფული მდგომარეობა: თავი შუაში გაჩხერილად მიაჩნდა.

შუა მისში გამოჩნდა მაზრის უფროსის მოხსენების შედეგი: გორს მოულოდნელად ესტუმრნენ, ბობოლა ჩინოსნები, მეფის ნაცვლის მრჩეველი ჩირკოვსკი და მასზე არა ნაკლები იეზუიტი, ლიბერალი და გუბერნატორობის კანდიდატი პლეშოვი. ჩამოსულებმა გორში ორ დღეს დაჰყვეს, შემდეგ კი იმ სოფლებს მიაშურეს, რომლებიც მოძრაობის გულად და სულად ითვლებოდნენ.

ბინად დეკანოზ თიმა ჩუთლაშვილის სახლი აირჩიეს. იქ, დეკანოზის სამოსახლოს მახლობლად, სათიხარში, ძველის-ძველი, ჩუქურთმებით და ფრესკებით შემკული საყდარი იყო. საყდრის გვერდით კი ძველი სასაფლაო მდებარეობდა.

ჩირკოვსკისა და პლეშოვს ერთისა და იმავე საქმის გასარჩევად ორი საკმაოდ განსხვავებული ამოცანა ეკისრნათ. პლეშოვს ევალუბრული წესებით შეესწავლა გლეხობის ყოფა-ცხოვრება, შრომის ბუნებრივი ურუნობის ძირითადი სახეები, ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობა.

ჩირკოვსკისაც იგივე დაეალემა ჰქონდა, რაც პლეშოვს, და, გარდა ამისა, თვალყური უნდა ედევნებინა პლეშოვის მუშაობისათვის, გამოეყენებინა მისი მასალა და ეკარნახნა მაზრის უფროსისათვის საჭირო ღონისძიებები, რათა მოძრაობა ადგილობრივი ძალებით, ცენტრის დაუხმარებლად ჩაეხშოთ.

ჩინოვნიკები, მივიდნენ თუ არა სათიხარში, უმაღლეს შეუდგნენ „მოდერნიზაციას“. ამინდიც ხელს უწყობდათ. მშვენიერი გაზაფხული იდგა. გულსა და სულს ატკობდა მოკასკასებული დილა და უნიავო შუადღე-სალამი.

დარდიმანდი, პურმარილიანი, განათლებული დეკანოზი ისეთი მასპინძელი იყო, რომლის უკეთესი ვერც წარმოედგინათ სტუმრებს. ამიტომაც თავს ღვთის უბეში გრძნობდნენ.

სათიხარში, მათი ჩასვლის მეორე დღეს, ლამისყანიდან მივიდა ბარძიმ თუშელიშვილი. მას თან ახლდა ლეკებისაგან შემდგარი რაზმი. ახლა ამ რაზმში მეორე ქართველიც ერიო. ეს გახლდათ ჩვენი ნაცნობი უთნელოვი, რომელსაც კეტდანაკრავი თავი მორჩენოდა, მაგრამ იარა გულში მიინც ჩარჩენოდა.

ბარძიმ თუშელიშვილმა რაზმითურთ სათიხარში დაიბანაყა და ძველ მეგობრებს მიაშურა. უთნელოვი კი მის მაგიერობას ეწეოდა რაზმში. ლეკები წყვილ-წყვილად ჩამთარეგა მოსახვევებში. გასცა განკარგულება, ცხენებისათვის თივა და ქერი გამოეტანათ, ხოლო რაზმელებისათვის — თუშულზე დღეში თითო თონე პური და თითო ცხვარი მიერამიათ.

— ეს რომელი კანონის ძალით? — კითხულობდნენ გაბედული ოჯახიშვილები.

— ჩემი დაწერილი კანონით, — დაცინვით უპასუხებდა უთნელოვი.

ჩირკოვსკიმ ქრისტემხსნელივით გადაკოცნა ბარძიმ თუშელიშვილი. ამ ხვევანაკოცნაში დასცდა ჩინოვნიკს ის სიტყვა, რის მოსაპოებლადაც ბარძიმში მშვიერი მგელივით დამჩროდა ქართლში.

— გმადლობთ, კნიაზო, მობრძანებისა და ნაზვისათვისო.

სიტყვამ „კნიაზო“ ბარძიმში გაღარია, მზად იყო ჩირკოვსკის ნაბადივით გაკვებოდა ქვეშ.

სათიხარში გატარებულმა ორმა დღემ ჩირკოვსკი დაარწმუნა, რომ საშიშარ გლეხთაგან თავდასაცავად ვერაფერი სიმაგრე იყო თომას მკერდზე ჩამოპროწილებული ოქროს ჯვარი.

სწორედ ამიტომ აღიტაცა თუშელიშვილის სათიხარში გამოჩენამ. ახლა თავს სრულებით მშვიდად გრძნობდა და სახლის აივანზედაც უშიშრად გამოდიოდა. დრო და დრო იქვე მდგომ ბარძიმ თუშელიშვილს მკლავში ხელს აკიდებდა და ეუბნებოდა. ლეკებზე:

— როგორ შესძელით, კნიაზო, ასეთი შევარდნების შეგროვება? აი, ეს საქმეა! ამას ჰქვიან თავგზიანობა, სიფრთხილე, გამჭრიახობა და მეფის ერთგულება. ნეტავ ყოველი თავადი და ახნაური წაგბამედეთ. მაშინ საქმე უკეთ წავა. გლეხები სულს ვეღარ მოითქვამდნენ. ვინ-ღა გაბედავდა სხვისი საკუთრებისათვის ხელის წაოტინებას? რევოლუცია კი არა, საკუთარი

ცოლშვილი დაავიწყდებოდათ. ძალზე მახარებს, კნიაზო, თქვენი უნაოი და  
საქმის წამოწყება. ნახვისა და ხლებისათვისაც გმადლობთ, ვაჟყვანდეთ,  
მეშაობის განგრძობის საშუალება მომეცით.

— მე კი, ბატონებო, ეს თქვენი კებული შევარდნები აქ დღეს-დღეობით  
სრულებით ზედმეტად მიმანია. აქ სამიში არა არის-რა, — ამბობდა პლე-  
შოვი. გულში კი, მალულად, იგიც ძალზე კმაყოფილი იყო. გლეხებისა მას  
ჩირკოვსკიზე უფრო ეშინოდა.

ტანად მორჩილი, ოსტზეელ გერმანელთა ჩამომავალი, მოწითალო ფე-  
რის, მუდამ სველ-თვალეზიანი პლეშოვი თუშელიშვილს ყაბალაზის ტოტე-  
ბივით ჩოხის კალთასიან ეკვროდა. იჩხედა ლამისყანიდან ჩამოყვანილ  
მოზერის ოდენა მის ჰოლანდიურ დ... რომლის სოფელში გაძენძელება  
შეშის ზარს ჰგვრიდა მეცხვარის ძალ, ... და ცხოს ნაჯახებს.

რამდენიმე დღემ გაიარა ასე.

დუკანოზი გულუხვად მასპინძლობდა დაჰყავდა სტუმრები ცელი საყდ-  
რის ეზოსა და სოფლის გარშემო მინდუებში.

სოფელში კი გლეხობას თითქოს სიცოცხლის მაჯის ცემა შეუწყდა. ქა-  
ლები და ბავშვები კარ-გამოკეტულ მიწურებში მიმალულოყვნენ. საჭონელი  
მოერიდებინათ. შარას ფარ აცოცლებდა დილით ადრეულ გარეკილი ნა-  
ხირის ფეხის ხმა და საღამოობით სბორებისაკენ დაწინაურებული ძროხე-  
ბის ბლაგილი. ყანასა და ბაღ-ვეენაში მომუშავენი ნავაზშევეს ბრუნდებო-  
დნენ შინ. ფხიზლად იმინებდნენ ხის სასათუმალ-ამოდებულნი და ცისკარ-  
ზედ სტოვებდნენ სახლს.

— ღმერთმა გასცეს სამაგიერო პასუხი, ვინც ეს ლეკიანობა დაგვიბრუ-  
ნა! — ხვნეშით და ჩიფჩიფით იწყევლებოდნენ სოფელში შემორჩენილი მო-  
ხუცები.

ჩირკოვსკის ნერვიულობა დაეტყო. არეულობის მიზეზების ძიება და  
დადგენა ტაატით მიმდინარეობდა. ისინი, ვინც მის გარშემო ტრიალებდა,  
სათხარში მოძრაობის ერთი მხარეთაგანი იყვნენ. მათი დაკითხვა თბილის-  
ში, თავის კანტონში გამოძახებითაც შეეძლო, ახალი ხალხი, მოძრაობის  
მონაწილეები მასთან თვითონ არ მიდიოდნენ რა მათი მიწყვანი-კი არავინ  
სჩანდა. ბარძიმ თუშელიშვილის ზოგიერთი დამატებითი ცნობა საკმაოდ არ  
ეჩვენებოდა.

ძველი საყდრის დასავლეთის კედელთან კი, სადაც იგი ყოველ დღე  
ფოტო-აპარატით შეიარაღებული დადიოდა და მრავალჯერ იღებდა ერთსა  
და იმაე ჩუქურთმას, გლეხების შუაგაცები ზონჩაზე დადებული პურ-მარი-  
ლით არსადა სჩანდნენ. ამიტომაც ძალას ატანდა პლეშოვს: „რას უცდი,  
ჩქარა იმოქმედე, მასალა შეაგროვე, მომეცი და ქალაქისაკენ გაგსწითო“.

პლეშოვი ხელებს შლიდა, აპიანურებდა და სულ მოხერხებულ წუთის  
ცდაში იყო.

— როდეს-და? — აღარ ასვენებდა ჩირკოვსკი.

— როცა ღმერთი მოისურვებს, — უთხრა ერთხელ პლეშოვმა. ქირდვით.

— ძალიან კარგს იზამთ, თუ ხუმრობას დროებით დავიწყებთ და რამე  
რეალურს გვეტყვიო, — უსაყვედურა ჩირკოვსკიმ და მოაგონა, რომ პლე-  
შოვს „სოვეტნიკთან“ და მეფის ნაცელის პირადის ნდობით აღჭურვილ  
უფროსთან ჰქონდა საქმე.

ჩინოვნიკები ამ დროს ნასადილევნი იყვნენ. აივანზე ისტდნენ და მიღამოს გასცქეროდნენ.

— მე ხომ აღამიანებს მიწიდან ვერ ამოვთხრა კომპოსტის ჩინოვნიკებით? — წყნით მიუვო მან უფროსს.

— ეგ მე არ ვიცი, თქვენ მასალა უნდა მომცეთ, — შეუტია ჩინოვნიკი.

— მაშ თუ მაგრეა, მომიყვანეთ აგრონომი მეზერიშვილი, დანარჩენი მე ვიცი — სთქვა მახ ახლა მშვიდად და გადაწყვეტილი კილოთი.

— აგრონომი მაგ საქმეში არ ჩაერევა, მას თავი გაანებეთ, — წამოიძაბა გაფითრებულმა რუსულანმა, რომელიც ესწრებოდა სტუმრების ამ საუბარს: — ის არც მოვა.

— ქალბატონო, — მიმართა მას პლემოვმა: — მე არ მითქვამს, თავისით მოვა-მეთქი. მე ვთქვი, მომიყვანეთ-მეთქი იგი. სხვარივად წარმოუდგენლად პიმაინია საქმის დაწყება. არავინ შეგულება ისეთი, ვისაც გარკვევით შეეძლოს სთქვას, რა სურთ, რა სწადიანთ იმ პირებს, ვინც მყუდროება დაარღვია თქვენს მხარეში. მეზერიშვილს მე რამდენიმე კითხვას დაეუსვამ მხოლოდ. მეტი არაფერი შესაქმება მასთან. იქნება გეითხრას, რაც გვეინტერესება. ლიბერალებთან დასაძალი, აბა, რა უნდა პქონდეს? შერე ისევ თავის გზით წავა. მე პოლიციელი არა ვარ, ჩემი რად უნდა მოერიდოს? იმასაც მნიშვნელობა აქვს, რომ ნაცნობობას განჭაახლებთ. მეზერიშვილი ის ყმაწვილი უნდა იყოს, იალტის სკოლაში რომ გავგზავნეთ ერთ დროს. ხომ?

— დიად, ის გახლავთ, — დაემოწმა დეკანოზი.

— ათასჯერ კარგი. ნეტავ როგორი დადგა? შემთხვევა გვიძლევა ვნახოთ. ვანძლო ამაგი წყალში გადაყრილი არ აღმოგვიჩნდეს.

— უკეთესი აგრონომი და მეურნე ჩვენს გუბერნიამი ძნელად მოიძებნება, სხვისა კი რა მოვახსენოთ, — ჩაერია საუბარში თუშელიშვილი.

— აი, აი ეგ არის საჭირო. ახლა ეს მიბრძანეთ, ხომ არ იცნობთ მის შეხედულებებს და მრწამსს საზოგადოებაზე? — დაუნაცვლა კითხვა თუშელიშვილს პლემოვმა.

— ვიცნობ და ეგ არის კიდევაც: თუ ვისიმე არა სწამს, ეგ თქვენი, ლიბერალებისა, არა სწამს-რა. მისთვის მხოლოდ, სოციალ-დემოკრატია არსებობს და ერთად-ერთ მის ხელმძღვანელად ჯუღაშვილი მიაჩნია. წარმოიდგინეთ, ბატონებო, აგრონომებში აგრე გავრცელებულ ესერებსაც კი ვერ უხსენებთ. ამ ზამთარში კარგა ზანს თავად ელიზბარისას ვახლდით სტუმრად. სისხლი გამიშრო თავისი მოუხრიდებლობით, — დაუმატა თუშელიშვილმა.

— მაშ მაჩვენეთ ეგ ფრინველი, მალაპარაკეთ მასთან, აი სად ყოფილა წაროს სათავე! — სთქვა პლემოვმა.

— ის აქ არ მოვა, არაფრის გულისთვის არ მოვა, — დაივინა რუსულანმა.

— თქვენც რომ სთხოვით, ნუ თუ არც მაშინ მოვა? — კითხა მოულოდნელად პლემოვმა და თვალი თვალში გაუყარა, თითქოს ემუქრებოდა უარი არ ვაბედოთ, თორემ დაგძლურებით, ასეთი ღირსეულ ხალხი თქვენი საზრიდან უმალური წავალთ.

— მე თუ შევეუთვლი, უთუოდ მოვა, — სთქვა რუსულანმა და წასასუღელად წამოიღგა, თან გულში გაიფიქრა: „ნეტავი აქ სულ არ მოვსულიყავი ამ დილით“.

— თუ მაგრეა, ნუ გვეტყვიო უარს ასე მცირე სამსახურზე, რაღა ჩვენ, ეს პირველყოფლისა საკუთარი თქვენი თავის სამსახური იწინააღმდეგებოდა. მაშაბა თქვენს თქვენს სამკვიდროდ არც ერთ აქაურ აზნაურს დასაწყობებოდა მიწა-წყალარ არა აქვს. ეს სარწმუნოდ ვიციო. ისიც ვიციო, რამდენიმე ნაკერზე ხელიც ააღებინეს, — აღარ მოეშვა ოთახის სიღრმეში გასაქცევად გამზადებულ რუსუდანს პლეშოვი.

მიწა-წყლის ხსენებაზე დეკანოზი წყლში გასწორდა. ამაყად მიეწრდნო სკამის საზურგულს და პლეშოვს უთხრა:

— სიმაართლე მოუხსენებიათ, ბატონო. ამ წყალზე ორიოდ თავადი, თორემ აზნაურთაგანი ვერაფერს მგობნის, — და ქალს მიუბრუნდა: — რუსიკო, აბა ვგ საქმე შენთვის შემოგვიგდია კოსტრზე. იმის აქ მოყვანის გარდა ჩვენ სხვა სამუშალება არა გვაქვს. გესმის? აფრინე კაცი ახლავე.

— მაშაილო!

— არ გამაგონო უარი! — წამოიძახა დეკანოზმა და ყურებზე ხელები მიიღო.

თომა ახლა შექადარავებული და მოტეხილი გამოიყურებოდა. ძველებურად აღარ ვაყვაცობდა. თბილისშიც იშვიათად დაიარებოდა. ახლა მარტოსოფლის შემოთხედვებით მოჰქონდა თავი. სარედამქციო მუშაობასაც სოფლად ეწეოდა. სამუშაო ყოველ შაბათობით დოსითე ბერს მოჰქონდა თბილისიდან.

— მომეციო სიტყვა, არაფერს აწყენინებთ აგრონომს. შამი, მოგეხსენება მისი ხასიათი, — შეეხვეწა ყველას რუსუდანი.

— თავათ თქვენ მოგვეციო სიტყვა და ბირობა, აგრონომმა თეთონ არაფერი გეაწყენინოს, არ გამოგვლანძლოს. ჩვენი მხრით-კი დაშვებულ ბრძანდებოდეთ. მგონია, ქალბატონო, იციო, რამდენი რამ მომითმენია მე მისთვის, — უთხრა ბარძიმ თუშელიშვილმა ანთებული, აღზნებული სახით რუსუდანს. და, თითქოს თავისი ნათქვამი ჰქუაში არ დაუჯდაო, მორგევით სველ კისერზე წამოდგმული როდინა თავი ბნედიანივით ააცახცახა. მერე წამოდგა, პლეშოვს მკლავში ხელი გამოსდო, ააყენა, კუთხეში მიიყვანა და ჩასჩურჩულა: — ჩვენ შეგვიძლიან მთელი მისი მიწერ-მოწერა ჩავივდოთ ხელში და მოგართვათ, თუ კი ეს რამეში გამოგადგებათ.

— მაგას რაღა აჯობებს! მაგრამ, ნუ თუ აგრონომი მაგრე გაუფრთხილებელი და წინდაუხედავი კაცია? — გაიკვირვა პლეშოვმა.

— თქმა არ უნდა, ფრთხილია. მაგრამ მე იმედი მაქვს, რადგან ჯერ ჩხრეკა და დაბატირება არ შეხვედრია გამოუცდელია, მიწერ-მოწერაც ხელმისაწვდომად ექნება შენახული. აგრონომის „ციხეში“ კაცი მყავს, რომელიც ჩვენთვის თვის არ დაიზოგავს. მოგვიტანს საბუთებს.

— ძალიან კარგი, მოიტანეთ საბუთები, რაც შეიძლება მეტი, მე კი მათი მომტანის შესახებ არა ვიციო-რა, მე არაფერ შუაში ვარ. თანაც აუცილებლად მიჩვენეთ თვითონ აგრონომი, ცოცხალ კაცს ყოველგვარ საბუთზე მეტის თქმა შეუძლიან.

— ჰო, თქვენ ხომ ლიბერალი ბრძანდებით, არ გაგრევთ ჰუკუიან საქმეში. ოღონდაც ხელზე ერთი კაცი მყავს, ჯერ მას ვკითხავ, რას გვიჩვენს.

— ვინ არის? — დაინტერესდა პლეშოვი.

— სწორედ ის, ვინც აგრონომის მიწერ-მოწერას მოგვიტანს. აგრონომის მოსისხლე მტერზე უფრო დიდი მტერი, იმ კაცს მეზერიშვილის გამგებლად



დანიშვნამ მამულში მირიდან ლეკმა გამოაცალა. მოურავი იყო და ახლა ავრონომის წყლობით მანჩაჩალად გადაიქცა, აღარაფერი ეკრძა, მხოლოდ მოიდგინეთ მისი დაღესილი კბილები და მიხვდებით, როგორ უკეთესად გება.

— რა წოდებისაა? — იკითხა პლეშოვმა.

— გლეხთაგანია, — ჩაილაპარაკა ბარძიმმა.

— არა მჭირდება მე ეგ კაცო, რას მეტყვის კისერ-დაუბანელი გლეხი და ნამოურაველი? თქვენ თქვენსას ეცადეთ, როგორც გინდათ, ისე გამოიყენეთ, — მოუჭრა პლეშოვმა, ხუთსაფეხურიანი კიბით ეზოში ჩაირბინა, ბაღში გავიდა და ნაგალა ვაშლების ჩრდილში მიიმალა.

— ამიტომაც არის იმპერიის საქმე კარგად! ხედავთ, როგორი მოხელეებით არის სავსე ჩვენი დაწესებულებები? — ბრახმორეულად გააყოლა სიტყვა მიმავალ პლეშოვს ჩირკოვსკიმ.

— დიად, დიად! საკვირველი ხალხია ეგ ლიბერალები! ქართველებს ერთი ანდაზა გვაქვს: „ყორანი ლეშსა სძიძგნიდა, კულს არიდებდაო“, — დამოწმა ბარძიმი.

— კნიაზო ბარძიმ, გაგიტყდებით: კირივით მეგავრებიან ყველა ეგ მეგახეთეები. ავციები არიან, ღმერთმანი, დასანანი არ იქნება, ერთად შეჰკრა ყველანი, ერთი ხმალი დაჰკრა და თავები დააყრევირო. მომიყვანეთ, კნიაზო, ეგ ბქვენი მოურავი. მე გამოველაპარაკები. ენახოთ, რას გვეტყვის რუსული იცის?

— არც ერთი სიტყვა.

— არა უშავს-რა, ქართული ვიცი.

— ალიბეგ, ალიბეგ! — გადასძახა აივნიდან ბარძიმმა ეზოში ინდოურით გაფუყულ, ყაჩაღური გამომეტყველების ლეკს.

— ჰაიტ, ღნიაზო! — მოისმა ქვევიდან ხმა. ალიბეგ არობლინსკის უკვე მოეკრა ყური, ჩირკოვსკი რომ კნიაზობით იხსენიებდა ბარძიმ თუშელიშვილს. ნელს ნაბიჯით ავიდა აივანზე და, შორი-ახლო გაჩერებულმა, ყურების გამძრღნელი ჯიღჯილით კვლავ წამოიძახა: — ღნიაზ, რას მიბრძანებთ?

— გაბრუნდი, ალიბეგ, მანდ სადღაც რაზმელებთან პოზუა საუზმობს, მომგვარე და შენც მოჰყევი.

— ახლავე, ღნიაზ, — ჩაიჯიღჯილა კვლავ არობლინსკიმ. სწრაფად ჩაირბინა კიბე, შარაზე გავიდა და დაიყვირა: — ჰაიტ, პოზუა! ღნიაზი ბარძიმს გეტახის, აბა ჩქარა, ეახელ, გამოსწი, გამოსწი! — შერე ალიბეგ ისეე გამოჩნდა აივნის ძირად და შემოსძახა პატრონს: — ახლავე გეახლებათ მოურავი პოზუა!

— ახლავე გეახლებათ მოურავი ქენჭაძე, — მოახსენა ბარძიმმაც ჩირკოვსკის, რომელმაც გარკვევით გაიგონა ლეკის შემოძახება და გამეორება აღარაფრითარ საჭიროებას აღარ წარმოადგენდა. საქმე ის იყო, რომ ბარძიმს უნდოდა ჩირკოვსკის ხმა ამოეღო, კიდევ ეწოდებინა მისათვის „კნიაზო“. რადგან დეკანოზი და რუსულდანი ერთად შემოვიდნენ ამ დროს, ჩირკოვსკიც მიუხვდა.

— ძლიერ კარგი, კნიაზო ბარძიმ. ენახოთ, რას იტყვის მოურავი პოზუა ქენჭაძე. და თავისი გამოძიებლის როლით უკმაყოფილომ დასძინა: — იი ხედავთ, რა ძნელია სამსახური პლეშოვისთანა ხელქვეითებთან!

„მძიმეა თუ ადვილი, მეთევზეს ხალთა სველი უნდა ჰქონდეს“, გაიქლო გონებაში ბარძიშმა და თვალი მოჰკრა კარებში გაუთლელე ჩიმიწვივით შემოყუდებულ ალიბეგა არობლისსკის, რომელსაც მოუტრავდა გულმოდგინებით, რობილივით, საკინძეში ხელჩაგლებული შემოჰყავდა და თან ჯიბეებს უსინჯავდა.

შეურაცყოფილი მოუტრავი ფუცხუნებდა, ერთ ადვილს გაჩერება უჭირდა და უხერხულობის დასაფარავად თავიდან მოგლეჯილ თუშურ ქუდს ხელელებში შშუშვნიდა. ალიბეგმა პოზუა ოთახის შუაგულამდის მიიყვანა და იქ შიატოვა, თითონ კუთხეში გაჩერდა, ბნელაში. ამასობაში პოზუა გონს მოვიდა, სკადა უხერხულობიდან გამოსვლა. უთენილოვთან მიზოქმაცა, ხელი ჩამოართვა, მერე ოდნავ გვერდზე გაიწია და ბარძიშს მარჯვენა გაუშვირა. ბარძიშმა ზედაც არ შეხედა პოზუას ხელს. თვალები ჩირკოვსკის მიაპყრო. გაცუდებულმა პოზუამ კი ჩამოვარდნილი, მოცარული მარჯვენა ცერით ჩაირჭო ქამარში.

— ქენქაძე, ახლოს მოდი, დაბრძანდით! — მოესმა პოზუას.

ბორძივით გასწია ჩინოვნიკის მაგიდისაკენ. გზად რატაცას წამოედო, წააქცია, საშინელი ბრაზხუნი გაისმა. გაჭირვებით მივიდა მაგიდამდე და ხელი აფათურა, რომ სკამის სახურავს ჩასჭიდებოდა და თავი შეემაგრებინა. ვერ დამწვიდდა მანამდე, სანამ ჩირკოვსკიმ არ უთხრა: დამწვიდდი, დაბრძანდით. დაჯდა, მაგრამ რაღა დაჯდომა იყო: ვეებერთელა აკაცი ლომთან გალიაში შეგდებულ ციკანივით ცაბცახებდა.

— მომიყევით, რაც იცით აქაური ამბებისა, — კიდევ უფრო დაყუავებით, თითქმის შეგობრული კილოთი უთხრა ჩირკოვსკიმ.

— კარგს ვერაფერს მოგახსენებთ, ბატონო, — წამოიყვანა პოზუამ დამსხვერპლი წამოდვა.

— დაჯექ და იმ ცუდის შესახებ მოგვიყევი, მეტი არც ჩვენ გვინდა, — კიდევ უთხრა ჩირკოვსკიმ.

— ცუდი კიდევ ის გახლავთ... მაგრამ ზეზე ავღებები და ისე მოგახსენებთ, — სთქვა პოზუამ და ზეზე წამოდგა, — რომა გლეხები სჯათა მიწებს იჯლობენ, ისე, ფსავდაუხდელად, უსასყიდლად, თვითნებურად. ისე ხნავენ და სთესავენ სხვის მიმულ-დედულში, როგორც საკუთარ საშვილი-შვილოდ დამტკიცებულში.

— პატრონების უნებართვოდ?

— მა აბაღე, რაღა ძაღობა და თვითნებობა იქნებოდა, თუ კი მიწის პატრონთან მორიგება ექნებოდა?

— რამდენი მაგალბთი იცით მიგეთი?

— მაგას ვინ დითვლის!

— მაინც, დაახლოებით?

— დაახლოებით იმდენი, რამდენიც მიწა-წყლის ნაკლები გლეხია. ერთი სიტყვით, მაგას ვინ მოთვლის, პეერი, ძალიან ბევრი!

— ესე იგი მიწების დატაცებას მასობრივი ხასიათი აქვს?

— რაო, რას მიბრძანებთ, ბატონო! — იცითა პოზუამ და გადახედა ბარძიშს თუშელიშვილს, ამხსენი ეს უცხო სიტყვა რას ნიშნავსო.

ისიც მაეშველა:

— იმას გეკითხება: მიწების დატაცება საყოველთაო მოვლენაა?

— დიად, ბატონო, საყოველთაო მოვლენა გახლავთ, ერთეულ ყველას ხელი ურევია შიგა, დიდსა და მცირეს.

— ელიზბარის მამულების გამგებელ აგრონომსაც? — შეუერთდა: *მოუხედავ* ჩირკოვსკიმ.

— პო... პო... — მოიცვა გული ამ კითხვაზე პოზუამ: — ის გახლავთ, რაც არის, ის აქეზებს. მაგალითსაც უჩვენებს. გლეხიც, მოგებსხენებათ, წახედვით ცხოვრობს. ასე ფიქრობენ: რახან აგრონომი გვეუბნება, აგრე უნდაო, შევსინენ კიანჭველსავით სხვითას. აბა, ის რომ არ აქეზებდეს, ვინ გაიგონა, სად არის ცოცხალიზმი? აგრეა ეს საქმე, ეს თავი არ მომიცვდება და ეს უღვაში არ შემირცხება.

— საფუძველი მოგებოვებათ?

— რაღა საძირკველი და საფუძველი უნდა, ის აქეზებს, ის, მეტი არა-ვინ, ჩემმა მზემა, ჩემმა სიყრმემ — გათამამდა პოზუა.

— იქნება წერილობითი საბუღიცი მოგებოვებათ? მაჩვენეთ, გადმოშეცით.

— წერილობითი? — კისრის თხანით გაიმორა პოზუამ და ბარძიმ თუ-შელიშვილს შეავლო თვალი. მანაც თვალით ანიშნა, არაო — წერილობითი არა, ბატონო.

— შენ კი არ შესულხარ სხვის მამულში? — შეუტრიალა კითხვა ჩირკოვსკიმ.

— შენა, შენი ჭირიმე, ჩემიც ბლომად მაქვს, ნეტავ დასამუშაებლად მოვერეოდე, თორემა სხვისა რად მინდა, რა თავში ვიხლი!

— აბა სხვებს რაღა ეშმაგები შეუძრათ, რად ართმევენ და იტაცებენ სხვის საკუთრებას?

— იმიტომ, შენი ჭირიმე, რომა ხალხი გამრავლდა, მიწა აღარ ყოფნით. ვისაც აქვს — აქვს. ვისაც არა, რას მოახერხებს? მიწა სულდგმული არ არის, კაცმა გაამრავლოს, მაიშენოს. ყიდვა კი არავის შეუძლიან. გლეხს ქალამის ფული უჭირს, აბა, მიწის სასყიდლად სად ექნება გროში!

— სხვა ხომ არაფერი გაქვს სათქმელი? — მოუკრა ჩირკოვსკიმ სიტყვა პოზუას.

— ერთი ის, შენი ჭირიმე, რომა დაგვიფარეთ, გვიბატონეთ. კაცი შიშითა შენს საკუთარში, შენს ნასყიდში ვეღარ გასულხარ თავისუფლად. უკან და ბუჩქებში იხედები, არავინ გიდარაჯებდეს თავდასახშველად. ის აგრონომი მრგვაცილეთ თავიდან. ჩვენი მიწის აგრონომებიც ჩვენა ვართ და პრაბისორებიც. ეგ მაგითანა ხალხია, რომ ურევს. უსწავლიათ ორიოდ ანა-ბანა, მეცნიერობას ჩემულობენ, ცაში ღმერთი აღარ წამთ, მიწაზე შეფე და მისი კანონი. იწამეთ თქვენი გამჩენი, მანამდე გვიშველეთ, სანამ შენ-ჩემობიას ძირი არ შერყევია, სანამ ჩვენის ხელით დანები ყელში არ გამოგვისვია.

— მარტო ეგ თუ სხვაც გეგულება მაგეთი ხალხი?

— ეგეთი საქმის მოწყობა მარტო ერთ კაცს საიდან შეეძლება?

— იქნებ სხვებიც იცი, ვინ არიან, სად იმალებიან?

— ბინა, ასე ამბობენ, იაკობ იგნატაშვილიანსას უღვეთო.

— ვინ არის ეგ იაკობი? — ბკითხა ჩირკოვსკიმ.

— ეგნატაანი, შენი ჭირიმე? — რუსიელებს მოგებსხენებენ. ახლა გორ-შია და იქ ქებული ოჯახი აქვთ. ვინ გინდა, არა სცნობს და არ შეგობ-რობს?

ჩირკოვსკიმ რაღაც ჩაინიშნა ცალკე წიგნაკში, უბეში ღრმად ჩაედო და ისე განაგრძო კითხვები:

— მაშ სხვას არავის იცნობ, არც არავინ შეგხვედრია? არაფრისაა  
შეგხვედრია

— ისე, ყარვად არა, სიარულით კი დაიარებინა, აქაური კაცი მოხდებდა, შახედები, სულ მთავარი კი აქ არ არის?

— ეინ არის ის მთავარი? — ძალზე დაინტერესდა ჩირკოვსკი.

— თვალთ აბა მე ვინ მაჩვენებდა? მეც ისე ვიცი, როგორც აგერ კნიაზ ბარძიმსაც მოეხსენება.

— მაინც ვინ? — ჩაჰყვა ძირამდე ჩირკოვსკი ძიებას.

— თვალთ, აკი მოგახსენეთ, მე ვინ მიჩვენებს, არ მინახავს, ჩემმა შუკმა — გაიმეორა პოზუამ: — ისე კი კეცხოველიანები, ეგნატაჟნები, მაძინ-ან-შვილებიანად, ყველანი ურევიან მაგ საქმეში. ამას რა ჩემი თქმა უნდა? სულ მთავარი კი ჯუღაშვილიანთ კვრივიშვილი ყოფილა, სოსო.

— ყველა გზას რომში მივყევართ, — სთქვა ჩირკოვსკიმ. — თავისუფალი ხარო, — უთხრა ოფლში გაწურულ მოურავს და წამოდგა.

პოზუაც წამოდგა ტვირთნაზდი კაცივით, წელში, მოხრილი გარედ გავიდა, გაოფლიანებული სახე წითელი ცხვირსახოცით შეიმშრალა და ის იყო ეზოშიც ჩასდგა ფეხი, თუშელიშვილი რომ სწვდა ჩოხის სასკლოში.

— პოზუაც, შენთან დავალება მაქვს.

— აქაურობას მიმადარე, გამაშორე, კნიაზ, და რაც გნებათ, მიბრძანეთ. თუ გინდა მოდიდებულ ლიახვში გადავეარდები შენთვის.

თუშელიშვილი კიბეზე ჩავიდა. — სახლის ყურეს მოეფარენ.

— პოზუაც, შენ იცი, ალბათ, სად და რა საბუთებს ინახავს გიტაი?

— დიად, ვიცი.

— ახლავე გაიქე, რაც გინდა ჰქენი, და ის საბუთები გათენებამდე აქ მომიტანე, ნავლუჯი რა არის, ისიც არ დაჰკარგო. გესმის, გასწი, მოიტა და მე გადმომეცი, პირველად მე ჩამაბარე საკუთარ ბელში, სხვას არავისა, თუნდაც ცოლს, თუნდაც ქრისტე ღმერთსა.

— აბა, სხვას ვის ვანდობ, კნიაზო, შენი ხმალი, ჩემი კისერი, ოღონდაც თავიდან კი მომაცილეთ ის კირისაგან გასაქრობი აგრონომი და მისი ქალღლების მოტაცებას რა უნდა? ამ საღმოსვე მოგართმევთ.

— მაშ გასწი და უკან ნულარ მოიხედავ, რუსულანს შეუარე, წერილს გაგატანს აგრონომთან, ხომ გესმის?

— მესმის, კნიაზო, ღმერთმა შენი თავი ნუ მომიშალოს!

— აბა, ნულარ აყოვნებ!

— გავსწევ, დროზედაც გეახლებით. ეგ სულ არაფერია, ოღონდაც კარგა ხანია ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და ვერ კი გამიბედნია.

— სთქვი, მოკლედ!

— თავად ელიზბარს სოფლის თავში ერთი ნაპარტახალი აქვს, ყვეაილმა ამოსწყვიტა იქ მოსახლე გლეხი უმემკვიდროდ. ერთი უჯიათო ძმა მყავს, ცალკე მინდა გავუშვა, გავყარო, იმ ნაპარტახალზე მინდა დავასახლო. სულ ცალიერზე ხომ ვერ დავესვამ, ძმა არის. შემოკრებილი, ნასყიდი მიწა-წყალი კი მენანება გასაყოფად. მომარგვე ელიზბართან, ვინდა ცვლითა, გინდა ფულითა. შენს შუაკაცობას იგი ხატრს შეუნახავს, მერე შენი სამსახურდ ჩემს კისერზე იყოს: გუთნეული, ჭირნახული, ფული, ყველა შენი ჭირის საწყველო იყოს.

— მოგარიგებ, გასწი და ცარიელი არ გამოჩნდე აქ!

პოზუამ მადლობა შესწირა, თუშური ქუდი, ხელში რომ ეჭირა, მისი ფაზე მოიგდო და გაიჭტა ეზოს გადაღმა ხეზე მიბმულ მკვე მერე ისევე გამობრუნდა, სახლს მეორე მხრიდან შემოჟვარა და რუსუდანიის ოთახის წინ გაჩერდა. ქალი უკვე ბარათს სდებდა კონვერტში, დეკანოზი თავს ადგა.

— მიბრძანეთ ერთი, რა შედეგი მოგვება-საუბარმა? — იკითხა სეირნობიდან დაბრუნებულმა პლეშოვმა და შეაჩერდა ჩირკოვსკის.

ჩირკოვსკი არავის არ უყურებდა, სამართებლით ნაფხეკ, წატანჯ სახეზე ბუასილით დაძალულის ფერი ედო. ჩანაწერებიან ქალაქს ნერვიულად კმუჭნიდა ხელში.

— აღრევე ვიცოდი, ვერაერთარ შედეგს ვერ მიალწევდით, — ახლა უკვე გამომწვევად ჩაილაპარაკა პლეშოვმა.

— ეგ ვინ მოგახსენათ, ბატონო? — შეუტრა ჩირკოვსკიმ, ახლოს მივიდა პლეშოვთან და გულმოსულად, წარბშეკვრით ყველას ვასაგონად სთქვა:

— ყველა გზას რომში მიყვება, რომში, დიდი! ამიტომ მე საჩქაროდ თბილისში უნდა გეახლოთ, მეცა ნაცვალს ვინახულებ, გუბერნატორთან მოვითათბირებ, ვატყობ აქ პირდაპირ მოქმედება არ შეიძლება. სხვა ზომები უნდა გამოვნახოთ. „რომი“ კი ჯულაშვილი ვახლავთ. იგი აქაც ისაა, რაც ქალაქებში. სჩანს, შორს წასულან ფესვები. ამასთან ბრძოლა აგრე აღვილად არ შეიძლება. საკუთარი თავები არ წავაგოთ თამაშში. თქვენ ღბრჩით, იქნებ ინახულოთ აგრონომი, რასაც გააკეთებთ, წერილობით მომახსენეთ იქ, თბილისში. თქვენ დაბრუნებამდეც ტყუილად არ გავჩერდები. უკვე დასახული მაქვს სამოქმედო გეგმა.

— იყოს ნება თქვენი, — მიუგო პლეშოვმაც და გრაციოზულად მოუხადა ქუდი ჩირკოვსკის.

## II

მამა და შვილი მამლის პირველ ყვირილზე წამოდგნენ. პავლიამ ბნელ ფარდულში ხელების ფათურით მოსძებნა წასაღებად გამზადებული იარაღი. გაუარა რუს პირად შვილს, რომელიც პირსახოცით სახეს იმშრალეზდა, და გასწიეს ვაშლის ახალშენ ნამყტნში. მძიმე შრომა მოელოდათ იმ დღეს. ვაშლის ახალშენის ბოლოში ხუთიოდე საყენი ფართობი ოტროჩლოროს წარმოდგენდა. ნამუწუკარივით აჩნდა ბაღს ეს ნამოსახლი თუ ნავომარი. მამამ და შვილმა გადასწყვიტეს იგი მოესწორებინათ, გაეპოზიერებინათ, მომავალ შემოდგომაზე ჯერ სახახვედ ან სანიერედ გამოეყენებინათ, ხოლო შემდეგ ნამყენი დაერვათ.

მღუმარედ მიამიჯებდნენ ჩაძინებულ სოფლის შუკაში. შორს ისმოდა მათი ფეხის ხმა. გიტამ ბარემ ორჯერ ჰკითხა რალაც მამას, მაგრამ მოხუცმა შვილს გაბუტულივით ორჯერვე „პო“ უთხრა და უფრო დაღუშდა. დიდი ხანია პავლიას დასჩემდა ენაძვირობა, დუმილი და გაოცება.

გიტამ შეინშნა მამას ეს ცვლილება. შენიშნა და თითონაც მოერიდა. ხედებოდა შვილი: მამა რალაც მოვლენებზე პფიქრობდა, თავის თავსა და გონებას ებრძოდა.

გიტა ნელა, მოშორებით მიჰყებოდა კვალში მამას. ფეხს ფრთხილად აღდგამდა, რომ მშობლისათვის ახრი და ფიჭვი არ გაეწყვიტნა. რაღაცა დასწრად, თითქოს ყოველ მხრით მამლებისაგან ატეხილი ალიაქოზის შუქი ჩანდა, პავლია მარცხენა ფეხზე შეჩერდა. ვარსკვლავებისა და მტრედისფერ განთიადის მკრთალ სინათლეზე შვილს თვალებში შეხედა. რაღაც საბჭოელისათვის პირი ვაილო და შეშინებულივით ისევ მოკუჟმა. მერე ნაბიჯი უხერხულად გადასდგა და ხელის ჩაქნევით ჩაილაპარაკა:

— ეჰ, არა ღირს, ჯანდაბას!

— პა, მამილო, რა არა ღირს, რა გავზავნე ჯანდაბას? — აკითხა შვილმა.

— არაფერი, იგრე, — ჩაილაპარაკა პავლიამ და ნაბიჯს აუჩქარა.

— როგორ არაფერი, მამილო? განა არ შეშინიშნავს, როგორ მერიდები? შენ კაცი უბრალოდ წაძინებულსაც ვერ მოგასწრებს და არაფერზე დაიწყებდი ფიჭვსა?

— მამა-შვილობას დამეხსენ! — გაჯიუტდა პავლია.

— დაგეხსენები, მაგრამ მაწყენინებ, მამილო. სჩანს, არ მენდობი, რომ გულის ნადებს არ მიმხელ, არ გვიმედება ჩემი მხარი, არ მიყოფ ტვირთს. მარტოდ გინდა ზილო, არა მცნობ ღირსად შენი სადარდელი გამიზიარო, გამაგებინო.

შვილის-სიტყვებზე პავლია კვლავ შედგა, სახე-შეწითლებულმა მიხედა შვილს.

— ეჰ, მამ გაგიტყდე? არაფერი გითხარი და საკუთარი თავი მოვატყუევი. არაფერი კი არა, კი ფერია. ამდენი ხანია ერთი ახრი მიზის თავში შეაკვივითა. საკუთრივ, მარტომ პასუხი ვერ გავეცი, კითხვისა კი მარცხენიან, იგრე, თუნდაც შენთვისა. განდობისთვის, გულის გადაშლისთვის ზოგჯერ მამაშვილობაც კი აღარა კმარა.

— მართალს ამბობ, მამილო, მაგრამ მე და შენ იგეთი მამაშვილი არ უნდა ვიყვნეთ, რომ ერთმანეთს გულელები დაუბუროთ და ერთმანეთის არა შეგეტკიოდეს-რა.

— გვა მეც ვიცი, შვილო, მაგრამ, რაც არ უნდა ვეცადოთ, ჩვენი წლოვანების განსხვავებას ვერ გადავახტებით, და კიდეც სხვა მიზეზიცა მაქვს. იმ თუნდაც: შენს გულსა და გონებაში მერცხლები ფრენენ, ჩემსაში კი გიგო ჩარეჭაშვილის ჩოთქის ჩბაკუნია. აბა, ახლა რაღას მეტყვი?

— კარგი აღამიანი და კიდეც უკეთესი მამა მყევხარ, მეტი აბა რა შეთქმის? ვმადლობ!

— მამ არ დამძრაბავ, თუ გეტყვი, რაც მაფიქრებს?

— არა, რა საკადრისია!

— მამ მითხარი, რა არის, რა ჰქვიათ ამას, რომა ხალხი ლამის არის თავის ბუდიდან ამოვარდეს, გაილაღებული მოზვერივით აიწყვიტოს და ერთმანეთს დაერიოს?

— ავი გითხარი, კარგი აღამიანი ხარ-მეთქი. ამას, მამილო, რევოლუციის წინ დღეები ჰქვიათ, მოძრაობა ხალხისა.

— ეგრე ნუ შეუბნევი. არა მესმის-რა მაგ სიტყვებხისა. ამხსენ სხვა რი-

გად, თუ შეგიძლიან. ა ეგ არის ის არაფერი, რამაც საცა ჩემი დამწართოს, მაყოფინოს.

ამ სიტყვეთში, სიკეთით და ემედით აცრემლებული თვალებით მამამ შეიღწა. შეიღწამაც შეხედა და შეეცოდა. მამის თვალებში მოსჩანდა იმ ბავშვის უმწიფობა, რომელსაც წიგნი გადაუშალეს, თითი დაუდგეს აქედან აქნამდევ და ახლა იძულებულია აუხსნელოს, აზრის ჩაუწვდენლად გაიზვიპიროს.

— ეს, მამილო, რაც ახლა ჩვენს ირგვლივ ხდება, ხალხის ძვრება. დადგება საათი, ამ ძვრას რევოლუცია მოჰყვება, რევოლუცია-კი ქვეყნისა და ხალხის ახლად დაბადებაა.

— ის, სოციალიზმი?

— სოციალიზმი, რევოლუციის ფიჭვი და გრძობაა. სოციალიზმი ის ურთიერთობაა ადამიანებს შორის, როდესაც კაცი კაცის მტერი აღარ იქნება, როდესაც ერთი ადამიანი მეორეს მგლის თვალთ აღარ შეხედავს, როდესაც ადამიანები ცხოვრების ისეთ წესრიგს შეჰქმნიან, რომ მხოლოდ შრომისა და ამავის მიხედვით სუამენ, ჩიცეამენ, გამრავლებიან, დაესახლებიან, უნაყოფოს ნაყოფიერს გახდიან, ერთის სიტყვით, შრომის საფუძველზე ააგებენ თავიანთ ცხოვრებას.

პაელომ ამოიხენნეშა და ისევ ჰკითხა:

— ახლა, მამა-შვილობას, ის მითხარი, ხელი დამიდე იმ კაცზე, ვისაც ეგ გონებისაგან მიღებული გზა განუქრებია, ყამირზე გუთანი გაუბამს, მიჰყვება კვალს. ხელში ბიარადი უჭირავს და უკეთეს ცხოვრებას გვიქმნის.

— ჩვენი ეგეთი მედროშე სწორედ ის იოსებ გულაშვილია, თქვენ რომ გულაანთ ქვრივიშვილობით იხსენიებთ.

— ჰა, რაო?

— იქნება, აქაური, ჩვენი ლიახვის პირად დაბადებული რომ არის, ეს გაეჭვებს, მამილო?

— არა, ეგ არა, — გადაწყვეტით სთქვა პაელომ: — განა არ ვიცი ჩემი ქვეყნის ამბავი: დაეითი, თამარი, რუსთაველი, მეფე ერეკლეი. ჩემმა ქვეყანამ ეგეთი ადამიანი რომ შეა, მკერა. მაგრამ მე ჩემ თავსა ვწუხვარ. აგერ თურმე ჩემს გარშემო რა ხდება, მე-კი გუშანით, ალლოთი უნდა ჩავსწვდე მდგომარეობის აზრს! უწინგო ვარ, უღელაბოდ ამენებულ ციხის კედელსა ვგვივარ. ამას ვჩივი.

სთქვა პაელომ და მხრიდან იარადი ჩამოიღო. საუბარში ისინი შეუმჩნევლად ვაშლის ბაღთან მისულიყვნენ. უშალვე პატარა ბეჭობს მიადგა პაელო, წერაქვი მოუჭნია მიწას. გიტა მოკრილი მიწით ავსებდა გოდორს, მიჰქონდა, თორთ-თორთში ჰყრიდა, ნიჩბით ასწორებდა. უსიტყვოდ მუშაობდნენ. თითქოს ერთმანეთს ვერ ხედავდნენ.

ხანდახან მხროლდ პაელო შეჩერდებოდა წერაქვის ტარის ხელში შესახ. ცელებლად და ამ დროს ხმადებლა წამოსცდებოდა:

— ჰა, რაო? გულაანთ იოსები? ბარაქალა, ბარაქალა! — დასვენებისას, ბეჭობზე რომ დასხდნენ, მამამ უთხრა შეიღწა:



— ნეტავ ასეთი რა მოსდგამს, რომა აგრე ღირსეული ვახდა? ეგეთი რამ უჩრალოდ არა ხდება, ქვეყნის წინამძღვარი ადამიანი ცოდან რჩევადება.

— მაშალო, ადამიანის მოდგმას ერთი ბედნიერება დასჯება — მისი ბედნიერება ანები გამუდმებით ეძებენ ცხოვრების უკეთ მოწყობის გზას. ამ ძებნაში იძენენ ცოდნასა და გამოცდილებას. იგივე ადამიანები ამ ძებნის შეთაურს გამოზარდიან ხოლმე. ის შეთაური ადამიანების გულის ხმას, ცოდნასა და გამოცდილებას სათავეში ჩაუდგება ხოლმე, უბელადებს ხალხს, წაიყვანს არჩეულ მიზნისკენ. აბა, მაშალო, წარმოიდგინე — ასეთი ადამიანი. ის აგერ, ჩვენი ღიახვის პირად დაიბადა, მაგრამ საქმე ევ როდია. საქმე ის არის, რომ ადამიანებმა მას თავიანთი თავი ანდეს. მას კი იმდენი უნარი აქვს და იმდენი ძალა შესწევს, რომ შეუძლიან წარუძღვეს ხალხსა.

— აბა, კაციც ის ყოფილა და ქუდიც მას ჰხურებია! ხომ არ გინახავს ახლო?

— სემინარიაში, სწავლის დროს, სამჯერ თუ ოთხჯერ. მოწაფეს ამხანაგად არ გავეიკარებდით, ვისაც იგი არ ენახა, თუნდაც შორიდან.

— მაგნაირი კაცის სხივი მუდამ უნდა გინათებდეს გზას და ბედნიერებაც ევ არის ვაეკაცისათვის. ნეტავ ერთხელ მეც მაჩვენა და მერმე რაც დამეპარებდა, აღარ ვჩივი, — ინატრე პავლიამ და წამოდგა. წერაქვი კვლავ მოუქნია მიწას, თითქოს გზა გაჰყავსო იმ ნანატრი, სხივის დასანახავად აღვილამდე მისასვლელად.

ეს იყო და ეს. სადამომდე ერთმანეთს აღარ გამოლაპარაკებია. ბევრი სამუშაო ჰქონდათ. ბინდისას დაბრუნდნენ შინ. პავლია ბარძაყებზე წელეებს იჭერდა, არ წაეიქცეო, კენესოდა, ბეჭის ფრთებს არხევდა. სამაგიეროდ შვილთან დღევანდელი გასაუბრების შემდეგ უძლიერდებოდა სურვილი — მოსწრებოდა რევოლუციას, რომლის მრავალწყლიან მდინარის შენაკადად ახლა თავისი თავი, თავისი მოხუცი ცოლი და აგრონომი შვილი ეგულებოდა.

მისთვის შრომა ისეთივე ჩვეულება იყო, როგორც ჩიტისთვის ფრენა, სახნისისათვის — პრიალი, ქარისთვის — ქროლა. დღევანდელი შრომა კი ასიათას ჩირაღდნით განათებულ ლიტონიას ჰგავდა. დღეს მიუხვდა შვილს, დღეს მიუხვდა ქვეყანას, დღეს გაიგო, რომ იგი მარტო არ არის. დღეს შეაფასა, რამდენად ძვირფასი იყო ის გასანთლული გრძელი და ფართო ქალღებები, ელიზბარის სახლის სასტუმრო ოთახში რომ იყო გაშლილი და შვილი ზედ წახრილი მთელ ხამთარს მუშაობდა. ახარებდა ახრი, რომ ამაგმა უქმად არ ჩაუარა, რომ მის კერიაზე ნაზარდის ნაამაგარში მოსჩანდა კეთილი, ქვეყნის სარკი საქმე.

შრომისა და ოჯახის მწყემსობისაგან ფიჩხივით ჩამომხმარ გიტას დედას მეზობლის გოგონა მოხმარებოდა. თონეში პური ჩაეკრათ, ვახშმისათვის ვარიები შეეწვათ ერბოში, ყველაფერი მაგიდაზე დაეღავებინათ. ლამაზ აენტოთ და სამუშაოდან დაბრუნებულ მამა-შვილს ელოდნენ. ისინიც ეხოში შემოვიდნენ, ხელები რუში ამოიბანეს და სუფრას შემოუსხდნენ.

— დმერთო დიდებულო! — სთქვა პავლიამ და შოთს დასწვდა, ლუკმა მოსტეხა, პირთან მიიტანა. სწორედ ამ დროს მოისმა ეზოდან ხმა:

— ჰა, პავლია, აგრონომი შინ ბრძანდება? ერთი გამომხედოს.

— ვინ იბახის? შინ შემოდის! — გაეხმაურა პავლია და ხელში წაიჭრა პურის ყუა ისევ სუფრაზე დასდო.

გიტა მკვირცხლად წამოდგა. გარედ გავიდა, ქისკრისკენ გასწია, საიდანაც მოისმოდა ცხენის ფლოქვების ბაგუნის და მოსულის წრუბუნის ხმაზედ იცნო გიტამ, პოზუა ქენჭაძე იყო.

— ცუდი ხომ არაფერია, პოზუა? — ჰკითხა გიტამ, ცოტა არ იყოს გაკვირვებულმა ნამოურავალის ასე გვიან მოსვლით.

— დევანოზიანთ წერილი მოგართევს და ამის გადმოსაცემად გეახელით, — მიუგო პოზუამ, მათრახი მარჯვნიდან მარცხენა ხელში გადაინაცვლა, უბეში ღრმად ხელი ჩაიყო, თეთრი კონვერტი მიაწოდა გიტას. თან სიტყვიერდაც დააყოლა: — ისედაც ვთხოვესთ, თითონ მღვდლის ქალიშვილმა, დილით უცილებლად გადმობრძანდესო, პირდაპირ ჩემთანაო. — ეს სიტყვა პოზუამ, ცხენს ლაგამი შეჰყარა და მოველო, უნაგირიდან დაუძახა წერილით ხელში გაჩერებულ აგრონომს: — ცხენს დილით ღამეულა თითონ მე ჩამოგვკრით ან მეჯინიბეს გამოვატან — და გაქქესლა.

— ვინ არის? — იკითხა გვიან გამოსულმა პავლიამ.

— პოზუა იყო.

— შერე, რა უნდოდა მაგ უწმინდურს? — კვლავ იკითხა პავლიამ და ზიზლით ჩაილაპარაკა: — ფუი ეშმაკსა და კელიანს!

გიტას აუნებლიედ და გულიანად გაეცინა. კარგა ხანია იცოდა, მამას ქუქყის ორმოსავით სძაგდა ნამოურავალი. ამიტომ დასამშვიდებლად უთხრა:

— დევანოზიანთ წერილი მომიტანა, მამილო, რუსულანი მწერს, — საჩქაროდ გადმოდიო.

— დევანოზიანთ წერილიო? შერმე კაცი რა იქნა? — შეუტია შვილს პავლიამ.

— წავიდა.

— როგორ თუ წავიდა?

— შენ რომ ის თვალში ამოგყევია, მამილო, შინ ხომ არ შემოგიყვანდი? — ვაი შენ, ჩემო თავო! რაღა კაცი ვარ ამის შემდეგ? ეს რა მომივიდა, ეს რა მიყავი!

პავლია ახლა შინ შევარდა, ცოლს მისდგა, თუმცა იგი არაფერ შეაში იყო: — ქალო, შენ მაინც რად არ მოგაგონდა, რომა ეგ საქმე ექნებოდა, შინ უნდა შემოგვეყვანა, პური მაინც გვექცია. ვაი, ვაი, ერთხელ მოვიდა ეგ მღვდრევი სასიკეთო საქმეზე და სწორედ მაშინ წამივიდა ხელიდან!

— გარედ თქვენ იყავით, — უგულოდ მიუგო ცოლმა, — მე აქ რას მუდავებო! — პავლია ისევ გაეარდა გარედ, ორჯერ გასძახა სიბნელეში: — პოზუაე! პოზუაე!

— ჰა... ჰა... ჰა! — ახარხარდა ეზოში გიტა.

პავლია ახლა მას მისდგა:

— რა ვაციანებს, კაცო? მაშვალი კი არა, ჩემ კართან გამვლელი არ წასულა პურუქმელი. პურ-ღვინით შქვიან კაცი და ამაშიც თავი შევირცხვინე. რაღად მინდა ეგეთი სიცოცხლე! ეს რა დამმართე, შვილო, ეს რა ღმერთი გამირისხნა? ერთს მაინც გეტყვოდი, შინ შემოდის-თქო და იმი წუწკი ფაფის ამბავი რომ ვიცი, ღვინითეინ თუნდა კუბრში გაკრავს თავსა. ახლა

რაღა პასუხი გავცე ქვეყანასა? სოფელში როგორღა გამოვიჩნდე? მაგვლად მისულს პური არ აქამესო. ვითქომსო, გაგიგონიათ ოჯახის პატრონულსე-  
თი სირცხვილი და თავის მოჭრა?

— გაათავე! ხვალაც ამ წლის არის! — შეუტია ცოლმა პავლიას, — დას-  
ხედით, იგახშმეთ!

გიტამ ლაპის სინათლეზე კონვერტს პირა გადახია და წერილის კითხვას  
შეუდგა. პავლია ისევ მოჰყვა:

— შეილო, ბარემღა გაათავე ეგ საქმე, მორჩი. აწი, სადაცაა ხანში წახ-  
ვალ, გლუხვაცის პირობაზე დაგვიანებულებ გაქვს ცოლის შერთვაი. იწნე-  
ბა ჩვენც მოვესწროთ რამესა. აგერ ოცდახუთი წელიწადია ჩემს სახლში  
აკვანი აღარ დარწეულა. თავლაფი დავასხი იმითანა ოჯახსა, საცა ვაეკა-  
ცი იყოს და ნანინა კი არ ისმოდეს აკვნის უღელზე დაჟუღებულ დედისა!  
სხვა რაღა არის ჩვენი ცხოვრება?

— პო... მამ... — ემოწმებოდა მშობელს გიტა, თუმცა ერთი სიტყვაც არ  
გაუფონია რიგიალ.

პავლია კი განაგრძობდა:

— თუმცა იღბალი საქმეა ყველაფერი. რაც უფალს შენთვის შებღს  
დაუწერნია, ის უნდა მოხდეს. არც გვიან, არც აღრე.

დილით აღრე გიტა ხმამაღალმა ლაპარაკმა გამოაღვიძა. ეზოში თავისი  
საჯდომი თაფლა იაბო დაინახა. რუმბივით ჩარგვალეზული ცხენა ხეხვი-  
ნებდა, ლაფშებიდან ლაგამ-გამოყრილი თივას ახრამუნებდა. პავლია ახლა  
კი აღარ ეშვებოდა პოზუს. შინ შეეყვანა. სუფრაზე ბოთლით ორნახადი  
არაყი ეღგათ. კარაქით სავსე ქაშანური, ერბო-კვერცხი, წუხელის ვახშმი-  
დან დარჩენილი ნიერის წვენში ჩამწნილი ვარდის ნახევარი წინ ეღგათ და  
შეეჭეოვნენ. ხმაური ამტკიცებდა, რომ სტუმარ-მასპინძელს ორ-ორი საღ-  
ვინე ჭიკა მაინც გადაეკრათ, შეზარხოშებულყვენ. გიტამ შეუარა მათ.  
ორიოდე ლუკმა ერბო-კვერცხი, ჩაიდო პირში ხელდახელ, გარედ გავიდა,  
ცხენს შეაბტა და სათიხრისაკენ გასწია.

სათიხარში ნახიჩი გამოერეკნათ. სოფელში ვაზაფხულის საამური ნამი-  
ანი დილის სიგრილე იღგა. მზეს წვერი ეკრა ბაღებისათვის. ხალხი კი არ-  
სად სჩანდა, თითქოს სახადს დარიდებიაო. ხეზს ჩქარა მიხვდა. სათიხარს  
შუაზე ჰყოფდა სარწყავი. სოფელში წყარო იყო. ამ რუს პირად შემდე-  
გი სურათი წარმოუდგა გიტას. ლეკებს ცხენეი მიერეკათ ზედ, წყალო  
დაელევენებიათ და ერთად შეეყარათ. თვითონ კი დილის ლოცვად იღგნენ.

გიტამ ვახეტა დეკანოზის ახლად აგებულ სახლსა და ეზოს, თავის ზიერ  
დაგეგმილ ბაღსა; რუსუდანი თავს ადგა გიტას გაწრთენილ მოჯამავირეს  
და ბაღსა რწყაედნენ.

რუსუდანამაც შეამჩნია გიტა. უმაღლე ბაღსა მიატოვა და სახლში შევი-  
და. მერმე კარზე ჩაეგება, ხელიდან ხვეერდოვანი ვარდების თაიგული ჩა-  
მოართვა, და ვაეი მეორე სართულში აიყვანა, თავის ოთახში. დეკანოზიანთ  
ყველას ეღვიძა, მაგრამ აქ თავის ოთახში, რუსუდანი მარტოდ იყო. გიტას  
საბოგნების კრუანტელმა დაუარა სხეულში. პირველად იყო რუსუდანთან  
პირისპირ, მარტოდ. თავისდა უნებურად ქორის ფრთებივით გაშალა მკლა-  
ვები და უეცრად, ბედნიერება თითქოს ციდან ჩამოვარდაო, ამ გაშლილ

მკლავებში რუსუდანი ჩაუვარდა, მკერდს მიეკრა. გიტამაც გულში ჩაიხეტა ქალი.

— რა იყო, რუსუდანი, რა მოხდა, რად დამიბარებ ასე? — ეკითხებოდა ქალს ბოლოს, რომელიც მხარზე თავმიდებული შესჩერებოდა.

— არ ვიცი, ღმერთმანი, ირგვლივ რაღაც შიშიანობაა, მოუსვენრობა. რა ექნა, რა ვუყო, მამის შეფიქრება.

„ღღესვე, ახლაც წავიდეთ აქედან“, — უნდოდა ეთქვა გიტას და ენა ველარ მოიბრუნა. სწორედ ამ დროს, ეზოში შევიდნენ ცხენოსანი ლეკები, სულ რამდენიმე წუთის წინად რუხე რომ ნახა გიტამ. ისინი ხმაურობდნენ და ამ ხმაურში გიტას ბარძიმ თუშელიშვილის ბოზი ხმაც მოესმა. გიტამ თოფნაკრავივით შეუშვა ხელი ქალს, ერთი ნაბიჯით მოსცილდა და ჰკითხა ძალზე ნაწყენმა და აფორიაქებულმა:

— რუსიყო, ყველაფერი ეს თქვენ ეზოში ხდება და შიშიანობას უჩივით? ვინ, ან რა დაგიშავათ, რომ ლეკიანობა მოაგონეთ ხალხს?

— რუსუდანი ფანჯარას მივარდა, გიტას აქოფვარა, ოდნავ დაახვეინა და დამხაშავესავით იმართლა თავი:

— არც მე, არც მამას ამ ლეკების აქ მოსვლაში ბრალი არ მიგვიძღვის. ბარძიმი უეცრად გაჩნდა რაზმიითურთ ჩვენსა, ჩირკოვსკის ეახლა, პლეშოვი კი ახლაც აქ არის. უთუოდ გახსოვს და იცნობ მას.

— წყალსაც წაუღია! რა ეშმაკად მინდა, იმათი საზე მახსოვდეს, რუსიყო? ნუ თუ არაფერი იღონე, რომ ეგ საძაგლები, თუ სოფელში არა, ეზოში მაინც არ შემოგვშვათ?

— გითხარი, შე და მამა უვალო ვართ-მეთქი! — ჩაილაპარაკა რუსუდანი და გიტას თვალეზში შეხედა.

— ჩირკოვსკი? პლეშოვი? ამაშიც უვალო ხართ? გამოდის, შე მომიწვევია ისინი და არა თქვენ. რუსიყო, ეს ხომ თავდასხმა იმ ხალხზე, რომელსაც არაფერი დაუშავებია, რომელსაც თავის დარჩენის, ჩამომავლობის გაგრძელების სახსარიც კი გასწყვეტია.

რუსუდანიმა წარბები შეიკრა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან და მოშორებით მდგომმა სთქვა:

— რას ამბობ, გიტა? ეგ როგორი ხუმრობაა. რა თავდასხმა, ვინ ხალხზე? იმათ ზომ არ გულისხმობ, ვინც მამას მიწებში შევიდა ყაჩაღურად? რომელი თავადები ჩვენ გენახეს!

— თქვენსაშიც ისე შევიდნენ, როგორც სათავადოში. გვარს აქ მნიშვნელობა არა აქვს, ორმოც დესტრინამდე მიწა აქვს ლიახვის ხეობაში დეკანოზს. ამით იგი შემამულეა. ახლა მრევლიდან შემოსავალი, ქალაქის სახლები ქონებას არ ნიშნავს თუ? ბანკში შენახული ფული კიდევ სჭკაა. გვარი, გვარი! ვინდა პირველი ბაგრატიონისა, ვინდა ისა რაცა გაქვთ, რევოლუციის სასამართლოში ეგ სულ ერთია. ყაჩაღურად? ეს კიდევ რაღა სთქვი, რუსუდანი? გდებები თუ შემამულეების მიწებს იფლობენ, ამას პქვიან — „მიწა მის ღამმულშავებელს“ და ეს რევოლუციური აქტია. გლეხი თავისას ეძიებს და იფლობს. ყაჩაღები ისინი არიან, ვინც მათ ნებნასურვილს ეწინააღმდეგება.

— ჩემო ბატონო, მე თქვენა არა მესმის-რა, — წამოიძახა ვაფთორებულმა ქალმა, გიტას მკლავში ხელი მოავლო, აიენისკენ გასწია.

გიტამ ფეხი გადადგა და რაღაც გამოებლანდა. დაიხედა და ვარლის კონა დაინახა, თავის ეზოში რომ დასკრა ამ დილით და რუსულდნს წააშროლო. უცრად დაიხარა ასალებად. ვერ მოასწორო, რუსულდნმა კონას ფეხი გააჭრა და ბნელ კუთხეს მიიხარცა, მერე უცრად აიგანზე აღმოჩნდა.

— აგერ შენა და აგერ ბარძიმი, — მიახალა ქალმა: — როგორც გინდათ, გაარკვეით, ვინ არის ყაჩაღი. მე კი აღარ შემიძლიან ვიძიო. დროა ბოლო მოუღოთ ამ შიშთანობას!

— ჩემგან რა გნებაეთ? — აუწია ხმას გიტამ.

— შენ იცი ყველანი, ვინც ამ მიწების დატაცებას თაოსნობს. გლეხი ამას ვერ მოიფიქრებდა, ვერც გაბედავდა და ვერც მოაწყობდა. წამქეზებლები აჭირებენ საქმეს, პო-და შენ იცნობ მათ ყველას, დაპყრიფეთ, დაჭით ყველანი. ეს რას ნიშნავს: კაცს სოფელში თავისუფლად ვერ გადაუღვამს ფეხი, ჩასაფრებული მტერი გენგენება ყოველ ძეძვის ძირად! — მრისხანედ მიუგო რუსულდნმა.

— სათიხარში დღეს შენგან დახატული სურათი წინააღმდეგს ამბობს. აა გლეხის ქალები და ბავშვები შიშით რუხედაც ვერ მისულიყვენ წსლის წასაღებად, თქვენ კი, რუსულდან, ბაღში თავისუფლად დასეირნობთ. ხუმრობთ ან გონებაზე არა ხართ, — უკანასკნელად სცადა გიტამ რუსულდნის დაჯერება.

— ვიცი, რასაც ვშერები, ვისთანაც მაქვს საქმე. აბა შემოგვხედე! ჩვენ იმდენი ამაგი და დავალება გვაქვს შენზე, ეგეთები არ გაგვიბედო. დაგვიჯერე და მოგვეხმარე. ნუ დაგავიწყდებათ, რომ მე ამისათვის (რუსულდნმა თან მამისაკენ გაიხედა) ყველა შესაძლებელ ჯილდოს გპირდებოდით! — შეაწყვეტინა რუსულდნმა.

— რუსა, თუ ამისათვის მიხმეთ, მე არა მცალიან, მივდივარ, — სრულიად მშვიდად უთხრა გიტამ და თვალი მოავლო წრესავით მის გარშემო დაძვარ თუშელიშვილს, დეკანოზს, უთნელოვს, კიდევ ვიღაცეებს, საჩქაროდ ქუდი მოუხადა ყველას, გაბრუნდა კიბეზე ჩასასვლელად, მერე იქიდან, ეზოში, სადაც ცხენი ება.

— ბატონო აგრონომო, ნუ ჩქარობთ, ეგ არის თქვენი ქართული დახვედრა? რამდენი ხანია ერთმანეთი არ გეინახავს! — გაიგონა გიტამ ამ დროს და პლეშოვს მოჰკრა თვალი.

გიტა უცერივ შედგა, არ მოელოდა იქ მისი ლანდის გამოჩენას. პლეშოვმაც უდროვია, მარჯვენა ხელი დაუქირა და განაგრძო:

— ჩემთან, აგრონომო, დასამალი არა გაქვთ-რა. თავს ისე ნუ წარმოიდგენთ, თითქოს ხალხს თქვენს მეტი მსახარლე არა ჰყავდეს, თითქოს ჩვენ არა გეკითხებოდეს-რა. თქვენც გიცნობთ, რაცა ხართ. მე უკვე მოვასწარი თქვენი პროექტების შესწავლა. გამოვიტყდებით, უდიდესი შრომა გაგიწევიათ. მაგრამ ერთი შენიშვნა მაქვს. ნამდვილი სამოთხე წარმოგიდგინიათ და დავიბატეთ, სწორედ ისეთი, სემინარიასში რომ ხუთხავდით. მაგრამ სააქაოში შიგ ყველას შეეგება პრ შეიძლება, საიქაოში კი კეთილი ინებეთ, თუნდაც ღობე ნუ ჰქონია გარშემო. აი ხომ იცნობთ?

პლეშოვმა ზურგს-მოთარებული მარცხენა ხელი გამოაჩინა და გიტამ ცხვირთან მიუტანა მისი ნახაზები და განმარტებითი ტექსტები. უთხრა:

— ხომ ხედავთ, ხომ იცნობთ?

— ვიცნობ, ვხედავ. ქურდობა, გაცემა, მკვლელობა შეგფერით, გშვე-  
ნით. ტყუილად კი არა ხართ ლიბერალი!

პლეშოვი/სანტად არ დარჩა: შეიშნო. იმავე ტონით განაგრძო:

— მაგას არა გვითხავთ. უკეთესია გაიხსენოთ, როგორ მოგეხმარათ ბატონი თომა, ქალბატონი რუსუდანი, ბატონი ბარძიმი, ჩირკოვსკი და სინოდის წარმომადგენელი. როგორ ამოგაძრეს ტალახიდან, ვადაგარჩინეს ტილებს...

— ჩემს კეთილისმყოფელთა შორის მართო თქვენი თავი დაგაეწყდათ, — მოაგონა გიტამ.

— დიად, მეც. და რა მივიღეთ თქვენი სახით? ერთი მეოცნებე და ამრევი. ისეთი ვინმე, რომელსაც აი ესენი (თომას მოჯამაგირეზე უჩვენა პლეშოვმა) ციმბირსა და საპყრობილესაყენ მიჰყავს. ელიზბარს მაინც როგორღა შესტკერიო პირში? მიეცით თუ არა განცხადება სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ, რომ თქვენი გზა მონახოთ?

— თქვენ ნუ სწუხართ იმ ხალხზე, რომელსაც ეზიზღებით. მათ უკეთ იციან, რასაც სჩადიან. რაც შემეხება მე, ამაზედ მით უმეტეს, ელიზბარს არას ვკითხავ. თქვენ მას ელიზბარის ქონებას ეძახით, მე კი ხალხის ქონებად ვთვლი, — შეუღრინა გიტამ.

პლეშოვი მაინც არ მოეშვა.

— ყველაფერს თავი დავანებოთ, პირდაპირნი ვიყოთ. გვიამაგნია და ვალი გმართებთ. ამიტომ გონიერება მოიკრიბეთ. გამოგვიტყდით.

— ბატონო პლეშოვ, მე სიამოვნებით გამოგიტყდებით. ყველა ლიბერალი გველია, თქვენ კი ყველაზე შხამიანი ხართ მათ შორის. აგრონომ გიტა მეზერიშვილს თქვენი არა მართებს-რა: ამათი კი (გიტამ მოჯამაგირეზე უჩვენა) — ყველაფერი. და რაც უნდა უბედურებაში ჩავეარდე, აგრონომი მათ ზურგში დანას არ დასცემს. მშვიდობით! — გიტამ ფეხი გადადგა.

— ჰაიტ, სად ვარბი?

დაიჯიჯღინა უცებ ალიბეგა არობლინსკიმ. ისეუბა, ხელეში სწვდა აგრონომს და გადაუგრიხა:

— ქვეწარმავლებო, მოლაღატებო! — დაიღრიალა გიტამ და ტყვილისაგან გულშეღონებული კუთხეში დაეცა, მიგდებულ გათელილ ვარდის კონის ახლოს. ალიბეგ არობლინსკიმ ხელები ზურგზე დაუწყო და ზედ მუხლი დააჭირა, თან იღმიკებოდა, თავის ენაზე რაღაცას ლიჯლიჯებდა.

დეკანოზი შემოვარდა, აქეთ პლეშოვს ეცა, იქით ბარძიმ თუშელიშვილს შეუტრიალდა.

— ლეთის გულისათვის გაუშვით! ეგ რომ ჩემს სახლში დაშავდეს ან დააბათმროთ, ვერც ერთი აქედან ფეხს ვერ გავდგამთ ცოცხალი!

— გვიშველეთ, გაუშვით! შეხედეთ, რა ამბავშია სოფელი, — ეხვეწებოდა რუსუდანიც ხან პლეშოვს, ხან თუშელიშვილს.

— გაუშვით, თორემ ჩვენთან გექნებათ საქმე! — მოისმა გარედან. ყველამ გარეთ გაიხედა. სოფლელები მოვროვილიყვნენ დეკანოზის სახლის მანლობლად. ერთი გუგუნნი და ალიაქოთი იღგა.

— გაუშვით, ცოდო აგვაცილეთ! — შეჰკივლა რუსუდანმა და გაფითრებულია პლეშოვმაც სთქვა:

— გაუშვით, წავიდეს!

ალიბეგ არობლინსკის კი ისევ ზედ ედგა ფეხი და არ აპირებდა ვიტას განთავისუფლებას. მკვლელობის ეინზე მოსულს აღარაფერი ემსონდნა. მაშინ პლემოვი მივიარდა, მსხვერპლი ხელიდან გაავდებინა და დაფურთხა, ეზოში ჩაირბინა, ხელები რუში ამობანა და თეთრი ცხვირსახოცი გაიწმინდა, რაც იქვე გაატანა წყალს. კარგა ხანს სუნავდა ზელის გულს.

— გავეყები, ღზაში მოვკლავ! — შეეხვეწა კლანკიდან მსხვერპლ-გავდებული, სისხლის ხოშზე მოსული ალიბეგა ბარძიმ თუშელიშვილს. ბარძიმმა არაფერი უთხრა, ერთი შეუბღვირა მხოლოდ და კარებში ჩადგა, რათა აგრონომის კვალდაკვალ არ გაეშვა სისხლარეული შაერაზმელი.

გაოგნებული გიტა ეზოში ჩავიდა. მერე ბარბაცით, მთვრალივით გასწია ცხენისაკენ. ვიდაც გლეხის ბიჭმა უხანგი დაუჭირა, ვაგლახით შეჯდა უნაგირზე, მღერიე თვალში მოავლო იჭაურობას და გლეხი ქალების, კაცებისა და ბავშვების თანხლებით შარას გაჰყვა.





ი. კრილოვი

# იგავ-პრეპები

## ბ რ მ ა რ ა

ერთ სახლში,  
დერეფნის კუთხეში,  
ძირს ეგდო ტომარა უბეში,  
და მოსთვის ისიც ვი კმაროდა —  
რომ ზოგჯერ მსახური სანაგვედ ხმარობდა.

და უცებ...  
ტომარას მიეცა ღირსება,  
უცქერის, — დღითი დღე ფულებით ივსება,  
მოჭედო სკივრში ძვეს, მას არვინ არა სჯობს, —  
პატრონი დღე და დამ უვლის და სდარაჯობს.  
მის ახლოს ბუხსაც არ ატარებს,  
ნიაფი რომ არის, ნიფს არ აყარებს.

ტომარას საქვეყნოდ გაეთქვა სახელი,  
მის პატრონს ბევრი ჰყავს კეთილი მნახველი  
და ვინც კი ლაპარაკს გაუბამს, —  
მხოლოდ მის შესახებ დაუწყებს საუბარს.  
ან კიდევ ყელამდი ფულებით ავსილი  
ტომარა თუ დახვდათ გახსნილი, —  
ყველა მას შეჰხარის, აღერსით ეხება,  
თავს უბრის, თავყანს სცემს და ფეხქვეშ ეგება.

ტომარა გასქელდა,  
ტომარა გაგრძელდა,  
ყოყონობს, მას ყველა აქებს და ენდობა.  
ტომარა ჭკუითაც დაბრძენდა,  
დაიწყო როშვა და ყბედობა:

ეს ასე რომ ხდება, რათ ხდება!  
ის საქმე ამგვარად წახდება...  
ის კაცი ვიფია, ეს კიდევ ბრძენია!.. —  
განაგრძობს ტომარა და არა სცხვენია.  
ქება და დიდება საქვეყნო მოთმენას, —  
სხედან და უსმენენ, ვაი ამ მოსმენას!

თუმცა ხალხს ჩვენს დროში ეს ზნე აქვს დაცდილი,  
 აღიღოს ტომარა ერთბაშად გაზრდილი,  
 მაგრამ თუ ქვეყანა ბრუნავს და იცვლება, —  
 ტომარაც ზოგჯერ ხომ იცლება?  
 აღიღეს, სანამდე ცხოვრობდა ფულებით,  
 მერე კი ჩვარივით მიაგდეს სრულებით.

საქონლის  
 განაწილება

ჩვენ ამ იგავით არა ვფიქრობთ ვისმე ვაწყენდით,  
 რამდენი არის ქვეყანაზე ჩარჩი-მდიდარი, —  
 წინათ რომ სხვას ქვეშ ეგებოდა ვით ფეხსაწმენდი,  
 არ ქონდა გროში და ცხოვრება არავითარი.

ეხლა გამდიდრდნენ, გადიდკაცდნენ, რას არ სჩადიან.  
 მხოლოდ თავადებს მეგობრობენ, მათთან დადიან —  
 ვისთანაც უწინ დერეფანშიც ვერ შებედავდნენ.  
 უბრალო ხალხს კი ყოყოჩურად ველარ ხედავენ.  
 ან ფულს ხეუტავენ, რადგან მაღა მოღის ქამაში,  
 და მილიონებს გაჰკივიან ბანქოს თამაშში...

მათ მინდა ვუთხრა, მეგობრობით, არა ფლიდობით,  
 მერე ეს სიტყვა სამუდამოდ ემახსოვრებათ:  
 დმერთმა ნუ ქნას და, თუ გაკოტრდნენ, მერე მშვიდობით, —  
 ფული წავა და დარჩებიან მხოლოდ ტომრებათ.

თარგმანი ილო მოსაშვილისა

### ბუზი და მგზავრები

მკათათვის შუაგულ სიციხეში სვენებით  
 აზნაურს ეტლი ძლივს დაეძრა ცხენებით:  
 შიგ ეწყო ბარგი და მიჰყავდა ჯალაბი, —  
 ნემსი რომ ჩაეგდოთ — არ იყო ალაგი.  
 ცხენები წვალობდნენ, გაჩერდნენ შარაზე,  
 შეეტლევ წვალობდა,  
 ლაქია ცხარობდა  
 და მათრახს ურტყამდა ძალაზე.

ამან რომ ვერ გასჭრა, ჩამოხტა ბატონი,  
 შვილებიც ეტლზე არ გაჩერდნენ მარტონი, —  
 ბატონიც, ცოლიც და აღმზრდელიც ჩამოხტა.  
 ცხენები ეხლა კი დაიძრნენ წვალებით,  
 თუმცა კვლავ ქვიშაში რჩებოდათ ნალები,  
 რადგან ქალს არ სურდა სხვა ტვირთის ჩამოხტა.

ეს ბუზმა შენიშნა, მივარდა ბუზლუნით,  
 გააბა რაც კი მას შეეძლო ზუზუნით.  
 დაფრინავს, ტრიალებს, წუხდება:  
 ერთ ცხენს გარს ურბინა,  
 მეორეს უკბინა,  
 მესამედ — კოფოზე სკუბდება.

ხან ცხენებს სტოვებს და ფარულად  
 მგზავრებში ფართურობს მგზავრულად.  
 ან როგორც ბაზარზე ჩოდარი დამკრება,  
 დაღის და სხვას საქმეს უწუნებს:  
 — კარგი რომ გავძელი — ამდენი გაძლება, —  
 არაეინ მშველისო, — ზუზუნებს.

აყბედდა, როგორც ეს იციან ბრიყვებმა,  
 აღმზრდელი ქალბატონს კურკურით მიყვება;  
 ბატონი — მსახურ ქალს ტყისაკენ, სოკოზე...  
 ბუზი კი თავისას განაგრძობს კოფოზე:

„უჩემოდ ამ გზაზე რა წაეა?“

სულ მე ვარ — რაცა ვარ!“

„სულ მე ვარ, — შრომაში ყველას მე ვაქებებ;“ —

და ამ დროს ცხენებიც გავიდნენ ვაკეზე.

„ძლივს!“ — ბუზმა შესძახა, შესწყვიტა ჯავრობა,

„დაბრძანდით!“ — უსურვა კეთილი მგზავრობა.

„მე კი ფრთებს ვეღარ ვძრავ... არაფერს დავეძებ, —  
 ოღონდ აქ დაღლილი უცებ არ დავეცე!“

ამ ქვეყნად ბუზივით პაწია —

რამდენი უქნარა კაცია!

ყველგან რომ დამკრება და შველას პირდება,

სადაც ის არავის სჭირდება!

თარგმანი ილო მონაშვილისა.

### მწერალი და ავიაჰაი

ქვესკნელში, აჩრდილთ შავ-ბნელ ბინაში,  
 წარსდგნენ, მოჩიილად, მსაჯულთ წინაშე,  
 ერთდამივე დროს: ყაჩაღი-თული  
 (ის დიდ შარავზის იყო მძარცვავე  
 და მით მარყუქში გაპყო მან თავი),  
 მეორე იყო სახელგანთქმული  
 მწერალი, იგი თავის თხზულებებს  
 ეღენთავდა მუდამ შხამით ძლიერით,  
 გარყვნილებას და ურწმუნობას  
 ხალხში ნერგავდა სიტყვაცბიერი.  
 სირენასავით იყო ტკბილენა,  
 თანაც საშიში, როგორც სირენა.  
 ჯოჯოხეთში კი გასამართლება  
 დაუზანებლად, სასწრაფოდ ხდება,  
 ხელათ გამოაქვთ დადგენილება.  
 ორ დიდ, საშინელ, ოჯინჯალაზე  
 დიდი ქვაბები დაჰკიდეს ხელად,  
 დამნაშავენი დასხეს ცალ-ცალკე



და ავაზაკის ქვაბსა პირველად,  
 შეუნთეს მარღად კოცონი დიდი,  
 თვითონ შეგერამ დაანთო იგი:  
 ჯოჯოხეთის თაღს აღნი სწვდებოდნენ  
 და მხურვალეებით ქვეში სკდებოდნენ.  
 მწერალის მსჯავრი არ სჩანდა ძნელი,  
 პირველად ცეცხლი შეუნთეს ნელღ,  
 მაგრამ თანდათან ძლიერდებოდა,  
 გავიდნენ წლები, არა ცხრებოდა.  
 ჩაპქრა კოცონი ავაზაკს ქვეშა,  
 მწერლის ქვაბს ქვეშ კი გიზგიზებს შეშა.  
 რომ ვერ სკვრეტს ბოლოს თვის გასაქირის,  
 ტანჯვაში მყოფი მწერალი პევირის, —  
 ღმერთებს სიმართლე არ აქვთო სრული,  
 ვიყავი ქვეყნად სახელგანთქმული  
 და თავისუფლად, ვთქვათ, თუ ვწერდიო —  
 სასჯელი მომიცეს მეტის-მეტით:  
 ნუ თუ ავაზაკს ჩემზე ცოტათ,  
 ჩაუდენია ქვეყნად / ცოდვათ.  
 ეს სთქვა და მის წინ მშვენებით მთელით,  
 მთელი დიდებით, —  
 თმებში ჩაბლართულ წრიპინა გველით  
 და ხელში სასხლში მისკრილ შოლტებით,  
 სამთგან ერთი და ჯოჯოხეთისა  
 გამოჩნდა მყისა.  
 უთხრა: „საბრალოვ, განა ეგები!,  
 რომ შენ სამღურავს ჰხედავ განგების?  
 ნუ თუ თავს აღრი შენ ავაზაკთან?  
 არჩად სჩანს ბრალი მისი შენს ბრალთან,  
 მას მძვინვარებით და ბორბტებით  
 ვნება მოჰქონდა,  
 სანამ ცოცხლობდა,  
 შენ კი... თუმც შენი გაიხრწნენ ძელები,  
 ისე არ გაშლის სსივს მზე მალალი,  
 რომ არ ჩნდეს შენი ცოდვა ახალი.  
 შენს თხზულთა შხაში კი არ ნელდება,  
 დრო გადის იგი უფრო მძვინდება.  
 ნახე (სამყარო აქ მას აჩვენა):  
 რა ბორბტებაც გიქნია შენა,  
 რა, სიავეშიც ხარ ბრალდებულნი;  
 შეხედე შეილებს სირცხვილს მშობლების,  
 მიზეზთ დედმამის განწირულების!  
 ვინ მოუშხამა მათ ქვეა და გული? —  
 შენ, შენი თხზულით.  
 ვინ დასცინოდა ვით ფუქ ოცნებას  
 ოჯახს, მთავრობას, ხელისუფლებას,



ვინ ისწრაფოდა რომ დაეშალა  
 ხალხში ურთერთთან კავშირის ძალა?  
 შენ არ იყავ რომ ურწმუნობას  
 ეძახდი წინსვლას და განათლებას?  
 შენ არ აძლედი ტურფა საბეჭას  
 გარყვნილებას და ბიწიერებას?  
 და, აი, შენი მოძღვრებით კრულით,  
 იქ შთელი მხარე, თავბრუდასხმული,  
 საესვა მძარცველ კაცისკვლელებით,  
 მტრობა-მუღლით და ფჯანყებებით.  
 შენ მიიყვანე დაღუბვამდე ის,  
 ყოველი წვეთი სისხლის და ცრემლის  
 დაღვრილა შენით  
 და ღმერთთა გზობას ვით ჰბედავ ენით?  
 მომავალშიაც რაოდენს კვალად  
 დაჰბადებს ბოროტს შენს წიგნთა ძალა?  
 ითმინე: აქ შენ კანონიერი,  
 ცოდვებისათვის, გერგო სასჯელი!  
 უთხრა მეგვრამ განრისხებულმა  
 და ქებას დაჰხურა ისევ სარქველი.

თარგ. გრ. ცეცხლაძისა

მ ე ლ ა

ციც ზამთარში, აღრიანად,  
 სოფლის ახლოს, ერთი მელა  
 ყინულჭრილში ჩასულდოყო  
 და წყალს სვამდა ნელა-ნელა.  
 ბედით იყო თუ შემთხვევით  
 (რალად გვინდა ჩვენ ძიება),  
 კუდის წვერი დაუსველდა  
 და ყინულზე მიეწება.

გასაკვირი არ ჩნდა დიდი,  
 ეწყობოდა ხიფათს შველა:  
 იკმარებდა თუ ერთს მაგრაღ  
 გაიწვედა ჩვენი მელა.  
 ვთქვათ, თუნდ ორი ათეული  
 დაეკარგა ბეწვი იმას, —  
 სანამ ხალხი მოუსწრებდა,  
 მიალწვედა თავის ბინას.  
 მაგრამ კუდი წაიხდინოს?  
 გადაიქცეს თავის მტერად?  
 მერე რა რიგ ბუტუტაა,  
 როგორ ბრწყინავს ოქროსფერად!?



ლოდინი სჯობს, ჯერ ხომ მაინც  
 აღრე არის, სძინავს ყველას.  
 იქნებ თბილი დარიც დადგეს  
 და გაულხვეს კუდი მელას.

ელოდება ის და კუდი  
 ეყინება უკვე მთელად.  
 ჰა, გათენდა. იღვიძებენ,  
 ხმაურობა ისმის ველად.  
 ის საწყალი ჩვენი მელა  
 აქეთ-იქით თავს ახეტჷებს, —  
 კუდი უფრო ჩაყინულა,  
 მის აგლეჯას ვერ ახერხებს.  
 ბედზე მგელი დაინახა:  
 — „მეგობარო, ნათლიმამა!  
 თუ არ მიხსენ ვიღუბები!“ —  
 მიიძახა მას შელაშა.  
 შეიბრალა ნათლიმამამ,  
 ეშველება მიამიტად.  
 მაგრამ სხვის რას გააწყობდა:  
 კუდი ძირში მიაცვნიტა.  
 სახლში გარბის აწ უკუდო,  
 ბრიყვი მელა საცოდავი.  
 მითაც ხარობს, რომ ბედჯრულმა  
 არ დატოვა სულმთლად ტყავი.

— — —  
 ვფიქრობთ აზრი ამ იგავის  
 აშკარაა და ნათელი:  
 ორ ათეულ ბეწვზე მელას  
 რომ აედო დროზე ხელი,  
 არხეინად იქნებოდა,  
 შერჩებოდა კუდი მთელი.

თარგ. გრ. ცეცხლაძისა

# ათასნი ღაუსამიან<sup>1</sup>

თავი მხათი

რღეკალონი, კილვილი და ქალეზი

სიცრუე, მოტყუება, ეშმაკობა, ძალადობა — ყველაფერი დასაშვებია სო-  
როტეზასთან საბრძოლველად.

ჩემი კარიერა თავბრუდამხვევეი აღმოჩნდა. დაიწყო იმით, რომ დოქტორ  
ფრანკს, ბანაკის მთავარ ექიმს, ჩემი მომსახურება დასჯირდა.

არ გაუვლია ორ დღეს მას შემდეგ, რაც მუდმივი თარჯიმნის მოვალეობა  
ვიცისრე, რომ დოქტორმა შმიდტმა მოისურვა ზოგიერთი მითითების მოცემა  
ჩემთვის, რისთვისაც თავის ბინაზე წამიყვანა. ოფიცრებს ბინები ბანაკს გა-  
რეთ ჰქონდათ, გზის გადაღმა. ბანაკიდან გამოვედი, გზა. გადავქერიო და  
ღიდ ეზოში შევედი. ამ ეზოს ირგვლივ იყო ჩამწყობებული ოფიცრებს  
„ვილები“. ეს იყო პირველი ჩემი გამოსვლა ბანაკიდან. არასოდეს ისე მკვეთ-  
რად არ განმიცდია ის, თუ რა არის თავისუფლება, როგორც მაშინ, როცა  
ერთი ეზოდან მეორე ეზოში გადავედი.

შმიდტის ბინაზე დაგვხვდნენ მთავარი ექიმი ფრანკი და რამდენიმე ოფიცე-  
რი. ფრანკი შალალი ტანის კაცი იყო. მისი სახე მომაცვდავისაგან გადაღებულ  
ნიღაბს მაგონებდა. იგი ოფიცრებია წინაშე მჭერმეტყველებდა. დერეფანში  
მესმოდა მისი ხმა, მაგრამ გავარჩიე მხოლოდ ის, რომ აგინებდა ებრაელებს,  
ეს-ესელებს, აბრეშუმის საქონლის ვაჭრებს, ქალებსა და ლოტარინგელებს.

შემდეგში გავიგე მთავარი ექიმის უკმაყოფილების მიზეზი. დოქტორ  
ფრანკს წერილი მიეღო საქსონიის რომელიღაც ქალაქში მცხოვრებ ცოლისა-  
გან, სთხოვდა, გაეგზავნა საკაბე — ოთხი მეტრი აბრეშუმი (თი რატომ-ღანძ-  
ღაუდა ქალებს — საზღვარი არ იციან ხარჯეაში). გერმანიაში ამ საქონლის  
მოვნა შეუძლებელი იყო. ექიმს მთელი დღეზი და ნანსი მოეგლო, მაგრამ  
ვაჭრებს უარი ეთქვათ — აბრეშუმის ქსოვილი არა გვაქვსო (აქედან უკმაყო-  
ფილება ვაჭრების წინააღმდეგ). ბოლოს გაუგია, რომ ნანსში არის შალაზია,  
სადაც განუსაზღვრელი რაოდენობით შეიძლებოდა თურმე აბრეშუმის შეჭე-  
ნა. მაგრამ იქ ლოტარინგელებს ორმაგი ფასი მოუთხოვიათ. ექიმს ოთხი მეტ-  
რი აბრეშუმი მიიწე შეუძენია. მაგრამ ეს-ესელებს, რომელნიც საზღვარს  
დარაჯობდნენ დღეზსა და ნანს შორის, ნაყიდი აბრეშუმი ჩამოურთმევიათ  
(აქედან უარყოფითი დამოკიდებულება ეს-ესელებისადმი). რაც შეეხება  
ებრაელებს, ისინი ხომ ყველაფერში არიან დამნაშავენი და მათ საღანძღა-  
ვად საქირო არ იყო განსაკუთრებული მიზეზი.

<sup>1</sup>) იხ. „მნათობი“ № 6.



სანამ მე დერეფანში ვიცდიდი, მესმოდა, როგორ მაქებდა დოქტორი შმიდტი და როგორ ურჩევდა თა ხში მყოფთ — გავეგზავნე ნანსში სასენდელში სათვის. გული ძალზე მიცემდა. ვგრძნობდი, რომ წყდებოდა ჩემი სულ. ბოლოს, კარი გაიღო და შმიდტმა მიბრძანა შევსულიყავი.

ოთახი, სადაც მე შევედი, თამბაქოს ბოლით იყო სავსე. ოთახში დამხედნენ კაპიტანი კოლრუში, გესტაპოელი, დოქტორი ფრანკი, შმიდტი და ორი უცნობი ოფიცერი, ყველა ესენი მაგიდას ესხდნენ და ლუღს შეეპყვოდნენ. მოშორებით, ოთახის საღრმეში, იდგა უნტერ-ოფიცერი ვერნერ პაპე, ფილოსოფიური ფაკულტეტის სტუდენტი.

— ხომ არ მოისურვებთ ნანსში წასვლას? — მკითხა დოქტორმა შმიდტმა.

— რატომაც არა, პერ ობერ-ლეიტენანტო.

— იქნებ მოახერხოთ იქ საქონლის შეძენა?

— რა თქმა უნდა, მოვახერხებ.

მცირე ხნით სიჩუმე ჩამოვარდა. მერე კაპიტანმა კოლრუშმა მკითხა:

— იცით თუ არა, რომ დიეზსა და ნანს შორის საზღვაო გადის, რომ იქ სანაპირო ხაზია?

— არა, არ ვიცი, პერ კაპიტანო.

დოქტორმა ფრანკმა ამიხსნა:

— რამდენიმე დღის წინათ აკრძალული ზონა დააწესეს. ჩვენ ამ ზონაში ვამყოფებით. ნანსი ოკუპირებულ ტერიტორიად, მაგრამ შაინც საფრანგეთის ქალაქად ითვლება. დიეზი-კი სამუდამოდ შეუერთდა გერმანიას. ხომ გესმით?

— მესმის, — მიუუგე მე.

— საზღვაო გადის ოცდაათხუთ კილომეტრზე ნანსის ჩრდილოეთით და თექვსმეტ კილომეტრზე დიეზის სამხრეთით, — განაგრძო დოქტორმა ფრანკმა, ფეხზე წამოდგა და ოთახში სიარული დაიწყო. — არაკურში საღარაჯოა. ნანსიდან დანრუნებისას არაკურს გამოივლით და გერმანიაში შემოხვალთ. დიეზს იქით კონტროლი აღარ არის. მაგრამ დიეზი აკრძალულ ზონად ითვლება. აქ შემოსვლა აკრძალულია ყველასათვის, სამხედროებს გარდა, რასაკვირველია.

ყურები დავცქერა და თან თვალები სულელურად დავაჰყვიტე.

— ვატყობ, ვერ მიმხედარხართ საქმის ვითარებას, — სიტყვა მოუთმენლად დოქტორმა ფრანკმა და შეჩერდა.

— შიგზედი, ბატონო მთავარო ექიმო.

— ევთილი, — სიტყვა დოქტორმა შმიდტმა: — მამ მოემზადეთ ნანსში წასასვლელად. ჩვენ საქონლის სიას შევადგენთ.

ქუსლი ქუსლს მივაჯახუნე.

კაპიტანმა კოლრუშმა ამათვლიერ-ჩამათვლიერა და, როგორც ყოველთვის, სტეკი წაღაზე შემოიკრა.

— ჰმ! — წარმოსთქვა ბოლოს მან. — იცით თუ არა, რა მოგვლით, საზღვარზე თუ დაგიჭერენ?

— არა, არ ვიცი.

— დაგზერეტენ.

სიტყვა ეს და გრძელი ფრჩხილები ლუღის ქიქაზე ააჰკუნა.

— იცით თუ არა, — განაგრძო მან, — რა მოგვლით, თუ გაამხელთ და იტყვიან ვისთვის მოგაქვთ ნაყიდი საქონელი?



— არა, არ ვიცი, პერ კაპიტანო.

— თუ ეს-ესელები გაგანთავისუფლებენ, თავათ შე გავცემ ბრძანებას ჩემს დაგზავრითან.

ბრინჯიანად ჩაიცინა, სხვებმაც ჩაიცინეს. ტანზორბა დოქტორმა ფრანკმა ორი ბითობთ შოკოლადი აიღო და პირში ჩაიღო. დოქტორმა შმიდტმა პენსნეს შუშა გაიწმინდა.

— როგორ ფიქრობთ ნანსში წასვლას? — მკითხა მან.

— იქნებ სანიტარული მანქანით სჯობდეს, — გაუბედავად წარმოვსთქვი მე.

— ბრწყინვალე აზრია! — წამოძახა დოქტორმა ფრანკმა. — მე მოგცემთ მგლავზე გასაყვებელ წითელი ჯვრის ნიშანს. ჩვენი საევაქუაციო პოსპიტალი ნანსშია. მძიმედ დაკრილებს იქ ვგზავნი. მონახეთ საავადმყოფოში საიმედო კაცი და დააწინეთ მანქანაში. თქვენ-კი გაყვეით, როგორც სანიტარი. — მერე ბაბეს მიუბრუნდა: — ხომ არ მოისურვებთ-მცველად გაყვეთ?

— რასაკვირველია, გავყვები, ბატონო უფროსო ექიმო.

— კეთილი. აიღეთ თიფი და მოემზადეთ.

მაშინვე საავადმყოფოს მივაშურე. იქ რენეს ჭეთხარი, რომ იგი შიძიმე ავადმყოფია და ნანსში უნდა წაიყვანოთ, ამასობაში მივიღე ფრანკის მიერ გამოგზავნილი წითელი ჯვრის სამკლავური. სამკლავურს თეთრი ფერი ჰქონდა. ზედ გამოსახული იყო დიდი წითელი ჯვარი და სვასტიკი. ინგლისური ქინძისთავით მივიმაგრე იგი მარცხენა მკლავზე. გუნებაში ვფიქრობდი, რა უფრო საიმედო გამოდგება — წითელი ჯვარი თუ სვასტიკი.

პაპემ სია მომიტანა. ეს სია ხუთი ოფიცრის (იქნებ მეტისაც) შრომის ნაყოფი იყო. აი თვით სია:

8 მეტრი წითელი აბრეშუმი

4 მეტრი ცისფერი აბრეშუმი

2 გირვანქა პილბილა

სამთი (რაც შეიძლება მეტი)

შოკოლადი (რაც შეიძლება მეტი)

14 ფლაკონი ოდეკალონი

6 ფლაკონი სუნამო (მხოლოდ ნამდვილი, ფრანგული)

5 ფლაკონი თმის მოსაყვანი წამალი

5 წყვილი ხელზე გასაკეთებელი ქალის საათი (ოქროს ან ვერცხლისა).

პაპემ, სიის გარდა, ათასი მარკა-გადმომცა და ბარათი ჩამომართვა. ეს, რა თქმა უნდა, საოკუპაციო ფული იყო და მას ძალა ჰქონდა მხოლოდ საოკუპაციო ტერიტორიაზე.

ეკითხე პაპეს, როგორ უნდა წამოვიდოთ საქონელი-მეტეი. მან მხრები აიჩეჩა და მომიგო — ეგ უკვე შენი საქმეა.

საავადმყოფოში დაბრუნებულმა ვუბრძანე, რენესთვის თავი შეეხვიათ. შემდეგ საბანში გავხეიეთ და მანქანაში საკაცზე დავდეთ. რენეს მართლაც მკედრის ფერი ედვა. შე გვერდზე მოვუჯექი. მოფერად ავირჩიე ლიონელი ახალგაზრდა, ქანო. მასთან საჭესთან პაპე დაჯდა თიფით ხელში. დოქტორმა ფრანკმა ასეთი საშუები მომიცა: „კაპიტან ბრიულის ბატალიონის სანიტარული მანქანას NWH 567112 გადაჰყავს დაკრილები დიუზილან ნანსში. საშუები გაცემულია ნანსში წასასვლელად და უკან დასაბრუნებლად, ვადა — ოთხი საათი“.

ბოლოს მანქანა დაიძრა. რა ბედნიერად და თავისუფლად ვერაძენი თავი, როდესაც გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკის ეზოდან გავედით. მძღვარი ფანჯრიდან ვიყურებოდი. ფანჯარას იქით ზაფხული იდგა, მშვენიერად დაფერილით არა ჰგავდა ჩვენი მტერიანი ბანაკის მშორიან, შეხუტულ ზაფხულს. გზა დაუსრულებელი და ლამაზი იყო.

უცდალობდი ფანჯრიდან შემესწავლა ადგილ-მდებარეობა. დაერწმუნე, რომ გაქცევა შეიძლებოდა მხოლოდ ნანსიდან. თუ კონტრაბანდის გადმოზიდვას უხიფათოდ მოუახერხებთ, ალბათ, ხშირად გაგვეზაინიან ნანსში. მართალია ნანსი 250 კილომეტრზე მდებარეობს ოკუპირებულ და არაოკუპირებულ საფრანგეთს შორის გავლებულ საზღვრიდან, მაგრამ ნანსის სამხრეთით გზებს, ალბათ, ისე გაუმოდგინედ აღარ ადევნებდნენ თვალ-ყურს, როგორც ჩრდილოეთით.

არაკურთან ჩვენი მანქანა შეჩერდა. თავათ არაკური, პატარა ქალაქი მიხვეულ-მოხვეული ქუჩებით, მოსაზღვრე ციხე-სიმაგრეს ჰგავდა. თითქმის ყველა სახლიდან გადმოკიდული იყო სვასტიკიანი ბაიარალი. ალყაფის კარებთან გუშაგები იდგნენ, ქუჩებში პატრულები დადიოდნენ. უამრავი განცხადება ცხადყოფდა, რომ ყოველი ორი სახლას შემდეგ სამხედრო ხელისუფალი იყვნენ დაბინავებული.

საზღვარი ისე გავიარეთ, რომ არავის გაუჩერებდით. ახრად არავის არ მოსდოდა, რომ გერმანიიდან შესაძლებელი ყოფილიყოს რაიმეს გატანა საფრანგეთში. პირიქით, საკუთარი თვალთ დავინახე, როგორ გულმოდგინედ ჩხრეკავდნენ დარაჯები საფრანგეთიდან გერმანიაში მიმავალი გერმანელი ოფიცრის მანქანას. შუგ მუნდირში გამოწყობილმა ორმა ეს-ესელმა მოტორიკი განხრეკა, ხოლო შესაზღვრებმა გაბერილი სათადარიგო თვალი დაფუყეს და დაშალეს. ციხე ოფლმა დამასხა, როცა გამახსენდა, რომ ორი-სამი საათის შემდეგ ნანსიდან დაბრუნებულებმა აქ უნდა გავიაროთ.

თავის-თავად აშკარაა, რომ ნანსში ჩვენ სულ არ გავკარგდით. მოსაძიკალს. ჩვენი მანქანა მძიმედ დაჭრილი რენოთი წინ და უკან დადიოდა შთავარ ქუჩაზე, ხანამ მე და პაპე მალაზიეში დავიარებოდით. თითქმის ყველა მალაზია ცარიელი იყო. კომუნისტურის ბრძანებით მალაზიები გაეღოთ, მაგრამ საქონელი მიემალათ. სწრაფად გამქრალა ყველაფერი — სურსათ-მანოვარე, ღვინო, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. თითქოს პირწმინდათ გაუტაციათო. ზოგიერთი ვაჭარი მიინც ცდილობდა დაეცვა თავისი მალაზიის ყოფილი ბრწყინვალეობა. პარტიულმერის მალაზიის ფანჯარაში ლამაზად ჩამწყრივებინათ სხვადასხვა ფერის ფლაკონები და შუშები. მაგრამ როდესაც სუნამო მოვიკითხეთ, ღიმილით გამოგვიცხადეს, რომ თვეზე მეტია ამ ფლაკონებში წყლის მერტი არაფერი ჩასხმულაო. ზოგიერთ საქონელს სანთლითაც ვერ მოსძებნიდით. ვერავითარი ფულით ვერ შეიძენდით, მაგალითად, საპნის ნაჭერს, ან უვნებელ საპარსავს. აღარას ეამბობ შოკოლადზე ან ტყავის ნაწარმზე. გერმანელებმა გროზად ღირებულები საოკუპაციო მარკებით შეიყიდეს ყველაფერი, რის მიმალვაც ვაჭრებმა ვერ მოასწრეს. კომუნისტურა ამაოდ ჩხრეკავდა მალაზიებს. ჩრდილობიანი ვაჭრებისა და ცარიელი თაროების მეტს ვერაფერს პოულობდა იქ.

ჩვენი, მე და პაპე, ვერაფერი გავაწყეთ, თუმცა ყველა დუქანი და მალაზია მოვიარეთ. გადავწყვიტე, მარტოკა შევდგომოდი ძებნას. ამიტომ პაპეს წინადადება მივეცი, ქუჩაში დაეცა ჩემთვის. საქონლის გარდა

ახე რამეც მაფიქრებდა — მინდოდა კავშირი გამება რომელიმე ვაჭრობან და გაქცევა მომეშაადებინა.

ჩემი იმედი საეცებით გამართლდა: სულ სხვანაირად დამიხედავს: ჩემს მხედრობას როდესაც მარტოა შევედი და შეიარაღებული გერმანელი არ მახლდა თან. ყველაფერი გააჩინეს, ყველაფერი გამოიტანეს ფარული საკუქნაოებიდან — კრელ ქალაქში გახვეული საბონი, თმის მომყვანი წაშალი, ნაირ-ნაირი სუნამო. მესაათმე ხელად მთარბენანა ქალაქ გარეთ მდებარე თავის აგარაკიდან სხვადასხვა ფირმის — „ოშერის“, „ეტენის“, „ზენიტის“ — საათები. ერთგან რამდენიმე გირვანქა პილბილიც-კი გამოვწახე. ყველა ამით სწრაფად დავტვირთეთ ჩვენი სანიტარული მანქანა. ვაჭრებმა, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ ამ საქონელს გერმანელები და არა ტყვე ფრანგები ჩაიგდებდნენ ხელში, მაგრამ მათ ისიც იცოდნენ, რომ ჩემის შეოხებით ცოტა რამ ერთ ან რამდენიმე ტყვესაც შეხვდებოდა ბანაკში. ნანსის ეს უჩინარი ფრანგები დიდ გამბედაობას იჩენდნენ. ყოველი ვაჭარი, რომელიც უარს გვეუბნებოდა საქონელზე მე და პაპეს, ხოლო ერთი წუთის შემდეგ, როცა მარტოდ-მარტოს მხედავდა, თავით მთავაზობდა ყველაფერს, ხიფათში აგლებდა თავის თავს. მაგრამ არაერთარ ხიფათს არ ერიდებოდნენ ისინი, ოღონდ დახმარებოდნენ რითიმე თანამემამულეებს.

მალე ჩვენი მანქანა საეხე აღმოჩნდა. „დაკრილი“ ძლივს სუნთქავდა, ისე შეიხუთა ჰაერი ოდეკალონის ლიტრიანი ბოთლებით, საპნის ყუთებით და შოკოლადის კოლოფებით. ამის შემდეგ აბრეშუმის ხაქმეს შეველექით.

აბრეშუმის ყველაზე დიდი მაღაზია ნანსში სენ-ჟანის ქუჩის შესახვევში მდებარეობდა. პატრონებმა ვერ მოასწრეს მთელი თავიანთი სიმდიდრის გადამაღვა. ჩემი შეიარაღებული მცველის თანხლებით მეორე სართულში ავედი, სადაც მაღაზია იყო მოთავსებული.

„აბრეშუმის სამოთხეს“ ორი უზარმაზარი ოთახი ეკირა და ორივე ეს ოთახი გაშვდილი იყო გერმანელი სამხედროებით. დახლოთ ნამდვილი ზედაზორადგა. ყველა წინ მიიწედა, ყველა ცდილობდა დაესწრო სხვისთვის, ერთმანეთს არ აცლიდნენ, ხელიდან ჰგლეჯდნენ ქსოვილს. ერთგან ოფიცერი სწრაფად ჰხვედა გახეთქი კრეპ-დე-შინს, რომელსაც მან ძალით გამოჰკლიჯა ხელიდან ნოქარს. მეორედან ორი უნტერ-ოფიცერი კრეპ-სატენს იყოფდა, რისთვისაც შუაზე ხედა მას. მესამედან ლეიტენანტი და კაპიტანი ერთსა და იმავე ნაჭერს ჩაბლაუბობდნენ და, როგორც ორი მშვიდძალი ძვალს, აქეთ-იქით ეწეოდნენ. ერთიცა და მეორეც ირწმუნებოდა, რომ პირველად მან აირჩია ქსოვილი. საქმე გათავდა იმით, რომ უფროსმა სამხედრომ, კაპიტანმა, დაუყვირა უმცროსს, ლეიტენანტს — გობრძანებ გაუშვა ხელიო, და უმცროსმაც გაუშვა, თუმცა ასეთ საქმეში სამსახურს გარეთაც უფროს-უნციოსობა არ არის მიღებული.

მე ძლავს მივედი დახლოთ. ხელსა მკრავდნენ, აქეთ-იქით მაგდებდნენ, რამდენჯერმე ხელიდან გამომკლიჯეს უკვე შეხვეული საქონელი. ბოლოს ერთმა გამყიდველმა ქალმა, თავით გამწარებულმა გერმანელთა უხეშობისაგან ყურადღება მიექცია ჩემს ტანჯვას, განზე გამოყვანა და სწრაფად მომაჩეხა რვა მეტრი წითელი და ოთხი მეტრი ცისფერი აბრეშუმი. გიჟივით გამოთვარდი მაღაზიიდან.

გახარებულმა ასეთი წარმატებით, სწრაფად გამოვბრუნდი ნანსიდან, როცა რამდენიმე კილომეტრით დავშორდით ამ ქალაქს, მანქანა გავაჩერეთ და შე-

ტენილი საქონლის გადაღებებს შეეუდებო. ბოთლები რენეს საბანკოში შეგ-  
მალთ. მე ტანთ გავიხადე და წითელი და ცისფერი აბრეშუმები  
მეტრი, ზედ დავიხვიე. ისე გავსქელდი, რომ პაპემ თავი გაიქნა და  
გასუქდით ნანსში. შოკოლადის ფილები სახვევი მასალის ყუთში ჩავაწყვეთ,  
ხოლო ქალის პატარა საათები ბინტის იმ ნაოქებში შევმალეთ, რომლითაც  
რენეს თავი ჰქონდა შეხვეული.

ვიცოდით, რომ ერთი საათის წინათ არაკურში გუშავი შესცვალეს, ამი-  
ტომ ამ პატარა ქალაქში შესვლისას უყოყმანოდ განვუცხადეთ — მას, რომ  
ნანსში ევაკუირებული დაჭრილი უკანვე მიგვეყავს სახლშიო. უკვე საღამო  
იყო, როცა ამ პატარა ქალაქში შევედი. საზღვრის საყარაულოსთან რამდენ-  
იმე მანქანა იყო გაჩერებული. ჩვენ წინ იდგა ორი საბარგო მანქანა, ერთი  
ლუდით, ხოლო მეორე თივით დატვირთული, და ოფიცრის მსუბუქი მანქანა.  
ოფიცერი, უკვე ვაღარაშერეული ლეიტენანტი, მანქანას მიყრდნობილი  
ნერვიულად იკვნიტდა ტუჩებს. ორი მესაზღვრე ხიშტებით თივას ჩხრეკდა,  
ხოლო ორი სხვა მესაზღვრე საბარგო მანქანიდან ლუდის კასრებს აგორებდა,  
სინჯავდა, ხომ არაფერია მათ ქვეშ დამალულობო. პაპე და მე ჩვენი მანქანის  
უკან ვიღებოდით. ძალზე გაბერული თორმეტი მეტრა ქსოვილისაგან ცუდად  
ვერძობოდა თავს.

ეს-ესელებმა ოფიცრის მანქანიდან გასაჩხრეკად გადმოღებული ბალოშე-  
ბი უკანვე შეაწყეს და, ჩხრეკის ვათაეების ნიშნად, ზელი მუბლზე მიიღეს.  
ლეიტენანტი მანქანის კარებთან მივიდა. როცა ცალი ფეხი საფეხურზე შეად-  
გა, ეს-ესელებს მიმართა:

— იმედი მაქვს, ბატონებო, რომ სხვა მანქანებსაც ასევე ყურადღებით  
მოეპყრობით.

მთელ ტანში ვრუანტელმა დამიარა, სუნთქვა შემეკრა.

ეს-ესელები ჩვენთან მოვიდნენ. ერთი მათგანი დაბალ-დაბალი იყო, უხე-  
ში გარეგნობა ჰქონდა — ოთხკუთხი თავი, გამოშფერილი კბილები, ბრტყელა  
შუბლი, სქელი ბარძაყები. მისი უღვაშები ფიურერის უღვაშების აშკარა-  
ასლს წარმოადგენდნენ. მეორე უფრო მაღალი იყო, მოწითალო. ცხვირზე  
სათვალე ესკუბა, ალბათ, ბუნებრივი უხეშობის შესანიშნავად, ნამდვი-  
ლად კი იგი უფრო უსვამდა ხაზს ამ უხეშობას.

პაპემ საშვები გაუწოდა.

ბირეულმა ეს-ესელმა მანქანის ვარი გამოაღო:

— ეს ვინ არის? — იკითხა მან და დაჭრილზე მიგვიითითა.

— ტყვე, — მიუგო პაპემ, — ჰოსპიტლიდან მოგვეყავს.

— გათა ათარულა არ შეუძლიან?

— არა, თავშია დაჭრილი.

— ეს ვალაა? — იკითხა მან ჩემზე და თითი მატაკა.

— ჩვენი შიკრიკი.

კაცუნამ ამათვლიერ-ჩამათვლიერა. შემდეგ დამიყვირა:

— გამოათრიეთ დაჭრილი!

ერთხანს არ გავნძრევულვარ. ვიცოდი დავიდუბებოდით, თუ რენეს მანქა-  
ნიდან გამოვიყვანდით. ფერწასული პაპე მოჩვენებულად იდგა ეს-ესელის  
უკან. მესაზღვრეებმა საბარგო მანქანების ჩხრეკა გაათავეს და ისინიც ჩვენ  
შემოგვიერთდნენ.

— მიყავით სიკეთე, — მივმართე ბოლოს ჩემს მბრძანებელს: — დავემარტო, მარტო ვერ დავძრავ საკაცს.

უმწიკვლო გერმანულ ენაზე წარმოვსთქვი ეს სიტყვები. ერქონესული  
დასაღწეხელად

კაცუნა, ცოტა არ იყოს, შეცბუნდა.

— სადაური ხართ? — მკითხა.

— ოც წელიწადს ბერნში ვცხოვრობდი.

ფიურერის უღვაშების მოტრფიალე მანქანაში შევიდა და საკაცის ერთ თავში დადგა. ის ყო უნდა დახრილიყო, როცა მე უკანასკნელ საშუალებას მივმართე.

— თქვენ, ვგონებ, მიუხეხნელი უნდა იყოთ? — ვკითხე.

იგი კვლავ გაიმართა წელში:

— როგორ მიხვდით?

— კილოზე მივხვდი. კარგად ვიცნობ მიუხეხნეს. საფრანგეთის საკონსულტოში ვმსახურობდი იქ. წარმტაცი ქალაქია. ლუდი... მაქსიმილიანეუმი... — და ერთბაშად გადმოვუღლაგე ყველაფერი, რაც კი მიუხეხნეზე ვიცოდი.

პატარა კაცუნა მანქანიდან გამოვიდა და, წყალობის ნიშნად, პაპიროსი გამომიწოდა. მესაზღვრეებმა ნება მოგვცეს მანქანაში ჩამსხდარეიყავით. ერთმა მათგანმა კარი მოაჯახუნა და შოფერს შესძახა — გასწიო.

მოტორი ამუშავდა და მუ ისე გახარებული გავემართე უკან, ჩემს სატუსალოში, თითქოს იგი სატუსალო კი არა, თვით თავისუფლება ყოფილიყო.

ჩემი ცხოვრება მკვეთრად შეიცვალა. ერთი კვირის განმავლობაში ნანსიდან დიუნში აუარებელი საჰონოს გადავიღეა მოვახერხე. თავისთავად აშკარაა, რომ არაკურზე ყოველ დღე არ შეიძლებოდა გავლა. უფრო ხშირად სანიტარულ მანქანას ამ ქალაქის მოშორებით ვაჩერებდი, ხოლო დანარჩენ გზას ტყე-ტყე გავდიოდი. ერთხელ თუ ორჯერ კინაღამ პატრულს წავაწყდი. იძულებული ვახვდი საფლავის ქვებს შორის დავემალულიყავი. თითქმის ყოველთვის შეიარაღებული მცველი დამდევდა და ძალიან ხშირად ორივეს გვიხდებოდა გერმანელების თვალთვალს მიფარება, მიმაღვა. უცნაური-კი იყო: ფრანგი ტყვე და მისი გერმანელი მცველი მიწაზე გართხმულნი ამ მსოფლიო ომის დროს მოკლული რომელიმე ჯარისკაცის საფლავს ამოფარებულნი იდგინდნენ, როდის მიყუჩდებოდა მესაზღვრე პატრულის ფეხის ხმა.

სარებურისა და ნანსის მალაზიები, რომელნიც მუჭარამაც-კი ვერ აიძულა გამოსთხოვებოდნენ თავიანთ საუნჯეს, ხალისით აღებდნენ საეკუპანოების კარებს ჩემს წინაშე, ამ მალაზიებისა და დუქნების მეოხებით თითქმის ყოველ დღე მიმქონდა სანოვაგე ათი-თორმეტი ამხანაგისთვის. მე, როგორც კონტრაბანდისტების მეთაურს, ადვილად შემქმლო კავშირი გამება ნანსის მოსახლეობასთან. დოქტორ შმიდტის თვალში უკვე საპატრო ადამიანად გადავიქციე. კაპიტანი ბრიული პოლიტიკურ თემებზე მესაუბრებოდა. კაპიტანმა კოლრუშმა რამდენჯერმე გამაგებინა, რომ ბანაიდან გასვლის შემდეგ, იქნებ უფრო ადრეც, მას „საინტერესო სამუშაო“ აღმოაჩნდეს ჩემთვის. დოქტორ შნიეიდერის წასვლის ერთდ კვირის შემდეგ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ სამას ოცდამეტერთმეტე ქვეითი პოლკის სერჟანტი მორის ნაბიე ბანაის პასუხისმგებელ მამასახლისად დაინიშნა.

მე სხვაგან ვადმიყვანეს, № 3 სახელოსნოში. იმ დროისთვის მუშაობა დაიწყო კიდეც ერთმა ახალმა ლაზარეთმა. იგი ბანაის ერთ-ერთ საუკეთესო 6. „მნათობი“, № 7 — 8.



შენობაში მოათავსეს. ამ ლაზარეთში ოცდარვა ფრანგი ტყვე ექიმი იყო. მათ სამ-სამს და ოთხ-ოთხს თითო ოთახი მისცეს. მე პატარა საკუჭნაოში გუტნეს სულ ზემო სართულში. იმდენი მოვახერხე, რომ ექიმებს ცალკე-სამსახურეულო გაუწყეს, ხოლო ავადმყოფებს განსაკუთრებული რაციონი მისცეს. ერთმა ფრანგმა ექიმმა ბოთლ არაყში თავისი სამხედრო სათადარიგო ტანისამოსი დამითმო. ამ ტანისამოს დანაკერები ავაცალე და მთლიად ახალ სამოსში გამოვეწყვე. ლაზარეთის უფროსმა ექიმმა, ეროვნობით ბასკმა, კაპიტანმა ფელიქს მოვევაზენმა ნება დამართო ოფიცრებთან ერთად მესადილნა.

აღფრედს უხაროდა ჩემი ასეთი წარმატება. იმავე დროს შიშისაგან კანკალებდა. იმ დროსთვის ისიც მოვაწყვე: რაღაც საბაბით ლაზარეთში მოვთავსე. მასაც რკინის საწოლზე ეძინა, ქვეშ ჩაღოს ლეიბი ეგო და ზედ საბანი ეხურა. დიდი ბედნიერება იყო როგორც ეს, ისე ის, რომ ჰერბეშე ეძინა. პო-და, აღფრედი დარწმუნებული იყო, რომ ახლა, როცა მე ასე გამოვცალკევდებ ტყვეთა ოცდარვათასიან მასიდან, ხიფათი არ ამცდებოდა, ვინმე უსათუოდ გამამხელდა.

— შენ ხომ ატყუებ და ისულებ გერმანელებს. თუ შენი თვალთმაქცობა გამომხეურდა, დაახლო გადასახლება არ აგცდება არა მარტო შენ, თვით კაპიტან ბრიულსაც.

ამ სიტყვებზე მე მხრებს ვიჩეჩავდი: უკან დაბევა გვიან იყო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ზანგებს შორის ებიღემიამ იფეთქა. ფერადი ჯარისკაცები — ზანგები და მაროკოელები — თავიდანვე გამოჰყვეს და ცალკე მოათავსეს. მათთვის ყველაზე საძაგელი გარაიცი-კი ძლივს გაიმეტეს. არ მისცეს მათ ჩალა ქვეშ დასაგებად, ჰკვებავდნენ ბევრად უარესად, ვიდრე დანარჩენ ტყვეებს, მათი გარაიის სახურავი არ შეუყეთებიათ და წვიმა შიგნით ისევე ასხავდა, როგორც გარეთ. თუ გერმანელები ფრანგებს დაბალ რასად სთვლიდნენ, ზანგები მათ სულაც არ მიაჩნდათ ადამიანებად.

მაგრამ ყველაზე უარესი მაინც ეს არ იყო. იმ საღვთოს (№ 8—A), სადაც ზანგები მოათავსეს, ადამიანის სიმაღლის მესერი შემოართყეს, ხოლო მესერს ზევიდან მავთულხლართი შემოავლეს. ამ მესერსა და საღვთოს შორის დატოვებული მანძილი სიგანით ოთხ მეტრს არ აღემატებოდა, და ეს იყო ერთად-ერთი ადგილი, სადაც ზანგებს მოძრაობა შეეძლოთ. იქიდან გამოსასვლელ კარებს უზარმაზარი ბოქლომი ეკიდა, ხოლო გასაღები ყარაულს ებარა. ზანგებს აკრძალული ჰქონდათ პლაცზე გამოსვლა: მათ უფლება არა ჰქონდათ რაიმე კავშირი და ურთიერთობა გაეხათ თეთრკანიანებთან. იქვე, ოთხმეტრიანი ადგილის ფარგლებში, იყო მოთავსებული ფეხისადგილები. სამკერ დღეში ეზოს კარები იღებოდა და ზანგებს ჰკვებავდნენ სწორედ ისე, როგორც დამწყვდეულ მხეცებს ჰკვებავენ ხოლმე. საბონს მათ, რა თქმა უნდა, არ აძლევდნენ.

— ან კი რად უნდათ საბონი ამ ტურტლიან ყაჩაღებს. ისინი ხომ ისედაც შავები არიან, — სთქვა ერთხელ შერეხილი ტყვეების წინაშე კაპიტანმა-კოლრაშმა.

ზანაიის ამ წაწილს ერთი წუთი მოსვენება არა ჰქონდა: უამრავი გერმანელი — ოფიცერი და ჯარისკაცი — ირეოდა იქ, ყველას ფოტოკამერა ეჭირა, ყველა ცდილობდა სურათის გადაღებას. უფრო ეტანებოდნენ ფეხისადგილებს და იქ დასჯუბებულ ზანგებს. შემდეგ ამ სურათებს შინაურებს და გაზეთებს



უგზანინდენ გერმანიაში — იხილეთ, ვისი მეოხებით და შემწეობით ცდილობდნენ ფრანგები მსოფლიო კულტურის დაცვას გერმანელების დროგამოშვებით რომელიმე ზანგი ბანაყის სამმართველოში ოფიცერთა სასადილოში ლექციებს კითხულობდნენ შავკანიანთა რასაზე და იმაზე, რომ ეს რასა და მისი წარმომადგენელი „სრულფასოვან“ ადამიანებად არ ჩაითვლებიან. მე, როგორც თარჯიმანი, მოვალე ვიყავი დაეწრებოდი ლექციებს. ლექტორი, კაპიტანი კოლრუში ამტკიცებდა, რომ ზანგების განთავისუფლება და ებრაელებისათვის სამოქალაქო უფლებების მიანიჭება ყველაზე სამარცხვინო ფაქტებს წარმოადგენენ უკანასკნელი საუკუნეების ისტორიაშიო. დღაღ, — განაგრძობდა იგი, — გერმანიას მონები სჭირია და ეყოლებიან კიდევაც ისინიო. ჯარისკაცები ტაშით ხედებოდნენ ამ სიტყვებს. ლექციის დროს ზანგი ამაღლებულ ადგილზე იდგა. როცა კაპიტანი კოლრუში ზანგების რასიულ ნიშნებზე იწყებდა ლაპარაკს, სტაცებდა ხელს ზანგის თავს და გლობუსით აქეთ-იქით ატრიალებდა; მერე წაავლებდა ყურში ხელს და მთელ აუდიტორიაში დაატარებდა — უხსნიდა აუდიტორიას ზანგის განსაკუთრებულ აგებულებას, მოყვანილობას და სხვას.

იმ სიბინძურის შედეგად, რომელშიაც ზანგებს უხლებოდათ ცხოვრება, როგორც ავღნიშნეთ, მათ შორის ებიღეშია გაჩნდა — ქეცი (ქავილი). ქეცი აუტანელი და ძალზე გადამდები სენია. მთელი ლამის განმავლობაში ისმოდა ზანგების, საშინელი ღმუილი და ბლაილი. სახურავზე ჩამწყვრივებული გუშაგები დრო-და-დრო თოფის სროლას ასტეხდნენ. წუთით სინჯაც ჩამოვარდებოდა. მერე ისევ მოისმოდა საზარელი ყვირილი და კვნესა.

ერთხელ შუადამისას გამაღვიძეს. უნტერი დიკსერი ძალზე მიჩქარებდა. სწრაფად ჩავიციე და გავყევი. ლაზარეთის უკან პატარა ყვავილნარი იყო. როდესაც მივედი, ფარნის მბჟუტავ შეუზე დაეინახეთ, რომ ბუჩქებში თავგანჯილი და სისხლში მოსვრილი ზანგი ჯარისკაცი ევლო. თურმე დანე ეს ზანგი ჯარისკაცი, ქავილით გაწამებული, შეუშინებლად გადამძვრალა მაღალ და მათუღლლართიან მესერზე, გადაურბენია პლაცი, შევარდნილა ლაზარეთში, ერთად-ერთ რთხსართულიან შენობაში მთელი ბანაყის ტერიტორიაზე, გაუღია დერეფანში ფანჯარა და ქვემოთ გადაძვებულა. კიდევ კარგი, ბედმა არ უმუხთლა უბედურს: წვეტიან ქვებზე დაცემულა და იქვე გათავებულა ერთბაშად, უტარჯველად.

ყველაზე საოცარი ის იყო, რომ მეთრე დღეს გამოგვიცხადეს: თქვენ, თუთრკანიაუნებმა, ისე გაამწარეთ ზანგი, რომ იგი თავის მოველასაც არ შოერიდარ, და დასასჯელად სამ დღეს უწინოდ დაგეტოვეს — ჩვენი ულუფა „ჩვენი მსხვერპლის უბედურ ამხანაგებს“ მისცეს.

მღვთმარება, რომელიც მე მოვიპოვე, ბევრი რამის მოწმედ მხდიდა, ბევრი რამეს მაგებინებდა. ზაფხულის ერთ ცხელ დღეს დოქტორმა შმიდტმა თავისთან მიმიპატიეა „ჩაიზე“ ანუ, უფრო სწორად, ერზას-ლიმონაღზე. მე პოლიტიკაზე ჩამოყვდენ ლაპარაკი. მინდოდა ვამეგო, რას ფიქრობდა გერმანია ინგლისზე თავდასხმის შესახებ. შუა საუბარში რომ ვიყავით, ოთახში ედრეიტი შემოვიდა.

— ნება მომეცით მოვახსენოთ, — მიმართა მან შმიდტს: — უფროსი უნ-

ტერ-ოფიცერი ვთხოვთ მობრძანდეთ კარცერში: ერთი პატიმარი განწყვეტ-  
ლივ იმეორებს რაღაცას ფრანგულად, ვერ გავიგეთ, რა უნდა. *არქონსეზი*  
— წავიდეთ, ვნახოთ, — მომმართა მე შმიდტმა. *გინგლენი*

კარცერის საშინელებაზე ცოტა რამ გაგონილი მქონდა. შევედით ბანაკის  
სამმართველოს სამ-სართულიან სახლში და იქიდან კიბით სარდაფში ჩავე-  
დით. წინ ეფრეიტორი მიდიოდა. მან რკინის მძიმე კარი დააკაუნა, შიგნიდან  
ყრუ ხმა მოისმა:

— ბაროლი?

— ბრაბანტი.

კარი გაიღო. ეფრეიტორმა კესლერმა უპატაკა თავის უფროსს და აცო-  
ბა — კარცერში ჩვიდმეტა პატიმარიაო.

პირველ ხანს ვერაფერი გავარჩიე. ისეთი სრესტე იყო და იმდენად მძიმე  
და შეხუთული ჰაერი იდგა, რომ ლამპარი ძლივს ბეუტავდა. ადამიანები  
შიშველ იატაკზე ეყარნენ.

— ეს არის ახლა გაჩუმდა, — თითქოს ბოღმის იხლისა, წარმოსთქვა კეს-  
ლერმა. მერე გადააღო მწოლარეებს, ჰკრა ფეხი რაღაც უფრომოდ მასას და  
დაუყვირა: — რაღას გაჩუმდი, შე ძაღლო, შენა? მთელ დღეს მოსვენება არ  
მოგვეცი და ახლა გაჩუმდი?

პატიმარმა თავი ასწია. სახეზე არსად არ მოუჩინდა მთელი ადგილი. თმა,  
ლოყები და ცხვირბირი მთლად სისხლში ჰქონდა მოსერილი. მარტო თვა-  
ლები გამოიყურებოდნენ ადამიანურად. ხელი უნებურად ასწია, თითქო  
თავი უნდა დაიკვას მუშტისაგანაო.

— სთქვი, ძაღლო! — კვლავ დასწყვილა ეფრეიტორმა და კვლავ უთაქა  
წალის წვერი.

— Je veux mourir<sup>1)</sup>, — ჩაიღულღულა პატიმარმა.

— რაო? — მკითხა ლეიტენანტმა.

— სიკვდილი მინდაო, — გადაუთარგმნე მე.

ლეიტენანტმა არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

— რატომ არის კარცერში? — იკითხა ბოლოს.

ეფრეიტორმა კედელზე მიდგმულ ხის მაგიდის უჯრიდან ლითონის  
წერილგოლებიანი ჯაჭვი ამოიღო და შმიდტს გაუწოდა:

— აი ეს უნახეს დაპატიმრების დროს.

შმიდტმა ხელში აიღო ძეწკვის მსგავსი ჯაჭვი, ზევით შეაგდო, თითქოს  
უნდოდა გაეგო, რამ სიმძიმეაო, და მკითხა:

— იცით, რა არის ეს?

— არა, არ ვიცი.

— ეს გერმანული თვითმფრინავის მოტორის ნაწილია.

თვლებში ჩავაქერდი. ბრაზისაგან ცეცხლსა ჰყრიდა. შემეშინა კიდევ  
ასეთმა გარდაქმნამ. თვალის დახამხამებაზე პროფესორი მეციხოვნედ გა-  
დაიქცა. იგი პატიმარს მიუბრუნდა:

— გერმანელი მოჰკალთ? — შეჰყვირა — მოჰკალით გერმანელი?

პატიმარმა მონოტონური კილოთი ერთი და იგივე გაიმეორა:

— მინდა მოვედდე, მომბეზრდა სიცოცხლე.

— ჰკითხეთ, საიდან აიღო ეს ჯაჭვი? გვამი გაიარცვა?

<sup>1)</sup> მინდა მოვედდე.

— საიდან გაქვთ ეს ჯაჭვი? — ვკითხე ფრანგულად.

მან ზანტად შემომხედა, ოდნავ წამოიწია, მერე ისევ გაიხსოვდა და იგივე სიტყვები გაიმეორა.

— მითხარით რამე? — ვკითხე მე და მისკენ დაეხარე.

— დიდიდან განუწყვეტლივ მცემენ, — მომმართა მან მცირე ყოყმანის შემდეგ ძალზე მწუხარე ხმით, — დღეს მაიძულეს მელოცა გერმანელი ჯარისკაცის წადა, — სთქვა მან უფრო ხმადაბლა, თან ცდილობდა ცრემლი შეეკავა. ისინი ზევიდან დაგვეყურებდნენ: დოქტორი შმიდტი, ეფრეიტორი კესლერი და ერთი სხვა ეფრეიტორი.

— რას ამბობს? — შეითხა მოუთმენლად შმიდტი.

— ამბობს, ძეწვეი ამხანაგმა სახსოვრად მომცხო. არც-კი ვეცი, რა არისო.

— ხომ გესმით, არ ვიცით, — სთქვა უკმებლად პირველმა ეფრეიტორმა. — აბა, მიიღე ეს საჩუქარიც! — სთქვა მან და წალის წვეტიანი წვერი წაჰკრა პატიმარს.

დოქტორ შმიდტს კინტი არ დაუძრავს. სიგარა ამოიღო. ორივე ეფრეიტორმა ერთსა და იმავე დროს გაიკრა ხელი ჯიბეზე და ასანთს მოუკიდა. ორივე ერთდროულად დაიხარა ლეიტენანტისაკენ და ისე სწრაფად, რომ კინდამ შუბლებით დაეჯახნენ ერთმანეთს.

— რამდენი ხანია ვგ კაცი კარცერშია?

— უკვე ათი დღეა, ჰერ ობერ-ლეიტენანტი.

— რა ულუფა ეძლევა?

— ჩვეულებრივი. ოთხ დღეში ერთხელ. დანარჩენ დროს პურსა და წყალს ვაძლევთ.

— კეთილი.

ზანაქის კომენდანტის მოადგილე შიტრიალდა და კარებისაკენ გაემართა, ამასთან ისე სწრაფად, რომ ერთ-ერთ პატიმარს კინდამ თავზე ფეხი დააღება.

— ამან რაღა დააშავა?

— ღამ-ღამობით საპირფარეოში დადიოდა. — მიუფო ყველაურის მცოდნე კესლერმა.

— საპირფარეოში? როგორ მოგწონთ ასეთი თავაშვებულება?

ამბობდა ამას დოქტორი შმიდტი და თან სიგარას აბოლებდა. ძლივს ვიკვლევდით კარებისაკენ გზას. პატიმარნი შიშველ იატაკზე ეყარნენ, ამასთან ისე მჭიდროდ, რომ გავლა მართლაც ძნელი იყო.

— ამან რაღა ჩაიდინა? — მიუთითა შმიდტი ერთ პატიმარზე.

— წერილს გაგზავნა მოიწადინა.

— აგერ იმან?

— სამხედრო სალამი არ მისცა უფროს უნტერ-ოფიცერს პავლიკს.

— დისციპლინის დარღვევაა. ერთი მითხარით, ნაბიე, ნუ თუ ასე ძნელია სალამის მიცემა?

ამ დროს შმიდტი პატიმართა შორის ნაცნობ სახეს მოჰკრა თვალი.

— ეს, ვგონებ, ჩემი პატიმარია? — იკითხა მან.

— დიახ, თქვენი გახლავთ, ჰერ ობერ-ლეიტენანტი. ის არის, რომელსაც შეკრების დროს ხელები ჯიბეში ეწყო.

— ხომ ხედავთ, ნაბიე, — დაიწყო ლეიტენანტი პროფესორული კნობით: — თქვენ, ფრანგებს, თავის დროზე რომ გეზრუნათ და მოგესპოთ ასეთი ბოროტება, ომს არ წააგებდით და ამგვარ მღვთობაში არ ჩაეარდებო-

დით. — მერე კესლერს მიუბრუნდა: — სათანადო ზრუნვას ნუ მოაკლებთ ამ პატიმარს, — და კესლერმაც ზრუნვის ნიშნად, ალბანურად დასწავლად წაუთქა ფეხი გვერდში.

ამასობაში შმიდტი რკინის კარებთან მივიდა, იქ შეტრიალდა და იკითხა:

— ამან რა ჩიილინა?

— ბუჩოჩი მოპარა მეზობელს.

— თავისავე ამხანაგს?

— დიახ.

— რამდენი ხნით ჩასვეს?

— ხვალ ვანთავისუფლებთ.

— არ შეიძლება. ერთი კვირაც მიუმატეთ. ყველაფერს ვეპატიებ კაცს, არაამხანაგურ მოპყრობას-კი ვერა.

ეფრეიტორმა ფეხი ფეხს შემოჰკრა.

— ასეა, — დაუმატა დოქტორმა შმიდტმა, როცა სარდაფიდან ამოვედით, — ამხანაგობა, ამხანაგური სული ყველაფერია. თქვენმა თანამემამულეებმა მადლობა უნდა გადაგვინახდონ იმისათვის, რომ ასე ვცდილობთ მათ გარდქმნას აღამიანებად.

გავარჯობებული მზე მზიარულად დაგვეყურებდა ზევიდან. გამქვირვალე პაიროში ფუტკრება დაზღუუნებდნენ.

— დიახ, — განაგრძო ლეიტენანტმა და ქალთა გიმნაზიის დირექტორმა დოქტორმა შმიდტმა: — დიდი რამეა აღზრდა, ჩემო კარგო ნაპიე. როცა ფიურერი ძალა-უფლებას სათავეში ჩაუდგა, გერმანია შორს იყო ნაციონალ-სოციალისტობისაგან. ბლომად იყვნენ მაშინ ჩვენში დემოკრატები და სხვა ნაპირალები. ჩვენც ავდექით და ეს ვაქებატონები საკონცენტრაციო ბანაკებში ჩავამწყვდიეთ. არ გასულა ორი-სამი წელიწადი, რომ ყველა ისინი იქიდან ნაციონალ-სოციალისტებად გამოვიდნენ. ეს არის პედაგოგიკის სასწაული. დიდი რამეა, ჩემო ნაპიე, აღზრდა. დარწმუნებული ვარ, გაივლის ერთი-ორი წელიწადი და ფრანგები გაიგებენ, სად უნდა ეძიონ მათ სიკეთე და ბედნიერება. დამიჯერეთ, სრულყოფილი არავინ იბადება. აღზრდა ყველას ესაჭიროება. თქვენ იცით, რანი ვართ ახლა, მაგრამ ვიდრე ასეთებზე გავხდებოდით, ფიურერის სკოლა უნდა გაგვეყო. ეს გზა უნდა გაიაროთ თქვენც. ამ მხრივ თავს ნუ შეიწუხებთ, ძვირფასო ნაპიე, ყველაფერი რიგზე იქნება.

მე თავს აღარ ვიწუხებდი. კარგად ვუწყობდი მათა პედაგოგიური თავგამოცდა.

მეორე დღეს კაპიტანმა ბრიულმა გამოგვიცხადა, რომ დღეს ტყვეებს დიდი სიხარული მოგვლითო: მოისმენთ რადიო-გადმოცემას თვით ლენინიდანაო. ზე მრავალი ჩემი თანამედრობა მანთავისუფლებდა ასეთ შეკრებაზე დასწრებისაგან, მაგრამ ბრძოლის განცხადებამ დამაინტერესა, და სრულ თორმეტ საათზე პლაცზე ვიყავი, რათა მომესმინა რადიო-გადმოცემა ინგლისიდან, რომელსაც გერმანელები, აშკარაა, პროპაგანდის მიზნებისათვის იყენებდნენ. და აი ხმამაღლა მოლაპარაკებ წმინდა, უმწიკვლო სნგლისური ენით გვაუწყა შემდეგი: «გერმანიიდან და ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან განდევნილმა ებრაელებმა დასახმარებლად ინგლისს მიმართეს. «ებრაელთა მსოფლიო კონგრესთან» და «ებრაელთა მსოფლიო

წარმომადგენლობასთან“ ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ინგლისის მეფე გეორგი დათანხმდა გაუწიოს ებრაელებს მფარველობა. 1710 წლის 18 ივლისს, მეფემ გეორგ მეექვსეს მიიღო ებრაელთა შეტყის ტიტული. მეფედ კურთხევას დაესწრებიან ებრაელთა თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეები, ეკლესიისა და ჩერჩილის კაბინეტის წარმომადგენლები, პოლანდის დედოფალი ვილჰელმინა, ნორვეგიის მეფე ხაკონი, ლიუქსემბურგის მთავარი, ერთა ლიგის გენერალური მდივანი და მისი უდიდებულესობა აბესინიის მეფე ზაილე სელასიე. ამიერიდან გეორგ მეექვსეს ეწოდება ინგლისისა და ებრაელების მეფე“.

ყველაფერი ეს გადმოცემული იყო როგორც ტრანსლაცია ლონდონის რადიო-სადგურიდან. ფრანგულად სთარგმნიდა მას ინგლისურის მკოდნე ტყვე.

ნამდვილი ვითარება ამ ტრანსლაციისა გავიგე რამდენიმე წუთის შემდეგ. გერმანელი მზარეული, უნტერ-ოფიცერი ვებკე, რომელსაც მე ერთხელ შვიდი მეტრი მატერია მივეუტანე, დამპირდა, რომ ბანაობის ნებას მომცემდა გერმანელ ჯარისკაცთა აბანოში, რომელიც მოთავსებული იყო სამზარეულოს გვერდით, მინაშენში. აბანო იმ დღეს არაფის სკირდებოდა, და რადგან წყალი უკვე გამთბარი იყო, გამოვართვი ვებკეს გასაღები და გავეშურე საბანაოდ. სამზარეულო უკანა ეზოში იყო მოთავსებული, ძალიან შორს იმ ადგილიდან, სადაც ხმამალა მოლაპარაკე იდგა. მიუხედავად ამისა, როცა ტანთ გავიხადე და აუზში ჩავედი, მაინც მომესმა რადიოს ლაპარაკი. პირველ ხანს მეგონა, რომ სმენა მატყუებდა, რომ ყურში ჩამრჩა ლაპარაკი. მაგრამ შემდეგაც, როცა ონკანს მოვეუჭირე და სმენად გადავიქეცი, აშკარად გავიგონე ლაპარაკი. აბანოს ორი-სამი ოთახი ეკრა, ერთერთ ოთახში სარემონტო სახელოსნო იყო მოთავსებული, სადაც ტყვეები მუშაობდნენ. გამახსენდა, რომ იმ დღეს სახელოსნო სხვაგან გადაიტანეს. ფრთხილად ამოვივდი აუზიდან, ყოფილ სახელოსნოში გავედი და კედელს ყური მივაღე. გარკვევით მომესმა ინგლისური ლაპარაკი, მომესმა შეზობელ ოთახიდან.

უკან დავბრუნდი და აუზში ჩავედი. გონების თვალთ წარმოვიდგინე როგორ იდგა მოტიტვლებულ პლაცზე ოცდაორი ათასი კაცი და გულუბრყვილოდ უსმენდა ვითომდა ტრანსლაციას ლონდონიდან. მართლაც, პედაგოგიკა სასწაულს ახდენდა ჩემს თვალწინ. შემდეგში გავიგე, რომ ასეთივე პროგრამით და „ტრანსლაციით“ უმასპინძლებოდნენ ტყვეებს ნანსში, ლიუნევილში, შატო-სალენში და ყველგან, სადაც ტყვეები იყვნენ.

## თავი მეთერთმედი

### ბანაკიდან გაქცევა

ბანაკში ჩემი ყოფნა დღითი-დღე საბეჭათო ხდებოდა. აღფრედი წამდაუწყემ ჩამჩიჩინებდა—საფრთხე მოგელასო. ჩემი პრივილეგიური მდგომარეობა ბევრს აცხებდა შურით. უფრო გულმოდგინედ მადევნებდნენ თვალყურს. ბეჭრი უკვე ამჩნევდა, რომ მე ფრანგი არ ვიყავი, რომ ვთვალთმაქცობდი და ვატყუებდი გერმანელებს. უნდა მეშველნა თავისთვის, უნდა შეფიქრა ბანაკიდან თავის დაღწევაზე.

სხვა მხრეაეც მომელოდა საფრთხე: ტყვეებზე დიდი პარტიებით გზავნიდნენ ბანაკებიდან ჩრდილოეთისაკენ, გერმანიაში, მეტწილად ემპერატორის მოკვლევის მიზნით, რომლებსაც მოკავშირეები ზომბავდნენ. ჩვენი ბანაკიდან უფრო ახლოს კაცი-დროი ათასი კაციდან ათი ათასი კაცი გაგზავნეს და ემზადებოდნენ სხვების გასაგზავნიად. შეიძლება მეც მოვეყოლოდი გაგზავნილთა შორის. გარდა ამისა, წასულთა ნაცვლად მოჰყავდათ ახალ-ახალი პარტიები. ყოველ ახალ პარტიას ვულის ფანცქალით ვხვდებით. შეიძლებაოდა ახალ-მოსულთა შორის ნამდვილი შორის ნაპიე აღმოჩენილიყო.

ძალე დავრწმუნდი, რომ საფრთხე მესამე მხრიდანაც მომელოდა. ერთ დღილას ჩემს ოთახში, რომელიც ზავედმყოფოს ზემო საბრთულში იყო მოთავსებული, კაპიტანი კოლარუში შემოვიდა. ძალიან ტკბილი ლაპარაკი გამიბა. ერთგულ სამსახურისთვის ბიჭო რამეს დამპირდა, დროებით პარიზში (სადაც ვითომ ჩემი ოჯახობა ცხივრობდა) გაშვებასაც-კი. ბოლოს მითხრა:

— მოგვივიდა ბრძანება, გამოვარკვეოთ, რამდენი უცხოელია ჩვენს ბანაკში, არა ფრანგი. ჩვენ, რუსაკვირველია, გვინტერესებენ ყოფილი გერმანელი ქვეშევრდომები. ისინი მოლაღატენი არიან, ისინი თავიანთი ქვეყნის, თავიანთ სამშობლოს წინააღმდეგ იბრძოდნენ. შათ გამოცვლილი გვარები აქვთ. ჯერჯერობით გვინტერესებს თორმეტი კაცი. აი მათი სია. დაწმუნებული ვარ, თქვენ მოახერხებთ მათი უნაობის გამოარკვევას.

ამ სიტყვებზე სია გადმოვიკა: როცა კაპიტანის წასვლის შემდეგ სია გადავიკითხე, აღმოჩნდა, რომ თორმეტივე ჩვენ პრუსკ ეკუთვნოდა. უფრო მეტიც: მეოთხედ სიაში ჩემი გვარი იყო აღნიშნული. სუნთქვა შემეკრა.

გაღწევიტე, ერთი კვირის შემდეგ გავქვეუღიყვე ბანაკიდან. მთელი ღამე უძილოდ გავატარე. სამაგიეროდ დილისთვის გაბარვის გეგმა უკვე გამომუშაებული მქონდა. საჭირო იყო ნანსში გამომენახა ისეთი ადგილი, სადაც საში-ოთხი დღით შეეძლებდი თავის შეფარებას. ნანსში რომელიმე მაღაზიის უკანა კარიდან გავიბარებდი და იმ ადგილს მიეაშურებ. როცა პირველი ალიაქოთი მიწელდება, როგორმე მოვახერხებ ნანსიდან ოკუპირებული საფრანგეთის საზღვრამდე მისვლას.

მეორე დღეს ნანსში წავედი. ჩემთან ერთად, შოფერს გარდა, იყვნენ ბანაკის მთავარი ექიმი ფრანკი, უნტერ-ოფიცერი დაკერი და ტყვე ექიმი ლარდენუა, ნანსელი ფრანგი ქირურგი. იმ დღეს უპაციენტოდ წავედით, რადგან ჩვენი მგზავრობა თითქმის კანონიერი იყო: მივდიოდით პოსპიტალში შესახვევი მასალისათვის. სწორედ ამიტომ გამოგვაყოლეს ფრანგი ექიმი ლარდენუა. მთავარ ექიმს ფრანკს-კი, გერმანელს, სხვა რამ ეღვა გულში: მას უნდოდა ესარგებლა ამ შემთხვევით და სახვევი მასალის კოლოფებით შოკოლადი წამოეღო ნანსიდან. შემდეგ კვირას ის და რამდენიმე სხვა ოფიცერი შევებულებაში აპირებდნენ წასვლას და შოკოლადი-შინაურებისთვის სჭირდებოდათ.

ნანსში სწრაფად მოვათავეთ სახვევი მასალით მანქანის დატვირთვა. შემდეგ შოკოლადის ფაბრიკას მივადექით.

— აბა, ახლა თქვენ იცით, — მომმართა ექიმმა ფრანკმა, — შოკოლადი აქ თავზე საყრელია, კომენდატურა გვიკრძალავს ფაბრიკაში შოკოლადის ყიდვას, რადგან მთელ შოკოლადს გერმანიაში გზავნიან. როგორმე უნდა მოახერხოთ, რომ ხუთასი გირვანქა მოგვეყენ. უთხარიოთ, რომ შოკოლადი გვიპო-



რია ტყვე ფრანგებისთვის. ღიზნტერია არის-თქო მათ შორის გავრცელებული.

შევედი ფაბრიკაში. მოვნახე ღირეპტორი, პატარა კუზიანი <sup>გარეგნულად</sup> ნიკაპსაც თნის წვერი ამშვენებდა. აფუხსენი ყველაფერი, ვუთხარი ისიც, რომ ავადმყოფებს, ალბათ, არაფერი არ შეხვდებათ, მაგრამ ცოტა რამ იქნებ ვარგუნოთ-მეთქი.

— აბა, რა გიყოთ, — მიპასუხა მან მცირე ფიჭრის შემდეგ, — უნდა მოგცეთ, ზღთასი არა, მაგრამ ორასორმოცდაათი გირვანქა-კი. სულ ერთია, ხვალ ერთ გირვანქასაც აღარ დაგვიტოვებენ.

მანქანა ეზოში შევიყვანეთ. მე და დაქსერმა შოკოლადის ნაწილი გამოვიტანეთ და უკან დაეჭრუნდით. როცა მეორე ნაწილით კვლავ გამოვედით ეზოში, ჩვენი მანქანის ჯერდით მეორე გერმანული მანქანა დავინახეთ. ექიმი ფრანკი და ვიღაც გერმანული ოფიცერი პირისპირ იდგნენ და ერთმანეთს უყვიროდნენ. იქვე მახლობლად სამი ჯარისკაცი იდგა. თურმე ეს ოფიცერიც თავისი ჯარისკაცებით შოკოლადისთვის მოსულიყო. ბოლოს საქმე იმით გათავდა, რომ წვერცანცარა კუზიანი ღირეპტორი შუაში ჩადგა და მოჩხუბარნი მოაჩივ: ასორმოცდაათი გირვანქა ჩვენ მოგვცა, ასორმოცდაათიც — იმათ. შოკოლადი შესახვევი მასალის კოლოფებში ჩაგმალეთ, მერე ექიმი ფრანკი რესტორანში მივიყვანეთ. გვიბრძანა, ერთი საათის შემდეგ შეგვევლო მასთან, რათა ღიზისკენ გავდგამოდით გზას.

და აი ვდგევართ და ვუცდით ამ ერთი საათის გასვლას. უცერად ჩვენმა შეიარაღებულმა მცველმა და უფროსმა დაქსერმა მალალ საგნებზე ჩამოავლო ლაპარაკი.

— არა ერთითა პურითა ცხთერობს აღამიანი, — სთქვა მან.

— სრული ჭეშმარიტებაა, პერ უნტერ-ოფიცერ.

— და არცა ღვინითა.

— ეგვე უცილებელი ჭეშმარიტებაა, პერ უნტერ-ოფიცერ.

დაქსერი ომადღე ასოთ-ამწყობი იყო. ჭალაქ შტუტგარტში საკუთარი სტამბა ჭქონდა, სადაც ნაციისტური ლიტერატურა იბეჭდებოდა. ჰყავდა ცოლი და ორი შვილი.

ვერ მივხვდი, საითკენ იყო მიმართული დაქსერის ეს სენტენციები. ბოლოს, რამდენიმე ასეთი სენტენციის შემდეგ, პირდაპირ მკითხა: სად არის აქ სამეძაო სახლიო. მე არ ვიცოდი და, მაშასადამე, ვერ დავაკმაყოფილებდი მის ცნობისმოყვარეობას.

— ჰკითხე ექიმ ლარდენუას, აქაურია. სწორედ ამიტომ წამოვიყვანე ჩვენთან. მაგრამ ჰკითხე ისე... ზრდილობიანად, — მომმართა კვლავ დაქსერმა.

როცა ლარდენუას შევეკითხე, დამისახელა მთელი ქუჩა, რომელიც საგნეო სამეძაო სახლებით.

გავწიეთ მანქანით. ტბრიდან მეორე ქუჩაში შევეუხეით. მანქანის ფანჯრიდან ვეყურებოდი. დავრწმუნდი, რომ ლარდენუამ სწორი მისამართი მოგვცა. გერმანული მეომრები რიგში იდგნენ რამდენიმე საბლთანა. ამაყარა იყო, რომ მათი სქესობრივი მოთხოვნილებაც სამხედრო ჩარისხების მიხედვით იყო მოწესრიგებული: ერთ სახლთან ოფიცრები იდგნენ გაკრიალებული ფეხსაცმელით და კოზტა ქულებით. მეორესთან უნტერ-ოფიცრები, რომელნიც საყულოზე ვიწრო ოქროსფერ წანაკერებით გამოირჩეოდნენ. ვარსკვლავებიანი პზგონებით დამშვენებული ეფრეიტორები კიბეს დაუფლებოდ-



ნენ, რომელიც საკმაოდ ძველ სახლში ადიოდა. უბრალო ჯარისკაცები სხვა, უფრო მოძველებულ, სახლებთან იყვნენ ჩამწყკრივებულნი.

მანქანაში პაეტო ძალზე შეიხუთა. გამოვედი მანქანიდან და მსაჯულთა მხარეს მივეყუდე. ასე ვუცდიდი პატივცემული ოჯახის მამის პაულ დაქვარის დაბრუნებას. უეცრად ვილაყამ უკანიდან სახელოზე ხელი წამატანა და ჯიბეში რაღაც ჩამიდო. მიეტრიალდი, ჩემ გვერდით ორი ქალიშვილი იდგა. ერთი პატარა ტანის, სუსტი აგებულებისა, დიდ-თვალებიანი, მეორე წარმოსადგეო, ზორბა ტანისა. როცა ჯიბეში ხელი ჩავიყავი, რამდენიმე დასტა პაპიროსი აღმოვაჩინე. მადლობა გადაუხადე. იმავე წუთს თავში გამიელვა, აი ვის შეუძლიან გაქცევის დროს ჩემი დახმარება-მეთქი. აღარ დავაყოვნე და სწრაფად შევეციხეთ:

— ვინდათ დახმარება გამიწიოთ?

— გვინდა.—ერთხმად მომიგო ორივემ.

— ხომ არ გეგულეხათ ისეთი ადგილი, სადაც გაქცევის დროს სამოთხდლეს დამაღვას შევძლებდე?

ქალიშვილებმა ერთხანით გადახედეს. დიდ-თვალებიანმა მითხრა:

— დაიხსომეთ „სენ-მარტენის“ ოტელი, ოთხი ეკლესიის ქუჩა.

გონებაში რამდენჯერმე გავიმეორე „სენ-მარტენის“ ოტელი, ოთხი ეკლესიის ქუჩა.

იმეუე პატარა ქალიშვილმა ამიხსნა.

— მე უკანა მჭვიან, ჩემ მეგობარს — ირენი. ემუშაობთ რესტორან „სტანისლავეში“ სტანილავის მოედანზეო. მე გადავეცი, რომ ორნი ვიქნებით, დაგვიკორდება ტანისამოსის გამოცელა. მან მითხრა, აღნიშნულ ოტელში მიდით, იქ წინასწარ ვაცნობებთ ყველაფერს და ტანისამოსსაც დაგამზადებთო. სწორედ იმდროს დაქვარიც დაბრუნდა. უბრძანა შოფერს დაეძრა მანქანა. აპრიფად, თითქმის საქმის ნახევარი გასაქცევად უკვე მოგაგვარე.

მალე კვლავ მომეცა ნანსში წასვლის შემთხვევა. კაპიტანმა ბრიულმა დამიბარა და მითხრა, ნანსში აკორდონი უნდა გვიყიდოო. როგორც გამოირკვა, გერმანელი ოფიცრები ქეიფს აპირებდნენ და საყრავი სჭირდებოდათ.

ამ ლაპარაკის დროს კაპიტანმა შემომჩივლა, ფრანგმა ქალებმა სისხლი გაგვიპრესო. წინა დღეს ასეთი ამბავი მომხდარა: ვიღაც მოხუცი ფრანგი დედაკაცი ბანაკის სადარაჯოსთან მოსულა, თან თეთრი პური მიუტანია და უთხოვინია, ნება დაერთოთ ტყვე ფრანგებისთვის პური გადაეცა. როცა უარო მიუღია, მოხუცს უკანა მხრიდან მოუვლია ბანაკისთვის და პური ღობიდან ეზოში გადაუსროლია. დარაჯს თვალი მოუკრავს, თოფი უსროლია და იქვე სული გაუფრთხობინებია.

— რა იცოდა დარაჯმა რა იყო პურეში? — სთქვა კაპიტანმა, — იქნებ ყუმბარები ეწყო შიგ? ესეც არ იყოს, ქეთა უნდა ვასწავლოთ თქვენს ქალებს, აელზარდოთ და ადამიანებად გადავაქციოთ ისინი. წარმოიდგინეთ, რა არ ჩაიდინეს ფრანგმა ქალებმა მარტო ლოტარინგიაში შეეცადნენ გადაეშალათ მოსავალი. მარენვილში ჩვენი საწყობები გატახეს და ყველაფერი გაიტაცეს. გერბევილში მიწასთან გაასწორეს კონფისკებული ქონების საწყობი. ყველგან მიკეტეს საფუნთუშეები. თავიანთ ბალებს საფრანგეთის წითელ ჯვარს აძლევენ, რომ ჩვენ ცარიელზე დაგვსვან. დიეზში? მაგრამ დიეზში უკვე ვასწავლეთ ქეთა.

დიალ, ძვირად დაუჯდათ დიეზელ ქალებს ეს „ქეთის სწავლება“. რამდე-

ნიმე ათასი ქალი — მოხუცი და ახალგაზრდა, მოზარდიც კი, აპყარეს და შორეულ ბანაკისაკენ გაუყენეს გზას. ისე სწრაფად მოხდა აყრა, რომ მხოლოდ სახლიდან რამდენიმე საათით გასულ მახლობლებთან გამომშვიდობებაც ვერ მოასწრო. თითოეულს ოცდახუთი გინეანქა ბარგის წაღების ნება მისცეს მხოლოდ...

კაპიტან ბრიულს ნანსში წასვლის ნებართვა გამოვართვი. წასვლის საბაზად მძიმე ავადმყოფის წაყვანა იყო აღნიშნული. ნამდვილად-კი აკორდეონი უნდა მოგვეტანა. ვადაწყვეტიტე სწორედ ამ წასვლაზე გაეპარულიყავ. აღდრედ სენკევიჩმა აღარ მოისურვა ჩემთან ერთად გაქცევა ბანაკიდან. მის მაგიერ ამხანაგად ავირჩიე ტყვე ფრანგი ექიმი, ახალგაზრდა და უშიშარი პტი, მინიმე ავადმყოფად — რენე. მან იმდენჯერ მოიხადმყოფა თავი მოზარდილი ულუფის მისაღებად, რომ ბოლოს მართლაც მოეშალა კუჭი და ავად გახდა. შთავარმა ექიმმა ფრანკმა ჯერ კი მოისურვა ავადმყოფის გაინჯვა, მაგრამ როცა განუცხადე, ბატონი ოფიცრები აკორდეონისთვის მგზავნიან-მეტქე, ხელად მორბილდა და უყოყმანოდ მითხრა, თუ მაგრეა, წაიყვანეთო. შეიარაღებული მცველად იგივე უნტერ-ოფიცერი დაკსერი ავირჩიე. მას ისე უყვარდა მანქანის საქესთან ჯდომა, რომ შოფერ ეანოს წაყვანაზე უარი სთქვა, მე თავით გავუძღვებე მანქანასო.

გამოვეთხოვე ყველა ჩემ მეგობარს ბანაკში და შეიღ აგვისტოს დილა აღრიან გავწიეთ ნანსისაკენ. დაკსერი საქეს მიუჯდა, მე მის გვერდით მოვთავსდი, ექიმო პტი ავადმყოფს მივუჩინეთ.

ნანსში პირდაპირ ჰოსპიტლის ეზოში გაეაჩრეთ მანქანა. სამივენი გამოვდიეთ მანქანიდან. ეზოში, ჩვენს გარდა, კაცის ქაჭანება არ იყო.

— აბა, მოჰკიდეთ ხელი! — მოგვმართა დაკსერმა, როცა მანქანის კარი გააღო.

რენე მიღუული და ფერწასული იწვა. მიმედ სუნთქავდა.

— ჩვენ მაგის წაყვანას ვერ მოვახერხებთ. შემოგვაკვდება. გამოცილსანიტარებს უნდა დავუძახოთ, — ეუთხარი მე.

— მეტად სწრაფად იცით სიკვდილი თქვენ, ფრანგებმა, — სთქვა უკმაყოფილოდ დაკსერმა და ირგვლივ მიმოიხედა.

საათი ჰოსპიტლის კარის თავზე სრულ ცხრას უჩვენებდა. ექიმმა პტიმ მაჯა გაუსინჯა ავადმყოფს და თავი გააქნია.

— იქნებ დავუძახოთ ვინმეს, — ეუთხარი მე დაკსერს, — ხელად შეიტანს საკაცით. მაშინ აკორდეონის საქმესაც სწრაფად მოეგვარებთ. კაპიტანს, აღბათ, გაუხარდება, აღრე რომ დავბრუნდებით.

აკორდეონის და კაპიტანის ხსენებამ თავისი პქნა.

— მანქანას ადევნეთ თვალყური, ორ სანიტარს მივიყვან, — სთქვა დაკსერმა და ჰოსპიტლის კარებისაკენ გაეშურა.

შეპყო თუ არა დაკსერმა კარებში თავი, სწრაფად გამოვემშვიდობეთ რენეს და ეზოდან ქუჩაში გავედ — ალაყაფის კარებში გულშაგი არ იდგა. მივდიოდით ჩქარის ნაბიჯით, თუმცა არა ისე სწრაფად, რომ ვინმეს ეჭვი შეჰპაროდა. იქვე ზიდი იწყებოდა. ვადავედით ხილს და თავისუფლად ამოვიღსუნთქეთ. ჩვენი ტყვეობა გათავდა... მაგრამ არც ექიმმა პტიმ და არც მე არ ვიცოდით, სად იყო ოთხი ეკლესიის ქუჩა, მით უმეტეს „სენ-მარტენის“ ოტელი.

დაკსერი დაფაცურდება, სულ ბევრი ბევრი ხუთი წუთის შემდეგ, ჩვენის

ვარაუდით, შემდეგი ხუთი წუთი დაეკარგება ჩვენს ძებნაზე ეზოსა და პოსპიტალში. ამდენი ცუცხუცხუა წიუეა. ბოლოს დარწმუნდება, მარტვილიზე გავაცურეთ, და აცნობებს პოლიციას, მოიერიშეებს, ესესელქმს, მასობულ ყაზარნებს. ასე რომ ჩვენს განკარგულებაში თხუთმეტი წუთი იყო.

უფრო და უფრო ვმოზრდებოდით, პოსპიტალს. ცოტა ხნის შემდეგ შევედით ვიწრო ქუჩაში, სადაც შეძავი ქალები სიყვარულით ვაჭრობდნენ. ყველგან პლაკატები ეკიდა წარწერებით. წარწერების მიხედვით, საოკუპაციო ჯარის წარმომადგენელთ ამ ქუჩაში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ საღამოს ექვსიდან ცხრა საათამდე. თუმცა ჩვენ სამხედრო ფორმის ტანისამოსი გვეცვა, მაგრამ საოკუპაციო ჯარს არ ვეკუთვნოდით. უკანასკნელ სამ კვირას მრავალი ელზასელი ტყვე გაანთავისუფლეს. ისინი სამხედრო ტანისამოსში დადიოდნენ. მამასადამე, ჩვენც ყველა ელზასელად მიგვიღებდა.

გაეჩერდით გერმანულ სამხედროებისთვის აკრძალული ქუჩის ბოლოში. აქეთ-იქით მიმოვიხედეთ.

— აგერ მარჯვენა ოთხი სამრეკლო!—წამოიძახა ლეიტენანტმა ექიმმა ბტიმ. მალე ერთ ეკლესიასთან მივედით. სამი სხვა სამრეკლო მარცხნივ მოსწინადა. ცოტაც და ბაზარში შევედით. საათმა ბაზრის თავზე გაგვაგებინა, რომ თერთმეტი წუთი გასულიყო ჩვენი გამოქცევის შემდეგ. გვრჩებოდა ოთხი წუთი კიდევ. გამოკითხვას ვერა ვბედავდით. ინსტიქტით ვხელმძღვანელობდით. შევედით ვიწრო, მაგრამ სუფთა და მაღალ სახლებიან ქუჩაში. და მოულოდნელად თვალში გვეცა მსხვილ-ასობიანი წარწერა: „სენ-მარტენის ოტელი.“

გულზე მიგვეშვა. თავისუფლად ამოვისუნთქეთ. როცა კარებთან მივედით, ქუჩაში არავინ სჩანდა. დაურიღებლად და უცუცხუოდ შევალეთ კარი. ზის კიბეს შევუღებეთ.

— ვინ არის? — მოგვესმა ზევიდან.

— ჩვენა ვართ, — მივეუბნე მე ზმის კანკალით.

მეორე სართულის მოაჯირს ქალი გადმოეყუდა. დაგვატყერდა. ალბათ, მიხვდა, ვინც ვიყავით, გულთბილად მოგვმართა:

— ამოდით, შეიღებო, ამოდით! დიდი ხანია მოველით.

სწრაფად ავირბინეთ კიბე. მეორე სართულის ბინის კარებთან ქალი იდგა. არასოდეს არ დამაეციწყლება მისი სახე. კურთხეულ იყოს შენი სახელი, პატიოსანო აღამიანო ლუი ბელონვილ, დაბადებით ამალია როტბრიუნ! დღესაც ვიმეორებ ჩემს ლოცვაში შენს სახელს, გავიმეორებ მას ხვალ, გავიმეორებ ამოსუნთქვის უკანასკნელ წუთამდე. არასოდეს არ დამაეციწყლება, როგორ იდგე შენი ბინის კარებთან, წარმოსადგე, საკმაოდ სრული, ცისფერ წინსაფარში.

ღიად, ნამდვილი დედობა გავვიწია მაშინ იმ ქალა-მერეულმა მანდილოსანმა, ნამდვილ მხსნელად მოგვევლინა იგი ორ ვაჭირებულ, საშინელ განსაცდელში მყოფ აღამიანს.

— მომყევით, შეიღებო, — ჩურჩულით მოგვმართა ამალიამ.

გავიარეთ საკმაოდ დიდი, ნათელი სამზარეულო, მერე მრგვალი სალონი და შევედით საწოლ ოთახში. ღია ფანჯრებზე სქელი ფარდები იყო ჩამოფარებული, ასე რომ დღის შუქი ოდნავ ანათებდა ოთახს.

პირველ ჩანებში ხმა ვერ ამოვიღეთ. მუხუცებივით ვიღებეთ. სამაგიეროდ

ამლია დაპარაკობდა, ალბათ, ჩვენი გაოგნების გასაქარწყლებლად, ჩვენი დასამშვიდებლად.

— დიად, დიად, უკვე რამდენიმე დღეა მოგვლით. ყველაფერმა მზავს მზავს ტანისამოსიც. იმედო მამქვა, კარგად მოვერჯებათ.

ჩუკინის საწოლთან მიგვიყვანა. დაეინახეთ ორი კოსტიუმი — ნაცრისფერი და მომწვანო. იქვე ეწყო ფერადი და თეთრი პერანგები, ორი მუქი ჰალსტუხი, ორი ცხვირსახოცი, ორი წყვილი წინდა, ხოლო იატაკზე — ორი წყვილი ფესსაცმელი, შავი და ყავისფერი.

— ქუდებსაც მოგიტანთ. ჩემს ლეს ბევრი ქუდი დარჩა. ახლა იმას ქუდი აღარ სჭირია, ისიც სამხედრო ტყვეა, თუმცა თქვენ სამხედრო ტყვეები აღარა ხართ... თქვენს ძველ ტანისამოსს დაგწავით. ამოიღეთ ჯიბეებიდან ყველაფერი. ახლა კი სამზარეულოში გავიქცევი და საუხმეს მოგიტანთ, — სთქვა და სასწრაფოდ გავიდა.

გაოცებულნი ერთმანეთს შეეყურებდით. სიზმარში გვეგონა თავი. ბოლოს, ამლია დაბრუნდა და უხვი საუხმე მოგვიტანა. ჩვენ ზელპირი უკვე დაბანილი გვექონდა და ტანისამოსი გამოცვლილი. როცა საუხმეზე დავსხედით, მხოლოდ მაშინ გავვიღევა თავში აზრმა, ვინ იყო ჩვენი მასპინძელი და სად ვიყავით. „სენ-მარტენის“ ოტელში? მაგრამ იმ სახლში არაფერი გვაგონებდა ოტელს: არსად სიანდნენ არც შვეიცარი, არც ლაჭიები, არც მოსამახურე ქალები. ვერც ოტელში ჩამომხტარ მდგმურებს მოგვარიით საღმე თვალი.

— იძულებული ვარ, გულახდილად აგიხსნათ ყველაფერი, — მოგვმართა ამლიამ, როცა ჩვენს სახეზე, ალბათ, გაურკვეველი გაოცება ამოიკითხა: — გერმანელების მოსვლამდე აქ ნამდვილი სასტუმრო გვექონდა. ლუიზ/დღესაც არ იცის, რომ აქ ოტელი აღარ არის. მოსვლისთანავე გერმანელებმა მრავალი ოტელი სამეძაო სახლად გადააქციეს. ეს ბედი არც ჩვენ სასტუმროს ახცდა. შემეძლო, რასაკვირველია, მიმეკეტა და მიმეხურა ოტელი. მაგრამ არ მინდოდა საკუთარი ხახლისა და ბინის დაკარგვა. გარდა ამისა, აღებულო ფულით ფრანგ ჯარისკაცებს ვეხმარებით. მთელი ჩვენი სახლი, ჩვენი ცილები სამხედრო ტყვეებისთვის მუშაობენ. ვერაფერ და ვამზადებთ ბევრ რამეს და ასე თუ ისე ვაწვდით ფრანგ ტყვეებს. ნანაის ბანაკში ოცი ათასი ტყვეა მოთავსებული. იმავე ტყვეებს ვშველით და ვეხმარებით გაქცივის დროს. უკვე ბევრი ტყვე გავაპარეთ თავისუფალ საფრანგეთში. წუწკი ბოშების ფულიდან არც ერთი გროში არ მინდა შევიხსნო! — დაათვა დიასახლისმა.

ამრიგად, მე და ექიმი პტი სამეძაო სახლში მოვხვდით.

მოგვათავსეს მეხუთე სართულში, სადაც ორი პატარა რთახი იყო. იქ ვატარებდით მთელ დღეებს. ზოგჯერ, შუადღისას და საღამოთი, ქვევით ჩავდიოდით, დიასახლისის ოთახებში. იქ შესვლის „სატუმრებიდან“ ვერაფერ ხელავდა. როდესაც ჩვენს ოთახებში აგვიყვანეს, გვაჩვენეს კიბე, რომელიც შუშის საბურავზე აღიოდა. უკიდურეს შემთხვევაში, ზიფათის დროს, იქ შეგვეძლო დამალვა. საღამოს ათ საათზე სახლი იკეტებოდა და ამის შემდეგ არც ერთ გერმანელს, კომუნდატურის ბრძანებით, აღარ შეეძლო შემოსვლა. ყველაზე პაშიმ დროს წარმოადგენდა დრო ცხრიდან ათ საათამდე. ამ დროს შემოდიოდა ზოგჯერ სახლში პოლიცია და ქალების საბურავებს ამოწმებდა,

ხან ოთახებსაც ათელიერებდა. დიასახლისმა თავშივე აგვიხსნა, რომ რამდენიმე დღეს დაპყოფთ აქ და მერე, როცა თქვენი ძეხსა უკეთესობა, ყალბ საბუთებზე გიშოვნით და თავისუფალ საფრანგეთში გააბნელებათ.

ჩვენი ძველი ნაცნობები ქაინა და ირენა პირველ დღესვე გვეწვდნენ.

ერთ დამეს საშინელი შიში გამოვიარეთ. სალონი ვცხედით. ათი სული ვიყავით: დიასახლისი, ექიმი პტი, მე და შვიდი ქალიშვილი, მათ შორის ირენაც და ქაინაც. ქალები რაღაცეებს ჰყერავდნენ სამხედრო ტყვეებისთვის.

— დღეს ნანსში სასიხარულო ამბავი მოხდა, — სთქვა ირენამ: — ბანაკიდან ოცდაათი ტყვე ფრანგი ოფიცერი გბიქცა. ერთბაშად გაიქცა ოცდაათი კაცი. შემდეგ დიასახლისმა გვიამბო, როგორ გვიშოვნა მე და ექიმ პტის ყალბი საბუთები ნანსიდან გასასვლელად.

სწორედ ამ დროს უცნაური ხმაური მოისმა ქუჩიდან. მოტოციკლეტებმა ჩაიქროლეს წყნარ ქუჩაში და სადღაც მახლობლად გაჩერდნენ. შემდეგ ავტომობილი მოვარდა და კარებთან შედგა. გაისმა რაღაც ბრძანება.

სალონი ერთბაშად აირია. დამფრთხალი ქალები აქეთ-იქით გარბოდნენ. მაგრამ დიასახლისმა ყველანი შეაჩერა.

— დაწყნარდით და ყური დამივღეთ! — წამოიძახა მან: — თქვენ სახურავზე აღით, — მოგვეართა მე და პტის, — იყავით იქ, სანამ მე არ დაგიძახებთ. პოლიცა, გაცილე ეგენი სახურავზე და აქვე დაბრუნდი. თქვენ, ქაინა და ირენა, ჩემს ოთახში წადით და იქ დაწექით. თუ გკითხონ რაში, უთხარით, სტუმრად მოვედით-თქო. დანარჩენნი აქ დარჩით.

როდესაც ვიწრო კიბით სახურავზე ავდროდით, ქვემოდან ზარის ძლიერი რაწკენი მოგვესმა. სახურავი ძნელად გასატეხ სქელ მინას წარმოადგენდა. ვიღებოთ ბრტყელ სახურავზე და ველოდით, რა მოხდებოდა. როცა მიმოვიხედეთ, მივხვდით, რომ თუ კიბეზე ამოვიდოდნენ, უსათუოდ დაგვინახებდნენ სახურავზე. მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ფოფხით სახურავის კიდეგან მივედით. იქ მე პირველ გავწეკი. პტიმ ერთი ხელი საკვამლე მიღს ჩასჭადა, მეორე ხელით ჩემ ფეხს ჩაებლაუჭა. მე ცოცხვით წაიწიე წინ და ვიღუდან გადავიხედე. დაეინახე, რომ არავითარი უფსკრული არ იყო იქ, პირიქით, ქვემოთ, დაახლოვებით ორ მეტრზე, მეორე სახლის სახურავი იწყებოდა. როცა მე და პტი ამ სახურავზე ავეცოცდით, სრულიად უშიშარ აღვიღას ვერძენით თავი. კებიდან იქ ვერაგინ ვერ დაგვინახავდა. მეორე სახლის სახურავი კრამიტისა იყო თავისუფლად ამოვიტუნთქეთ. არ გასულა დიდი ხანი, რომ მოისმა ბრძანება:

— ორნი სახურავზე აღით!

სულგანაბულნი გავწეკით კრამიტის სახურავზე. ისე მივეკარით სახურავს, რომ, ალბათ, წებოთიც ვერ მიგვაკრავდნენ ისე მაგრა.

ვერ ვიტყვი, რამდენხანს დავყავით ასე გართობილნი კრამიტის სახურავზე. მხსოვს მხოლოდ, რომ წუთები საათებად გვეჩვენებოდნენ. ბოლოს მოგვესმა ამალიას სანატრელი ხმა, სადა ხართ პავშებოთ.

პოლიციის თავდასხმა ჩვენი მიზეზით არ მომხდარა: გერმანელები ეძებდნენ ნანსის ბანაკიდან გაქცეულ ოცდაათ ფრანგ ოფიცერს. მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც უნდა ავიჩქარებულიყავით, რადგან აშკარა იყო, რომ გერმანელები გაათრკეცებდნენ სიფხიზლეს.

მთელი მეორე დღე სამგზავრო მზადებას მოვანდომეთ. როგორც აღენიშ-

ნე, ჩვენ კეთილ ანგელოზს დიასახლისს ამალიას უკვე ნაშოვნია ჰქონდა სუ-  
თანადო საბუთები. თავისუფალ საფრანგეთში მოსახვედრად უნდა გავგეგმოდეთ  
ორასი კილომეტრი რკინიგზით. მივდიოდით ქალაქ დიეონში, იქვე დავიდგინეთ  
ვისუფალი საფრანგეთის საზღვარი ორმოც კილომეტრზე მდებარეობდა. მა-  
შასადამე, საჭირო იყო ორი ისეთი კაცის გამოხსნა, რომელნიც აიღებდნენ  
თავიანთების საშვებებს დიეონამდე, გადმოგვცემდნენ ამ საშვებს ჩვენ და  
შერე, რამდენიმე კვირის შემდეგ, განაცხადებდნენ, რომ საშვებები დაკარ-  
გეს. ყველაფერი ეს მოაგვარა და საშვებები გვიშოვნა ამალიამ.

მაგრამ საჭირო იყო კიდევ ამ საშვებებში მათი პატრონების სურათების  
ამოღებეკა, ჩვენი სურათების ჩაყრობა და მიმსგავსებული ბეჭდის დასმა.  
მთელი ღამე მოვანდომეთ ამ სათუთ საქმეს. როგორც ყველაფერში, ამაშიაც  
გულმოდგინედ გვემართებოდნენ იგივე ამალია და დანარჩენი ქალები.

და აი დადგა გამოთხოვების ჟამი. საღამოს შვიდ საათზე, როდესაც  
საღონში შევედი, იქ დავგვხდნენ ყველანი, ჩვენი კეთილის-მყოფელნი,  
ჩვენი მხსნელნი და გადამრჩენნი.

დიასახლისმა წინასწარ გვიყიდა ჩემოდნები. ამ ჩემოდნებმა ძლივს ჩაი-  
ტიეს ქალების მიერ დამზადებული პატარ-პატარა საჩუქრები. მერე სათი-  
თაოდ გადაგვკოცნა ყველამ. ამალიამ-კი, შუბზე ამბორის გარდა, დიდილ  
დედასავით დავგლოცა და კეთილი მგზავრობა გვისურვა.

დიეონამდე ერთად ვიმგზავრეთ მე და ექიმმა პტიმ. ბევრგან გავგჩხრიკეს  
და გავგცინჯეს საბუთები. დიდი შიში და განსაცდელი გამოვიარეთ. ყო-  
ველ წუთს მოველოდით სიყალბის გამოაშკარაებბას საბუთებში და დაპა-  
ტიმრებას, რასაც მარტოოდენ სიკვდილი მოსდევდა.

უფრო შეტად გავიტანჯე დიეონიდან საზღვრამდე. ორმოცე კილომეტრის  
მანძილზე ათას ხიფათს და განსაცდელს წაეაწყდი. მაგრამ ბედმა მიხსნა.  
ბოლოს, როგორც იყო, გადავლახე ოკუპირებული საფრანგეთის საზღვარი  
და საშვიდობოს გავედი.

მოზარგმნელი ილია ავლაძე.

(დასასრული)



გარონტი ამოცა

## გიორგი აკისთავი

(გარდაცვალებიდან 80 წლისთავის გამო)

1845 წელს ნიკოლოზ პირველმა თავის მოადგილედ და მთავარმართებლად კავკასიაში სამოცი წლის მოხუცი გრაფი მიხაილ ეორონცოვი დანიშნა. ეორონცოვს ახალგაზრდობა ინგლისში ჰქონდა გატარებული და კარგად იცნობდა ინგლისის კონსტიტუციას და მართვა-გამგეობის მეთოდებს; ის იმ აზრისა იყო, რომ რუსეთის იმპერიის განაპირა ქვეყნებში უფრო მოქნილ, ლიბერალური პოლიტიკის წარმოება იყო საჭირო, ვიდრე მისი წინამორბედნი აწარმოებდნენ. ის შეეცადა ვადედეგებინა როგორც ეკონომიური საქმიანობა, ისე კულტურული ცხოვრება და ერთმანეთისათვის დაეახლოვებინა ქართველი არისტოკრატია და რუსი მოხელეობა. მან შეაკეთებინა ძველი გზები და გააყვანინა ახალი, გაათხრევეინა არხები, ნაოსნობა გაახსნევინა ნავთსადგურებს შორის; თბილისი შეიმკო ევროპული სახლებით და მალაზიებით, სადაც დასავლეთ ევროპიდან შემოზიდული საქონელი გაჩნდა; გაიხსნა გიმნაზიები, სახელოსნო და სახალხო სკოლები; თბილისში აგებულ იქნა თეატრის შენობა ოპერისა და დრამის წარმოდგენებისათვის, დაიწყო გამოცემა რუსული ყოველდღიური გაზეთი „კავკასისა“, რომელშიც, გარდა ოფიციალური ცნობებისა, საინტერესო ისტორიული, ეთნოგრაფიული და ეკონომიურ-სტატისტიკური ხასიათის მასალა ქვეყნდებოდა ადგილობრივი ცხოვრების გასაცნობად.

ეორონცოვს საჭიროდ მიაჩნდა ერთი მხრით, რუსული ენის საყოველთაოდ გავრცელება კავკასიისა და საქართველოში, მეორე მხრით, ის მოითხოვდა, რომ ყოველ რუს მოხელეს ერთ-ერთი ადგილობრივი ენა მიახსნებოდა.

მან ამიერკავკასიაში გადმოასახლა სამი ათას ზუთასი კომლი რუსი რასკოლნიკი და ამით საფუძველი ჩაუყარა ამ ქვეყნის კოლონიზაციას რუსობის მიერ. ბოლოს თბილისში გაიხსნა ევრეთწოდებული პრიკაზი, საიდანაც ქართველ თავადაზნაურობას სესხი ეძლეოდა მამულის დაჯირავებით.

პრიკაზიდან მიღებულ თანხები ქართველმა თავადაზნაურობამ, უმეტეს ნაწილად, მოახმარა არა მეურნეობის გაუმჯობესებას, არამედ კომფორტის საგნების შეძენას თბილისის მოდის მაღაზიებში, წვეულებებისა და საცეკვაო საღამოების გამართვას და ფუქსაჯატ დროსტარებას. ქართველი მწათმფლობელი არისტოკრატის ერთი ნაწილი დაუახლოვდა მეფის ნაცვლის სასახლეს და უმაღლეს რუსის მოხელეობას, ზერედედ შეითვისა



ვერობულა კულტურა და ქონებრივი გადატაცების და ეროვნული გაღრმავლების გზას დაადგა. რუსულად ლაპარაკი ამ წრეში მაღალი კულტურის ნიშნად იქცა. მეორე ნაწილი სოფლად დარჩა, თავისუფალი იქნა შეძერა და გონებრივად გაიყინა. ბოლოს თავადაზნაურობას ეწამა მნიშვნელოვანმა და ჯანსაღმა ნაწილმა შესძლო ანგარიში გაეწია ახალი დროის მოთხოვნილებასათვის, მშრომელ ხალხს დაახლოვებოდა, აქტიური მონაწილეობა მიეღო სამეურნეო აღმშენებლობაში და გონებრივ მოძრაობაში, ერთი სიტყვით, ეროვნული კოლექტივის ჯანსაღი და სასარგებლო წევრი გამხდარიყო.

მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებიდან ქართულმა ლიტერატურამ მკაფიოდ აღნიშნა ის დანაწილება, რომელიც ქართველ თავადაზნაურობაში მოხდა და რელიგიურად ანაბა ამ წოდების სხვადასხვა ფენიდან გამოსული ტიპები.

ამავე დროს ქართულ ლიტერატურაში აღინიშნა მეორე მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენა, სახელდობრ ბურჟუაზიის გამოსვლა ცხოვრების ასპარეზზე. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ მკრთალ და გაუბედავ ცდას, ბურჟუაზიის ყოფაცხოვრება ქართულ სტრუქტურულ მშენებლობას არ აღსახავს შოთა რუსთაველის შემდეგ. ეს გარემოება იმით აიხსნებოდა, რომ ჯგალაღდინის, ჩინგიზყვინის და თემურ ლენგის ურდოებმა დედამიწის ზურგიდან აღგავეს საქართველოს მნიშვნელოვანი საექსპორტ-სამრეწველო ცენტრები და ნორმალური განვითარების შესაძლებლობა წაართვეს ნორჩ ქართველ ბურჟუაზიას. ამიტომ, სხვათა შორის, ქართული ლიტერატურის ფორძინების პერიოდში — მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე საუკუნეში არ წარმოიშვა არც ერთი ტიპიური ბურჟუაზიული ლიტერატურული ჟანრი: ქართულ ლიტერატურაში არ არსებობს არც ბოკაჩიოს ჭოყლეების, არც სერვანტესის დონ-კიხოტის, არც ლესაჟის კილბლახის, არც პრევოს მანონ ლესკოს თუნდ შორეულად მიმსგავსებული ნაწარმოები.

ბურჟუაზია, რომელიც საქართველოს ქალაქებში განვითარდა და ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნეში, უმეტეს ნაწილად უცხოეთიდან ჩამოთესლულა ელემენტებისაგან შესდგებოდა; ის ქართველი ერის კულტურასთან ნაკლებ დაკავშირებული იყო ორგანულად და ისეთს ზნობრივად ჯანსაღს ძალას არ წარმოადგენდა, როგორც დასავლეთი ევროპის ბურჟუაზია იყო თავიში სიჭაბუკისა და სამწიფის პერიოდებში. ქართული ლიტერატურა თავდაპირველად მას უფრო კომიკური მხრიდან ხედავდა. მხოლოდ უფრო გვიან, როდესაც სომხის სოციალებს და ჩარჩების გვერდით, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოდან გამოსულმა მრეწველებმა და ექსპრებმა დაჭირეს ადგილი ქართულმა ლიტერატურამ შეამჩნია, რომ მესამე წოდების სახით მას საკმარის სერიოზულ გროვნულ ფაქტორთან შეკონდა საქმე. მაგრამ რადგან მესამე წოდების დანაწილება საქართველოში მას წარმოშობისთანავე დაიწყო, რადგან, ქართველმა ბურჟუაზიამ ვერც კი მოასწრო თავისი თავის გაფორმება და წმინდა კლასობრივი იდეოლოგიას შექმნა, რომ მის პირისპირ უკვე მისი მოწინააღმდეგე, მუშათა კლასი აღიმართა რევოლუციური-პათისით და სოციალისტური იდეოლოგიით აღჭურვილი, ბურჟუაზიული ლიტერატურის განვითარება ნაადრევად შეწყდა, ისე რომ არც ერთ დარგში მას წარუვალა მნიშვნელობის ძეგლი არ დეტოვებია.



ბირველი ქართველი მწერალი, რომელმაც ძველ ქართულ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებანი შენიშნა და ასახა, გიორგი ერისთავი იყო. თავისი წარმოშობით, აღზრდით და პოლიტიკური იდეალებით გ. ერისთავი იმავე წრეს ეკუთვნის, საიდანაც გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი და ვახტანგ ორბელიანი გამოვიდნენ; მაგრამ თავის შემოქმედებით მას სულ სხვა სფეროში გადაეყვართ. ის აღარ ლაპარაკობს ფეოდალური ლიტერატურის დამახასიათებელი პათეტური ენით, თვით ფეოდალური, წოდება მისთვის დაციწვის საგანს წარმოადგენს.

მთელი თავისა არსებობის მანძილზე ქართველი ფეოდალური არისტოკრატია თავისთავს რაღაც გმირული შარაგანდებით შემოსილად ხედავდა. უცებ გიორგი ერისთავის თვალთ მან დაიწახა, რომ ის დიდულ კომიკურა გამხდარა. რა უზარმაზარი მანძილია ლიბარტი ორბელიანებისა, საარგის ჯაყულებსა, ზურაბ ერისთავებისა, გრიე ამილახვრებიდან, ყველა იმ ზეიადი ფეოდალებიდან, რომელნიც გმირულად სამშობლოს იცავდნენ ან მას ვერაგულად ღალატობდნენ, მეფეებს ეჭმებოდნენ ან ერთმანეთს თვალებს ხაზბოდნენ, გიორგი ერისთავის კომედიების გმირებია — ანდრუყაფარებმა, ამირინდოებმა და ონოფრეებამდე! რა გასაოცარო ცვლილება მოხდა ქართველმა არისტოკრატებმა ნაწილობრივ დაკარგა თავისი სოციალური ფუნქცია, შვეყნის მმართველისა, მოსამართლისა, დამცველისაგან ას უბრალო მემამულედ იქცა, მაგრამ ისე კი, რომ ზშირად აღარ ხელმძღვანელობდა თავის მეუბრეობას.

გიორგი ერისთავი 1811 წელს დაიბადა. მამა მისი დავითი ქსნის ერისთავების ჩამომავალი იყო და მას კარგი შეძლება ჰქონდა. გიორგის დედა ერეკლე მეფის მდივნის ივანე ქობულაშვილის ქალი იყო. ათ წლამდე პატარა გიორგი შინ იზრდებოდა, დედის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც, როგორც ძველებური ქართული ოჯახის ქალს შეეფერებოდა, კარგად იცნობდა საღმრთო წერილს და ქართულ მწერლობას. შემდეგ ის მშობლებმა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს, სადაც მან ოთხი წელი დაჰყო. 1825 წელს გიორგი მის თანამოსახვე ბიძაშვილთან ერთად მოსკოვში გაიწვია მეთმა ბიძამ მიტროპოლიტმა ვარლამ ერისთავმა, რომელმაც ისინი კერძო პანსიონში მანაბარა სწავლის გასაგრძობად. რადგან ჩრდილოეთის ჰავამ ცუდად იმოქმედა გიორგის და მისი ბიძაშვილის ჯანმრთელობაზე, ისინი ორი წლის შემდეგ იძულებულა გახდნენ სამშობლოში დაბრუნებულ იყვნენ. ახალგაზრდა გიორგი ერთხანს თბილისის გუმბრახტორთან მსახურობდა, შემდეგ მთავარმართებლის ამილახვა გადავიდა; სახელმწიფო სამსახურში ყოფნის დროს გიორგი ერისთავს ერთი ინციდენტი შეეშახა, დიდად დამახასიათებელი იმ დროისთვის. 1828 წელს რუსმა მწერალმა გრიბოედოვმა ცოლად შეირთო ალექსანდრე ჭავჭავაძის უფროსი ქალი ნინო. საქორწინო ნადიმი მთავარმართებლის სამსახურში გაიშართა. დაპატივებულთა შორის გიორგი ერისთავიც იყო, ის წყევულებაზე ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი მივიდა, რადგან ქართული ტანამოსი რუსი მოხელებისა და გადაგვარებული ქართველი არისტოკრატების თვალში აზიური უკულტურობის ნიშნად იყო გადაქცეული, კარებთან მღვთობარე რუსმა პოლიციელმა გიორგი ერისთავი დარბაზში არ შეუშვა.

აღმყოფებული გიორგი შინ წაიდა და ს.ქიროდ აღარ მიიჩნია ტანამოსის გამოცვლა და ნადიმზე დაბრუნება.

გიორგი ერისთავი ერთერთი ყველაზე უფრო გულმხურვალე მონაწილე აყოფრული საზოგადოებია, რომელიც საქართველოს გასათავისუფლებლად აჯანყებას აზრადებდა. სხვა აქტიურ შეთქმულებთან ერთად ის დატუსაღებულ იქნა 1832 წლის დეკემბერში და ერთ წელიწადზე მეტი ციხეში დაჰყო. შემდეგ ის გადასახლებულ იქნა პოლონეთში, სადაც მან სხვადასხვა ცენტრებში ოთხ წელიწად ნახევარი გაატარა. უცხოეთში ყოფნაზე, როგორც ეტყობა, კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა გიორგი ერისთავის გონებრივ განვითარებაზე, მაგრამ ამასთანავე გაანეღა მისი ავტორიტეტული ენტუზიაზმი. 1831 წელს პოლონეთში ძლიერი ეროვნული აჯანყება დაიწყო, მაგრამ ნიკოლოზ პარველის არმიამ გენერალ პასკევიჩის მეთაურობით საშინელი სისასტიკით ჩააქრო ეს აჯანყება. ქართველი შეთქმულნი და მათ შორის, უეჭველია, ახალგაზრდა გიორგი ერისთავიც დიდ იმედებს ამყარებდნენ მემამოზე პოლონელების წარმატებაზე და, როდესაც პოლონელების ჯარი დამარცხდა, ქართველ პატრიოტებს გული გაუტყდათ. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზი 1832 წლის შეთქმულების დამარცხებისა. მაგრამ ოცდაათიან წლებში პოლონელ და ქართველ პატრიოტებს შორის წარმოიშვა ურთიერთისაღმი სიმპატია, რომელიც შემდეგ აღარ განელებულა რომანოვების დინასტიის დამხობამდე.

გიორგი ერისთავი პირველი ქართველი ინტელიგენტი იყო, რომელმაც ხანგრძლივად იცხოვრა პოლონეთში, შეისწავლა პოლონური ენა და გაეცნო პოლონური ლიტერატურის საუკეთესო წარმომადგენლების, განსაკუთრებით ადამ მიცკევიჩის შემოქმედებას. როგორც ეტყობა, პოლონეთის მოწინავე განათლებულმა საზოგადოებამაც გულთბილად მიიღო სამშობლოდან გაქვევებული ქართველი პატრიოტი. მაგრამ ვერც უბედით შოენილმა ახალმა ავტორებმა ვერც „სუციური მშვენიერებით“ დაჯილდოებულმა და „სამოთხებრივ ტკბილად მოღიბარე“ პოლონელმა ქალებმა ვერ შეესძლეს მის გულში „ღრმად დამარბული კუმწვარება“. გაქვარებინათ: პოლონეთში მან ზიანც ვერ იპოვა მეორე სამშობლო. თავის ლექსში „უცხო ქვეყნის ყაცს“, რომელიც ქ. ვილნოშია დაწერილი და 1835 წლითაა დათარიღებული, ის ამბობს:

სიღრმითა გულთა გრძნობილთ ვარ მადლობელი  
ჩემის ესრეთის აღერსითა მიღებისათვის,  
მაგრამ არ ძალბომს დავივიწყო მხარე მშობელი  
და სიხარულად მიმჩნია ვიტრო მისთვის!  
სად დავიბადე, სად აღვიზარე, სად ვიყავ ჩელი,  
სად სიქამუცის განვატარე დღენი ნეტარნი,  
სად მართობა მომეწყვიტა ტრფობის ყვაილი,  
ვლახ იმ მართისთვის შეფრქვევიან ცრემლი მდღეარნი!

პოლონეთში ყოფნის დროს დაწერილ ლექსებში („მტკვრისაღმი“, „ყახახისაღმი“) გიორგი ერისთავი იგონებს თბილისში დატოვებულ საყვარელ ქალს, რომელსაც ის ლეილას უწოდებს. ას ოცნებობს ერთხელ კიდევ მტკვრის ტალღებში დაინახოს ლეილას ჩრდილი და თუნდაც შემდეგ იმ ადგილსავე დაიდრძოს; ას თვალი მოჰქრას მოაჯირზე მდგომარე მოღიბარე

ლელიას. ცნობილი არაა, ვინ იყო ეს ლელია. ყოველ შემთხვევაში იმ არის ალიხანოვის ქალი, ელისაბედი, რომელიც გიორგი ერისთავის ცნობებში დაბრუნების შემდეგ შეიერთო ცოლად და რომლისგანაც მას იყოლა დაკითხვა, შემდეგში ცნობილი ტურნალისტი, ფრანგი მწერლის სარდუს პატრიოტული დრამის „ხანშობლოს“ გადმომაკეთებელი.

ნაწილობრივ პოლონეთში ყოფნის დროს, ზოლო ნაწილობრივ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ გიორგი ერისთავმა ცოტა არ იყოს მძიმე და მოუწყნელი ენით გადმოთარგმნა მიცკევიჩის, შილერის, ვიქტორ ჰუგოს, პეტრარკას, ბერანეეს, პუშკინისა და ლერმონტოვის რამდენიმე ლექსი. მან გადმოთარგმნა აგრეთვე რამდენიმე ნაწყვეტი გრიბოედოვის კომედიიდან „ვაი კულისაგან“. შედარებით მეტი პოეტური შთაგონებითაა დაწერილი მისი ორიგინალური ლექსები, რომელნიც ასადაგაცნობილ პოლონელ ქალები-საღმი არიან მიძღვნილნი და სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანის სევდას გამოაზნაბენ („როზალია შიშინგის ქალ“, „თეოდოსია შირეცას“, „მტკვრისადმი“, „ყაბახისადმი“). ცალკე ზღვას გ. ერისთავის საუკეთესო ლირიკული ნაწარმოებები, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალების გამო დაწერილი:

რა მიგვეფარე, ცას შვესტქერი, რა დღე მწოდებნს,  
მეფურებ, ტატო რომელს იარსკვლავად გამოიწყინებნს!  
თითქო გზედგე შენ მოარულსა რძისა გზაზედან,  
ანგლოთ დასნი გზებევიან, ფურს დავიკვებენ,  
მერც ცის სივრცეს ლავიარდოვანს განავარდებენ!

სასჯელის მოხდისა და საქართველოში დაბრუნების შემდეგ გიორგი ერისთავი დაუბლოცდა ქართველი საზოგადოების ამ წარმომადგენლებს, რომელთაც უარი სთქვამს განუზოროციელებელ და თამამ პოლიტიკურ იდეალებზე და რუსეთის ხელისუფლებას მიმართ დაახლოების და შეგუების გზას დაადგენს. ამ ოპორტუნისტულად განწყობილი წრის ერთი მთავარი ცენტრი იყო სიღამაზით და გემოვნებით ცნობილი მანანა ორბელიანის სახლი, რომელიც ორმოციან წლებში ერთგვარ ლიტერატურულ სალონის როლს ასრულებდა თბილისში. მანანა ორბელიანს მიგობრობდა მეფის ნაცვალს ვარაზტოვი, მანანა ორბელიანის სახლში აკრებებოდა ქართველი ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი, მისი ზმირი სტუმრები იყვნენ ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ თუმანიშვილი და სხვ. როგორც ვეცხობა, პირველად ამ წრეში დაიბადა ქართული ტურნალის გამოცემის და ქართული თეატრის დაარსების იდეა.

თუმცა ახლად დაცოლშვილებული გიორგი ერისთავი ორმოციან წლებში, უმეტეს ნაწილად, პროვინციაში ცხოვრობდა, ხიდისთავსა, მეჯვრისსევსა ან გორში, მაგრამ მას თბილისთან და იქ მყოფ ქართველ ინტელიგენციასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. თბილისის მოწინავე ლიტერატურულ წრეებში იცოდნენ, რომ გიორგი ერისთავს უკვე დაწერილი ჰქონდა ქართული კომედია თანამედროვე ცხოვრებიდან. ამიტომ, როდესაც 1849 წელს მეფის ნაცვალმა გადასწყება ცალკე ფასი შეედგინა ქართული წარმოდგენების დასადგმელად, მან ხიდისთავიდან გიორგი ერისთავი გამოაწვევინა ამ დასას დასადგოლად.

პირველ ქართულ დასში, რომელსაც ვორონცოვმა ყოველწლიური სესი-  
სილია დაუნიშნა იაზი-ხეთი ათასი მანეთის რაოდენობით, გერმანულ  
თავი ერთსა და იმავე დროს ღირებურობის, დრამატურგის  
როლს ასრულებდა. პირველად თბილისის თეატრის სცენაზე 1850 წლის 2  
იანვარს წარმოდგენილ იქნა გ. ერისთავის კომედია „გაყრა“, რომელშიაც  
ავტორმა სომხის ვაჭრის მიკირტუშას როლი ითამაშა. იმავე წლის მაისში  
სცენაზე დაიდგა ვ. ერისთავის მეორე კომედია „დავა“.

აამდრო დასწყისის მიუხედავად გიორგი ერისთავის მიერ შედგენილ  
დრამატული დასაბრ აღმოჩნდა დღევრძელი, თბილისის თეატრის ღირე-  
ცია უპირატესობას აძლევდა იტალიური და რუსული დასების წარმოდგე-  
ნებს და ყოველმხრივ ხელს უშლიდა ქართულ დასს. იტალიური ოპერით გა-  
ტაცება მთელი თბილისის საზოგადოებას მოედო. ვორონცოვის გადადგომას  
შემდეგ ქართულ თეატრს მთავრობის სტუმრადია მოესპო. გულგატეხილა  
ვ. ერისთავი ჩამოშორდა ქართულ თეატრს. მართალია, მის მიერ დაწყებული  
აქმის გაგრძელება მისმა მოწოდებებმა აცადეს, რომელთა შორის ყველაზე  
მნიშვნელოვანი უდროოდ ტრაგიკულად დაღუპული ზურაბ ანტონოვი იყო  
(ავტორი კომედიებისა: „მზის დაბნელება“, „მე შინა კნენა გაგზღე“, „ტი-  
ვით მოგზაურაბა“ და სხვ.); მაგრამ ოფიციალური ხელისუფლების წი-  
ნადმდგომარ და საზოგადოების გულგრილობამ შეუძლებელი გახადა ქარ-  
თული თეატრის და დრამატურგის ნორმალური განვითარება.

იმავე შეფის ნაცვალ ვორონცოვის დახმარებით და ვ. ერისთავის რე-  
დაქტორობით 1852 წლის იანვრიდან დაიწყო ქართული ეჟრნალის „ცისკა-  
რის“ გამოცემა. ეს ეჟრნალი მოკლებული იყო პოლიტიკურ განყოფილე-  
ბას და არსებითად ლექსებისა, მოთხრობებისა, სარწმუნოებრივ-ზნეობრივი  
და რიგებებისა და პრაქტიკული ცნობების კრებულს წარმოადგენდა. ვო-  
რონცოვმა თვითონ გადაიხადა ასი ცალის ფასად, ამის შეტი ზელის მომწერი  
ვ. ერისთავის „ცისკარს“ თხოქმას არ ჰყოლია. ამიტომ გასაკვირველი არ  
არის, რომ ისიც დაიხურა ორი წლის არსებობის შემდეგ. მაგრამ 1857  
წელს „ცისკარი“ განაბლდა ივ. კერესელიძის რედაქტორობით, რომელმაც  
ორასამდე ზელის მომწერი იშოვა, და ამ ეჟრნალმა ორმოცდაათიან და სა-  
მოციან წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული სიტყვაკაზ-  
მული მწერლობის და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებაში.

თავისი ცხოვრების უკანასკნელი წლები გიორგი ერისთავმა, უმეტეს ნა-  
წილად, სოფელ ხილისთავში გაატარა. მხოლოდ 1862 წელს ექვსი თვე მან  
ეჟრნალში იმოგზაურა. ამ მოგზაურობას აღწერა საინტერესო მასალას  
შეიკავს ავტორის დაკვირვების ნიშნის და სულიერი ინტერესების გასაცნო-  
ბად. გიორგი ერისთავი გარდაიცვალა 1864 წ. ქალაქ გორში და დასაჯლა-  
ვებულ იქნა სოფელ იკორთაში.

გიორგი ერისთავი უფრო მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფიგურაა  
როგორც ახალ გზების მანველებელი და ვამკელეველი, ვიდრე როგორც  
მხატვარი. მისი/ლირიკა დამძიმებულა არქაული გამოთქმებით, ხოლო კო-  
მედიები და ნოვზაურობას აღწერა — რუსიციზმებით. მისი კომედიები

დიდლოვი ხალხის სასაუბროს ენის უახლოვედ და რამდენიმე კვირის-  
მყოფელ რეაქციას წარმოადგენს ნ. ბარათაშვილის და მისი მოწინააღმდეგის  
მადლდარდოვანი სტილის წინააღმდეგ. მან შექმნა ყოველი სოციალურა  
წრისთვის დამახასიათებელი მეტყველება: ძველი თაობის თავადი სხვა  
ენით ლაპარაკობს, ახალი თაობისა სხვათი, სომხის ვაჟის ქარგონი გან-  
სხვავდება იმერელი მოსამსახურის კოლოსაგან, მოურავის \* სიტყვა-მასუხა  
მოხელის სიტყვა-მასუხისაგან. მაგრამ, რასაკვირველია, სრულიად მიუღებე-  
ლია პლატონ იოსელიანის აზრი, „გაყრის“ პირველი გამოცემის წინ-  
სიტყვაობაში გამოთქმული, თითქო „თავადმან გიორგი დავითისძე ერს-  
თავმან დაბადა ენა ქართული ახალს გვიარისა მწერლობისათვის“: გიორგი  
ერისთავის ენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ახალი ლიტერატურე-  
ლი ენის ნიმუშად ჩაითვალოს.

გიორგი ერისთავის დრამატული ნაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია  
კომედიები „გაყრა“, „დავა“ და „ძუნწი“. პირველი ორი ცხოვრების უშუა-  
ლო დაკვირვების და შესწავლის შედეგს წარმოადგენს, ხოლო უკანასკნელ-  
ში ავტორს მთავარ მომქმედ პირად გამოყვანალი პყავს განაზღვრული  
სტუდიერ მანკის — სიმუნწის განსახიერება, საერთაშორისო ლიტერატურა-  
ში კარგად ცნობილი ტიპა, რომელიც მასზე აღრე რომაელმა მწერალმა  
ბლავატკა, ფრანგმა მწერლებმა შოლიერმა და ბალზაკმა, რუსმა მწერლებმა  
პუშკინმა და გოგოლმა და სხვებმა გამოიყვანეს. სამივე კომედია რეალის-  
ტურად ასახავს ეპოქის დამახასიათებელ ყოფა-ცხოვრების დეტალებს.

თუმცა კომედიები ქართულ სცენაზე პირველად ერეკლე შეფის დროს  
დაიდგა, მაგრამ ისინი რუსულიდან, სახელდობრ სუმაროკოვის პიესებიდან  
იყვნენ გადმოკეთებული და მათ საქართველოს სინამდვილესთან არავითარი  
კავშირი არ ჰქონდათ. გიორგი ერისთავის „გაყრა“ პირველი ქართული  
ორგინალური კომედიაა, რომელშიც მაცურებელთა საზოგადოებამ თავისი  
თავი დაინახა.

„გაყრაში“ გიორგი ერისთავმა აღნიშნა, რომ ქართველ თავადზნაურო-  
ბაში ერთგვარი დანაწილება მიხდა და ძველს თაობას ახალი თაობა დაუ-  
პირდაპირდა. თავადი ანდუყადარ დიდებულოც და მისი ძმა პავლე ძველი  
თაობის წარმომადგენლები არიან. მათი გონებრივი პარაზიტული ვიწროდაა  
მემოთარგლული: პირველი მათგანი თავისი კეთილდღეობის საფუძელად  
სთელის დიდ პატრიარქალურ ოჯახს, გაუყოფელ მამულს და ნატურალურ  
მეტრნეობას, რომელიც შემამულეს საცხოვრებელს აძლევს პეტრსა და ლეონს; მე-  
ორე ძმა თავის ცხოვრების მიზანს ნადირობის მოწყობაში და მწვერ-  
მეტყვარის თუ ქორ-მიმინოს მოვლაში ხედავს. ესენი არიან მამათმთავრები  
ყველა იმ უარყოფითი შემამულის ტიპებისა, რომელნიც შემდეგ მეცხრამე-  
ტი საუკუნის ქართულ ლიტერატურაში გამოვიდნენ ნახევრად კომიკური,  
ნახევრად ტრაგიკული ნიღაბით.

თავადი დიდებულოცების უნცროსი ძმა ივანე პირველი თერგდალელის-  
ეკთ რომ ეთქვათ — რუსეთშიც ტიპია ქართულ ლიტერატურაში. ის რე-  
სეთსა და პრლონეთშია ნამყოფი, წამდაუწყებ რუსულს ურევს ლაპარაკში,  
შას ზერელედ შეუთავიებია ვერსიული კულტურა, ოცნებობს მეტრნეობის  
რაციონალურად მოწყობასა, ადვალურ სიყვარულსა, ღარიბულად ცხოვრე-  
ბაზე სოფლად და პუმანურ დამოკიდებულებაზე ყმებთან; მაგრამ არც თავი-

სი გონებრივი კულტურით, არც თავისი მორალით ივანე დიდბუღაძე არ სდებოდა მალა არ სდვას თავის უჯროს მძებზე, რომელთაც მისი მხარე ბაღ სთვლის და რომელნიც თავიანთი მხრით მას ჭკუაჩაკლულად სთვლიან. მისი ოცნება იქით არის მიმართული, რომ მამაპაპისეული ბაღი გაჩებოს და მის მაგივრად ვარშავეული მარჯი გააქეთოს. გაზონებითა და შეკრევილ ხეებით.

ძმების ხასიათი განსაკუთრებით ჩელიფურად ელინდება ქონების გაყოფის დროს, როდესაც უფროსი ძმები ერთმანეთს იარაღით უტევენ მუთაქის გამო და როდესაც ივანე პირში ჩალაგამოკლებული რჩება მისი მოხერხებული რძლისა და სასამართლოს მდივნის წყალობით: მას ეცისრება გადაიბალოს მისი უფროსი ძმების მიერ სომხის ვაჭრისაგან აღებული ვალი. რომელიც თხოთმეტიოდე წლის განმავლობაში ერთი ათად გაზრდილა ჩარჩული სარგებლის ზედშეეცვის წყალობით. ამის შემდეგ ახალგაზრდა თერგდალელს გამანათლებელს მხოლოდ ის და დარჩენია, რომ თავისა სომეხი კრედიტორის ქალიშვილი შეირთოს, რომელიც მას თვალთ არ უნახავს.

თავისი პრაქტიკული გონებით ქართველი მემამულეების ანტიბოდს წარმოადგენს სომხის ვაჭარი მიკირტუმ გასპარჩი ტრადიცივი; მას შეგნებული აქვს, რომ ახალი ცხოვრების მთავარი მამოძრავებელი ძალა ფულია; როგორც უფროსი, ისე უმცროსი საბიძის ქართველი თავადიშვილები მას ერთნაირად უგუნურებად მოიჩნია; მაგრამ რადგან ის ჯერ კიდევ ნახევრად ფეოდალურ საზოგადოებაში ცხოვრობს, სადაც წოდებრივ პრივილეგიებს დიდი წონა აქვს, მისი ოცნების საგანს წარმოადგენს ქართველ არისტოკრატებს დაუმოყვრდეს და თვითონაც თავადობა მიძღოს.

მეორე ხარისხოვანი მომქმედი პირებიდან „გაყრამი“ დიდი რეალიზმითაა დაბატული გაქნილი მოურავი ბარამი, რომელიც დარწმუნებულია, რომ ასი თუმნით ხელით აქანაუებს რუსულსედსა და პალატას, ლეკურს ათამაშინებს მსაჯულს, ხოლო სასამართლოს მდივანს მიიმუნად გაბდის; სასამართლოს მდივნის რამაზის სახით გაიცოცხლებულია ტიპი მაღალუარლოვანი სტილით მოლაპარაკე. მაგრამ აღვიღად დამთმობი სინიდიის მქონე მოხელისა, ხოლო გაბრიელის სახით — ტიპი უქმი და გალანდარავებული მსახურისა. საერთოდ „გაყრა“ მდიდარია ძალდაუტანებელი კომიკური სცენებით, დასაჯერებელია, რომ მისმა პირველმა დადგამმა ქართველ მაყურებელ საზოგადოებაში აღტაცება გამოიწვია. ია შემდეგაც სწორად იღგმებოდა ქართული თეატრის დაარსების წლისთავის აღსანაშნავად.

„ღავა“ ნაკლებ დამუშავებულაა ლიტერატურულად. ვიდრე „გაყრა“, ის, ცოტა არ იყოს, ნაჩქარევად დაწერილი ნაწარმოების შთაბეჭდილებას აბდენს; მაგრამ ამ კომედიას ისტორიული მნიშვნელობა აქვს, როგორც ძველა რუსული გაშინებულნი და დამაქცევარი სასამართლოს მეაცრ და თამამ კრიტიკას. სხვათრე; როგორც თემით, ისე ტიპებით, „ღავა“ არსებითად „გაყრის“ განმუარებას წარმოადგებს. აქაც სცენაზე გამოყვანილი არიან ზნეობრივად მანკიერი და უკულტურო ძველი თაობის მემამულეები, რომელნიც იმდენად უმეცარნი არიან, რომ არც კი იცაან, რას ნიშნავს წერტილშიქე; ამიტომ ისინი ხელშე უვარდებიან გაიძვერა და მექრთამე მოსამართლეებს, ექალებს და თარჯიმანებს. ორი მოქიშე თვადიშვილის ბრძოლა სადაო მამულს გამო მათი სრული განადგურებით გათავდებოდა,



თუ დაქაში მათი ვაჭიშვილები არ ჩარეულიყვნენ, პეტერბურგში განსწავლული ახალგაზრდები, რომელნიც სიყრმიდან შეგობრობითა და სხვა სხვა მიზეზებზე და ბოლოს საქმეს დამოყვრებით ათავებენ. მაგრამ სიტუაციას ვარგენტული კულტურისაზობისა, არც „დაქაში“ გამოყვანილი ახალგაზრდები სდგანან ზნეობრივად ძველ თაობაზე მაღლა. მართალია, ისინი უშუალოდ ქრთამს არ ბძლევდნენ, მაგრამ არ თაკილობენ მოსამართლეებს თავიანთ მიმების მიერ გავზავნილი ქრთამი წაუღონ.

თუ „გაყრამი“ და „დაქაში“ გიორგი ერისთავმა რეალისტურად დახატული პორტრეტები მოგვცა, ასე, რომ თანამედროვეები ამ კომპოზიციის მომქმედ პირებში ნაცნობებსა და შეგობრებს ხედავდნენ, „ძუნწში“ მან დახატა აბსტრაქტული ტიპი, რომელიც სიძუნწის განზოცავლებას წარმოადგენს. ხელმოშობინებობა ბურჟუაზიის დამახასიათებელ ზნეობრივ სათნოებად ითვლებოდა ამ კლასის ახალგაზრდობის და აღმავლობის პერიოდში. ამ ბურჟუაზული სათნოების წყალობით შესაძლებელი გახდა ნაციონალური სიმდიდრის დაგროვება, რომელშიც თავისი მხრით საფუძველი შეუქმნა ევროპიული ერების კულტურულ ყუვაებას. მაგრამ ეს სათნოება შეიძლება მანკად იცეცეს გადაჭარბების წყალობით. ევროპელში და რუსში მწერლებმა, ზოლო ნაწილობრივ მათა წაბაძელობით გიორგი ერისთავმა დაგვანახეს, რა ტრაგიკომიკულ მდგომარეობაში ვარდება აღამიანი, როდესაც ხელმოშობინებობა სიძუნწის გადაღის და ფულის დაგროვება თვითმიზნად იტყვევ.

თუ სასაცილოა სომხის ვაჭრის კარაბეტა დაბადრვის მიერ ფულის გაღმერთება, სასაცილოა აგრეთვე მისი სასაბრის, ქართველი თავადის არმილ დაზნულის სიჭვარტული ძველი დაქანგებული ხმლისადმი, რომელიც მეცხბრამეტე საუკუნეში უსარგებლო ნივთად გადაქცეულა, იმიტომ რომ მოქალაქეს ბიუროკრატიული სახელმწიფო იცავს თავისი ჯარითა და პოლიციით. როგორც სხვაგან, ისე „ძუნწშიც“ გიორგი ერისთავს კლასის დამახასიათებელი ფსიქოლოგია ერთგულ და ტომობრივ ხასიათთან აქვს დაკავშირებული: ყაირეთიანი ვაჭარი სომეხია, ბედოვლთი შემამულე ქართლელი, ემერელი მოსამხაზურე ცულლუტა და მოხერხებულია ამას ზედ ერთის ერთგვარი მიდრეკელება ბუფონადისა, ნიუაბების თეატრისადმი, რაც განსაკუთრებით სწორედ „ძუნწში“ სჩანს: მაგალითად იმ სცენაში, სადაც კარაბეტა აღმთაჩენს, რომ მისთვის ფული მოუბარაეთ და თავს მოიმძინარებს, ეგებ ეს საზმარი იყოთო.

გიორგი ერისთავის შემოდასახელებულ კომედიებს თანამედროვე მკობრებისათვის მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ. ისტორიულ მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მის დრამატიულ მოემას „შეშლილს“. აქ მეოცნეზე იდეალისტი პოეტი, რომლის ავლადიდება ოთხი წიგნისა და ერთი ფარდავისაგან შესდგება, დაბირისპირებულაა პროზაულად და ვულგარულად მოაზროვნე აღამიანებისადმი, რომელთა სულერი ინტერესი კორიკანობით და ლოტოს თამაშით ამოაფურება. დროგადასული შეხედულების წინააღმდეგ ავტორი ამ პოემაში იმ აზრს იცავს, რომ ქალის გათხოვება უნდა ხდებოდეს არა დედ-მამის არჩევანის თანახმად, არამედ საკუთარი გულის კარნახით.

ბოლოს, მხოლოდ ისტორიული მნაშენელობა აქვს გიორგი ერისთავის მიერ სიკვამლეში ლეკსად დაწერილ „ოსურ მოთხრობას“. ამ მოთხრობაში სიუჟეტს იგივე ამბავი წარმოადგენს, რომელიც შემდეგ თავისუფლად სიტყვად წერეთელმა გამოიყენა „ბაში აჩუკში“: სსხელდობრ კანეთში ჩამოსახლებული თათრის ელკების გაგლეტა ელიზბარ და შალვა ფრანსთავეების და ბიძინა ჩოლოყაშვილას მიერ. გიორგი ერისთავის მოთხრობაში ისტორიული კოლორიტი ვერ არის დაცული, მას ჰგონია, რომ ეს ამბავი ლუარსაბ მეორის და შამაზის დროს მოხდა, ნამდვილად კი ძნელად გვიან მოხდა, სსხელდობრ 1659 წელს, შამაზის მეფობაში. მაგრამ, როგორც ეტყობა, ავტორის მთავარი მიზანი იყო ერთგვარი პოლიტიკური გეზის ჩვენება 1832 წლის შეთქმულთათვის. და აღსანიშნავია, რომ გიორგი ერისთავის მოთხრობა 1832 წლის პირველ ნახევარში დაიბეჭდა, „თბილისის უწყებებში“, რომელიც შეთქმულთა იდეური ხელმძღვანელის სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა.

---



ილია ზურაბიშვილი

## პირველი ქართული დიქციონარი

მალღობ ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს  
 იმე დაძვურებს შაიფარსადილი,  
 წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნივ,  
 ყოველი მხრისკენ სვრის მისი თვალნი.

აკაკი.

რა შეაშინაო, შეაძლება გაიკვიროს მკითხველმა, ეპიგრაფი „თორნივე ერისთავიდან“ და საუბარი დირაქორზე.

მაგრამ ეს მარადოქსი ნუ გგონიხთ.

ჩემის წარმოდგენით, თუ შედარებაზე მივდგა, ვერავის შეადარებთ დირი-  
 ფორს ისე მოსწრებულად, როგორც სარდალს ბრძოლის ველზე.

გაველაო მარადელი, რასაკვირველია, გაკვირით და გარეგნულად.

ყარდალი მოქმედებს ჯარით.

დირიფორიც ჯარით მოქმედებს.

მართალია, რიცხვობრივ მათი ჯარები დიდად გამსხვავდებიან, მაგრამ  
 მრავალაზიანობით, იარაღის ნაირნაირობით ერთს ჯარი მეორისას არ ჩა-  
 მოუვარდება.

და ერთ შემთხვევაში იარაღისა, ხოლო მეორე შემთხვევაში საკრავების  
 კვალობაზე გუნდ-გუნდად დაყოფილი ჯარის მართებულად გამოყენება  
 გამარჯვებო, მისაღწევად, რასაკვირველია, როგორც სარდალისა, ისე დირი-  
 ფორის უნარზეა დამოკიდებული.

ორივენი წინასწარ განსაზღვრული გეგმით მოქმედებენ და ეს გეგმა მათ  
 თვალწინ არას გადაშლილი.

როდის უნდა დაიგრილოს არტილერიამ და როდის უნდა დაიჭუქოს ჩხა-  
 ბერ საკრავთა გუგუშმა, ეს ორივემ წინასწარ იცის. მაგრამ, რამდენად გა-  
 მართლებული იქნება ნაფარადევი ეფექტი, ეს იმზეა დამოკიდებული, თუ  
 ყოველი იარაღი და ყოველი საკრავი თავ-თავის დროზე — არც ოდნავი და-  
 ყოვნებით, არც ოდნავი აჩქარებით — და შესაფერი ძალით შეასრულებს  
 თავის ამოცანას. ამ კი შესაძლებელია ყოველგვარი სიურპრიზი, რომლის-  
 თვისაც ერთიც და მეორეც მზად უნდა იყოს შესაფერი ღონისძიებისათვის.

ვთქვათ, ერთ-ერთმა ბატარეამ დაიგვიანა ან აჩქარა თავის დროზე  
 ცეცხლის გაჩაღება, ან ერთ-ერთი საკრავი მოგვიანებით თუ ადრე ჩაება  
 საერთო ფლერაში, რაც იშვიათი მოვლენა როდია ბრძოლას ველზედაც და  
 თეატრის დარბაზშიც. ამ ვარემოებამ შეიძლება თვალსაჩინო არევე-ღმარევა

გამოიწვიოს აქაც და აქაც და ხელი შეუშალოს ერთგან საომარ და მორაგ-  
გან მხატვრულ გამარჯვებას.

ამ მიმართულებით ბარალელის განგრობა მრავალგზის შეიძლება და მისი  
ეს შორს წავიყვანს.

მერე, არც სარდალი, არც ღირსი ბარადად არ იბრძვის ფიზიურად.  
ესე იგი, არც ეათი და არც მეორე არც ერთ იარაღს თუ საკრავს უთმონ  
არა ხმარობს.

ხოლო ერთმაც და მეორემაც ჩინებულად უნდა იცოდეს ამ იარაღებისა  
და საკრავების ხასიათი და დანიშნულება და ისიც, სად რა ძლიერებით უნ-  
და იქნას ესა თუ ის იარაღი და საკრავი გამოყენებული.

თანაც, როგორც სარდალმა იცის თავისი ჯარის ბრძოლათვის მნიშვნელობა, ღირ-  
სიერთმაც უნდა იცოდეს თავისი ჯარის შესაძლებლობანი, თითქმის  
თვითვეური მესაკრავის თუ მომღერლის ინდივიდუალური თვისებანი, რო-  
გორც ხელოვანისა, რათა იმაზე მეტი ტვირთი არ აჰკიდოს, რის აწევაც მას  
შეუძლიან.

და თუ სარდალის მოდებულობას სისხლისღერა მოსდევს, ხოლო ღირსი-  
რის საქმიანობას კი არა, სამაგიეროდ, სისხლისღერის ნაცვლად, ღირსი  
შეუძლიან ძალიან ბევრს გაუფუჭოს სისხლი და უპირველეს ყოვლისა თავის  
თანამშრომლებს, მეტადრე კი — მუსიკალური ნაწარმოების ავტორს.

დიდებული ფრანგი კომპოზიტორი და იმავე დროს შესანიშნავი ღირსი-  
ერთიც ჰქვია ბერლიოზი აი რას სწერს თავის უაღრესად საინტერესო  
წიგნში „ორკესტრის ღირსი“:

„...ორკესტ-მემოქმედთაგან მხოლოდ ერთადერთი კომპოზიტორია  
დამოკიდებული მთელ გროვა შუამავლებზე მის და საზოგადოებას  
შორის...“

ბშირად სდებდნენ ბრალს მომღერლებს, როგორც უსაშიშრეს შუა-  
მავლებს, მაგრამ ეს მე უსამართლობად მიმაჩნია. ჩემი აზრით, ყვე-  
ლაზე საშიში შუამავალი ორკესტრის ღირსი ერთია. უხეირო მომღერალს  
შეუძლიან გააფუჭოს მარტო თავისი საკუთარი რილი, ხოლო უუნარო  
ამ ბოროტგამზრახველი ღირსი ყველაფერს ანგრევს. კომპოზი-  
ტორმა თავისი თავი ყიდევ ბედნაერად უნდა ჩასთვლოს, თუ ღირსი-  
ერთი, რომელსაც ხელში მისი ნაწარმოები ჩაუფარდა, ერთსა და იმავე  
დროს უუნარიანობასთან ბოროტგამზრახველიც არ არის: ამიტომ, რომ  
მის ბოროტულ გავლენას საწინააღმდეგოს ვერაფერს ვერ დაეყენებ.  
მაშინ ყველაზე უკეთესი ორკესტრიც იმლება, პირველხარისხოვანი  
მომღერლებიც იბნევიან და თითქო მუნჯდებიან. აღარც გატაცება,  
აღარც ახსამბლი. ასეთი ღირსიერთობის დროს ავტორის თვით უკეთილ-  
შობილესი, გაბედული სულისუფილება სიცელქედ გეჩვენებათ, ენთუ-  
ზიაში იმუხრება, იყინება, შთაგონება მიწას ენარცხება, ანგლოზს  
უკვე ფროები აღარ ასხია, გენიოსი ადამიანი დამთხვეულად, კრეტი-  
ნად იქცევა, დეობრთვი ქანდაკება თავის კვარცხლბეკიდან ვარდება  
და ტალახში იხრება. მაგრამ ყველაზე ცუდი ის არის, რომ საზოგადო-  
ებებს თვით მუსიკალურად დიდად განათლებულ ადამიანებს, თუ  
ინანი ახალ პიესას ისმენენ, არავითარი შესაქლებლობა არა აქვთ შეი-  
ტყონ ის ნაზიანევი, რაც ღირსიერთმა ამ მუსიკას მიაყენა, გამოარკვიონ

მის მიერ ჩადენილი სისულელე, შეცდომანა, თითქმის ბოროტმოქმედება. უკეთუ მან დაგვიანა ზორისტების ჩაბმა ფინალში, მაინც გამოიწვია არაპარმონიული რყევა ზორისა და ორკესტრის შორის ინსტრუმენტალური ჯგუფებს შორის განაპირა მხარეს, შორის და უკეთუ მან უაზროდ ააჩქარა, ან შეტისშეტად შეანელა ტემპი; უკეთუ მან შეაწყვეტინა მომღერალს მღერა პერიოდის გათავებამდე, ყველა ამას გამო ჩვეულებრივ ამბობენ სოლმე: ზორო საძაგელია, ორკესტრს სიმყარე არა აქვს, ვიოლინოებმა მთავარი აზრი დაამახინჯეს, ყველას ალტკენება აკლდა, ტენორი შესცდა, მან თავისა როლი არ იცოდა, პარმონია სასაცილოა, ატორის არ გაანინია ხმებმა, სათრის აკომპანიმენტის აყოლების უნარი და სხვა და სხვა“...

მართლაც და, არა მარტო ჩვეულებრივ საუბარში მაცურებელ-მსმენელთა შორის საოპერო თეატრიდან გამოტანალ შეაბეჭდილებათუ (ამ წერილში ნაგულისხმევი მყავს მხოლოდ ოპერის დირიჟორი), არამედ რეცენზენტშიაც ძალიან იშვიათად და ისიც გაკვირია და ზოგადი, ტრიათარეტად გადაქცეული ფრაზებით თუ ეხებიაან ხოლმე დირიჟორის საქმიანობას ამა თუ იმ წარმოდგენაში, მაშინ როდესაც დირიჟორი ნამდვილი სული და გულია ამ წარმოდგენისა ამას აღიარებს ყველა დადი მუსიკოსი, ვინც კი შეხებია დირიჟორობის საკითხს სპეციალურ ლიტერატურაში, რომელიც, სხვათა შორის, ძალიან დარიბია, რაოდენობით მაინც.

იგავე პეტრე ბერლიოზი ამბობს, რომ სიმფონიასა და უვერტურის დირიჟორობა, ან სხვა ისეთი ნაწარმოებისა, რომლის ტემპებიც ხანგრძლივ ერთი და იგივეა, „ბავშვური თამაშობაა“ ოპერის დირიჟორობასთან შედარებით, როდესაც საქმე გაქვს, ორკესტრს გარდა, მომღერლებთან, ზოროსთან, და როდესაც თვით ორკესტრში მრავლადაა ისეთი ადგილი, რომელიც წინ უძღვის არამენუტრებულ პაუზებს.

მისივე განმარტებით, დირიჟორს უნდა ჰქონდეს მახვილი თვალი და მახვილი ყური. იგი უნდა იყოს სხარტი და ძლიერი. მან უნდა იცოდეს კომპოზიცია, საკრავების ხასიათი და მოცულობა. ამას გარდა, მას უნდა ჰქონდეს სპეციფიკური უნარი, რომლის განსაზღვრაც თითქმის შეუძლებელია, მაგრამ ურომლისოდაც აგრეთვე შეუძლებელია კავშირი დამყარდეს მას და ორკესტრს შორის.

საჭიროა, — ამბობს ბერლიოზი, ორკესტრი გრძნობდეს, რომ დირიჟორს შევნიშნული აქვს მუსიკალური ნაწარმოები, იგი ალტკენებელია, აღფრთოვანებული. მისი აღფრთოვანება მხოლოდ მაშინ გადაეცემა მათ, ვინაც იგი დირიჟორობს. მისი შინაგანი ცეცხლი მათაც აამგზნებარებს. მისი ელემენტარონი იმათაც აღძრავს. მისი სულთანწრაფვა იმათაც გაიტაცებს. იგი მიმოაფენს თავის ირგვლივ მუსიკალური ზელოკნების ცხოველმყოფელ სხივებს...

ამ საგულისხმიერო სიტყვებს რომ ვკახულობდი, თვალწინ ცოცხლივ მდგა ჩვენი მუსიკალური ზელოკნების დიდი მოამაგე, სახალსო არტისტ ივანე პეტრეს ძე უღალიაშვილი, რომლის გარდკვალეებიდან ამა წლის 7 მარტს ათი წელიწადი შესრულდა.

ვისაც ვანო (ასე ვუწოდებდით მას ახლო მეგობრები, საერთოდ კი თუქ-რალურ წრეებში, იგი „ვან პეტროვიჩი“ იყო ცნობილი, ჯერჯერობლა-ნებლად) სადირიჟორო პულტთან უნახავს, ის დამეთანხმება, პრეტენ-ზიები მართლაც ნამდვილი პარდალი აყო თავის ჯარისა და ზედმეწიენათ ასორციელებდა დირიჟორის იმ სახეს, რომელსაც თავის წიგნში პეტრო-ბერლიოზი გვიხატავს.

ყველა ის თვისება, რაც ჩამოთვლილი აქვს პეტრო ბერლიოზს, და რაც ახასიათებს ქეშმარიტ შემოქმედ მუსიკოს-დირიჟორს, უხვად ჰქონდა ვანო ფალიაშვილს მიზიდულბული. სწორედ ეს მადლობისლება განასხვავებდა მას დანარჩენ ჩვეულებრივ, ეგრეთწოდებულ, ჯობის „მეწიენარებს“, რომელნიც კეთილსინდისიერად, მაგრამ მანქანურად ეწევიან ტაქტირებას და რომელთაც არავითარი სიტოცხლე, არავითარი სულთასწრაფვა არ შეაქვთ ამა თუ იმ მუსიკალური ნაწარმოების აღსრულებაში.

ვანო ფალიაშვილს, პირიქით, ყოველი მუსიკალური ნაწარმოები თათქო წარმოდგენილი ჰქონდა როგორც ცოცხალი ორგანიზმი, ხოლო ტემპება — როგორც ამ ორგანიზმის სუნთქვა.

თვითუღ მუსიკალურ ტაქტში იგი თითქო ხედავდა მთლიანი სახის ამა თუ იმ ნაქვთს, ან ცხოველი აზრის ამა თუ იმ გამოსხივებას, ან ემოციის ამა თუ იმ აღძვრას, ან და ბუნების ძალთა ამა თუ იმ გამოვლინებას, მსლაგ-რი სტიქიონი იქნებოდა იგი თუ ფერად-ფერადი ლანდშაფტი, — ერთის სიტყვით, რაც კომპოზიტორს მხატვრული ხილვით განეცადა და ბერიათა შეხამებით გადმოედგარა მუსიკალურ ფორმებში.

ამიტომაც მისა ტაქტირება მშრალი, მეტრონომული სიზუსტე კი არ იყო პიჩქარისა თუ სინელისა, არამედ ტემპების რაღაც გამოუთქმელი „შეგრძო-ბა, ვით ცოცხალი სხეულის პულსაციისა.

ეს თვისება მუსიკალური ნაწარმოების ნიუანსირების უნარი არ გვეო-ნით. ნიუანსირება დახვეწილი გემოს სფეროა.

ეს კი — ტემპერამენტის კატეგორიაა.

ვანო ტემპერამენტი... ამაზე, მართლაც, ღირს ლაპარაკი.

ტემპერამენტი აღამიანის ბიოლოგიური ელემენტროვნერგიაა.

ისე, როგორც ვანო საარჯავილი მღერაში, ვანო ფალიაშვილიც დირა-ჟორობაში, იშვიათი მუსიკალობის გარდა, ბუნებისაგან მგზნებარე ტემპერა-მენტით იყო დაჯილდოებული.

ეს კი დიდი შაღლია.

აი, რას ამბობს დირიჟორის ტემპერამენტზე მთელ მსოფლიოში სახელ-განთქმული, შესანიშნავი დირიჟორი ჟუიპარტენერი:

„...ტემპერამენტოდ გენიოსური აღსრულება შეუძლებელია. არც აღზრდაა, არც კეთილსინდისიერებას არ შეუძლიან ტემპერამენტის შექმნა. ეს თვისება თანდაყოლილი უნდა იყოს. ამიტომ გენიოსურა აღსრულების ქეშმარიტი ვაგება ხვედრია სხვა ასეთისეუ გენიოსისა. აქ აღამიანა ერთი შაღლი ბიოიდან შექმარის მეორე შთის პილამაზეს, ან იგი ხვედრია მიამიტი სულს მქონე აღამიანისა, რომელიც მთლად ეძ-ლევა ბუნებრივ მიწრაფებას მშვენებისადმი. იგი ახასიათებს ხელოვ-ნების სულაც არათანამოზიარე აღამიანებს, დილეტანტებსა და მასებს და სრულიადაც არა სჩევიათ ეგრეთწოდებულ „ესტეტებს“, რომელ-

ნიც ყველაფერს გონების თვლით უდგებიან და ლამობენ, განაღონ ანალიზის მეშვეობით, თითქო რაიმე ამოცანას წავეტყუებოდა. ეს კეთილშინაობის გაუგებარია უბირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ ტემპერამენტი — ნიჭია გულისა და არა გონებისა...“

და ვანო ფალიაშვილს რომ ეს „ნიჭი გულისა“ უხვად ჰქონდა მიზნული ბუნებისაგან, ეს ნათლად ჩანს თუნდაც იმ რეცენზიებიდან, რომლებიც ახლახან გადავათვალერე.

რეცენზია კი მრავალია.

არ მოიბოვება მთელ რუსეთში ისეთი ქალაქი, სადაც საოპერო თეატრი არსებობდა, ან საოპერო გასტროლები ამართებოდა, რომ აქ სხვადასხვა დროს ვანო ორკესტრის შეფად არა ყოფილიყო, ხან რამდენიმე, სეზონობით ზედიზედ, ხან საგასტროლოდ მოსულ დანში.

ოლესა, კიევი, ხარკოვა, რიგა, ვარშავა, ნიენი-ნოვგოროდი (გორკი), ორენბურგი, როსტოვი — ეს ისეთი ქალაქები იყო, სადაც ოპერის თეატრები მთელი სეზონობით მოქმედებდნენ და ამ ქალაქთა გაზეთების რეცენზიები ყოველთვის ვანოთი იწყებოდა და ზოგჯერ ვანოთივე თავდებოდა, როდესაც რეცენზენტი ჯვლავ უბრუნდებოდა „ნიჭიერ დირიჟორს“.

და ყველგან, სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, რეცენზენტები მუდამ აღნიშნავდნენ მის მგზნებარე ტემპერამენტს, რომლის მეოხებითაც ხანდახან რიცხვობრივ მცირე ორკესტრმა შეუძლებელიც კი შესძლო.

სხვათაშორის, ქ. რიგას (იქ შესანიშნავი საოპერო თეატრი იყო) ერთ-ერთი გაზეთის რეცენზენტი სხარტულად და ჰუმორით დაწერილ რეცენზიაში „ქარმენას“ გამო ასეთ შენიშვნას უძღვნის ვანოს:

„...მუსიკის ქეშმარიტ ესპანელად გვაჩვენა თავისი თავი ბ-ნმა ფალიაშვილმა, რომელიც, ნამდვილი ანდალუზური ტემპერამენტით დირიჟორობდა ორკესტრს...“

მაგრამ ტემპერამენტიც არის და ტემპერამენტიც... ზოგი ისეთია, სრულადაც რომ არ იყოს — გაცილებით უკეთესი იქნებოდა.

მხატვრულ ზომიერებას გადაცილებული და სრულად გადაქცეული ტემპერამენტი, უეჭველია, ქაოსს შექმნის მუსიკალური ნაწარმოებზე აღსრულებაში.

არა, თუ შედარებისათვის არჩევანზე მივდგება საქმე, ხელოვნების სფეროში უბირატესობა ავთანდილურ ტემპერამენტს უფრო მიეკუთვნება, ვიდრე ტარიელურს.

რასი და როგორ შეღწევა ღირიჟორის ტემპერამენტი და ინდივიდუალობა?

უბირველეს ყოვლისა — საკრავების ხმოვანებაში, მთელი ორკესტრის ქღერა იქნება, თუ ამ ორკესტრის რომელიმე საკრავების ჯგუფისა, თუ სოლო-საკრავისა.



მაგრამ ხმოვანება ხომ ნაირნაირია. ერთი და იგივე ბგერა ამა თუ იმ ტემპის საკრავს შეუძლიან ძლავრი ელერადობითაც და ხმაინტენციული გამოსცეს. ზოგიერთი საკრავის ამპლიტუდა ამ მხრივ მეტისმეტად შეიძლება ფეროვანია.

ზოლო იშვიათი მოვლენა როდია, რომ ამა თუ იმ ბგერასათვის შესაყრავე შესიკოსის მიერ ნაგულისხმევი ხმოვანება არ ერთვოდეს დირიჟორას წარმოდგენას ამ ბგერის ელერებასას. და აი აქ იგი ცდილობს გამოატემინოს შესაყრავეს მისთვის სასურველი ხმოვანება.

მაგალითად, ასეთ შემთხვევას ვადმოგვეცემენ დიდი დირიჟორი არტურ ნიკიშის პრაქტიკიდან: რეპეტიციასე ორკესტრის მეზუეკმ ვერ იქნა და ვერ დააკმაყოფილა ნიკიშის მოთხოვნა განსაზღვრული ბგერის სათანადოდ გამოცემისა. ორივენი გაიწვალნენ. ბოლოს ნიკიშმა უცბად ამოიღო თურმე ჯიბიდან ცხვირსახოცი, შიაწოდა მეზუეკს და უთხრა, ცხვირსახოცი ბუკას პირში ჩადეო. ამ ზერზათ მიღწეული ხმოვანება სწორედ ის ხმოვანება გამოდგა, რომელიც ნიკიშის მხატვრულ ალლოს ეხატებოდა.

იყო თუ არა ვანო ფალიაშვილის პრაქტიკაში ასეთი შემთხვევები — არ ვიცი. მაგრამ მისი ორკესტრი რომ ყოველთვის სათანადოდ ელერდა, ყველას შეუძლიან დაამოწმოს, ვასაც კი იგი დირიჟორის პულტთან უნახავს.

ამაყვე მოწმობენ ის რეცენზიებე, რომლებზედაც ზევით მქონდა ლაპარაკი. სხვადასხვა ქალაქის სხვადასხვა გაზეთის რეცენზენტები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო დად ხოტბას შეასხამს დირიჟორ ფალიევსაო. აი სულ მოკლე ნაწყვეტები ზოგიერთი რეცენზიისა:

„...ბ-ნ ფალიევზე უნდა ვთქვაო, ან გავიგოროთ უკვე ნათქვამი, რომ მას, როგორც ყოველთვის, დიდი აღმაფრენით და ტემპერამენტით მიჰყავდა თავისი ორკესტრი...“

„...გულხმირი მუსიკალობით აღსავსე და ტემპერამენტისანი კამელმენტური ფალიევა...“

„...უაღრესად ნიჭიერი და საინტერესო დირიჟორი...“

„...საერთოდ, აღსრულებაში მას შეაქვს ესოდენ დიდი მუსიკალური აზრი და ლეზაებრივი ცეცხლი, რომ უნებურად იტაცებს საზოგადოებას ინტერპრეტაციის ცხოველმყოფელობით...“

„...უნდა ვიფიქროთ, დასა სერიოზული წარმატება ექნება, მით უფრო, რომ დირიჟორის პულტთან იჯდება ისეთი მცოდნე და ჰკვიანი მანსტრო, როგორც ივანე პეტრუსე ფალიევა...“

„...ფალიევმა გამოაჩინა არა მარტო კოლოსალური ძალა და ორკესტრის დაუფლების უნარი, არამედ აგრეთვე დახვეწილი ფრაზიობა და დიდი მუსიკალობა. საერთოდ, იგი გამოცდილი და ნიჭიერი დირიჟორია, იშვიათი პროვინციისათვის და ღირსი მართოს არა ისეთი მცირერიცხოვანი ორკესტრი, როგორც ამ დასსა ჰყავს...“

„...ნამდვილი მუსიკოსის ნერვი ხელს უწყობს მის ლამაზ და დახვეწილ ნუანსირებას...“

„...მისი ზრმნული ჯობის მეოხებით ორკესტრი მშვენიერ სურათებს ხატავდა. იგი იყო ცხოველმყოფელი და აღმაფრთხოვანებელი...“

„...მის გრმნულ ჯობს აქვს რალაც განსაცვიფრებელი ძალა. იგი ნარნარით შეადის და ეშვება, თითქო კმაყოფილია, რომ მას ემორჩილება ყველა საკრავი...“

მე შემეძლო დაუსრულებლად განმეგრძო ამგვარი გამოთქმები, მაგრამ ერთბაშად უკვე ნათქვამის განმეორება გამოვიდოდა, ვინაიდან იცოდნენ ყველგან, სხვადასხვა ქალაქის რეკონსტრუქციის, რომელთაც ერთმანეთს შეკავშირებდა არ იცინა, რაღაც მანქანებით თითქო პირი შეუკრავთ—ქების მეტი არა თქვან რა ვანო ფალიაშვილზე.

მაგრამ არ შემძლიან, ერთი რეკონსტრუქცია ცოტა უფრო ვრცლად არ მოვიყვანო. იგი მეტად დამახასიათებელია ვანო ფალიაშვილის განსაკუთრებული უნარისა, თუ მეტივე ძალებითაც კი რა დიდ მხატვრულ გამარჯვებას აღწევდა იგი. ეს რეკონსტრუქცია მით უფრო საყურადღებოა, რომ დაბეჭდილია ისეთი დიდი და კულტურული ქალაქის გაზეთში (გვარშავსკი დნენეკ), როგორც ვარშავა იყო:

„სრულიად მოულოდნელად ვარშავაში შემოიარა რუსულმა საომარო დასმა, რომელმაც პირველი სადებიუტო წარმოდგენა დიდ თეატრში გამართა, დადგა რა რუმინელების „დემონი“. ეს დასი მოუწყვია ბ-ნ შეინს პროვინციაში სამოგზაუროდ და მასში რამდენიმე კარგი ძალაა, და მათ შორის უცილობლად პირველხარისხოვანი ოსტატი—კიევის კაპელმეისტერი ივანე პეტრესძე ფალიევი, რომელსაც შესწევს უნარი უბრალო ძალებითაც კი პირდაპირ საკვირველ შედეგს მიიღწიოს. მაგალითად, ასე დახვეწილად, ასეთი ნუანსებით შესრულებული „ნოჩენკა“, როგორც იგი იმდენა შეიდი გაციისაგან შემდგარმა ხორომ, ვარშავის საზოგადოებას ჯერ არ მოუსმენია! და ტყვილად კი არ იგრილა ამ ნოჩის შესრულების შემდეგ დარბაზში ტანმა, რამაც აიძულა ბ-ნი ხორისტები სიმღერა განმეორებინათ. ასევე ორკესტრიც, ისიც ნაკრები, ვინაიდან 10-13 კაცი მოსულია და 30-მდე ადგილობრივი მუსიკოსი, დიდი თეატრის მუდმივი ორკესტრის წევრნი. ეს პატარა ანსამბლი უკრავდა უზადშემოვლილი დირიჟორის ხელმძღვანელობით ურეპეტიციოდ. მაგრამ უკრავდა ისე ზავითანად, ისეთი კომპაქტური ხმოვანებით და აღწევდა ისეთ პაერთვან პიანისიმოს, რომ ბ-ნ ფალიევიმ ბუნებრივმა კაპელმეისტერულმა „ნერვმა“ ალაგზნო თვით ორკესტრის მოწაწილენი, რომელნიც წარმოდგენის გათავებისას მხტვალე ხელის ჩამორთმევით უცხადებდნენ მას თავის აღტაცებას. გულსავეს და ცხოველყოფელ ნიჭი ერთბაშადვე გამოიცილობა და უნარ-მოსილია დაამყაროს სულიერი ურთიერთობა და სიმშაბიები ბ-ნ მუსიკოსთა შორის.“

ამნაირად, ბ-ნი ფალიევი უცალობლად მთავარი ძალაა და სული და გული გზაუშემაველი დასისა!“

ამ გასტროლებას შედეგი იყო, რომ ვანო მიიწვიეს დირიჟორად ვარშავის სახელმწიფო თეატრში. მაგრამ მას უკვე ხელშეკრულება ჰქონდა დაღებულ მამინიკელ ცნობილ ანტრეპრენიორ ბოროდაისთან თბილისის სახაზინო თეატრში დირიჟორობაზე, და იგი იძულებული გახდა უარი ეთქვა ამ საპატიო მიწვევაზე. ასეთ ცნობას იძლევიან იმდროინდელი ვაზეთები. მე კი მგონია, ვანო მოახერხებდა ანტრეპრენიორთან შეთანხმებას, მაგრამ მას იზიდავდა თბილისი, როგორც სამშობლო ქალაქი, სადაც ჯერ კიდევ დრო-უდროად არ ემუშავდა.

მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება: მთლად იმ რეცენზენტში, რაც შე მრავლად წავიკითხე, არსად არ შემხვედრია სულ მცირე შენიშვნა, რომ ვანოს ღირიყორობის რაიმე ნაკლზე. მართო ერთ-ერთი რეცენზენტი, ლეონ ქების შემდეგ, მოკრძალებით აცხადებს, — მხოლოდ ჩვენ ვისურვებდით, რომ პირველ მოქმედებაში ორკესტრის ხმოვანება არა ჩრდილავდეს ქალთა ხორის მღერასათ.

ეს თითქმის განსაცვიფრებელი მოვლენაა, ვინაიდან თვით დადას სახელოვანი ღირიყორებიც კი დაცულნი არ იყვნენ აეყაა რეცენზენტების შარისაგან. შით უფრო, რომ ისეთი ცეცხლოვანი ტემპერამენტის მქონე ხელოვანი, როგორაც ვანო იყო, სულ აღვილად ვარდება უკიდულოებაში. მაგრამ არასოდეს მას მხატვრული ზომიერებისათვის არ უღალატნია. დიდ ტემპერამენტთან მას თან ახლდა უაღრესად დიდი პოლინირებული ნებისყოფა.

ხელოვანის ტემპერამენტთანობა ის კი არ არის, რომ მართო თათონ იწვოდეს ეგრეთწოდებული „ღვთაებრივი ცეცხლით“, არამედ ის, რომ სხვათ აზიაროს ამ ღვთაებრივ ცეცხლს, სხვასაც გადასდოს მხატვრული ციებ-ცხელება და სხვათ ჩაითრიოს შემოქმედების ფერხულშა.

ვანო სარაჯიშვილზე ამბობდნენ, თავისი მღერით თითონაც იწვის და სხვასაც სწვავსო.

ვანო ფალაშვილიც ასე იყო: როდესაც იგი საღირიყორო პულტთან მოქმედებდა, გეგონებოდათ, რომ საკრავებთან მონადენი ხმები ჯერ მის არსებაში იბადებოდნენ და მხოლოდ შემდეგ მისი, მართლაც რომ გრძნეული, გულის მეშვეობით უხილავ სხავებად მიგელავდნენ საკრავებამდე და იქიდან მოისმოდნენ, ვით მისი გულის ანარეკლი გამოძახილი.

მისი ესა თუ ის მოძრაობა არ იყო მართოდენ ფიზიკური კატეგორიის აქტი, არამედ იგი გააზრებულ გრძნობის გარეგანი ნიშანი იყო. და მას ყოველთვის თან მოსდევდა ორკესტრის თუ ცალკეული საკრავის შესაბამის ხმოვანება, ფორტე ან ფორტისიმო იქნებოდა იგი, თუ პიანო ან პიანისიმო.

იმზე სსაცილო არა არის რა, როდესაც ორკესტრი ღირიყორის ენერგიულ მოძრაობაზე გულგრილად უპასუხებს, თითქო ეუბნებოდეს — ტყუილად იზარეები, ბიძია, აქ საქევექუხილო არა არის რაო. ან, როდესაც ღირიყორი გველივით იკლავება, იგრძნება, ვითომდა ბგერათა ლიელების აღსანიშნავად, ორკესტრი კი საღაფიგუროვან, გაშლალ მელოდიას იძლევა.

ვანო ფალაშვილის განსაზღვრულ მოძრაობას ორკესტრი მუდამ სათანადოდ უხმურებოდა. და თუ აყო ისეთი მომენტი, როდესაც ღირიყორის ძლიერ უეცტა ორკესტრის ძლიერი ხმოვანება არ მოსდევდა, სამაგიეროდ, თვით მუსიკალური ფრაზა თავისი ბგერათა დამბულობით და დრამატიული შინაარსით აქაც სწორედ ისეთ მკვეთრ ექსტს მოითხოვდა. ჩვეულებრივ ლაპარაკშიაც ხომ ხშირადაა ხმადაბლა, მაგრამ ენერგიული მოძრაობათ, სათქმელი რაში.

ამრიგად, ვანო ფალიაშვილსა და ორკესტრს შორის განუწყვეტელი სულიერი კონტაქტი აყო იმ წამიდან, რაკი დირიჟორის მაგიურმა სიტყვებმა მარტოებოდა ოპერის დასაწყისში. დირიჟორმა მტკიცედ იცოდა, რომ და როგორ მოეთხოვა ორკესტრისაგან. ხოლო ორკესტრმაც ასევე კარგად იცოდა, რომ დირიჟორის ყოველი მოთხოვნა და სურვილი კანონზომიერია და მიზანშეწონილი მათა საერთო მხატვრული ამოცანის გადაწყვეტისათვის. ამ დროს ისინი ერთსულ, თითქმის ერთხორც იყვნენ.

მაგრამ მაგიური მარტო ჯოხი არ იყო, ე. ი. მისი მარჯვენა ხელი, რომლითაც იგი ტაქტირებდა.

თილისმური უფრო მისი მარცხენა ხელი იყო და ამ ხელის სიცოცხლით მტკიცეული თითები.

როდესაც ჯოხაღმტურვილი მარჯვენა ხელი, ბგერათა ხანგრძლიობის ზომის აღსანიშნავად, მტკიცე მოძრაობით აღიოდ-ნამოდოდ და მარცხნივ და მარჯვნივ მიმოვიდოდა, თითქო ზუსტ გეომეტრიულ ფიგურებს ხაზავსო, მარცხენა ხელი ისე არხეოდა ჰაერში, გვეგნებოდათ, ამ გეომეტრიულ ფიგურებს სხვადასხვა ფერადებით ღებავსო. და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქო ამ მარცხენა ხელის თითებში შენივთებულყო ბგერათა მთელა კოლორი, და ისე გეჩვენებოდათ, რომ ხმებს არა მარტო ყურით ისმენდით, არამედ თვალითად ქვრეტდით.

მუსიკალური ფრანის ესა თუ ის წუთსი, დირიჟორის მიერ ნაგულისხმევა, ესა თუ ის იერცვალი თილისმა მარცხენა ხელს ცხოველყოფელ სურათად მიჰქონდა შესაკრავებისაკენ და ისინიც, თითქო მოჯადოებულნი, გაფაციცებით შესცქეროდნენ თავიანთ შეფს და ლომანამუღივით ასრულებდნენ ყოველ მის უხმო ბრძანებას.

აი, სწორედ აქ ხორციელდებოდა პექტორ ბერლიოზის დებულება— დირიჟორი უნდა მოითხოვდეს, რომ მუსიკოსები, რაც შეიძლება ხშირ-ხშირად უყურებდნენ მას. იმ ორკესტრისათვის, რომელიც დირაჟორის ხელის ჩვენებას არ უყურებს, დირიჟორი არ არსებობსო.

სწორედ ეს მარცხენა ხელი იყო, რომ ფალიაშვილის საყვარელი და მასი გამარჯვების გვირგვინის ოპერა „აიუღა“ შეორე მოქმედების მერე სურათის ფინალში პირდაპირ სასწაულსა ჰქმნიდა დრამატიული სიტუაციის გამოსავლინებლად.

მთლად თავისი არსებით მეღერავი სიმივით დაქიშული, კუნთებზეკუმშული, ცეცხლისმფრქვევა თვალებით, ყალყზე დამდგარი თმით, თითონაც სადირიჟორო ესტრადის ზემო საფეხურზე შემდგარი, ვანო ფალიაშვილი ხან აქეთ, ხან იქით, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, ხან სცენის შუაგულისაკენ ეღვასავით მჭვალავდა სივრცეს თავისი მარცხენა ხელით და თავის სურვილებს ტყორცნიდა ხან ორკესტრს, ხან ვაჟთა ხოროს, ხან ქალთა ხოროს, ხან პერაონაევებს, ხან ჩასაბერ საკრავთა ცალკეულ გუნდს, ერთი სიტყვით. ას ორმოცდაათ—ორას კაცზე მეტს. რომელიც სცენიდან თვალს არ ამორებდნენ არც ერთ მის მოძრაობას და, თათონაც მასავით ბუნება-აღმრულნი, ერთსულოვნად ასრულებდნენ მის მოწოდებას მხატვრული სილამაზის შექმნისათვის.

და შათიან ერთად ავზნებული, როგორც ამ მხატვრული სილამაზის განცდაში თანამოზიარე, თქვენ უნებურად ივიწყებდით, რომ ეს მხატვრული

სილამაზე შექმნილია ჯუზეპე ვერდის მიერ და არა ამ, შავ ფრაკში გამოწყობილი, გრძნეული ხელების მქონე ადამიანის მიერ, იმდენად, რამდენად ისინი თქვენს წარმოდგენაში გაიგივებულნი, ვით შემოქმედი თანამესაიდუმლენი.

ასევე იყო „ჰუგენოტებში“. ასევე იყო „ვილქელმ ტელში“. ასევე იყო „აბესალომის“ მესამე მოქმედებაში. ასევე იყო დირიჟორისათვის არც თუ აგრე რიგად სახარბიელო „ტრავიატაში“, რომელსაც იგი დირიჟორობდა მესამე მოქმედების ანსამბლისათვის, და დიდი ექსპრესიითაც.

მაგრამ საგულისხმოა ის არის, რომ სხვადასხვა ოპერის ძლიერი მომენტის ინტერპრეტაციას ვანო ფალაშვილი იძლეოდა ამ ოპერების საერთო და ცალკეული მომენტების შინაარსისა და სტილის შესაბამისად, მათი დამახასიათებელი ფრაგმენტით. ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ რა დიდი მუსიკალობისა და დახვეწილი გემოს პატრონი იყო იგი და რა ღრმად იხედებოდა მუსიკალური ნაწარმოების დედააზრსა და ფორმაში.

ძლიერი სულიერი აღძრულობა მართო დიდი ზომიანებით არ გამოათქმის. ზანდაზან იგი სახიერდება უადრესი ზმამიბნედილობით. და აქაც ვანო ფალაშვილი იყო მისი პიანო და პიანისიმო, რომელსაც, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ერთ ერთი რეცენზენტი „პაეროვანს“ უწოდებს.

ამ მხრივ არ შეიძლება არ გავიხსენოთ „აბესალომისავე“ უკანასკნელი მოქმედების ზოროს ზორილური საგალობელი: „მათი სული, ქვეყნად ერთი“.

ამ რელიგიური სახის საგალობელში, რომელსაც სრულიად არა აქვს ექსტატური შასიათი, არამედ იგი თითქო გარინდებული აღქმა დიდი ტრაგედიისა, ვანო ფალაშვილი აღწევდა ისეთ ზმამიბნედილ, მაგრამ თანაც ემოციურად ევზომ ძლიერად შეტყვევლ ზმოვანებას, რომ უნებურად სულთქმა გეკვროდათ.

აი, აქ მისი მარცხენა ხელის მტკვანი ისე-ნაზად, თითქო ისეთი მზრუნველობით ირხეოდა, გეგონებოდათ ტღალობს, ჰაერიც კი არ მიაკაროს საგალობლის თვითეულ ბგერასათ. თავისთავად ამ შესანიშნავი მუსიკალური ფრაზის გარდა, თვით დირიჟორის დამაბულობა და ხელის საზოვანი მოძრაობა ჰქმნიდა მრავალშეტყველ სულიერ განწყობილებას სცენაზედაც და დარბაზშიაც.



უშველებელი ტომის დამწირდება თვითეული ოპერის თვითეული იმ ადგილის აღწერას, სადაც ვანო ფალაშვილი დიდ ოსტატად გვევლინებოდა. თითქმის არ იყო ოპერა, რომელსაც იგი არა დირიჟორობდა და რომლის ინტერპრეტაციაშიც მას რაიმე საინტერესო ახალი შტრიხი არ შეეტანა, ღირსი მისი დიდი მუსიკალური ნიჭისა და თავის თავზე განუწყვეტელი სერატიზული მუშაობით შექმნილი გამოცდილებისა.

ზოლო საჭიროა, სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, აღინიშნოს აგრეთვე კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება მისი, როგორც ოპერის დირიჟორისა.

ვანო ფალიაშვილი უებრო აკომპანიატორი, იყო, აკომპანიატორ-კესტრით.

მომღერლები მას „კეთილმყოფელს“ უწოდებდნენ და სამართლიანადაც ისე არავენ ძრ ერკვეოდა მომღერლის ინდივიდუალობაში და ისე არავენ არ უხამებდა ორკესტრის ზმოეანებას მომღერლის ხმას, როგორც იგი.

და საკვირველი ის იყო, რომ იმავე დროს არც ორკესტრის ინტერესებს ღალატობდა. აკომპანიმენტის დროს იგი ცდილობდა არამც თუ მომღერლის ხმა არ დაერდილა ორკესტრის ხმაურით, არამედ ყოველი სამუალება შეეცა მისთვის გამოემქლანებინა, თუ რამ მადლი გააჩნდა. ხოლო სიორკესტრო ფერადების გამოსავლინებლად იგი ოსტატურად იყენებდა რიტურნელებსა და პაუზებს სიმღერაში.

მუსიკალურ პედანტიზმს მოკლებული, იგი არ უკრძალავდა მომღერალს გაეგრძელებინა ნორმალურზე მეტად რომელიმე ეფექტიანი ფერმატა ან ჩაერთო ეგრეთწოდებული ზედნართი ნოტა, თუ კი ეს ღამაზად გამოდიოდა.

მაგრამ ყოველსავე ამას იგი მხატვრული ზომიერების ფარგალში იწყნარებდა და არაფითარ ფეიქნებურ გაქანებას მომღერლისას არ ივუებდა.

მასთვის ასეთი შემთხვევა: „ჰუგენოტებში“ მარსელის როლის შემსრულებელმა, მშვენიერი ხმის პატრონმა შესნიაევმა, ჰუგენოტების ბრადერული საბრძოლო სიმღერა „პიფ-პაფ“ მოულოდნელად ხმაშეკიდებული სოლნოტით გაათავა და დიდი ტაში გამოიწვია, რადგანაც მასისათვის ეს ნოტა არაჩვეულებრივად მაღალია.

ანტრაქტის დროს ვანო ფალიაშვილს შეეხებოდა და მხიარულად შეუძახე, რა ღამაში სოლი გტყორცნა შესნიაევმა-მეთქი. — ნუ გეშინია, — მიბასუხა სიცოლით ვანომ. — მეც ღამათიანი ჯარიმა გტყორცნეო.

გამიკვირდა, რაღა-მეთქი? ამიხსნა: მუსიკალური ზღლიწობაა, ნომრის შთლად დათავებისას, როდესაც ორკესტრმა უკვე საბოლოო აკორდი გააკვდა, მამღერალმა თავის გამოსაჩენად ხელახლა გაიმეოროს შემოძახილი და ისიც ზედნართი ნოტიათო.

ვანო ჯა სახელგანთქმული ფეოდორ შალიაპინი პირადი მეგობრები იყენენ ჯერ კიდევ თბილისიდან, როდესაც შალიაპინი უსატოვთან მღერას სწავლობდა. მიუხედავად ასეთი მეგობრობისა და, უფრო კი, სწორედ ამ მეგობრობის გამო, ვანო ყოველთვის ერიდებოდა იმ წარმოდგენაში ღირიფორობას, რომელშიაც საგმტროლოდ მიწვეული შალიაპინი იღებდა მონაწილეობას.

— დალოცვილი ფედიო მეტიამეტად თავისწება კაცია, ღირიფორის აეტორიტეტს არაფრად დავიდევს და მოსალოდნელია უსამოვნება, თუ არ დაუბძმე. რაზე ავტკივო აეტკივარი თავი და რაზე გავაფუქო ძველისძველი ურთიერთობა ადამიანთან, რომელიც მიყვარს და რომელსაც დიდად ვაფასებ, როგორც არტისტს, დეე, იმათ უღირიფორონ, ვინც ყველაფერზე აბალი აღას“ თქმას არის დაჩვეული.

მაგალაც, საყოველთაოდ ცნობალია შალიაპინის შეჯახება მოსკოვის დიდი თეატრის ღირიფორებთან აგრანეკთან და სუქთან. სხვათა შორის, ვანო ძალიან დაახლოვებული იყო სუქთან, როგორც უფროს ამხანაგთან და მანწავლებლთან.

ვარგი ვარეგნობა არტისტიკისათვის დიდი მადლია. დირიჟორიც არტისტიკა და შინაინი თვალტანადობა არც იმას მოსჭარბდება.

ვეინმარტნერი ამბობს: — შავ ფრაკში გამოწყობილი ფიგურა, რომელიც ჯონს დაშინასავით აქეთ-იქით იქნევს და გველივით იკლავება, ვითომდა გრძნობით აღსავსეობას გამო, ზშირად შეიძლება სასაცილო გვეჩვენოსო.

და თუ ეს ფიგურა, — დავუმატებ მე, — თანაც ოკრობოკრა და თავმოტვლებილი, დიდი გაძლება უნდა სამისათას განმავლობაში იმის ცქერას. ვანო ფალიაშვილს ორი ვარეგანი ბუნება ჰქონდა: ჩვეულებრავი და არტისტიკული.

თუ ჩვეულებრივ ცხოვრებაში მის შუათანა, საკმაოდ ჩასხმულ ფიგურაას სხეულის სისხარტე და მოქნილობა არ ემჩნეოდა, ხოლო ფრიად ლამაზ და ბნოვანებაშიაც ახალგაზრდულ სახეს ლეთაებრავი აღმაფრენის ბეჭედი არ ესვო, სამაგიეროდ, სადირიჟორო პულტთან ერთიც და მეორეც მას უხვად ევლინებოდა.

შემოქმედების წმინდა ცეცხლით ავზნებული, — დიას, იმ წამს იგი ნამდელი შემოქმედი იყო, — ვანო იძენდა სხეულის ისეთ მოქნილობას, მოძრაობის ისეთ ელასტიურობას და სახის ისეთ ოქრობირულ მეტყველებას, — რომ თავის სულზორცის ქალთა სრულ ვარდაქნას აღწევდა. იგი იყო იმ დროს არტისტი თავიდან-ფეხამდე, არტისტი ზეშთავონებელი და ზეშთამვონებელი.

გადაქარბებად ნუ ჩამომერთმევა, თუ ვიტყვი: ჩემდათავად მე ასეთი ლამაზი მანერა დირიჟორობისა სხვა დიდ დირიჟორობშიაც არ მანახავს. რაოდენი კეთილშობილება მოძრაობაში, რაოდენი სამტკიცე და დახვეწილობა მიმოზვრამი და თანაც ქმედითი ძალა!

ის რომ მარცხენა ხელით ბერეას მოჰკეთდა, თითქო მუკში დააქირაო ზგი, და მარჯვენა ხელით აკორდს შეჰკრავდა; ის რომ მთელი ფიგურით საკრავთა რომელსამე ჯგუფს მიუბრუნდებოდა დაწყების ნიშნას მისაციემად; ის რომ თმაუხვი თავის დაქნევით სცენაზე მყოფთ ანიშნებდა, წინ წამოწეულიყვნენ, ან უკან დაეხიათ, ანდა შემვიდროვებულაყვნენ, ყოველივე ეს ცალკეულად და ერთობლავად თითქო ბერებად იყო გადაქციული და განუთვითებელ ნაწილს შეადგენდა კომპოზიტორის მიერ შექმნილი მუსიკისას.

ეს იყო თვით მუსიკა ლამაზი და აზრით და გრძნობით საცხე მოძრაობასა.

და თქვენდა უნებურად თვალს ვერ ამორებდით ამ მუსიკას, ვინაიდან იგი ესთეტიკურად, — და შეიძლება ფიზიკურადაც, — ატკობდა თქვენ ხილვას.



## მოკლე ავტობიოგრაფია საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ივანე კებეხეძე ფალიაშვილისა

მე დავიბადე 6 ქუთაისში 1867 წელს. მამა ჩემი დიდი ოჯახის პატრონი იყო და გაჭირვებით ცხოვრობდა. ათი წლის რომ გაეხდი, მე ჩემით შევისწავლე ორგანზე დაკრავურადლება მომპყვია პიანისტმა ფელიქს ოსების ძე მიზანდარმა, რომელმაც იყისრა ესწავლებინა ჩემთვის უსასყიდლოდ როიალზე დაკრა. ჩადგანაც შინ ინსტრუმენტი არა გქონდა, მე მიხდებოდა სადილშემდეგ, სკოლიდან მოსვლისას, კათოლიკეთა ეკლესიაში რბენა და მიზანდარის მიერ მოცემული გაკეთილების ორგანზე მომზადება. ასე ვსწავლობდი ორსამ წელიწადს. 1881 წელს თბილისს წამოყვანეს მუსიკალურ სასწავლებელში მოსათავსებლად, ხოლო გამოსადეგლად ამ სასწავლებლის დირექტორ იპოლიტოვიენოვთან. პირადად მომყვია ხელი და ყოველმხრივ შეამოწმა ჩემი მუშაობის უნარიანობა და მაილიან ნიჭიერ მოსწავლეთ მცნო. მაგრამ მაინც მომიბოვია, კვლავ ქუთაისს დაბრუნებულყვად და გიმნაზიის ხუთი-ექვსი კლასი მაინც დამემთავრებინა და მხოლოდ ამის შემდეგ წავსულიყვად თბილისში და სადუმელიანად განმეგრძო მუშაობა მუსიკის სფეროში. ოთხი წლის შემდეგ თბილისში ჩამოსვლისას ორგანისტად მიმიწვიეს კათოლიკეთა ეკლესიაში. აქ მე რვა წელს ვიმსახურე და ამავე დროს ვმუშავებდით მუსიკალურ სასწავლებელში ი. ს. კლენოვსკისთან. ამ ხანშივე დავიწყე პირველად მუშაობა ოპერაში ჯერ ხორისტად, შემდეგ ხორმეისტერად, ხოლო სეზონის ბოლოს (ეს იყო 1889 წელს) დარბიჯობა მომინდეს, აქედან იწყება პირველი ჩემი ნაბიჯები თეატრალურ ასპარეზზე. შემდგომ სეზონში მე წამოყვანა სულოვ-სუბოლოვსკის ლეჩაიულმა საოპერო-საოპერეტო დისმა კივცსა და სხვა ქალაქებში. მითთან სამ წელს ვიმსახურე. 1895 წელს მიმიწვიეს წერეთლის საოპერო დარსში ხორმეისტერად კივცსა, ხარკოვსა და პეტერბურგში, სადაც ვმსახურობდი ცნობილ დირიჯორ (ახლა სახალხო არტისტი) ე. ი. სკოთან ერთად. შემდეგ მიმიწვიეს ოდესის იტალიურ ოპერაში ხორმეისტერად წლიურ სამსახურზე. აქ მე ვიმსახურე ხუთ წელს 1898 წლიდან 1903 წლამდე. უნდა აღვნიშნო, რომ მუსიკალური განათლების შეესება და განვითარება ერთთავად ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიხდებოდა. ვინაიდან ერთი დაგილიდან მეორე ადგილას ვადისვალს ვამო არ შემეძლო დაშვიდებით მემუშავენა და მემუშავებინა ამის გარდა, ჩემ ნახევარ ჯამაგირს ყოველთვიურად მშობლებს ვეუზავინდი. როგორც ოჯახის უფროსი შვილი და მამა, მე იძულებული ვიყავი მერზუნა უმცროსი ძმების საერთო და მუსიკალურ განათლებაზე. ამზარად, მომთაბარული ცხოვრების მეოხებით მუსიკალურ განათლებას მე ვიძენდი სხვადასხვა მსწავლებლებლოგან სხვადასხვა ქალაქებში, როგორც, მაგალითად: თბილისში ვმუშავებდით იპოლიტოვიენოვთან და კლენოვსკისთან, კიევიში — ბუბლაკისთან და ვინოგრადსკისთან, ოდესაში — მიკონოვთან და მუსიკალური სასწავლებლის დირექტორ კლიმოვთან. პეტერბურგში მე მოვახერხე რაოდენადმე მემუშავებინა დამსტრუმენტების დარგში სახელოვან კომპოზიტორ ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვთან. ოდესაში სამსახურის შემდეგ ცნობილმა არტისტმა და ანტრეპრენიორმა ნ. მ. ფიგნერმა მიმიწვია ოპერის მთავარ დირიჯორად კაზანში. კაზანის შემდეგ ჩვენ ვმოგზაურობდით ვოლგასპირა ქალაქებში ასტრახანამდე, ხოლო იქიდან წავედით ნიენ-ნოვგოროდის გამოუფენაზე და შემდეგ ვადმოვდიით თბილისში, სადაც ვმსახურობდი დირიჯორად სახაზინო თეატრში. შემდეგ მე კვლავ კიევი გავემგზავრე ცნობილ ანტრეპრენიორ ბოროდაისთან კიევიდან წყვედი რიგაში, ვარშავისა და ლუბში — ევკატრინენბურგსა, პერსია და იქიდან კონსტანტინის ქალაქებში. 1911 წელს სათავეში ჩავუდევტი ოპერის არტისტთა ამზანავობას თბილისის სახაზინო თეატრში. ამ ამზანავობამ იძუშავა თბილისში სამ წელს ბრწყინვალედ, როგორც შატერული, ისე მატერიალური მხრით. უემოსხუნებელი ქალაქების გარდა მე მოვიარე ყოფილი რუსეთის კიდევანინ და არ არსებობს ჩვენ ვავშირში ისეთი ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ქალაქი, სადაც მე არა ვყოფილყვარ საოპერო დასებთან ერთად.

მთელი ჩემი სიცოცხლის განმავლობაში არ ვიყოდი, რა იყო დასვენება და მუდამ ვეწყოდი ნამდვილი არტისტ-მუსიკის საქმიანობას.

ზეობობაზე კმაყოფილების დრმა გრძნობით შემიძლიან ჩემ თავზე ვთქვა, რომ ჩემ ზელში ვავლილი არა ერთი ასული და ათასეული მომღერალი ქალი და კაცი, — მემუსიკე, ხორისტი, დირიჯორი, ხორმეისტერი და სხვ. გახდა საოპერო ზელოვნების ნამდვილ ოსტატად. საქმარისთა გავიშენით, რომ 1921 წელს, როდესაც მე თბილისში დაბრუნდი, სადაც სამუდამად დავსახლდი, თბილისის სახელმწიფო ოპერაში მხოლოდ ორი ჭარბეელი

არტისტი იყო — ვინა სარაჯიშვილი და სანდრო ინაშვილი, ხოლო ახლა, ათი წლია შემდეგ ჩვენ ვხედავთ ჩვენი ოპერის კედლებ შორის თაბაძეობათ პროცენტამდე ქართველ მომღერალ კაცსა და ქალს, რომელნიც ჩემი ხელმძღვანელობით ხელოვნებას წამოვიწყო ოსტატები ვახდენენ. ჩვენი ოპერის არტისტებ შორის არიან ისეთი ხელოვნები, რომელთაც შეუძლიანთ დამშვენონ საბჭოთა კავშირის რა საოპერო თეატრიც ვინდათ, ამ ეპოქაზე მე დათვალავად ვმუშაობ ოპერის არტისტების ახალ კადრებთან და ყოველ ჩემ წარმოდგენაში მონაწილეობას ვაღებინებ მათ.

თეატრის გარდა, ამავე დროს, მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი ჩვენს კონსერვატორიაში მომღერალთა და ინსტრუმენტალისტთა კადრების შესაქმნელად.

1928 — 1929 — 1930 წლებში, თბილისის სახელმწიფო ოპერაში სეზონის დამთავრებისას, მე მოვაწყე კოლექტივი, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით მოგზაურობდა საქართველოს, აჭარის და აფხაზეთის ქალაქებში, სადაც იდგებოდა ქართული და სხვა ოპერები ჩვენი საოპერო თეატრის საუკეთესო ძალების მონაწილეობით. ამ კოლექტივზე ამბობდნენ, რომ იგი საუკეთესო და სამაგალითო კოლექტივია მიუღ სსრკ-ში. ჩვენ ზედიზემ შევუწყეთ საქართველოს პროვინციის მშრომელთა ზიარებოდნენ ნამდვილ ქართულ საოპერო მუსიკას რის შესაძლებლობაც მათ ჩვენამდე არასდროს არა ჰქონიათ.

1920 წელს ეპატერიინენტრავა (ამ ეპოქაზე სევრდლოვსკი) იჭაურე საბჭოთა საზოგადოებრიობასა და რუსეთის სსრკ-ის განათლების სახალხო კომისიის აშ. ლუნჩარსკის წინადადებით მე დამაჯილდოეს რუსეთის სსრკ-ის დამახტურებელი არტისტის წოდებით, ხოლო აშ. ლუნჩარსკისაგან მივიღე მოსწლოცი წერილი.

აჭ. თბილისში, ჩემი რედაქციონერეტი წლის მოღვაწეობის იტბილზე სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრკ-ის სახალხო კომისიისა საბჭოს დადგენილებით მომენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება.

ამ ეპოქაზე ვმუშაობ თბილისის სახელმწიფო ოპერაში მთავარ დირიჟორად, სადაც ხელდაუკრეფავად დიდ პასუხსაგებ ვმუშაობას ვეწევი ჩვენი მშობლიური ქართული ხელოვნებისა და აგრეთვე სხვა ეროვნებათა ხელოვნების საკეთილდღეოდ.

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ივ. პ. ფაღიაშვილი.

ნიმუ ნაკაზიძე

## ლევ ტოლსტოის ახლოს

მოზონება

... ადამიანი კვდება ინდივიდუალურად სომატიური სიკვდილით, მაგრამ ... კვდება საზოგადოებრივად, თავისი მტვერითა და შემოქმედებით ის ვადადის ცოცხალ გარემოში — საზოგადოებრიობაში. ის განაგრძობს სიცოცხლეს იმათში, ვინც ცოცხალი რჩება, თუ ნამდვილად ცოცხლობდა სიცოცხლეში და არ იყო მკვდარი. ცოცხალი კოლექტივი აცოცხლებს მკვდარს.

ნიკო მაია.

1

აღმოსავლეთის ბრძნული ფქმულებაა, თუ ადამიანს წილად ხვდა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ამბის მოწამე ყოფილიყო, ის ვალდებულია ეს ამბავი გადაიტანოს ქაღალდზე თავისი შეილიშვილებისა და შეილიშვილიშვილების საყურადღებოდ. მე ჩემ ცხოვრებაში წილად მხვდა, ისეთი დიდი ადამიანის, როგორც იყო ლევ ტოლსტოი, ცხოვრების მოწამე ყოფილიყავი, მართალია, განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგრამ, ვფიქრობ, ამ განსაზღვრული დროის დაკვირვებანიც საინტერესოა. ეს მახედვინებს, გავუზიარო შეითხველს ჩემი პატარა მოგონება დიდი ადამიანის შესახებ, რომლის ყოველ სიტყვას დაძაბული ყურადღებით ისმენდა მთელი კაცობრიობა.

დიდი მორიდებით და შიშით ვიწყებ. შიშით იმიტომ, რომ არ ვიცი, ექმება თუ არა ესეთი მნიშვნელობა ჩემ მოგონებას იმის შემდეგ, რაც დაიწერა და იწერება ახლაც ლევ ტოლსტოის შესახებ, რომლის ხანგრძლივი ცხოვრება ისე შინაარსიანი და საგულისხმეო იყო.

მე შემთხვევა მქონდა ლევ ტოლსტოის ახლოს მეცხოვრა ხუთი წლის განმავლობაში, მოსკოვში, 1898 წლიდან 1903 წლამდე. მაგრამ მასთან დაახლოვებული იყო ჩემი მეუღლე ილია ნაკაშიძე. ილიას უყვარდა ტოლსტოი მწერალი, ფილოსოფოსი, მასწავლებელი და დიდი სურვილი მქონდა დაეწერა მის შესახებ წიგნი. მაგრამ ერთი პატარა მოგონების მეტი — „როგორ გავეცანი ტოლსტოის“ სიცოცხლეში ვერადფერი ვერ მოასწრო, თუმცა თავის წერილებში, ლექციებში და სიტყვებში ხშირად იგონებდა და ხშირად მოჰყავდა ტოლსტოის შეხედულება ცხოვრებაზე, რის გატარებას ცხოვრებაში უადრეს მნიშვნელობას აძლევდა.

ლ. ტოლსტოი გავიყვანი 1898 წ. ილიკო ნაკაშიძე ვი იცნობდა მას 1896 წლიდან და ჰქონდა მასთან მიწერ-მოწერა.

მკითხველისათვის რომ გასაგები გახდეს, თუ რა პირობებში გაქცობა, უნდა დავიწყო 1895 წლიდან, როდესაც ჩვენს ოჯახში განუწყვეტელი კამათი იყო, ან ვი რომელ ინტელიგენტურ ოჯახში არ იყო მაშინ ბაასი და გაცხარებული კამათი ლევ ტოლსტოის ახალი მოძღვრების შესახებ, რომელიც აღტყალებული იყო, მაგრამ ვრცელდებოდა ხელნაწერი წიგნებით („В чем моя вера“, „Царство божье внутри нас“, „Книга о жизни“, „Изложение 4-х евангелий“ და სხვ.). ამ წიგნებმა დიდი გავლენა იქონიეს სექტანტებზე, განსაკუთრებით დუბობორებზე, მაგრამ უაღრესად ააღვლევს ინტელიგენცია.

ჩვენი ოჯახი იცნობდა აგრეთვე ტოლსტოის თანამოაზრეებს — თავ. დიმიტრი ალექსანდრეს (ე ხილკოვს<sup>1)</sup> და თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანს<sup>2)</sup>, რომლებიც თავიანთ ოჯახებით 1894 წ. ცხოვრობდნენ სოფ. კიკეთში, კონსტანტინე სოლომონის ძე ონიკაშვილის მამულში და ჩვენ ოჯახშიც დადიოდნენ.

ტოლსტოის-მორალისტს ეწინააღმდეგებოდა და უარყოფდა მის მოძღვრებას განსაკუთრებით ქართველი ახალგაზრდა ინტელიგენცია, რომელმაც თავყვანს სცემდა მხოლოდ ტოლსტოის-წიგნებს.

მახსოვს, კიბა აბაშიძე ჩვენსა რომ მოვიდოდა, პირდაპირ პირობას უდებდა ელენე ნაკაშიძეს<sup>3)</sup>, რომელიც ყოველთვის გატაცებით უქადაგებდა ყველას ტოლსტოის ახალ მოძღვრებას:

— თუ ტოლსტოის „Непротивление“-ზე არ იქნება ლაპარაკი, დავრჩები, თორემ მივდივარ, — ამბობდა ის, — ტოლსტოის მოძღვრება მრავალმილიონიანი რუსის ხალხისთვის იქნებ იყოს მისაღები, მაგრამ ჩვენთვის, ერთი მუქა ქართველებისათვის, სხვა ჩავგვრასთან ერთად, ერთგულადაც დაჩაგრულებისათვის, პატრიოტული გრძნობა ერთად-ერთი საშუალებაა ბრძოლისა, გადაგვარების და სრულიად მოსპობის წინააღმდეგ.

<sup>1)</sup> თავ. დიმიტრი ალექსანდრეს ძე ხილკოვმა, მდიდარმა მემამულემ, ბრწყინვალე ოფიცრმა, ტოლსტოის გავლენით დაიწება თავი სამხედრო სამსახურს და დასაბლდა თავის მამულში, ხარკოვის გუბერნიისაში, სოფ. პავლოვკაში. იქ ცხოვრების დროს მან უშუალოდ დაინახა გლეხების უმწეო მდგომარეობა და მთელი თავისი მამული გადასცა მათ უსასყიდლოდ, თვითონ კი დაქირავებულ მიწაზე დაიწყო გლეხურად ცხოვრება და იმით ირჩინდა თავს ამ დროს შეერთო ცოლი. რასაკვირველია, ჯვარი არ დაუწერია გულსიაში, და შეიღობიუ გაუჩნდა. ხილკოვმა თავისი რწმენის მიხედვით შეიღები არ მონათლა, მთავრობამ იმის მოღვაწეობაში საწინააღმდეგეო მოქმედება დაიწება და ამიერ-კავკასიაში გადმოსახლა. ხილკოვის დედამ შეამდგომოდა აღტყა მოთვრობის წინაშე და ამიერ-კავკასიიდანაც გადაასახლეს, რათა თვითონ აღეზარდა ისინი. ხილკოვი შემდეგ ამიერ-კავკასიიდანაც გადაასახლეს, და იმდროისათვის გახდა საზღვარგარედ წასულიყო. ცხოვრობდა შვეიცარიისაში. შემდეგში, 1914 წელს, როდესაც რუსეთ-გერმანიის ომი გამოცხადდა, ის ვაიტაცა პატრიოტულმა სოლისკვეთებამ: ჩიწერა მოხალისედ ჯარში გერმანელების წინააღმდეგ. მოკლულ იქნა კარპატებში.

<sup>2)</sup> თავ. გიორგი ალექსანდრეს ძე დადიანი, პოლოცნიკი, გამოვიდა სამსახურიდან და ცხოვრობდა, როგორც უბრალო გლეხი. ე. დადიანზე ქვემოდაც ვეგქნება საუბარი.

<sup>3)</sup> ელენე ნაკაშიძე, ილია ნაკაშიძის და, მაშინ ტოლსტოის მოძღვრების მლიაჩებელი იყო და ავრცელებდა ტოლსტოის არალეგალურ წიგნებს. მუშაობდა ხილკოვთან და დადიანთან ერთად დუბობორებ შორის. შემდეგში ახრი გამოიცივალა და მიემხრო სხვა რელიგიურ სექტას. გარდაიცვალა 1943 წელს.

1895 წ. დუხობორეში იფეთქა მათმა ძველმა რელიგიურმა რწმენამ, რომ ძალადობას არ ებრძოლონ ძალადობით. დუხობორებს, ძველმა რწმენამ კეთური სექტის მიმდევართ, ჯერ კიდევ ეკატერინე მეორის (1762-1829 წ.წ.) მიაქცია მთავრობამ ყურადღება და მას შემდეგ განიცდიდნენ დევნას. ეკატერინე მეორეს დროს ისინი გადასახლეს ეკატერინესლავის გუბერნიიდან მელიტოპოლის მაზრაში, ტაბრიდის გუბ. და შემდეგ 1837 წ. ახალქალაქის მაზრაში. მას შემდეგ დუხობორებმა თანდათან შეასუსტეს რელიგიური რწმენა და ასრულებდნენ მთავრობის ყოველ მოთხოვნას. ცხოვრობდნენ შეძლებული ცხოვრებით. განსაკუთრებით მესაქონლეობას მისდევდნენ, მაგრამ დ. ხილკოვისა და გ. დადიანის გავლენით, აგრეთვე თავიანთი ბელადის პეტრე ვერვიანის მოღვაწეობის შედეგად დაიწყო მათში მოძრაობა. იმავე დროს ხილკოვის საშუალებით გამართეს მიწერ-მოწერა ტოლსტოისთან, და დაუბრუნდნენ ისევ ძველ თავიანთ რწმენას: გახდნენ ვივეტერიანები, მთელი თავიანთი იარაღი სოფლის მოედანზე გაიტანეს და დაწვეს, არ მისცეს მთავრობას ახალგაზრდობა ჯარში გასაწვევად.

ამ ურწობამ გამოიწვია მეფის მთავრობის რისხვა. თბილისის გუბერნატორის შერვაშიძის განკარგულებით, შეესივნენ კაზაკები დუხობორების სოფლებს. დუხობორებმა შესულ კაზაკებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწიეს და ფსალმუნების გალობით, დაჩოქილნი შეხვდნენ სოფლის მოედანზე. კაზაკები მიიწვი შეიჭრნენ დაჩოქილ ხალხში. არც ერთი დუხობორი არ ამდგარა თურმე, მაგრამ მიიწვი სცემეს მათრახებით. ისინი, რომლებიც ჯარისკაცად არ გავიდნენ, დაატუსაღეს და 18 წლით იაკუტსკის მაზრაში გადასახლეს. ოთხი ათასი სული ქალი და კაცი აწყარეს და ქართლის სოფლებში ვადმოასახლეს.

სწორედ 1895 წ. დავბრუნდით პეტერბურგიდან ჩემი მეუღლე და მე, და მოწმენი გავხდით იმის, თუ როგორ მოდიოდა ბორჯომის გზით ახალქალაქის მაზრიდან რამდენიმე დღის განმავლობაში ეს აწიოკებული, დარბეული ხალხი. სოფლებში დაეტოვებინათ სავსე ოჯახი, მრავალი საქონელი. მხოლოდ ხარახურის წამოღების ნება მიეცათ და ეს ხარახურა, ბავშვები და მოხუცები მოჰქონდათ და მოჰყავდათ ფურგუნებით. თვითონ ქალები და კაცები ფეხით მოჰყვებოდნენ. მე მანამდის არ მენახა დუხობორები და გამაკვირვა იმათმა ახოვანმა შესახედლობამ და სახის იმედინამა გამომეტყველებამ, აგრეთვე განსაკუთრებულმა ტანისამოსმა.

ილიკო ნაკაშიძე გამოესაუბრა მათ. გვიამბო, თუ როგორ იყო ყველა აღსავსე იმ რწმენით და იმედით, რომ ღმერთი არ დასტოვებს მათ, რომ ეს შედეგია იმ ცული ცხოვრებისა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ მანამდე. არც ერთი საყვედური არაეც მიმართ არ წამოსცდენიათ.

დუხობორები ჩაასახლეს ქართლ-კახეთის სოფლებში პატარ-პატარა ჯგუფებად. სოფლელებთან რაიმე დამოკიდებულების დაჭერის ნებას არ აძლევდნენ. უმეტესობა ცხოვრობდა უბინოდ ფურგუნებში. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი გლეხობა მათ ღვთის ხალხს ეძახდა და ძალიან ეხმარებოდა, დუხობორები მიიწვი დიდ სილატაკეს და შიმშილს განიცდიდნენ, სწეულდებოდნენ და იხოცებოდნენ. ნამეტნავად ბავშვები.

ლევ ტოლსტოის ძალიან აინტერესებდა დუხობორების ყოფა-ცხოვრებას. რამდენიმე ათასი კაცი იზიარებდა მის მოძღვრებას. როგორც ტოლსტოი, ისინიც წინააღმდეგნი იყვნენ შებრძოლებოდნენ ბოროტებას ძალით, რო-

გორც ტოლსტოი, ისინიც ვეგეტერიანები იყვნენ და, რაც მთავარია, მათ სარწმუნოება ეთანხმებოდა ტოლსტოის მიერ მრავალი წლის განმავლობაში შესწავლითა და ტანჯვით გამომუშავებულ რელიგიურ შეხედულებებს. ამიტომ ტოლსტოი ყოველ დონეს ხმარობდა შეემსებუქებინა მათთვის უმწურო მდგომარეობა. იგი როგორც ზნეობრივ, ისე მატერიალურ დახმარებას უწევდა მათ. ცდილობდა გამოენახა საშუალება ამ მშრომელი ხალხისათვის და ისეთი ქვეყანა აღმოეჩინა საცხოვრებლად, სადაც თავიანთი რწმენის მიხედვით შესძლებდნენ ისინი თავისუფალ ცხოვრებას. ამ მიზნით დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა მას თანამგრძობებთან და მეგობრებთან. აგროვებდა სახსარსაც.

გადქოსახლებული ღუბოზორები ჩვენთანაც დადიოდნენ, მით უმეტეს, რომ დ. ხილკოვი საქართველოში უკვე აღარ იყო და ილია ნაკაშიძის საშუალებით ჰქონდათ მათ დამოკიდებულება ტოლსტოისთან, ხოლო საზღვარგარედ ტოლსტოის მეგობრებთანაც.

ტოლსტოის მეოხებით ღუბოზორების აწიოკების ამბავი მთელი ქვეყნების განათლებულ ნაწილს მოედვა და დიდი დახმარებაც აღმოუჩინეს მათ ინგლისისა და ამერიკის მეგობრებმა, განსაკუთრებით ამერიკის კვაკერებმა<sup>1)</sup> და სხვა სექტანტებმა. გადაწყდა, რომ ღუბოზორების საცხოვრებლად აერჩიათ კუნძული კვიბროსი და კიდევაც გაგზავნეს ნაწილი, მაგრამ რადგან კუნძულ კვიბროსზე ციება მძვინვარებდა და დიდ მუსრს ავლებდა მთის წინდა ჰერს შერყეულ ღუბოზორებს, გადაწყვიტეს მათი ამერიკაში გადასახლება, დიდი ფული იყო საჭირო ამისათვის და აგროვებდნენ კიდევ.

ბევრი დაინტერესებული მოდიოდა საქართველოში რუსეთიდან და საზღვარგარეთიდანაც ღუბოზორების გასაცნობად, დასახმარებლად და შესამოწმებლად, თუ რამდენად ეთანხმებოდა მათი ცხოვრება იმას, რასაც მათზე სწერდნენ. და ყველა ილია ნაკაშიძის საშუალებით იჭერდა მათთან კავშირს.

1897 წ. სწორედ ამ მიზნით მოსკოვიდან ჩვენთან ჩამოვიდა ინგლისელი არტურ სინჯონი, ინგლისის არმიის ყოფილი ოფიცერი, რომელმაც ტოლსტოის გავლენით დაანება თავი სამხედრო სამსახურს. სინჯონმა ჩამოუტანა ქართლის სოფლებში შეხიზნულ ღუბოზორებს ინგლისის თანამგრძობთა შორის შეკრებილი ფული. სინჯონმა პირველად ტოლსტოი მოინახულა მოსკოვში და წერილი ჩამოუტანა ილიკოს — დაეხმარეთ სინჯონს ღუბოზორების გაცნობაში, რადგან რუსული არ იცის, თქვენ კი ინგლისური იცით. სინჯონთან ერთად ჩამოვიდა ლ. ტოლსტოის მეგობარი ლეობოლდ ანტონის ძე სულერვიცი, შემდეგში სამხატვრო თეატრის ნიჰიერა რეჟისორი.

სინჯონი, სულერვიცი და ილიკო ნაკაშიძე წავიდნენ ქართლის სოფლებში ღუბოზორებს სასახავედ. ორი თუ სამი დღის შემდეგ სულერვიცი და ილიკო დაბრუნდნენ. სინჯონი კი დარჩა ღუბოზორებთან ორი კვირით, რათა დაწერილებით გაცნობოდა მათ ყოფა-ცხოვრებას.

არ შემოძლია აქ ორიოდე სიტყვა არა ვთქვა ლეობოლდ სულერვიცის შესახებ. 25 წლის კაცი იქნებოდა, საშუალო სიმაღლის, ქერა, მზიარული ახალგაზრდა. მეზღვაურის ტანისამოსი ეცვა. თბილისში ჩამოსვლამდის ერთ

<sup>1)</sup> კვაკერები რელიგიური სექტა ამერიკაში.

წელიწადს სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში გაეტარებინა, ხოლო მანამდე ღისციპლინარულ რაზმში იყო გაგზავნილი, რადგან ქვეყნის ერთ-ერთი თვალსაზრისით უარი განეცხადებინა სამხედრო სამსახურზე. ამის შემდეგ ავადმყოფად იქნა გამოცხადებული. თვითონ ამბობდა: ყოველთვის სრულ გონებაზე ვიყავი, მხოლოდ ერთხანს მომეჩვენა თითქოს ჩემი ორგანიზმიდან მეორე სულერეიცკი გამოდიოდა. ეცდილობდი, ეს ჩემი ორეული არ გამომეშვა, ნებას არ ვაძლევდი გამოსულიყო.

რომ ჩამოვიდა, სრულიად ნორმალური კაცი და კეთილი ადამიანი იყო. ჩამოსვლისას მატროსის ქურთუკის ქვეშ პერანგი არ ეცვა. სინჯონმა გვიამბო, მათხოვარი შეგვხვდა უპერანგო და იმას მისცაო. თვითონ სინჯონს ჩემოდანი სავსე ჰქონდა საცვლებით და სხვადასხვა ნივთებით. სულერეიცკის კი პატარა ცარიელი ჩანთის მეტი არაფერი გააჩნდა. სულერეიცკი ჩქარა დაბრუნდა მოსკოვს.

ორი კვირის შემდეგ, როდესაც სინჯონი უნდა ჩამოსულიყო სოფლიდან, ილიკო სადგურზე გავიდა მის შესახვედრად.

სწორედ იმ დროს ჩვენი ეზო და აივანი პოლიციელებით გაივსო.

— ნაკაშიძე აქ ცხოვრობს? — იკითხა ბოქაულმა.

— აქ ცხოვრობს, მხოლოდ ახლან შინ არ არის, — ვუპასუხე მე.

ბოქაული ცოტახანს დარჩა, შემდეგ დასტოვა აივანზე უბნის ზედამხედველი, რამდენიმე პოლიციელი, რამდენიმე პოლიციელი კიდევ ეზოში დააყენა და თვითონ წავიდა.

ჩქარა მოვიდნენ სადგურიდან სინჯონი და ილიკო. მე ძალიან ველავადი, მაგრამ სინჯონიც და ილიკოც დამშვიდებულნი შემოვიდნენ, ისაუბრეს და საღღაც ისევ წავიდნენ. პოლიციელები არ განძრეულან და გააკვირვებულმა თვითონ ვკითხე, რასა ღგებართ აქ შეთქი. მიპასუხეს, არ ვიციოთ; ბოქაული უნდა მოვიდეს, იმან იცისო.

სადილობისას მოვიდნენ ილიკო და სინჯონი, მოვიდა ბოქაულიც და მოიტანა ბრძანება, რომ საღამოს 7 საათზე ორივენი გამოცხადებულიყვნენ პოლიცემისტერ მასტიციისთან. რამდენიმე პოლიციელი დასტოვა, რომ ბინიდან არსად გაეშვათ და წავიდა.

პოლიცემისტერი მასტიციი ფეხზე წამომდგარი, ძალიან აღუღვებული, ყვირილით შეხვდა თურმე ორივეს:

— როგორ ვაბედეთ და ჩვენ ნებადაურთველად წადით ბუნტოვშიკებთან, ჩვენი სათაყვანებელი მეფის მტრებთან? თქვენ თვითონ ბუნტოვშიკები ხართ, ინგლისის მიერ მოგზავნილი ჯაშუშები! ახლავე, დღესვე უნდა გახვიდეთ თბილისიდან, ინგლისელი თავის სამშობლოში, თქვენ-ი ნაკაშიძე ამიერ-კავკასიის ფარგლებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ორივეს დაგატუსაღებთ!

ინგლისელი ძალიან გააკვირვა ამნაირმა მოქცევამ, მით უმეტეს ბევრი რამ ვერ გაიგო. მან სრულიად დამშვიდებით მიუგო პოლიციელს:

— დაბრძანდით, ბატონო, და ისე გვითხარით, რაც გსურთ, თქვენის ხნის კაცის ჯანმრთელობისათვის მავნებელია ყვირილი.

ინგლისელს სიტყვაზე ერთბაშად შეჩერდა თურმე მასტიციი, მაგრამ მერე არა თუ დაწყნარდა, უფრო გაბრუნდა და გადაწყვეტით მოითხოვა დაუყოვნებლივ გასულიყვნენ თბილისიდან, თუ არ გინდათ ეტაპით გაგავზავნოთო.





სინჯონმა ისევ დამშვიდებით მიუგო:

— მე ჯერ თბილისი არ დამითვალაობრება. მინდა ვნახო აქაურები  
შერე წავალ.

მასტიციმ ყვირილით განაგრძო.

— მაშინ თქვენ პოლიციელები უნდა მოგიჩინოთ, ისინი წაგყვებიან  
ყველგან, ხოლო თუ თქვენ სტრატეგიულ ადგილების გადაღებას აპირებთ,  
იყოფთ არ მოგცემენ ამის საშუალებას.

სინჯონი ნებაუნებურად დაყაბულდა.

— თუ თქვენ პოლიციელები მოცლილი ხალხია, ჩემთვის სულერთია, —  
უთხრა მან.

მასტიციმ სინჯონი სასტუმროში გაგზავნა, თეატრალურ შესახვევში, პა-  
ტარა სასტუმროში, და ორი პოლიციელი დაუყენა ყარაულად. ერთ კვირას  
ცხოვრობდა ამ სასტუმროში სინჯონი, ათვალაობრებდა თბილისს. დათვა-  
ლაობრების დროს ყოველთვის დაჰყვებოდნენ პოლიციელები. ერთხელ და-  
ვინახე, ჩურჩხელა და გოზინაყი უყიდა და ჰკითხავდა, რისთვის არის საჭი-  
რო ესენიო. პოლიციელები უხსნიდნენ. ხალხი გაოცებული შეჰყურებდა ქუ-  
ჩაში დამშვიდებით მიმავალ უცხოელს ორი პოლიციელის თანხლებით. მას-  
თან სალაბარაყოდ არაყის უშვებდნენ და ხანდახან შორი-ახლო მისდევდა  
ხალხი, რომ გაეგო, რაში იყო საჭმე.

ილაყო ნაყაშიძე იძულებული გახდა რამდენიმე დღის შემდეგ გასული-  
ყო თბილისიდან, ის პირდაპირ მოსკოვს წავიდა.

ჩქარა მომწერა, რომ ლეე ტოლსტოი დიდი თანაგრძობით შემხვდა და  
მისი დახმარებით მომცეს მოსკოვში ცხოვრების ნებაართვაო. ტოლსტოიმ  
თვითონვე ინახულა გზათა მინისტრი ხილყოვი და სთხოვა ჩემთვის რაიმე  
სამსახური, სამსახურში უკვე მოეწყო და ჩამოდიოთო. თანაც უმატებდა: ახ-  
ლად გახსნილ საერთაშორისო მატარებელში მომცეს მატარებლის უფროს-  
ის ადგილი. უფროსის მოვალეობაში შედის ენებისა და ლიტერატურის  
კოდნა, რომ უცხოელ მგზავრებთან შემძლოს ბაასი. მატარებელი ქ. ტომ-  
სკამდის მიდის და იქით და აქეთ მგზავრობას ორ კვირას ვუნდები, ტოლს-  
ტოისთან ჰშირად დავდივარ და ბევრი მეგობარი შევიძინე. ემ: შაობ აგრე-  
ოჭე გამომცემლობის „პოსრედნიკისათვის“.

2

1898 წლის თებერვალში პატარა ბავშვით წავედი მოსკოვს. გზაში სულ  
ვოცნებობდი, რომ მეც ვნახავ და გავიცნობ ტოლსტოის. მაგრამ როდესაც  
მოსკოვს მივედი, გამბედაობა არ მეყო წავსულიყვი მის სანახავად. რა უნ-  
და შეთქვა დიდი ადამიანისათვის მე პატარას, როგორ ვჩვენებოდი? და  
ყოყმანობდი. ამ ყოყმანში ვახავხულმაყ მოაღწია, ტოლსტოი აღრე წავი-  
და ისწია პოლიანაში და ნახვა თაყისთავად გადაიდვა შემოღგომამდის.  
გაყიციანი ტოლსტოის მეგობრები „ტოლსტოველები“, როგორც მაშინ ეძა-  
ხოდნენ ტოლსტოის მეგობრებს და რაც მათ ყოველთვის საწყენად მიაჩნ-  
დათ. ისინი ამბობდნენ, ჩვენ სექტანტები არა ვართ, რომ რაიმე სახელწო-  
დება მივიღოთო. ყოველ სექტან მოსდგამს ფანატყდსობა და ყველასათვის  
არსებობს ერთგვარი სავალდებულო ნორმა ცხოვრებაში, ჩვენ კი ჩვენი სა-  
ყუთარი მსჯელობით და ტოლსტოის დახმარებით მივედით იმ დასკენამდის,

რომ მხოლოდ ქრისტიანული მოძღვრების საშუალებით შეუძლია დამიანს ინდივიდუალურად მოაღწიოს ძმურ და სამართლიან ცხოვრებას, ამას ვეძინად, თუ კი ამ მოძღვრებას ჩამოვაშორებთ იმ ღვაჩილს, რითაც ის ახერხებდა ეკლესიამ შემოსაო.

მართლაც, „ტოლსტოველებს“ არაერთგვაროვანი ორგანიზაცია არა ჰქონიათ და არაერთგვაროვანი დადგენილება არ გამოჰქონდათ. საერთო მოქმედების შესახებ.

შემოდგომაზე, გვიან, ჩამოვიდა ტოლსტოი და მისი ოჯახი მოსკოვში. გადაეწყვიტა კიდევ მენახა. მეგობრები და ილიკოც იცინოდნენ, როდესაც შინს გამოეთქვამდი: ამ დიდი აღამიანის დანახვა ისედაც პატარას უფრო დამაპატარავებს და იქნება ავტირდევ კიდევ მეტიკ.

ტოლსტოი მიყვარდა, როგორც „ომისა და მშვიდობის“, „ანა კარენინას“, „ბავშვობისა და სიყრმის“ და სხვა მხატვრულ ნაწარმოებთა ავტორი, მაგრამ შეშინოდა მისი ფილოსოფიური მოძღვრებისა. ტოლსტოის მეგობრები მეუბნებოდნენ, ტოლსტოიმ უარპყო თავისი მხატვრული შემოქმედება და ახლა მთელ თავის ყურადღებას რელიგიურ საკითხებს აქცევსო. იმათ უყვარდით ტოლსტოი ფილოსოფოსი, მორალისტი, მე კი ვშიშობდი, რომ რამე ეკითხა, შეშინოდა ჩემი აზრის გამოთქმისა.

საღამოთი, ჯერ კიდევ დღის სინათლე იყო, როდესაც შევედით ხამონიკში<sup>1)</sup>, ფიცრებით შემოფარგლულ კარგა მოზრდილ ეზოში, სადაც დავინახე ორსართულიანი ხის ძველი სახლი, ზედ მიშენებული ნაწილებით. როგორღაც შედავთი ვიგრძენი მიშენებული სახლის უბრალოების დანახვაზე.

შევედით მოზრდილ დერეფანში, დერეფნიდან კიბე აღიოდა ზევითა სართულში და ილიკო პირდაპირ ზევით ავიდა, მე კი შემოვიყანეს ძირს სასაიდლო ოთახში და იქიდან ტოლსტოის მეუღლის სოფიო ანდრეას ასულის დიდ ოთახში.

ერთ წუთს შეეჩერდი კარებში. ტოლსტოის მეუღლე მაგიდასთან იჯდა და აბაჯურიანი ლამპის შუქზე რაღაცას ქსოვდა. სხვათა შორის, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სოფიო ანდრეევნა, როდესაც სახლში იყო, განსაკუთრებით საღამოობით, ყოველთვის რამეს ქსოვდა შალის ძაფით საქველმოქმედო მიზნით.

დამინახა თუ არა, უცებ წამოდგა და სწრაფი ნაბიჯით ისე მომიახლოვდა, რომ ვინაღამ უკან დავიწიე. ძლიან გამაყვირვა ამან მაშინ. შემდეგში დავრწმუნდი, რომ ასეთი ჩვეულება ჰქონდა თურმე. გამომიწოდა ხელი და ხალისიანად მითხრა:

— კნენა ნაკაშიძე? მოზრძანდით, მოზრძანდით! — დამსვა მაგიდასთან და განაგრძო: — ლიოვოჩკა (ასე ეძახოდა ლევ ნიკოლოზის ძეს) ჯერ არ გამოსულა სტუმრებთან. ჩემთან დაბრძანდით. მე მინდოდა ჩქვენი ნახვა. თქვენ იცნობთ ჩემ შვილს ანდრეიშას? არა? ჩემი შვილის ერთადერთი ღირსება ის არის, რომ ლევ ტოლსტოის შვილია, დიდი, ცნობილი მწერლის. სხვა არაერთგვაროვანი ღირსება მას არა აქვს, არც ჰქვია, არც სილამაზე, და ვერ გამოვიტყვი რისთვის უყვართ ასე ქალებს.

1) ხამონიკი ეწოდება მოსკოვის იმ ნაწილს, სადაც ტოლსტოი ცხოვრობდა. ახლა სამკოთა ხელისუფლების მიერ მის სახლში მოწყობილია მუზეუმი, რაც შეადგენს ტოლსტოის მუზეუმის ნაწილს. სახლი დაცულია ისე, როგორც ტოლსტოის საცოცხლის დროს იყო.



მე ვესლემდი. მან განაგრძო აჩქარებით:

— თქვენ იცნობთ კნიაჟნა ელენე გურიელს? <sup>1)</sup> როგორი ქარხანაა შიამა? ამბობთ, ლამაზი და საუცხოვო ქალიაო და მერე რა პოეტის ლექსებსა მშვენიერმა ქალმა ჩემს შვილში, რომ იმის გულისათვის თავს იკლავდა? კარგი, რომ არ მოკვდა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა ქარაფშუტაა ჩემი შვილი, იქ რომ კნიაჟნა გურიელს გაუყეთა წინადადება, აქ წამოვიდა და ორი კვირაც არ გასულა, ოღლა კონსტანტინეს ასულს დიტერიხს სთხოვა ცოლობა და ახლა იმას ირთავს.

საქართველოდან სწერენ ანდრუშას გურიელის ნათესავეები, ჩამოდით, მაგრამ მე არაფრის გულისათვის არ ვაფუშვებ ჩემ შვილს.

— რატომ? — გამოკვირდა მე. მწყინდა, რომ როგორღაც ყველა ამას ის მზრალად და გულგრილად ამბობდა.

— იქ მოკლავენ ჩემ შვილს. კავკასიელები ფიცები ხალხია და არ აბატებენ ანდრუშას ამ საქციელს და, ამას გარდა, უნდა ვითხრათ, რომ ჩვენ ქართველები არ გვიყვარან. თქვენ იცით უთუოდ, რომ ჩემი ძმის, ბერსის ცოლი, ქართველი ქალი იყო, ფატი ერისთავი <sup>2)</sup>, და რა სიკეთე ვნახეთ იმისაგან?

მე ეს სიტყვები უფრო მეტად დამირჩა საწყენად და ვკითხე:

— დეე ნიკოლოზის ძესაც არ უყვარს ქართველები?

— რასა ბრძანებთ! ლევ ნიკოლოზის ძეს ქართველები კი არა, ზულუსებიც კი უყვარს. მაგრამ რა, ლიოვოჩკა უწინ მართლა რომ დიდი მწერალი იყო: დასწერა „თბი და მშვილობა“, „ანნა კარენინა“, „კაზაკები“ და სხვ. ახლა კი, აბა, რასა სწერს? რასა ჰგავს მისი ახალი წიგნი „აღდგომა“? ასწერა რაღაც ნაყარ-ნუყარი ხალხი. მე არაფრის არ ვურჩევ იმის წაიკითხვას... ღმერთმა დაიფაროს, რომ ჩემმა უმცროსმა ქალმა საშამ <sup>3)</sup> წაიკითხოს. მე ვეშალავ და არ ვამლევ წასაიკითხავად. თქვენ წაიკითხეთ? მოგწონთ „აღდგომა“?

<sup>1)</sup> კნ. ელენე კონსტანტინეს ასული გურიელი ილიკოს მანდიამელი იყო. 1898 წლის ზაფხულში თბილისში ჩამოვიდა ლ. ტოლსტოის შვილი ანდრია ტოლსტოი. მან ილიკოსაგან მის ძმას კოლია ნაკაშიძეს ჩამოუტანა წერილი, რომ დახმარებოდა ლ. ტოლსტოის შვილს საქართველოს შესანიშნავი ადგილების დათვალიერებაში. კოლია ნაკაშიძე მანძინ თბილისში ცხოვრობდა და ტოლსტოი მასთან ჩამოვიდა. კოლიამ გააცნო ის თავის დეიდა-შვილს ნიკოლოზ ალექსანდრეს მე ჩოლოყაშვილს, თავის მეგობრებს. ქაიხის ინჟინერს ვიორგი ილიას ძე ოჭრომჭედლოშვილს. ოჭრომჭედლოშვილმა მიიწვია ისინი სურნეთში და სამტრედიასში, სადაც მის ხე-ტყის დიდი ქარხანა ჰქონდა. შემდეგ წაიყვანეს ქუთაისში, იქიდან ბათომში. ბათომში ექ. გიგუა ელიაფას ოჯახში ტოლსტოიმ გაიცნო ახალგაზრდა, ლამაზი ქალი ელენე გურიელი, ისე მოეწონა, რომ რამდენიმე დღის შემდეგ სთხოვა, მე-უღლედ გაეყოლოდა. ელენემ მიუყო. დედამისი თანხმობის შემდეგ მოგახსენებთ პასუხსო. ელენეს დედ-მამა ოზურგეთში ცხოვრობდა. ტოლსტოი მანძინე გაემგზავრა ოზურგეთში და როდესაც იმათი თანხმობა მიიღო, გასწვია მოსკოვს, მეც ჩემ მშობლებს შეუთანხმდებო და ორ კვირაში ჩამოვიდა თბილისში და ჯვარი დაეწერითო. ელენე წავიდა თბილისს საქორწილო ტანისამოსის შესაყარად. სწორედ ორი კვირის შემდეგ, როდესაც ყველაფერი მზად იყო და ელოდნენ ა. ტოლსტოის ჩამოსვლას, მოვიდა მისი წერილი, რომ სხვა ქალი ვითხოვე ცოლად და ნუ მეღიბით. ამ ამბავმა ისე ააღელვა ელენე, რომ იქავე სასტუმროში რევილდერი დაიჭრა მკერდზე და მძიმედ დაიჭრა. ერთ წელიწადს იაფადმყოფა და გარდაიცვალა 1899 წ.

<sup>2)</sup> ფატი ერისთავის ქალი. მისი სურათი, როგორც ლამაზი ქართველი ქალისა, გამოდგინილი იყო საქართველოს ეთნოგრაფიულ მუზეუმში. ბერსს გაეყარა და სხვაზე გათხოვდა.

<sup>3)</sup> სანა, ტოლსტოის უმცროსი ქალი, მანძინ, თუ არა ეცდები, 17 — 18 წლისა იყო.

— ძალიან მომწონს, — ვუთხარი მე, — რა არის იქ ისეთი, რომ თქვენ ქალს...

ალარ დამამთავრებინა სიტყვა:

— კატუშა მასლოვას, მეძაფე ქალის ცხოვრების აღწერის წაკითხვა არ არის მავნებელი ბავშვისათვის? ლევ ნიკოლოზის ძე სულ გამოჩერჩეტდა ამ ბოლო დროს: შვრიის მეტს არაფერსა სჭამს. ამბობს, ყველა ადამიანი ერთნაირია და ერთი მდიდარი და მეორე ღარიბი არ უნდა იყოსო. უსამართლობააო, რომ ზოგმა ნიწა, რომელიც ყველა მიწის მუშისა უნდა იყოს, მისაკუთრა, უმეტესობას-კი საშუალება არა აქვს დაამუშაოს იგი და პური ენატრება. პური მხოლოდ უქნარას და ზარმაცს ენატრება. აი მისი მეგობრებიც ასე მსჯელობენ. აიღეთ დუნაევი. ქვეიანი კაცი იყო, მდიდარი, სავაჭრო-სახლები ჰქონდა. სულ მოსამსახურეებს დაურეგა და ახლა აკვარი-უმებს ჩაჰკირკიტებს. უწინ კიდევ აუარებელი იადონები ჰყავდა. თუნდა აიღეთ პაპოვი. ოფიცერი იყო... ლიოვოჩკას ყველა მეგობარს ბნელ ზალხს ვეძახი, არ მიყვარან! ლევ ნიკოლოზის ძეს სურს შევიღები ულუკმაპუროდ დასტოვოს...

სოფიო ანდრეევნა კარგა ხანს ვანაგრძობდა უკმაყოფილოდ ლაპარაკს.

მოსამსახურე შემოვიდა და მოახსენა, რომ გრაფი სტუმრების ოთახშიაო.

— თქვენ უთუოდ, რაგორც ყველა აქ მომსვლელს, ლიოვოჩკას ნახვა გეჩქარებათ? თუ ვნებავთ, წაბრძანდით, — მითხრა შან.

## 3

მძიმე სულიერი განწყობილებით გავედი ოთახიდან ამ ლაპარაკის შემდეგ. მივიღიოდი ვიწრო კორიდორით. შემდეგ კიბეზე მაღლა სართულში ავიდი. მუხლები შეკეცებოდა. ფიქრობდი, ენახავ ახლა გენიალურ მწერალს, დიდ მკაცრ ფილოსოფოსს. ზღამომხედავს ზევიდან ქვევით მედიღურად. ვინ იცის, რას შეითხავს. რა უნდა ვუბახუხო და შიში და მოკრძალება ტრიალებდა ჩემ გულში.

შევედი კარგა მოზრდილ სტუმრების ოთახში. შემდეგ გავიგე, რომ ამ ოთახში ათეფდნენ ღამეს მხოლოდ სტუმრები, რომლებიც ღამე რჩებოდნენ, და ამიტომ ეძახოდნენ სტუმრების ოთახს. ოთახში, საწოლზე, სავარძლებში და სკამებზე ისხდნენ ჩვენი მეგობრები. ილიოც იქ იყო. ჩემს შესვლაზე წამოდგა საშუალო ტანის, გრძელ თეთრ წვერიანი გამხდარი მოხუცი. მისი ნაცრისფერი, ღრმად ჩამოჯდარი შუქიანი წვრილი თვალები დაკვირვებით იცქირებოდნენ სქელ, ქალარა წარბებ ქვეშოდან, თითქოს უნდოდან განვეჭრიტათ და გამოემეღავენათ, რა ახალი ადამიანი შემოვიდა. თითქოს ამ შემოხედვით უნდა დაენახა ის, რაც საუკეთესო თვისება იყო შენს ბუნებაში. მაღალი მელოტი შუბლი, და ქალარა მოგრძო თმა ჰქონდა. ოდნავ ბეჭებში მოზრდილი იყო. გიბეებიანი, შავი, გრძელი და სრული, ნაოჭიანი ხალათი ეცვა. აი. როგორი იყო მაშინ ლევ ტოლსტოი, რომელიც, შევედი თუ არა, ნელი ნაბიჯით მომეგება, გალიმებული. არა, ის არა მგავდა იმ მკაცრ ადამიანს, რომელიც მე მყავდა წარმოდგენილი.

ხელი გამომიწოდა და აღერსიანი ხმით მითხრა:

— გამარჯობათ, თქვენ უთუოდ ნინო გქვიათ და ამიტომ პირდაპირ მინდა ნინო მეტიქი, გითხრაო.



ყველას გაუყვირდა და გაეცინა.

— როგორ გამოიციანით? — გაისმა ხმები.

— მართლა, ნინო? — თვითონაც გაეცინა, — მხოლოდ მამის სხეულშია

— იოსების ასული.

იცინოდა ყველა, მეც გამეცინა.

ყოველნაირი შიში გაქრა ჩემ გულში. შეხვედრა ისე უბრალო იყო და ყველაფერი ისეთი კეთილი გულით იყო ნათქვამი, რომ რაღაც სიახლოვე და სითბო ვიგრძენი ამ დიდი ადამიანის მოპყრობაში.

თავის მახლობლად სავარძელში დამსვა და დიდი თანაგრძნობით გამომკითხა, როგორ ხარო, როგორ მოგეწონათ აქაურობა? მე ხომ არ მემდურით, რომ ჩემი მიზეზით ვადმოსახლეს ილია პეტრეს ძე და მოგწყვიტეს მშობლიურ მხეს? ახლა რას აპირებთ? პატარა როგორ შეეჩვიე აქაურობას? და სხვ.

ჩემს პასუხს დიდი ყურადღებით ისმენდა.

— მაშ არ მემდურით? მე ძალიან მიყვარს ილია პეტრეს ძე, მართო მე კი არა, ყველას. ბევრი რამ გვიამბო ღუბობორების შესახებ. თქვენ იცნობთ, ალბათ, ღუბობორებს, იმათ ქალებს? მართლა ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, რომ ვერ შეატყობ, რომელი ბავშვია თავისი და რომელი სხვისი, ყველა ერთნაირად უყვარსთ? ილია პეტრეს ძე ამბობს: იმათი ბავშვები თბლობას არ განიცდიანო.

— მერე ილია პეტრეს ძეს არ დაუჯერეთ? — ვკითხე მე.

— როგორ არა, მაგრამ კარგი რამის მოსმენა ბევრჯერაც შეიძლება და გვიყვარს, — გაიცინა მან. — აი როგორც კარგი ზღაპრის მოსმენა, ბავშვებს, და ღუბობორების ცხოვრება ხომ კარგ ზღაპარსა ჰგავს ჩვენ დროში.

ლაპარაკი გადავიდა ღუბობორების გამგზავრების შესახებ კუნძულ კვიპროსზე და ამერიკაში.

ტოლსტოი ამბობდა, რომ ამერიკელი კვაკერები კისრულობენ გემების გამოგზავნას. ფულიც საკმაოდ იკრიბებაო.

— „აღდგომა“ ისეთ ჰონორარს იძლევა, რომ კარგა დიდი თანხა უნდა შესდგეს. თუმცა ჩემი შეგობრები მისაყვედურებენ, ჩერტკოვი<sup>1)</sup> წინააღმდეგი იყო, მოოდი<sup>2)</sup> კი ისე უკმაყოფილო დარჩა, რომ არც კი უნდოდა გადაეთარგმნა რომანი. მაგრამ ახლა დამეთანხმა და იბეჭდება კიდევ მისი თარგმანი ინგლისსა და ამერიკაში.

ცოტა ხანს სდუმდა. ყველანი ჩუმად იყვნენ. ეტყობოდათ, იზიარებდნენ ჩერტკოვის და მოოდის აზრს, რომ ტოლსტოიმ ვერ დაიცვა თავისი სიტყვა — ჰონორარი არ აეღო ნაწარმოებში.

— მე მგონია ასე უნდა მოვექცეულიყავი, — განაგრძო მან, როგორც მომჩვენა, ცოტა არ იყოს, დარცხვენით: — ღუბობორების მღვთმარება ისეთია ამყამად, რომ საჭიროა მათთვის სწრაფი დახმარება. მაქვს მე თუ

1) ვლადიმერ გრიგოლის ძე ჩერტკოვი ტოლსტოის მახლობელი შეგობარი და თანააზრე, ყოფილი მდიდარი მემამულე. ჩვენ დროს გაძევებული იყო მოსკოვიდან, ცხოვრობდა ინგლისში. იქ მან ტოლსტოის აზრების გასაფრთხილებლად დააარსა ეურნალი „Свободное слово“ (თავისუფალი სიტყვა). 1905 წლის რევოლუციის შემდეგ რუსეთში დაბრუნდა.

2) ელმერ მოოდი — ინგლისელი, ტოლსტოის თანამოაზრე, რუსული ენის კარგად მცოდნე, რომელიც თარგმნიდა და აერცვლებდა ტოლსტოის ნაწარმოებებს ინგლისურად. იმ დროს სთარგმნიდა „აღდგომას“ ინგლისურ და ამერიკულ ეურნალებსათვის.

არა უფლება ამ დროს ვიფიქრო ჩემ თავზე, იმაზე, თუ ვინ რას იტყვის? არა, ასეთ დროს თავი უნდა დაივიწყოს ადამიანმა. თავის თავზე უნდა იტყვიანაშაულად მიმჩინო, და თუ ეს სინიდისის ღალატია, ჩემ ცოდვებას ვეძებ მოემატოს. ღუნობორებს კი ეს თანხა დახმარებას გაუწევს...

— დიდ დახმარებას! — გაისმა ხმები.

შემოვიდა ივანე ივანეს ძე გორბუნოვი, გამომცემლობა „პოსრედნიკის“ დირექტორი. მაშინ იბეჭდებოდა, კარვად აღარ მახსოვს, მგონია, ტოლსტოის მოთხრობა „ბატონი და მოჯამაგირე“. გამოდიოდა სახალხო გამოცემის სახით. ტოლსტოიმ გადაფურცლა და დაჰპირდა, მეორე დღისათვის წაეითხვას. დაკეცა და მაგიდაზე დიდდა.

— დიდებული მოთხრობაა, ლევ ნიკოლოზის ძე, — უთხრა აღტაცებით ერთმა სტუმარმა.

— თქვენ მაგრე ფიქრობთ? მე კი არა ვარ კმაყოფილი. საჭირო იყო უკეთ დამემუშავებინა. ჩემთვის დიდი ცდუნება იყო მხატვრული მოთხრობის დაწერა.

მიგვიწვიეს ჩაის დასალევად. ყველანი შევედით იმავე სართულის დიდ დარბაზში, სადაც სადამოობით მთელი ოჯახი და სტუმრები ჩაის სემდნენ.

გამაკვირვა ამ დარბაზის სიკარილე: ერთი დიდი მაგიდა, რომელზედაც ჩაის მოწოდებოდა ელაგა, როიალი, სკამები, მაღალი აბაჟურიანი ლამა, კანდელიაბრი და სხვა არაფერი. ყველანი მაგიდას მოვეუსხედით. ლევ ნიკოლოზის ძემ თავის გვერდით დამსვა.

— წაიკითხეთ, ლევ ნიკოლოზის ძე, ჩეხოვის ახალი მოთხრობა? — ჰკითხა ი. გორბუნოვმა.

— საუცხოვოა, საუცხოვო! კარგა ხანია არ წამიკითხავს ასეთი კარგი მოთხრობა, — მიუგო ლევ ნიკოლოზის ძემ.

— სრული სიამართლეა, მშვენიერი მოთხრობაა, — გაისმა ხმები.

— დიდი სიამოვნებით წაიკითხე. კარგ წიგნს რამე წაიკითხავ, ასე გგონია, გასუქდი და გაიზარდე, — სთქვა ლევ ნიკოლოზის ძემ და უცებ მოტრიალდა ჩემკენ: — თქვენ წაიკითხეთ ჩეხოვის ახალი მოთხრობა „დუშენკა“? ზომ საუცხოვო მოთხრობაა? რა საუცხოვო ქალის ტობაა დუშენკა, არა? წაიკითხეთ?

მე ერთ წუთს ვსდუმდი, მერე ვთქვი:

— წაიკითხე, მაგრამ...

— მაგრამ რა, არ მოგეწონათ?

— დუშენკა... არა, — ვთქვა, თუმცა ძალიან შემრცხვა ამისი თქმა, რადგან ვხედავდი, ყველას მოსწონდა.

— როგორ, რატომ? — მკითხა მან სწრაფად.

— დუშენკა, მე მგონია, ლანდია ადამიანისა და ლანდის მოწონება, — ვთქვი გაუბედავად, მოკრძალებით.

ყველა გააკვირვა ჩემმა პასუხმა. არ მოელოდნენ, თუ შეიძლებოდა ისეთი რამის არ მოწონება, რაც ლევ ნიკოლოზის ძეს მოსწონდა.

შემდეგში დავრწმუნდი, რომ ლ. ტოლსტოის აზრებს ისეთი ძალა და მიმზიდველობა ჰქონდა, რომ უნებურად ემორჩილებოდით, და მისი ყოველი სიტყვა კეშმარტებოდ გველინებოდა.

ჩემმა პასუხმა დუშენკას შესახებ თვითონ ტოლსტოიც გააკვირვა, მაგრამ ცოტა ხანს შეჩერდა და უანაგრძო:

— იცით რა, ჩეხოვსაც სწორედ მაგის თქმა უნდოდა. მას უნდოდა დაეწყე-  
 ველა ღუშეჩკა და ნამდვილად კი ბალამის სახედარივით გამოეცდინებოდა-  
 ცა იგი. აბა წარმოიდგინეთ, — მოგვმართა მან, მარტო მე კი არა, — ვეცდნისა  
 ავტორის უნებურად რაღრა აზრია ამ მოთხრობაში გატარებული, ე. ი. ღუ-  
 შეჩკას დახასიათებაში: ღუშეჩკა გულკეთილი ქალია, ქალიან გულკეთილი,  
 არავის არასოდეს არ აწყენინებს და ცდილობს ყველა თავის მახლობელს შე-  
 უქმნას სასიამოვნო ცხოვრება. სწორედ ამიტომ ეძახიან მას ღუშეჩკას. ღუ-  
 შეჩკას ყოველთვის ახსოვს ყველა, ვისთანაც რაიმე საქმე ჰქონია, ყოველთვის  
 იფიქრებს თავის თავს და სხვის ინტერესებს უბირველეს თავის საქმედ ისა-  
 ხავს. ბევრთან ჰქონდა საქმე ღუშეჩკას და არავისთვის არც ერთი უკმაყოფი-  
 ლების საბაბი არ მიუცია, არავის საყვედური არ გამოუთქვამს მის შესა-  
 ხებ. ის კი არ არის საინტერესო, თუ რა ნაღბი ეხვია გარს, საინტერესო ის  
 არის, თუ რას განიცდიდა თვითონ, როგორი თანაგრძნობით ეკიდებოდა  
 მახლობლებს, როგორ იზიარებდა მათ ებრსა და ლხინს და როგორი თან-  
 ხმობა დაამყარა ყველასთან. ბოლოს, მას დარჩა პატარა ბავშვი, სხვისი ბავ-  
 შვი. წარმოიდგინეთ, როგორ უყვარდა და უვლიდა ამ ბავშვს: ჰხანდა, ურე-  
 ცხავდა, უკვრავდა, როგორის სიყვარულით იზიარებდა ამ ბავშვის ყოველ  
 ინტერესს, ებრალებოდა იგი, რომ ბევრ გაკვეთილებს აძლევდნენ სასწავ-  
 ლებელში და უჭირდა პატარა ბიჭიკოს სწავლა, როგორ ეხმარებოდა გაკვე-  
 თილების მომზადებაში და როგორ იყო დღე და ღამ იმის ზრუნვაში, რომ  
 შეემსუბუქებინა მისთვის გაკვეთილების ათვისება. უკვრებდა და სხირად  
 იმეორებდა ბიჭუნას სიტყვებს, რომ მასწავლებლები მტრები არიან მოწა-  
 ფეებისათ. რასაკვირველია, ეს მეტი-მეტი სიყვარულით მოსდიოდა... დიად,  
 მარტო ქალებს შეუძლიათ ასეთი გულკეთილები იყვნენ. აბა, რომელი  
 მამაკაცი შესძლებდა აღამიანის სიყვარული თავის ცხოვრების მიზნად და-  
 ესახა და გულკეთილობა ბოროტებასთან საბრძოლველ იარაღად გაეხანდა  
 და შეემსუბუქებინა ჩვენი დროის ღუხჭირი ცხოვრება?

ტოლსტოიმ გაიცინა, როგორც მომეჩვენა, უშმაკურად.

— იცით, — განაგრძო მაქ, — ჩეხოვს უნდოდა გაეციხა ღუშეჩკა, მაგრამ  
 გაკიცხვის მაგიერ მან ასწერა ქალის უაღრესად კეთილი ბუნება, კეთილი  
 თვისება. ჩეხოვს ამ მოთხრობაში სწორად აქვს გაგებული ქალის საუკეთესო  
 სულიერი მხარე.

ყველანი აღტაცებულნი იყვნენ მოთხრობით.

— არა, მოთხრობის წუნის დადება არ შეიძლება, — გაისმა ხმები.

მე ილიკოს შეეხედე, ის სდუმდა. ჩვენ წინაშე გვქონდა ლაპარაკი ამ მოთ-  
 ხრობის შესახებ.

— თქვენ ერთნხმებით თქვენს მეუღლეს, ილია პეტრეს ძეგ? — ჰკითხა  
 ტოლსტოიმ, მაგრამ ღუნავემა აღარ დააცალა პასუხი:

— რას ამბობთ, ლევ ნიკოლოზის ძეგ, ნინო იოსების ასული კურსისტია,  
 აბა, ერთი მითხარით, როგორ მოეწონება ღუშეჩკასთან ქალები. თი ჩემ მეუღ-  
 ლესაც, უმაღლეს კურს დამთავრებულს, არ მოსწონს ღუშეჩკა.

ყველას გაეცინა, ლევ ტოლსტოი მაინც მომიბრუნდა და მითხრა:

— არა, გირჩევთ, კიდევ გადაიკითხეთ „ღუშეჩკა“.

შემდეგ ბაასი სხვა საგანზე გადავიდა. განსაკუთრებული ლაპარაკი გა-  
 მოიწვია იმან, რომ ცენზორმა ბევრი ადგილი ამოიღო „აღდგომიდან“,  
 ტოლსტოის ახალი რომანიდან.



ტოლსტოი უცებ დუნაევს მიუბრუნდა:

— ალექსანდრე ნიკიფორეს ძე, როგორ შეეგუა თქვენი აკვარიუმს?

— ჯერჯერობით ძალიან კარგად, ლევ ნიკოლოზის ძე. ისე მენატრება, რომ თქვენ მოხვიდეთ და ნახოთ.

— რა გაეწყობა, თუ გენატრებათ, მოვალ და ვნახავ თქვენს მზისუნახავს.

— მართლა რომ მზისუნახავია, ისეთი ლამაზია, — სიტყვა დუნაევმა და მოგემართა ყველას, — თქვენც მობრძანდით.

## 4

ამ საღამოს მე პირველად ვნახე ნრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული ტოლსტოის მეგობარი ევგენი პოპოვი. მაღალი კაცი იყო, მისი შავი ცეცხლივით ანთებული თვალები მკაცრად გამოიყურებოდნენ შავ, გრძელ წამწამებში. შავი ხალათით შემოსილს გრძელი შავი წვერი ეფინა მკერდზე. ნელი და მკაცრი მიხვრა-მოხვრა ჰქონდა. ლაპარაკში თითქმის არ ლებულობდა მონაწილეობას, მაგრამ თვითონ ტოლსტოი ხშირად მიმართავდა ლაპარაკის დროს სიყვარულით და მაშინ პოპოვს სახე გაუნათლდებოდა და მოკლე პასუხს აძლევდა. შემდეგში გავიგე, რომ იმანაც ტოლსტოის გავლენით დაანება სამსახურს თავი. სასტიკი ვეგეტერიანი იყო. არც კვერცხს, არც რძის ნაწარმს არა ჰმარტოდა. ამბობდნენ, ევლაცამ ჰკითხა, რატომ ზორცს არ მიირთმევო. პოპოვმა გაუგაერებით უპასუხა, — მე არა მსურს, ჭაღბატონო, ღორის ან ძროხის მძოვრის საფლავი გავხდეთ. სხვათა შორის, სოფლო ანდრიას ასულს ეს პოპოვი განსაკუთრებით არ უყვარდა. თუ ტოლსტოის მეგობრებს „ბნელ ხალხს“ ეძახდა, პოპოვს ბნელზე უბნელესს. ის დარწმუნებული იყო, რომ პოპოვს ცუდი გავლენა ჰქონდა ტოლსტოიზე. ის რომ არა, მე დამოუგერებს ყველაფერს.

უკვე თორმეტი საათი შესრულდა და ყველანი წამოვდექით. ტოლსტოიმ განოგვაცილა და მკითხა:

— თქვენ იცნობთ ელენე გურიელს? ძალიან მინდოდა იმის შესახებ თქვენთან ლაპარაკი. ამ დღეებში შემოვალ. თქვენსა და იქნება როგორმე მოვახერხოთ ანდრიუშას გაფუჭებულ საქმის გამოკვება.

მეორე დღეს დუნაევისას წავედით.

დუნაევი თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით ცხოვრობდა „დევიჩიე პოლეზე“; ტოლსტოის მახლობლად, დიდ მრაველოთაზებიან ერთსართულიან ხის სახლში. ამ სახლის ეზოც მაღალი ფიცრულით იყო შემოფარგლული. ეზოს ერთ კუთხეში პატარა ბოსტანი ჰქონდა. უმთავრესად პომიდორები მოჰყავდა შიგ. მე არ მენახა ისეთი მშვენიერი დიდრონი პომიდორები, როგორიც მის ბოსტანში იზრდებოდა. საუკეთესო დიდრონი პომიდორებს ის ტოლსტოის უგზავნიდა.

შევედით დიდ დარბაზში. გამაკვირვა აკვარიუმებმა. სამი დიდი აკვარიუმი იდგა ფანჯარასთან. ორი უფრო დიდი, მესამე მომცრო. აკვარიუმები წყლით იყო სავსე და შიგ სხვადასხვა გრძელფოთლებიანი წყლის მცენარეები ჭანაობდნენ. ორივე აკვარიუმში მარჯნისებურად ღრუბებიანი „კლდე-

ები“ იყო ამოყვანილი. მაგრამ ყველაზე უფრო საკვირველი თევზები იყვნენ, ლალად რომ დასცურავდნენ მცენარეებსა და კლდეებს შორის.

აკვარიუმებს ქვეშ წყლის გასათბობად ლამპები ენთო. წყალში სურბობ მებრები იყო, რომ ისეთი დონის სიბზო ყოფილიყო, როგორც ამ თევზების სამშობლოს წყლებშია. ამას გარდა, წყალში გაყვანილი, რეზინის მილებზე შიმაგრებული, ბალონის საშუალებით ჰაერს ტუმბავდნენ, რომ აკვარიუმებში მუდამ სუფთა ჰაერი ყოფილიყო.

დუნაევმა მაშინვე აკვარიუმებთან მიგვიყვანა.

— აი, ეს არის ის თევზი, რომლის შესახებაც ლევ ნიკოლოზის ძე შეკითხებოდა. რამდენიმე დღეა, რაც მომიყვანეს თბილი ქვეყნიდან. ჯერ ყველა ამისი ზნე-ჩვეულება არ მაქვს შესწავლილი.

თევზი მართლა ძალიან ლამაზი იყო. გამჭვირვალე მონაცრისფრო ზურვი და თეთრი, ვერცხლისფრად მოღაბლაჲ მუცელი ქონდა. კუდი წითელი არმიის მარაოსავით გაეშალა და ლალად დასცურავდა. სხვა თევზებიც ლამაზები და საინტერესოები იყვნენ, სხვადასხვა ადგილიდან მოყვანილნი და შესადერი ტემპერატურის მიხედვით განაწილებულნი. ერთ ადგილას კლდესთან ჰაერის ბუშტულებს შორის დაგროვილი იყო ქვირითი.

— ეს ქვირითი უცნაური თევზისაა, — გვითხრა დუნაევმა. — როგორც კი ლიფსიტები გამოიჩეკებიან, მაშინვე დედა იწყებს მათ ჰამას, მამა კი არ ანებებს და უვლის. ჩვენშიც კი არის ერთი ამგვარი თევზი, მხოლოდ ლიფსიტებს მამა სკამს, აქ კი დედა მიირთმევს. ამიტომ ეს უხვირო დედა მესამე აკვარიუმში გადავასახლე.

ტოლსტოი შეუძლოთ გამხდარიყო და აღარ მოვიდა. რასაკვირველია, ყველას გვეწყინა, განსაკუთრებით თვითონ დუნაევი იყო შეწუხებული.

მესამე თუ მეოთხე დღე იყო, რომ შემოვიდა ჩვენთან თვითონ ანდრია ტოლსტოი. ანდრეას შე არ ვიცნობდი. მას შემდეგაც აღარ მინახავს. ძალიან გამაყვირვა იმის შეშინებულმა, უშინაარსო სახემ.

— რა საწყენია, რომ ილია პეტრეს ძე შინ არ არის, — მითხრა მან, — აღარ ვიცი, რა ექნა? თქვენ ხომ ვაივით ჩემი ამბავი? მე მაშინ მეგონა, რომ გურიელის ასული მიყვარდა, მაგრამ მერე დავრწმუნდი, რომ მე ახლანდელი ჩემი საცოლე მიყვარს. ვერ მომისაზრებია, რა უნდა ექნა. ქართველები უსათუოდ მომკლავენ.

— ქართველები არ მოგკლავენ, მაგრამ ასე არ უნდა მოქცეულიყავით...

— მართალია, მაგრამ რა უნდა მექნა? მაშინ მეგონა, კნიაჟნა ისე მიყვარს, რომ უიმისოდ სიცოცხლე არ შემიძლია-თქო... მამა-ჩემიც ასე მეუბნება, არ მოგკლავენო. მირჩევს წავიდე საქართველოში, გულწრფელად იფუხსნა ყველაფერი კნიაჟნა ელენეს. ეტყობა კარგი ქალია, ვაიგებს და ვაპატიებსო. მაგრამ ვერა ვბედავ. ქართველები ისეთი ფიცხები არიან. თავადი ჩოლოყაშვილიც მწერს<sup>1)</sup>, ჩამოდი, აქ მოვილაპარაკოთო... აჰ, არა, წასვლა არ შემიძლია. ილია პეტრეს ძეს ძალიან ვსოხოვ და მუხმაროს რამენაირად ამ საქმეში.

<sup>1)</sup> ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ჩოლოყაშვილი, ნაკაშიძეების ნათესავი, ელენე გურიელთან ბავშვობიდანვე შეზრდილი.

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოთი, გვესტუმრა თვით ლევ ნიკოლოზის ძე. ვცხოვრობდით ოსტროვენკაზე, ერთ პატარა ოთახში. კარი გაიღო, მოულოდნელად შემოვიდა და მზიარულად მოგვესალმა. ძალიან გაგვეხარდა.

ჩვენს პატარა გოგონას ეძინა. მაშინვე გადავსწიე ფარდა და გავეღვიძე.

— აბა გაიღვიძე, მაკა, ვინ მოვიდა?

ტოლსტოის გაუკვირდა:

— ქართულად ლაპარაკობს, აბა, დაელაპარაკეთ კიდე!

ბავშვმა გაიღვიძა, გაიცინა და მითხრა:

— ვიცანი, ძია ლევ ტოლსტოია, სურათი რომ გვაქვს.

ტოლსტოის გაეცინა, მოეფერა ბავშვს, დაჯდა მასთან და დიდხანს ეფერებოდა. ამ ფერებაში ბავშვს ისეე ჩაეძინა. ტოლსტოი ვადმოჯდა.

— წარმოიდგინეთ, ქართული ლაპარაკი არ გამიგონია და მეუცხოვება, — გვითხრა მან, — 1852 წ. თბილ-ისში ვცხოვრობდი, სამხედრო სასწავლებელი იქ დაეამთავრე, მხოლოდ ერთი ქართველს ვიცნობდი, ახლა გვარიც აღარ მაბსოვს. სულ არ მაინტერესებდა მაშინ ადგილობრივი ცხოვრება. ჩვენი მთავრობა სულ იმის ცდაში იყო და არის, რომ როგორმე დაამორჩოს ხალხები ერთმანეთს და შეაძლოს. მე რომ ვიყავი, თბილისის ქუჩებში ჩაღრიანი ქალები დადიოდნენ და მეგონა, ახლაც ჩადრებით დადიან ქართველი ქალები მეთქი, ახლა კი თურმე უმადლეს კურსებზე დაიარებიან. მართალი რომ სთქვას კაცმა, ჩადრს კარგი მზარეცა აქვს: ჩადრია მალავს ქალის აგებულების იმ ნაწილებს, რასაც ახლანდელი ქალების ტანისამოსი რელიგიურად ასახავს და აღელვებს და აღიზიანებს მამაკაცის ვნებას. ძველად, როდესაც ადამიანი უფრო ტლანჭი იყო, ჩადრი უთუოდ აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

— ჩადრი უთუოდ ექვიანმა მამაკაცმა გამოიგონა თავის ცოლისათვის, — სთქვა ილიკომ.

ტოლსტოიმ გულიანად გაიცინა.

— ეგ კი სიმართლე იქნება. მამაკაცს ყოველთვის ეშინია, მის ცოლს არ შეხედოს სხვა მამაკაცმა ვნებიანი თვალებით. მაგრამ თვითონ სხვის ცოლს კი უყურებს ხარბად. — დადესტინის ომში, — ვანაგრძო მან, — ქართველები იყვნენ, ზოგს ვაცნობდი კიდევაც. მაგრამ მაშინ უფრო დადესტინელი მეომრების სულსკვეთება მაინტერესებდა. მიკვირდა, რა აძლევდა ძალას და აბედვინებდა ამ ერთი მუჭა ხალხს, რომ უამრავ რუსის შეიარაღებულ ჯარს შებრძოლებოდა. შარშან ალექსანდრე ნიკიფორის ძე ღუნაევის ახალგაზრდა მეგობრებმა, სტუდენტებმა<sup>1)</sup> მიაშბეს ბევრი რამ საინტერესო საქართველოს შესახებ. დიდი პატრიოტები კი არიან. ბევრი რამ საინტერესო გავიგე. მაგ., პომპეუსის შემოსევა საქართველოში და ზოგიერთი ლეგენდა.

— ისტორიაც და ლიტერატურაც საინტერესო გვაქვს, — უთხრა ილიკომ, — ნამეტნავად ლიტერატურა.

<sup>1)</sup> ეს სტუდენტები იყვნენ: ილ. დიასამიძე, დამაშვიძე, კ. ელიოზიშვილი, გომართელი და სხვ. იცნობდნენ ღუნაევის სტუდენტ შეილებს და დადიოდნენ მის ოჯახში. ტოლსტოი იქ გაიცნეს.



— აბა, მაჩვენეთ ერთი ქართული წიგნი.

ილიოს მუდამ თან დაჰქონდა ჯიბით „ვეფხისტყაოსნის“ <sup>გაყვანილობა</sup> მოცემა. მაშინვე ამოიღო, წაუკითხა და გადაუთარგმნა ზოგიერთი ადგილი. ტოლსტოი დიდი ყურადღებით უსმენდა. მოეწონა „ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გკირსა?.. მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა შენგან განაწირსა.“ მოეწონა აგრეთვე: „მიედ ვლაზაქთა საქურძლე, ათავისუფლე მონები“. რელიგიური შეხედულება არისო. რაც შეეხება „ლეკე ლომისა სწორია, ძე იყოს თუნდა ხვადია“, მან სთქვა:

— რასაკვირველია, ღვთის წინაშე ყველა ერთია, ქალიც და მამაკაციც, რომლებიც უნდა ემსახურებოდნენ ღვთიური კანონების შესრულებას ცხოვრებაში. — გაიღიმა და დაუმატა: — მხოლოდ არ მესმის, რისთვის უნდა ცდილობდნენ ქალები გახდნენ პოლიციელებად, მსაჯულებად და ჯარისკაცებად. რა საჭიროა ამნაირი თანასწორუფლებიანობა, როდესაც ამ უფლებებზე თვითონ მამაკაცებმაც ხელი უნდა აიღონ?

ილიომ აღტაცებით ილაპარაკა „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრული ღირსების შესახებ. ტოლსტოი ერთხანს სდუმდა და შემდეგ სთქვა:

— ძალიან საინტერესო წიგნია, დიდი ცდუნებაა ჩემთვის გავეცნო, თუ მოვასწარი, ილია პეტრესძე. ახლა კი ბევრი რამ დამჩნა სათქმელი ისეთი, რაც უთუოდ უნდა ვსთქვა, და ამისთანა ცდუნებისაგან, როგორც მხატვრული ნაწარმოების საკითხებია, თავი უნდა შევიკავო.

ტოლსტოი იმ დროს, გარდა ღუხობორების გასამგზავრებლად ზრუნვისა, იმათთან და მათ შესახებ შეგობრებსა და ნაცნობებთან მიწერ-მოწერისა, ავროვებდა აგრეთვე სახსრებს მათთვის, სწერდა დიდ მოთხრობას „პაჯი მუჩაქს“ და ფიქრობდა „Отец Сергий“-ს დასრულებას.

ტოლსტოი ძალიან სწუხდა ამ საღამოს, ამბობდა:

— ჩემი შვილი ანდრიუშა სუსტი ნებისყოფის კაცია. არაერთი ლაგამი არა აქვს ამოღებული. ამგვარი ხალხი ბატონკაცურ, უკმ ცხოვრებას ატარებენ: სკამენ ტკბილ, შაუქან საკმელებს, სძინაეთ რამდენიც სურთ და არ იციან, რას მოახმარონ ენერჯია. მათ ჰგონიათ, მთელი ქვეყანა მათთვის არის განჩენილი: ქალები, ცხენები, ღვინო, ბანჭო და, რასაკვირველია, ყოველნაირი дурь лезет в голову. მართო თავიანთ თავის სიამოვნებაზე ფიქრობენ და სხვის ბედნიერებას და უბედურებას არ დაგიღვევენ. მე ვურჩევ, წავიდეს საქართველოში, იქნება დაამშვიდოს გურიელის ქალი, მაგრამ, სამწუხაროდ, მშინშარაც გამოდგა ჩემი შვილი, ძალა არ შესწევს თავის მოქმედებისათვის პასუხი აგოს. რა უნდა ვქნა მე ამ გარემოებაში?

ჩვენთან შემოვიდა ჰენრი ჯორჯის წიგნების მთარგმნელი და პოპულიარ, რინატორი სერგეი დიმიტრის ძე ნიკოლაევი. ნიკოლაევი სწორედ იმ დროს სთარგმნიდა ინგლისურიდან „Прогресс и бедность“-ს, რომელსაც ტოლსტოი დიდად აფასებდა და ძალიან გაეხარდა, როდესაც გაიგო, რომ ის უკანასკნელ თავებს ამთარგმნდა.

— ჰენრი ჯორჯის ყველა ნაწარმოები უნდა გადმოითარგმნოს, — სთქვა მან, — აი, ილია პეტრეს ძე, გადაუღებელი საქმე თქვენთვის, ქართველებისათვის, და ყველა ხალხებისთვისაც. ჰენრი ჯორჯი უსათუოდ სწყვეტს თანამედროვე გარემოებაში მთავარ საკითხს — მიწის საკითხს ცხოვრებაში. დიდად, ჰენრი ჯორჯი უნდა გადაითარგმნოს ყველა ენაზე.

ნიკოლაევი ნამდვილი „ჯორჯისტი“ იყო და იმავე დროს ტოლსტოის მიმდევარიც. სწორედ მათი სიყვარულით დაარქვა მან ორ თავეს, ტუფუჟიჯის, ერთს — ლევ ტოლსტოი და მეორეს ჰენრი ჯორჯი. მთელს *ჩემთვის სამსახურით* ცდილობდა ამ ორი დიდ ადამიანის მოძღვრების მიხედვით მოეწყო თავისი ცხოვრება. მოსკოვში მას მამის დანატოვარი სახლი ჰქონდა და ამ სახლის შემოსავლის განსაზღვრულ პროცენტს ჰენრი ჯორჯის მოძღვრების მიხედვით (იმის მიხედვით, თუ რამდენი ეკუთვნოდა მიწის იჯარას) იხდიდა სხვადასხვა სასარგებლო საქმისათვის, მაგ., სასარგებლო წიგნების გაშენებად, ღარიბი ბავშვების დასახმარებლად, დამშულებებისათვის და სხვა. იმ ხანად ეს დუხობორებისათვის. სწორედ იმ დღეს ტოლსტოის შეტყობინა იმ პროცენტების რაოდენობა, რაც მთელი წლის განმავლობაში უწევდა.

მთელი ოჯახი ბავშვებიანად ვეგეტერიანები იყვნენ. მოსამსახურე არა ჰყავდათ და ყველაფერს თვითონ აკეთებდნენ. მის მეუღლეს, წერილობითი მუშაობის პატრონს, ლარისა დიმიტრის ასულს, ძალიან უჭირდა ოჯახის მოვლა და ხშირად თავის მეუღლეს პურიტანულს ეძახდა და წუწუნებდა, მაგრამ ნიკოლაევი არ აღეს არ უთმობდა არაფერს და მთავარ საოჯახო საქმეებს თვითონ აკეთებდა. რამდენაღერ მინახავს ტახთან მიმჯდარი, კისერზე ერთი ბავშვი აჯდა, მარცხენა ხელში მეორე ეჭირა, ტახტზე ქალაღდი ედგა და მარჯვენა ხელით სწირდა. ცოლის წუწუნზე არასოდეს არა ბრუნობდა და მხოლოდ თავისი ბოხი ხმით ეტყოდა:

— ლარია, შენ გინდა არა ქრისტიანულად ვიცხოვროთ? რომ ბავშვები შევაჩვიოთ მუქთაზირობას? ხომ იცი, მე ეს არ შემიძლია.

— უჰ, პურიტანელო, — იტყოდა ცოლი და შეუდგებოდა მუშაობას.

საკმაოდ ლამაზი და ქმართან შედარებით ახალგაზრდა იყო და თუმცა უჭირდა ამნაირი ცხოვრება, მაინც მიჰყვებოდა თავის მეუღლეს მზარდა-მზარ. ნიკოლაევი ახერხებდა თავისი ცხოვრების მოწყობას ისე, როგორც თვითონ სცნობდა საჭიროდ, ცოლთან ერთად თანხმობით, მაშინ, როდესაც თვითონ ტოლსტოიმ, მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მიუხედავად, ვერ მოახერხა თავის ცოლთან თანხმობა დაემყარებინა და თავისი მსოფლმხედველობის თანახმად ეცხოვრა.

ნიკოლაევი შემდეგ მთელი ოჯახით მოსკოვიდან ჩრდილოეთ კავკასიაში გადასახლდა, თავის და ტოლსტოის მეგობრებთან ერთად ცხოვრობდა კოლონიაში და მეურნეობას ეწეოდა გარდაცვალებამდის. შვილები იზიარებდნენ მამის მსოფლმხედველობას და ყველა შრომისმოყვარე ადამიანად აღიზარდა.

ტოლსტოი კარგა გვიანობამდის იჯდა ჩვენთან და როდესაც მიდიოდა, შეხედა მძინარე ბავშვს, გაიღიმა და შითხრა:

— როდესაც ბავშვს სძინავს, არასოდეს არ უნდა გააღვიძოთ.

შე ვერაფერი ვთქვი, მაგრამ ილიკომ ჩემ მაგიერ უპასუხა:

— როდესაც ლევ ტოლსტოი შოვა, მაშინ ეს შეიძლება გაღვიძება, ლევ ნიკოლოზის ძევი — ყველას გაეცინა.

ნიკოლაევმა და ილიკომ გააცილეს ტოლსტოი.

ილიკო ხშირად დადბოდა ტოლსტოისთან ხამოენიკოში და კმაყოფილი, შიამბობდა, თუ როგორ საინტერესოდ გაატარა დრო, როგორი საინტერესო ბაასი იყო. ყოველთვის დამშვიდებული და მხიარული ბრუნდებოდა. როგორც ზევეთაც მოვიხსენიე, ილიკო მსახურობდა ახლად გახსნილ საერთაშორისო მატარებელზე, რომელიც მაშინ მხოლოდ ტომსკამდის მიდიოდა და გზაში იქით და აქეთ ორ კვირას რჩებოდა.

მახსოვს, ერთხელ ილიკომ უამბო ტოლსტოის, თუ როგორ აჩვენეს ეს მატარებელი ნიკოლოზ მეორეს.

მატარებელი ძალიან მდიდრულად იყო მოწყობილი: ჰქონდა მდიდარი ბიბლიოთეკა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. შესანიშნავად დაკაზმული წიგნები, ზავერდის და ატლასის ავეჯი. წითელი და შავი ზის შავიდები, სარკეები. ასე გასიხვეთ, საპირფარეშოს კარებს რომ გააღებდი სურნელზეა გადმოგედრქვეოდა. ორთქლმავალი უკანასკნელი სისტემისა იყო. მთელ კვირას მზადება იყო ნიკოლოზ მეორის შესახებედრად. როდესაც ნიკოლოზი მოვიდა, მხოლოდ მაშინ გაახსენდა გზათა მინისტრს ხილკოვს, რომ მატარებლის უფროსი ნაკაშიძე, კავკასიიდან გადმოსახლებული, არა საიმედო კაცია. ძალიან შეშინდა თურმე, რომ ვინმემ რამე ჰკითხოს, რაღა ექნაო. მთელი მინისტრები და დიდკაცები იყვნენ თავმოყრილი. მეფესაც დიდი ამაღა მოჰყვებოდა.

— ხილკოვი დაფაცურდა, დამიძახა და საჩქაროდ სადღაც საკუქნაოში ჩამკეტეს და სანამ ნიკოლოზი იქ იყო, საკუქნაოში ვიჯექით, — ამბობდა ილიკო. — რომ გამოვედი, ნიკოლოზი წასულიყო და ყველა იცინოდა. ნიკოლოზს არც წიგნებისათვის და არც სხვა რამისათვის ყურადღება არ მიუქცევია. მხოლოდ, როცა სამზარეულოში დიდი სპილენძის ქვაბი დაუნახავს, უკითხია, რამდენს იწონისო. თურმე არაფერ არ იცოდა, რამდენს იწონიდა და ხილკოვმა ვარაუდით რაღაც ისეთი დიდი ციფრი დაასახელა, რომ ყველა გაშტერდაო. ყველას უკვირდა, რომ ზელმწიფემ მეტი ვერაფერი დაინახა საინტერესო.

ბევრი იცინა ტოლსტოიმ და რამდენჯერმე გაიმეორა სიცილით: „ქვაბი რამდენს იწონის... წიგნებს უთუოდ არ კითხულობს და ფარჩა-ატლასით ხომ ვერ გააკვირვებდნენ. საწყალი ახალგაზრდა კაცი, საწყალი ნიკოლოზ!“

გაეიდა ზამთარი. გაზაფხულზე თბილისში წამოვედი, რადგან ავად გაფხელი და ბახმაროზე უნდა წავსულიყავი.

სუტემბერში დაებრუნდი მოსკოვს. შემოდგომაზე, როდესაც ტოლსტოი იასნაია პოლიანადან დაბრუნდა, წავედით მის სანახავად. ჩვენთან წამოვიდა ერთი ჩვენი ნაცნობი, მუდის ქარხნის მუშა, გვირად ბულახოვი, რომელიც დიდი თაყვანისმცემელი იყო ტოლსტოის, ვეგეტერიანიელი. ტოლსტოის ნახვა ენატრებოდა, მაგრამ მართოს წასვლა ვერ გაებედნა.

მივედით თუ არა, პირდაპირ დერეფნიდან მაღლა სართულში ავედით. შევედით პატარა სასტუმროში. იქ შეგვხვდა ახალგაზრდა ქალი. უცებ შევჩერდი გაკვირვებული, ისე ჰგავდა ეს ქალი ელენე გურიელს, მხოლოდ ეს ქალი შეგვგრემანი იყო, ელ. გურიელს კი დია წაბლისფერი თმა ჰქონდა და უფრო დიდრონი სხივებიანი თვალები. ილიკომ გამაცნო, ეს ანდრია ტოლსტოის ცოლიაო. სასტუმროდან შევედით დიდ დარბაზში, სადაც უწინაც



ვიყავით. მაგიდასთან ისტდნენ ტოლსტოი და მისი მეგობრები: ლენინი, ი. გორბუნოვი, მიხაილოვი და მუსიკოსი გოლდენვეიზერი, ვინც კონსერვატორიის პროფესორი, რომელმაც 1942 წელი თბილისში გაატარა. რასაკვირველია, მას შემდეგ ძალიან გამოიცვალა, მაგრამ ახლიც თბილისში კონცერტებზე ჰალარა მოხუცი გოლდენვეიზერი ისევ ისე ახალგაზრდური სიმღიერით და ლამაზად უკრავდა როიალს, როგორც მაშინ ტოლსტოის ოჯახში, როდესაც ახალგაზრდა 25 — 28 წლის თამაზორა ჭერა კაცი იყო.

თუმცა დღეს ტოლსტოის მეგობრების დღე იყო, სტუმრები სხვებიც იყვნენ. ტოლსტოი მაგიდასთან იჯდა და სტუმრებს ებასებოდა იმ მიზეზებზე, თუ რად ხდება რუსეთში უმძიმეობა და რა საშუალებაა საჭირო, რომ მოისპოს ეს რუსის ხალხის უბედურება (ნიუ).

გამაკვირვა იმ დღეს ტოლსტოის განსაკუთრებულობა, რაღაც არისტოკრატიულმა უბრალოებამ. რა დიდი ნებისყოფა უნდა ჰქონოდა მას, რომ ყველას ერთნაირი ყურადღებით და სიყვარულით მოპყრობოდა. ბულახოვი მიიღო ისე, როგორც გულითადი მეგობარი.

შემოვიდა სოფიო ანდრიას ასული თავისი სწრაფი ნაბიჯით, თან ერთი ლორწეტიანი ჭალი მოიყვანა, რომელმაც გრაფინიას ეძახდა. ალერსიანად მომესალმა, ერთი გვერდით სტუმარი ჭალი დაისვა, მეორე გვერდით შეთვარიწელთათმანიინმა ლაქიამ დაიწყო ჩაის დასხმა. ტოლსტოიმ ჩვენსკენ გამოიხედა, გაიღიმა, გადმოვიდა ჩვენ მხარეს და დაჯდა ჩემს გვერდით.

— ნინა იოსების ასული, მინდა გკითხოთ, — მითხრა მან.

ამ დროს ლაქიამ ჩაი დაასხა და ჩემსა და ლევ ტოლსტოის შუა გადააწოდა სუფრის მეორე მხარეს მჯდომ სტუმარს. ტოლსტოიმ რაღაცა უთხრა ლაქიას, მე არ გამოვიცნია, მერე განავრძობ:

— ჩვენმა კარგმა ილია პეტრეს ძემ მითხრა, რომ ავადმყოფობდით, მაგრამ შთის ჰაერმა, — ტოლსტოი შეჩერდა, — ჰო, ბაზმაროს ჰაერმა...

ამ დროს ლაქიამ მეორე ფინჯანი მოიტანა და ისევ ჩვენ შუა გადააწოდა ვიღაცას. ტოლსტოი უცებ ზენთო, თვალები ისე დააცვესა, თითქოს ნაპერწკლები გადმოაფრქვიაო, მაგრამ ძალიან დაბალი ხმით მიმართა ლაქიას.

— მე ხომ ვითხარით, ილია, აქედან არ გადააწოდოთ მეთქი.

— დამნაშავე ვარ, გრაფ, — წაიჩურჩულა ლაქიამ.

ტოლსტოი სწრაფად წამოდგა და ისევ თავის ადგილს გადავიდა.

სტუმარი გრაფინია ლორწეტით შესცქეროდა მეორე მხარეს მჯდომ ხალხს და დაბალი ხმით კითხულობდა ვინაობას. სოფიო ანდრიას ასული ჩუმადვ უსახელებდა ყველას, ვინ ვინ იყო. როდესაც ბულახოვის ვინაობა უნდა ეთქვა, მკვებელ წარმოსთქვა:

— აბა, რა ვიცო, დღეს ამათი დღეა (ე. ი. ტოლსტოის მეგობრების) და ვინ იცის, ვინ არ მოდის ლევ ნიკოლოზის ძესთან. ვიღაც არამზადაა (ნიუ-იუბ). ეს კი ქართველი თავადიშვილია — ჭლია ნაკვიმიძე. ძალიან სიმპატიური კაცია. აბა უყურეთ, მე არც ერთი ქართველი არ მინახავს უშნო, ყველას ფაქიზი (товкни) ძელები აქვთ და სასიამოვნო მიხერა-მოხერა...

ტოლსტოი ბულახოვს ელაპარაკებოდა ქარხნის ცხოვრების შესახებ. ზევით უკვე ვთქვი, რომ ბულახოვი მაუდის ქარხნის მუშა იყო.

— საშინელი მდგომარეობაა, — ამბობდა ბულახოვი, — პირდაპირ აუტანელი. — იმ აუწყრელი შევიწროებისა და დამკირების გარდა, რასაც მუშე-ბი იტანენ ქარხნის ადმინისტრაციისაგან, პირდაპირ შიმშილობენ კიდევ.



ძალზე მცირე ხელფასი აქვთ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან ოჯახის პატრონი მუშები, რომლებიც საერთო ბინაში ცხოვრობენ. თავისი ოჯახით ერთი საწოლი ეძლევა და ხშირად დედა, მამა და ხშირად უთხი ბავშვი ერთად წვანან ერთ საწოლში და ერთად იძინებენ. განსაკუთრებით მძიმე პირობებს განიცდიან ბავშვები. თუ ოროვე შშობელი ქარხანაში მუშაობს, იმათთვის არ არსებობს არც სკოლა, არც რაიმე სხვა საშუალება აღამიანურად აღზრდისა. მშვიერ-ტიტველი ჰყრიან ქუჩაში უპატრონოდ. ხმის ამოდებისა ყველას ეშინია. შიგნით ქარხანაში მუშებთან არავის უშვებენ.

დიდი ყურადღებით ისმენდა ტოლსტოი ბულახოვის ლაპარაკს.

— რა საშინელებაა! — სთქვა მან თავის ქნევით. — თქვენ წარმოიდგინეთ, სწორედ აქ, ჩვენს მეზობლად, პარფიუმერიის ფაბრიკა და აქაც სწორედ მაგვარი მდგომარეობაა. მთავრობისათვის, რასაკვირველია, ხელსაყრელია, მუშები ამ მდგომარეობაში ჰყავდეს, დაჩაგრული, შიშის ქვეშ. ვერაფერი მოეახერხებ, რომ ცოტათი მაინც შემეშუბუტებინა ბავშვების მდგომარეობა.

ამ საგანში დიდი ლაპარაკი გამოიწვია. ათზე მეტი სტუპარი იყო და ყველამ მიიღო მონაწილეობა ბაასში. გამოირკვა, რომ ტოლსტოის შუამდგომლობით ფაბრიკა-ქარხნის ზოგიერთმა პატრონმა და ქალაქის მმართველობამ სახელოსნო სკოლები გახსნეს.

ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ზღაპრსავით გვეჩვენება, რომ ოდესმე ასეთი მდგომარეობა იყო ფაბრიკა-ქარხნებში და რომ ბავშვებს არა ჰქონდათ საშუალება ესწავლათ და ქუჩისამარა ყოფილიყვნენ დატოვებულნი.

— არა, ხსნა ისევ და ისევ გლებობაშია, — განაგრძო ტოლსტოიმ, — და სწორედ ღვთის მაძიებელ გლებობაში, სექტანტებში.

ლაპარაკი კვლავ დუხობორებზე გადავიდა.

ტოლსტოი ამბობდა, რომ ზარკოვის გუბერნიის შტუნდისტებიც დიდ დევნას განიცდიან და მთხოვენ ვიშუამდგომლო იმათაც ნება მისცენ კანადაში გადასახლებისა. ტოლსტოი ამბობდა, რომ მე არ ვურჩევ შტუნდისტებს გადასახლებას. დუხობორების უმეტესობა ამ დროს თითქმის უკვე წასული იყო. ტოლსტოის წერილები მოსდიოდა გზიდან და კანადიდან. ზოგიერთი ადგილი წაიკითხა ხილკოვის წერილიდან.

ტოლსტოი იმ აზრისა იყო, რომ ყველა უნდა დარჩეს-თავის ადგილას და ეცადოს თავისი მსოფლმხედველობის გატარებას ცხოვრებაში, მიუხედავად სძინელისა. იმათ არა აქვთ წარმოდგენა, რა სიძნელე მოელით კანადაში.

გორბუნოვმა სთქვა, რომ ნალჩიკიდან კარგი ამბები მოდის დადიანისა და სკოროხოლოვის<sup>1)</sup> ცხოვრებაზე. აი ვინა ცხოვრობს ნამდვილი აღამიანური ცხოვრებით.

გორბი აღექსანდრეს ძე დადიანი და სკოროხოლოვი ტოლსტოის თანამოაზრენი იყვნენ.

პოლკოვნიკმა დადიანმა, ნამესტნიკის ფლიველ-ადიუტანტმა, ტოლსტოისა და თავისი მეგობრის დ. ხილკოვის გავლენით მიატოვა სამსახური და იმ

<sup>1)</sup> ელადიმერ ივანეს ძე სკოროხოლოვი — ტოლსტოის მოძღვრების მიმდევარი. ნალჩიკის ახლოს დადიანის მეზობლად ცხოვრობდა.

დროს ცოლშვილით, ჩრდილოეთ კავკასიაში (ნალჩიკის მახლობლა) ცხოვრობდა სკოროხოლოვთან ერთად, როგორც უბრალო გლეხი, თავის შრომით. ჰყავდა ორი შვილი ქალ-ვაჟი, მესამე კი 1900 წელს დაიბადებოდა ჩიკში.

ილიკომ უამბო ტოლსტოის, როგორ ცხოვრობდნენ გ. დადიანი და ხილკოვი 1894 წელს სოფ. კიკეთში თავიანთი ოჯახობით.

## 7

გ. ა. დადიანი მე გავიცანი 1895 წ. თბილისში, შემოდგომაზე, როდესაც იგი უკვე ტოლსტოის თანამოაზრე იყო. ჩვენს ოჯახში ზმირად დადირდა და ყველას უკვირდა, განათლებული, ბრწყინვალე, ექსელბანტიანი, წარმოსადგევი, სანტერესო მოლაპარაკე ოფიცერი, რომელიც „ნამესტნიკის“ ბაღებსა და საღამოებზე ასე მზიარულად ცეკვავდა და ატარებდა დროს, როგორ გადაიქცა უბრალო გლეხად და როგორ მოახერხა, რომ არისტოკრატი წახი ქალიც გაიტაცა თავისი იდეებით და ყველაფერში დაითანხმა.

მახსოვს, კარი გაიღო და ჩვენს სასაბილო ოთახში მაღალი კაცი შემოვიდა. თავზე მაღალი ბოხობი ეხურა. ცხერის უბრალო ქურჭი ეცვა. მთელი ოჯახი თავმოყრილი გიყავით ჩააზე.

— ოპ, გიორგი, გიორგი!—წამოიძახა ყველამ მზიარულად და წამოცვივდნენ.

გიორგის ხელში წითელი ცხვირსახოცით რაღაც ეჭირა და პირდაპირ ილიკოს დედასთან მივიდა, რომელიც სუფრის თავში მაღალ სავარძელში იჯდა, მერე გადმოყარა სუფრაზე ვაშლები და მიმართა დედას:

— Позвольте бабушка, преподнести Вам яблоки<sup>1)</sup>.

ამისი თქმა და ილიკოს დედის უკმაყოფილებით აფეთქება ერთი იყო:

— მიკვირს, თავადო გიორგი, როგორ, ნუ თუ გაუბრალოებასთან ერთად ლაპარაკიც დაგავიწყდათ? განა არ იცით, რა მჭეია? ჩემი სახელი კნენინა ბარბარე სოლომონის ასულია. თუ კნენინა არ გინდათ დამიძახოთ, სახელი დამიძახეთ, თორემ ეს ბებია რა არის?

— მე მეგონა, ბებია უფრო პატივისცემაა, ბარბარე სოლომონის ასული... რადგანაც მასეა, იყოს ნება თქვენი, — სთქვა მან, ფეხი ფეხს შემოჰკრა, ნამდვილი არისტოკრატიული შესახედაობა მიიღო და მდაბალი სალამი მისცა.

ყველას გაგვიცინა და ყველაზე მეტს თვითონ დედა იცინოდა, რომელმაც დარეკა და როდესაც ლაქია შემოვიდა, უბრძანა, ვაშლები გაერეცხა, ვაზაში ჩაეწყო და მოეტანა.

— აი ეგ კი ველარ მოვიფიქრე თავადურად, მაპატიეთ, — სთქვა მან.

შემდეგ გადმოგვცა, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მივდივარ, იქ უნდა დავსახლდე თანამოაზრე ამხანაგებთან და ვიცხოვრო, როგორც შეეფერება ადამიანს და არა მუქთახორასო. ყველამ თანაგრძნობით მოისმინა ეს ამბავი.

დედას კი ისევ ეწყინა:

<sup>1)</sup> ნება მომეცით, ბებია, ვაშლები მოგართვათ.

— არ მესმის, რა არის სადღაც ჩრდილოეთ კავკასიაში გადაკარგვა, გე-  
ხო ხალხში. მიწაზე მუშაობა თუ გინდათ, თქვენ მამულში ვერ დასაქმდებით  
ბით და ვერ იმუშავებთ? ბავშვები ქართულს მაინც ისწავლიდნენ.

— თქვენ დიდი პატრიოტი ყოფილხართ, — სთქვა გიორგიმ. — მართალი  
გითხრათ, პირველად მეც სწორედ ასე ვფიქრობდი, მაგრამ ცხოვრება ისევე  
ისე თავადურად მე არ შემიძლია, გლეხურად ცხოვრებას-კი ჩემი ძმები არ  
მომიწონებენ. მომიწონებენ კი არა, შერცხვებათ კიდევაც ჩემი და აბა რა-  
ტომ უნდა შევარცხვინო. მეორე ის, რომ ჩემი „მამული“, რომელსაც მე  
ჩემად არა ვთვლი, მივეცი კანონიერ პატრონებს — მეზობელ გლეხებს და  
ახლა არაფრითაა მამულიც აღარა მაქვს. მართალია, ერთი ჩემი ძმა, პეტ-  
რეც<sup>1)</sup> მაგრე. მიჩნევდა, მაგრამ მერე დამეთანხმა, წინააღმდეგი აღარ არის  
ჩემი ჩრდილოეთ კავკასიაში დასახლებისა.

— ნადეედა იაკობის ასული რას ამბობს, ხომ გაუქირდება ასე შორს გა-  
დაკარგვა და ისეთი ცხოვრება? ჯერ კიკეთში როგორ წვალობდა, — უთხრა  
დედამ და ხელზე ხელი ჩაავლო: — გიორგი, გთხოვ, კიდევ იფიქროთ, ნა-  
დენკა სუსტი ქალია, ხომ იცით, მძიმე ცხოვრებას შეჩვეული არ არის და თუ  
არ გეთანხმება...

— ვინ არა მეთანხმება, ბარბარე სოლომონის ასული, ნადეედას ჩვენ,  
ე. ი. ბავშვებო და მე ისე უყვარვართ, რომ ყველაფერში მეთანხმება და  
დიდი სიხარულით კისრულობს დედისა და მეუღლის მოვალეობას. არა თუ  
მეთანხმება, მისი რწმენაც ასეთივეა.

1) გიორგი დადიანის ძმა, პეტრე დადიანი, გიორგის ტყუილი იყო. როგორც გიორგის  
რძალმა, ელადიმერის მეუღლემ მიაჩნა, ძმები თურმე ისე ჰგაედნენ ერთმანეთს, რომ ზში-  
რად დედ-მამაც ვერ არჩევდა ერთმანეთისაგან, ორივე ძმა შვიდ წლამდის, ძველი წესი-  
სამებრ, ძიძასთან იზრდებოდნენ და ძიძის შვილები ნამდვილ ძმებზე უფრო უყვარდათ.  
შემდეგ ისინი მიბანაეს კადეტთა კორპუსში (მოსკოვში) და იქ სწავლობდნენ. ძმებს იქაც  
ძალიან უყვარდათ ერთმანეთი და სწავლაშიაც ძალიან ეხმარებოდნენ ერთმანეთს, მასწავ-  
ლებლებიც, რასაკვირველია, ძმებს ერთმანეთისაგან ვერ არჩევდნენ და ერთის ხალათის სა-  
ხელს ნიშანი დააკერეს თურმე.

ძმებს სიკვდილამდის ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. ელადიმერის მეუღლე 1919 წელს  
სამეგრელოში იყო და სიკვარულით იბნენიებს ნათესავეებს, თავის შვირს ბიძებს.

როდესაც გიორგი ნაღიკში გადასახლდა, ჰყავდა ორი შვილი, ქალ-ვალი — ელადიმერო  
და ელენე, მესამე იაკობი 1900 წელს იყოლა. სწორედ ამ წელს გარდაიცვალა გ. დადიანი,  
იაკობ: მამა ბრე ეტ უნახავს, გარდაიცვალა გიორგი შემოდგომაზე. მან და მისმა ამხანაგმა  
სკოროხოლოვმა სანოვადე წაიღეს გასასვლად მსხლობელ ბაზარში, სადგურ პროხლანდინა-  
ში, რომელიც მათ კოლონიას 60 ვერსით იყო დაშორებული. იქ ბაკში გიორგი უცებ  
აივალ ვახუშტი წიგლების გადასყენით. ექიმი ვერ იპოვნეს და საშინელ ტანჯვაში გარდაიცვალა  
ლამის 11 საათზე 20 ოქტომბერს. მ. სკოროხოლოვი ამბობდა შემდეგში: ლამის 11 საათზე  
გ. დაწყნარდა, სახე დაეწმინდა, ეიფიქრე, ახლა უფროდ ცოლშვილს ემშვიდობება მეთქი.  
სწორედ იმ დღეს ლამის 11 საათზე, გიორგის ოჯახში, ნაღიკში, უფროს შვილს ელადიმერს  
გაეღვიძა თურმე და დედას ჰკითხა: დედა, მამა თუ მოვიდაო. ცოლმა უპასუხა: „როგორ  
არა, ეს არის აივანზე ამოვიდა, მაგრამ ისევ წავიდა, უფროდ აღარ აგვაყენა, სკოროხო-  
ლოვთან ვაადიეს ლამის და დიღას მოგვა, დაიძინეო“. დროით კი სკოროხოლოვმა იმ დღურა-  
ნით, რომლითაც პროფეტები წაიღეს გასასვლად, მოასვენა შინ გიორგი. დასაფლავეს  
ბაღში ვაშლის ხის ქვეშ, გიორგის სურვილისამებრ, რომელიც ამბობდა თურმე, თუ მოვე-  
დე ამ ვაშლის ქვეშ დამსაფლავებო.

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ნადეედა იაკობის ასულმა სამივე შვილი საზღვარ-  
გარეთ შევიცარიაში წაიყვანა და რამოდენიმე წელიწადს იქ დაჰყო. ელადიმერო იყო აგრ-  
ნომი, გარდაიცვალა 53 წლისა.

— ლევ ტოლსტოის სანახავად არ მიდიხართ? — ჰკითხა უცებ ილენე ჩოლოყაშვილმა.

— არა, არ მივდივარ. — სთქვა მან, როგორც მომეჩვენა ოდნავ სევდიანად. — რასაკვირველია, კარგია იმ ადამიანის ნახვა, რომელმაც ტყეში დაბნეული ვზაზე გამოგიყვანა, მაგრამ... ეს მეტის-მეტე ფუფუნება იქნება. მისი წიგნები მაქვს და ჩისტებს უნდა შევაწუხო...

კარგი, მხიარული მოლაპარაკე იყო გიორგი და ჩვენებს ყველას უყვარდა. ჩრდილოეთ კავკასიაში წასვლამდის რამდენჯერმე იყო ჩვენსა. ბევრი რამ გვიამბო დიდი ჰუმორით და გულისტკიველითაც იმ „უმსგავს“ ცხოვრებაზე, რომელსაც ის ატარებდა უმსგავსსა და აღვირახსნილ „დიდაცობაში“, იმაზე, თუ რა დიდი ტანჯვით და ვაივაგლახით დაიღწია თავი ამ ცხოვრებას.

— ვიხსენი თავი, მაგრამ ახლაც მიხდება შედეგების წვენება.

ერთხელ ჰუმორისტულად გვიამბო; თუ როგორ სცემენ ჩვენში პატივს არა ადამიანს, არამედ მის პასპორტს. ერთხელ რომელიღაც სადგურზე, როდესაც გიორგი ვაგონში აპირებდა შესვლას, თურმე არ შეუშვეს, უთხრეს, რომ აქ წმინდა ხალხია, შენისთანა ტყაპუქიანი ხალხისათვის სულ ბოლო ვაგონია და იქ წადიო. გიორგი ამბობდა, ბოლო ვაგონი შორს იყო, შეშინდა არ დამგვიანებოდა, არ დავეთმე და შიინც დავაპირე შესვლაო.

იძულებულნი გახდნენ ჟანდარმისათვის დაეძახათ. ჟანდარმა წამავლო ხელი კისერში და საღლაც მიმათრევდა. ვუთხარი თავი დამანებე, თორემ ინანებ, შენთვის არ ივარგებს შეთქი. რომ არ შეისმინა და არაფერი გამოვიდა, ცოტათი განზე გავიხმე. ამოვიღე ჩემი პასპორტი და ვაჩვენე. წაიკითხა თუ არა, დავარდა ძირს, დაიხოქა, დამიწყო ჩემი „ტყაპუქის“ კალთებზე და მუხლებზე კოცნა და ვედრება: „შაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალეზე, შაპატიეთ ღვთის გულისათვის“. ძლივს ავაყენე.

გიორგი იმავე 1895 წლის ბოლოს წავიდა, და დასაბლდა ნალჩიკის მახლობლად. მას შემდეგ არ მინახავს. ამბობდნენ ცივი, მძიმე საცხოვრებელი ადგილია, მაგრამ კოლონისტები კარგად და თანხმობით ცხოვრობენო.

— დადიანი არ მინახავს, — სთქვა ლევ ტოლსტოიმ, — ძალიან კი შინა მისი ნახვაა ხანდახან ისეთი სურვილიც მაქვს, წავიდე და ვნახო, მაგრამ ევბრძვი ამ ცდუნებას: *Ведь живет же человек такой чудной жизнью* და კიდევ ცდილობს უტერო ქრისტიანულად იცხოვროს. როგორც ამბობენ, ცოლიც საუცხოვო ქალია თურმე.

დადიანის გარდაცვალებამ ტოლსტოი ძალიან დააღონა თურმე და მის ცოლს ნადევდას შემდეგი წერილი მისწერა:

„7 ნოემბერი, მოსკოვი.

ძვირფასო დაო!

შე არასოდეს არ მინახებიათ არც თქვენ, არც თქვენი განსვენებული მუხლზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც თქვენი ცხოვრების ამავე გაიგე, სულ მუდამ მიყვარდით და მახარებდა თქვენი მშვენიერი ცხოვრება, რომელიც, როგორც ყოველ რეალურად ადამიანს ჰგონია, თქვენც არ გაქმნაყოფილებთ. ამიტომ ისეთი ძლიერი და საკირო ადამიანის სიკვდილი, როგორც თქვენი მუხლზე იყო, სამწუხაროა ჩემთვის, თქვენთვის კი იუტანელია.

\*) ელ. ალექსანდრეს მსული ჩოლოყაშვილი, ილიკო ნაჭიძის დეიდაშვილი, მაშინ ცხოვრობდა ჩვენს ოჯახში, ვარდიცევალი პარიჟში 1916 წელს.

თქვენ მდგომარეობაში, თქვენი ნეტავი მშობლივით და იმას შეგნება, რომ ჩვენ როგორც ვიყავით ღვთის ხელში, ისე ვიქნებით ყოველთვის და ყველგან, ღმერთს ცდიდი რომ სურდეს ჩვენთვის მშობლივით ის, რაც ჩვენც ცხდი გინდობს, იმიტომ, რომ დაეშორებით მას — ღმერთს, ყოველი მწუხარება, ყოველი მანკობის დაკარგვა, გვიანლოვებს ღმერთს, ეს დაახლოვება კი აღმაჯობებს ჩვენ მდგომარეობას. როგორც ხალხი ამბობს: ღმერთი მოგვხედავს.

ყველაფერი, რაც მუჰამად და ვიცი თქვენი მეუღლის შესახებ, უფრო და უფრო მივსებას სინანულს, რომ არ ვიცნობდი მას და არ შემიძლო მასთან პირად ურთიერობაში შემეძინა ის სიმტკიცე და კეთილი გულის თვისება, როგორც შეუბნებთან, განსაკუთრებით აბასითებდა განსვენებულს.

თუ მომწერთ თქვენი მეუღლის შესახებ და აგრეთვე თქვენ შესახებ, რას ამირებთ შემდეგში, ძალიან დამაყალბო.

ძმურად მოგესალმებით.

ლევ ტოლსტოი.

მაგიდაზე ეწყობა გალუტები, პურის კვერები, კარაქი და მურაბა. ჩაის ყველა ლურჯ ყვავილებიანი უბრალო ფინჯნებით ვსვამდით, ძალიან ხელა და ცოტას. ბულაბოვს ისე სცხვენიოდა, რომ ჩაის დაღვევაზე სრულიად უარი განაცხადა, არა ზსუამო. ნაძღვილად კი შინ თექვსმეტ ჭიქას სვამდა. ჩაის დროს მოვიდა კოლიჩკა გე. ასე ემანოდნენ ტოლსტოის ოჯახში მხატვარ გეს შეიღს. გემ მოიტანა თავისი მამის, მხატვრის, დიდი, აბალი სურათებიდან გადაღებული, გრაფიურები „იესო და ავაზაკი“, „რა არის ჭეშმარიტება“, „იუდა“ და სხვ. მე არ მინახა სურათი „იესო და ავაზაკი“ და პირდაპირ შევმინდი, ისეთი არაჩვეულებრივი და საშინელი შეჩვენა ავაზაკი და იესოს ტანჯული სახე.

სურათმა ყველაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, გარდა ტოლსტოისა, რომელსაც დიდი სურათი ჰქონდა ნახული და სიამოვნებით შეჰყურებდა.

— ეს ღმერთს კი არა, რაღაც გამწარებულ მხეცსა ჰგავს, — სთქვა ლორენტაინმა ქალმა და თვალები დახუჭა. — ამ სურათის შესახებ დიდმა მთავარმა სთქვა: სასაყლაოა? — იკითხა მან მწუხარედ.

— მართალია, ქალბატონო, — მიუგო გემ გაბრაზებით.

მაგრამ ტოლსტოიმ უბასუხა:

— აი სწორედ მაგაშია გეს ძალა: მან დაგვანახვა, რომ იესოს სიკვდილი დასჯა სწორედ სასაყლაო იყო, დაგვანახვა მისი ტანჯვა, როგორც ნაცემი, წამებული ადამიანისა, როგორც იყო მაშინ ქრისტე: ძალიან ეწუზვარ, რომ ეს სურათი მოხსნეს და გამოფენაზე არ დაუშვეს.

ყველას მოეწონა მეორე სურათი „რა არის ჭეშმარიტება“. ეს სურათი, ფერებით შესრულებული, გამოფენილი იყო ტრეტიაკოვის გალერეაში და ნახული მქონდა.

ტოლსტოი ამბობდა:

— რა არის ჭეშმარიტება? ქრისტეს კარგად ესმის, რომ პილტე იმიტომ კი არ ეკითხება, რომ მართლა უნდოდეს მოხგან ჭეშმარიტების გაგება. ქრისტემ ძალიან კარგად იცის, რომ განსწავლული რომელი არც ელის ამ უბრალო ებრაელისაგან ჭეშმარიტების შესწავლას, მაგრამ მაინც უხსნის. ყოველი ადამიანის მოვალეობაა აუხსნას ჭეშმარიტება ყველას, ვინც უნდა იყოს იგი.

„იუდაც“ ყველას მოსწონდა.

რეპინი თავის მოგონებაში (გამოვიდა 1940 წ.) ამბობს, რომ გე დიდი მხატვარი იყო, მაგრამ, მას შემდეგ, როდესაც მან თავისი მოგონებების ლ. ტოლსტოის მოძღვრება მიიღო, აღარაფერი ღირსსაყურადღებოს ვერ შექმნილა. ტოლსტოიმ დაჰკლა თავისი ისააკი მორალის გულისათვისო. მე მგონია, რეპინი სცდება ამ შემთხვევაში. თუ გემ ტოლსტოის მორალის მიღების შემდეგ შექმნა ისეთი სურათი, როგორცაა „რა არის ჭეშმარიტება“, ხოლო ტოლსტოიმ მორალისტმა დასწერა „აღდგომა“, „ჰაჯი მურატი“, „მამა სერგი“, და სხვ., ვანა ეს „თავის ისააკის“ დაეკლას ნიშნავს? საზოგადოდ რეპინს არ უყვარს ტოლსტოის მორალი და აქი ვერც გამოხატა ტოლსტოი თავის სურათებში. როდესაც აღარებთ კრამსკოის მიერ დაბრუნებულ სურათს რეპინისას დიდ განსხვავებას გრძნობთ შესრულებაში. კრამსკოიმ გამოხატა ტოლსტოი სულით აღშფოთებული, ეპყებით დატანჯული, ტოლსტოი ცხოვრების გზის მაძიებელი, დაფიქრებული, ისეთი, როგორც იყო 1873 წელს. რეპინმა კი ვერც ერთ სურათში ვერ ასახა ტოლსტოი 1890 — 1900 წლისა, როდესაც მან უკვე პოეზია გზა უკვლავებისაქენ და დამშვიდებული მიდიოდა წინ ამ გზით.

მე, რასაკვირველია, არ ვეხები რეპინს ხელოვანს. მხოლოდ, ჩემის აზრით, მან ვერ გადმოგვცა ტოლსტოის შინაგანი სულის მოძრაობა. რეპინს განსაკუთრებით არ მოსწონს „იუდა“. ამბობს, ბნელაში მხოლოდ მოკუნტული კაციის ზურგი სჩანს. შორს იყურება, მაგრამ საით, არა სჩანს. არც ხელოვნების მხრით არის დამაკმაყოფილებელი (სიტყვა სიტყვით არ მახსოვს, მაგრამ აზრი ასეთია). მაგრამ მაშინ იუდას ამ მოკუნტულმა ზურგმა პირდაპირ ერუანტელი მოგვარა ყველას, ყველამ იგრძნო, რომ იუდა მიხვდა, თუ რა საშინელი, გაუსწორებელი საქმე ჩაიდინა თავის მასწავლებლის და მეგობრის იესოს ღალატით, იმ მეგობრის, რომელმაც იხსნა ის სიკვდილისაგან, იხსნა მაშინ, როდესაც იცოდა, რომ იუდამ გაყიდა, მტრები მიიყვანა და ხელში ჩაუგდო მათ. იუდამ ეს საქმებით შეიგნო და მის ორგულივ წყვილიადი დამყარდა.

ყველაზე მეტი ლაპარაკი სურათების დათვალიერების დროს იუდას სურათმა გამოიწვია. ტოლსტოი განსაკუთრებული ლიბობიერებით და გულმტკივნეულად იგონებდა თავის მეგობარს ნ. გეს.

ვოლენგეიზერი როილს მიუჯდა და რაღაც მწუხარე დაუქრა, როგორც მახსოვს, შოპენის ნაწარმოები, ხოლო შემდეგ ვენიავსკის მხიარული მახურა.

თორმეტმა საათმა დაჰკრა. ყველანი აედევით წასასვლელად. ტოლსტოის ჩვეულება ჰქონდა, 12 საათზე, ვინც უნდა ყოფილიყო, დგებოდა და მიდიოდა დასაძინებლად. დილით აღრე დგებოდა, გაისეირნებდა და შემდეგ მუშაობდა სადილამდის. სადილის წინ კიდევ სეირნობდა ერთ ან ორ საათს და შემდეგ-კი 8 — 12 საათამდის სტუმრებთან ვადიოდა და ბაასობდა.

სოფიო ანდრიას ასული და დუნაევის მეუღლე, ეკატერინე ადოლფის ასული, მეგობრები იყვნენ და როდესაც შეიყრებოდნენ, თავიანთ ქმრების საყვედურებს ლაპარაკობდნენ. ერთ ამგვარ ლაპარაკს შევესწარი ერთხელ დუნაევის ოჯახში. დუნაევის მეუღლე განათლებული, უმაღლეს კურს-დამ-

თავრებული ქალი იყო. ის შესწიოდა სოფიო ანდრეევას, თუ როგორ მძიმე ცხოვრება უხდებდა მას „გაუბრალოებული“ ქმრის მეოხებით.

სოფიო ანდრიას ასული ჩიოდა, რომ მას, ლიოვოჩკის ხასიათით, არასოდეს აღამიანური ცხოვრება არა ჰქონია.

— ავიღოთ თუნდა ის დრო, როდესაც ლიოვოჩკამ პირველად მიმიყვანა იასნაია პოლიანაში. არ დაიკვრებო, ასე მეგონა, ბოსვლში მიმიყვანა-მეთქი. ერთ უბრალო ხის ტახტზე ეგო მაგარი ლეიბი, ზედ გადაფარებული იყო მინ დამზადებული რუხი ტილოს ზეწარი. ზევიდან ნაჭრებისაგან შეკერილი საბანი ეხურა, ხოლო თავქვეშ მეშის ბალიში ედგა. მე როგორც მივედო, მაშინვე ჩემი მზითვის კარგი საწოლები. დავდგი. პოლანდური წმინდა ტილოს ზეწრები გავშალე, როგორც ჩემთვის, ისე მისთვისაც, აბრეშუმის საბნები გადავახურე, ბუმბულის ბალიშები დავაწყე. საწოლების წინ კი პატარა ნოხები დავაგე. როდესაც ლიოვოჩკა შემოვიდა ოთახში და ეს დაინახა, ძალიან ეწყინა, თავისი ნოხი და ბალიში აიღო და იქით გადადგა და ისევ მეშის ბალიში დაიდგა. მე დავიცადე და როგორც კი ვავიდა ოთახიდან, ისევ ისე დავაწყე ბალიშები და ნოხიც დავაგე თავის ადგილას. მაგრამ, შემოვიდა თუ არა, ისევ გაჯაერდა, ნოხი აიღო, ფანჯრიდან გადააგდო და გარედ გავარდა. კარგა ხანს აღარ შემოსულა. ნოხი ისევ ამოვატანინე და დავაგე. როდესაც კვლავ შემოვიდა, გაბრაზებულმა გადააფურთხა. მაგრამ ნოხი თავის ადგილას დასტოვა. ბალიშს დამდამოხით მაინც მეშისას იღებდა დიდი ხნის განმავლობაში. შერე კი, რასაკვირველია, კარგად შეეჩვია. ახლა წმინდა ტილოს თეთრულს ხმარობს და აბრეშუმის წინდებს ატარებს. რაც შეეხება ავეჯის შექმნას, ამაზე ლაპარაკიც კი მეტიც. არასოდეს არა მქონია საშუალება, ხეირიანი რამ შემომეტანა სახლში, ყოველთვის ბრაზობდა.

შემდეგში სწორედ ეს ამბავი მიამბო იმავე სიტყვებით ტოლსტოის თანამოაზრე და მეგობარმა ქალმა მარია ალექსანდრეს ასულმა შმიდტმა.)

— ნუ თუ ასე გაბრაზება იცის ლევ ნიკოლოზის ძემ? — ვკითხე შმიდტს, ეს რომ მიამბო.

— იცის, იცის, სულიყო, — მითხრა მან და შიამბო: — ერთხელ აი რა მოხდა. გაცნობიდანვე ლევ ნიკოლოზის ძე მე და ჩემ იმხანაგ ქალს ძალიან კარგად გვლებულობდა. ხშირადაც, დავიარებოდიო, ვიწერდით მის ნაწერებს, ვამრავლებდით და ვსწავლობდით მისგან სიბრძნეს. მაგრამ სოფიო ანდრიას ასულმა პირველ დღიდანვე შეგვიძულა და ერთხელ ისე გაბრაზდა, რომ სახლიდან გამოგვავადო კიდეცაც. რას ვიზამდით, ხელი ავიღეთ მის ოჯახში სიარულზე. ლევ ნიკოლოზის ძეს უკვირდა და თურმე კითხულობდა: სად არიან, რა დავმართათ, რატომ აღარ მოდიანო. სოფიო ანდრიას ასული იბულებული გახდა ეთქვა, რომ გამოგვრეკა. ტოლსტოის ძალიან ეწყინა თურმე. ალელდა და უთხრა, ახლავე წადი და ბოდიში მოიხადეო. ერთ დღეს ვზივართ სახლში. უეცრად სოფიო ანდრიას ასული კი დავკადგა თავზე: „მოვედი, რომ ბოდიში მოგიხადო თქვენს წინაშე“, — მოგვმართა მან. — რასა ბრძანებთ, სოფიო ანდრიას ასულო, როგორ შეიძლება! „ასე

1) მარიამ ალექსანდრეს ასული შმიდტი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის შვილია ტოლსტოის თანამოაზრე. შემდეგში კი მთელი ოჯახის მახლობელი მეგობარი გახდა. ჩვენ კიდევ გვიქნება მის გამო ლაპარაკი.



მობრძანა ლევ ნიკოლოზის ძემ, მამატიეთ ღვთის გულსათვის. ვინაღაც, იართო ჩვენსა უწინდებულად". ჩვენც, რასაკვირველია, იმ საკუთრებას ვაწვედით. შემდეგ ჩვენ შორის კარგი განწყობილებაც კი დამყარდა. ჩვენს კვირველია, ლევ ტოლსტოის გაჯავრებით შეეძლო ნაწილობრივ გავლენა მოეხდინა ცოლზე, მაგრამ გაჯავრებას და სიმკაცრეს იგი სასუსტედ სთვლიდა და ყოველთვის ერიდებოდა და სცილობდა თავი შეეკავებინა გაჯავრებისაგან. ამასთან, უნდა ვითხრათ, რომ მას ცოლი უყვარდა და უცოდებოდა კიდევაც. უნდოდა ნებაყოფლობით გამოენახა თანხმობის გზა. მაგრამ ცოლს არ ესმოდა თავისი დიდი ქმრის სულსკვეთება; მას ეგონა, რომ პოპოვს, ბოჩკაროვს და სხვებს აქვთ მასზე გავლენა; ისინი რომ არა, ტოლსტოი მას დაუჯავრებდა ყველაფერს და იცხოვრებდნენ კარგად. მე ყოველთვის ეუბნებოდა: რას ამბობ, სულიყო, ბოჩკაროვი, პოპოვი, მიხაილოვი და ჩვენ ყველანი მისგან ვსწავლობთ ცხოვრების კანონებს და როგორ გაივლეთ გულში, რომ ისეთი ბრძენი ჩვენ ჰქუაზე ივლის-მეთქი.

— დიდი აღამიანის შეუღლება და ასე უბედური?

— რასაკვირველია, უბედურია, — მაპასუხა მან. — მით უმეტეს, რომ უმისოდ ცხოვრება არ შეუძლია.

## 9

ერთხელ, ხუთი საათი იქნებოდა, ილიკო ის-ის იყო დაბრუნდა სამსახურიდან, რომ კარი გაიღო და ლევ ტოლსტოი შემოვიდა. მაშინ ჩვენ პლი-უშჩინსაზე ვცხოვრობდით.

— რამდენიმე წუთით შემოვედი, ილია პეტრეს ძე, — სთქვა მან მისაღმების შემდეგ. — მინდა ექსპლუატაცია გაგიწიოთ, — დამეხმაროთ, თუ ძალიან არ შეწუხდებით, „ჰაჯი მურადის“ შესახებ ზოგიერთი ცნობის შეკრებაში. აქ, მოსკოვში, არის მოხუცთა თავშესაფარი. იქ უნდა ცხოვრობდნენ დალესტნის ომის მეომრები. მინდა გაევიგო, მართალია თუ არა ეს. იქნება იციან რამე, შემდეგ თვითონ ვნახავ. ამას გარდა, ეგებ თქვენა გყავთ ვინმე ნაცნობი კავკასიაში, რომ არქივში — უთუოდ იქნება რამე — ცნობები გამოიპოვოს და მომაწოდოს. ძალიან მცხვენია, რომ გაწუხებთ. მაგრამ ჰაჯი მურადს ყველა თავისი ხალხის მოღალატედ სთვლიდა, მე კი ეს შეცდომად მიმაჩნია...

ჩვენ ვურჩიეთ, პოლკოვნიკ სიმონ სპირიდონის ძე ესაძისათვის მიემართა, რომელმაც კარგად იცოდა დალესტნის ომის და შამილის ისტორია. შემდეგში ტოლსტოიმ ისარგებლა ამ რჩევით. ს. ესაძემ საჭირო მასალა გაუგზავნა. ტოლსტოისაგან მან მიიღო მადლობის წერილი და მისი თხზულებები წარწერით. სხვათა შორის, იმ დღეს ტოლსტოიმ გვიამბო: ერთ ახალგაზრდა მეგობრისაგან, კ. ზლინჩენკოსაგან \*) რომელიც ჩემი წიგნების

\*) კირილე კონსტანტინეს ძე ზლინჩენკო. კურიოზულად დაიწვია თავი ჯარისკაცობას. ვერ ტოლსტოის არ იცნობდა, რომ გადასწყვიტა, თავისი რელიგიური რწმენის მიხედვით არ გახულიყო მეფის სამხედრო სამსახურში. როდესაც დაიბარეს, როგორც წმინდადელი, იფიქრა, როცა კომისია გამორჩევას, მაშინვე ციხეში გამგზავნიან და რომ ციხეში უსაცვლებოდ არ დაჩინილიყო, ჩაიკვია რამდენიმე წყვილი საცეალი. ზლინჩენკო მალაღი, ჯანდონით საცხე კაცო იყო. თვითონ შემდეგში მაპაპო: რომ დამინიშნეს კომისია, ყველას მოვეწონე და მიიბრუნე, ტანთ ვამუხადა. სიშინლად შებრტყა და დავი-

გავრცელებისათვის გადაასახლეს, წერილი მივიღეო. ის ყიდევ მთხოვს წიგნებს, მაგრამ ჩემი წიგნები არ ღირს იმად, რომ ასე სტანჯავდნენ. აღამიანს და ასედაც ვწერო. ძალიან სწუხდა, მე თავისუფალი ვარ და ვაძლავ ჩემს სდევნიან და აწუხებენ ჩემი გულისათვისო...

ტოლსტოი უცებ გამოცოცხლდა, იკითხა:

— თქვენი გოგონა სად არის?

ბავშვი ეზოში იყო და როდესაც დაძახება განვიზრახე, არ გამიშვა.

— იყოს, ითამაშოს ბავშვებთან. მე მინდოდა მეკითხა, როგორა ზრდით რელიგიური მხრით. — და გვიამბო, რომ ბავშვებს ძალიან აინტერესებთ ღვთის არსებობის საკითხი. — ერთმა ჩემმა ნაცნობმა ბავშვმა სთხოვა თავის დედას, ღმერთთან მიეყვანა. დედამ აიყვანა ხელში და კუთხეში ხატთან მიიყვანა. ბავშვმა დაუკაცუნა ხატს და დაუძახა: ღმერთო, ღმერთო, სად არის ჩემი მამიკო? ზამა იმ დღეებში მოუყვდა. თავისი შეკითხვა ბავშვმა რამდენჯერმე გაიმეორა, ატირდა კიდევაც და როდესაც „ზოფენკამ“ არაფერი უპასუხა, სთქვა, ახლა კი მივხვდი, რომ არაფერი ბოყენკა არ ყოფილაო.

ილკომ უამბო, რომ ჩვენ ბავშვს მღვდელი ეგონა ღმერთაო. თურმე ჩვენ დიასახლისს ჩუმად ეკლესიაში დაჰყავდა, იქ ნახულობდა მღვდელს. ჩვენ შემთხვევით გავეგეთ ეს ამბავი, სოფელში რომ ვიყავით, აგარაკზე. უცებ მოგვესმა ჩვენი ბავშვის ყვირილი: ღმერთი მოდის, ღმერთი მოდისო. ყველანი გამოვცვივდით გარეთ და დავინახეთ ქუჩაში მიცვალებულს მისავენებდნენ, წინ შემოსილი მღვდელი საცეცხლურის ქნვეით მოუძღოდა.

ლევ ნიკოლოზის ძემ ბევრი იცინა.

10

ერთხელ ჩვენ ვოზდვიენსკის ქუჩით მივდიოდით. ახლა იმ ქუჩას კრაპოტკინის ქუჩა ეწოდება. იმ ქუჩაზე საბჭოთა ხელისუფლებამ ტოლსტოის მუზეუმი გამართა. იქ ეცნობით ტოლსტოის საინტერესო ხანგრძლივ, შანაარსიან ცხოვრებას.

ტოლსტოის წამოვეწიეთ. მიდიოდნ მარტო, ხელში ჯოხი ეჭირა. პირველხანს ვერც კი ვიცანი. ძველი პალტო ეცვო, თავზე ძველი რბილი ქუდა ეხურა. გრძელი თეთრი წვერი პალტოში ჰქონდა ჩატანებული და ყელზე რაღაც ფერადი ყელსახვევი ეხვია.

სადილის წინ სასეირნოთ გამოსულიყო და ახლა შინ ბრუნდებოდა. მიდიოდა ყოჩაღად, შხიარულად. რომ წამოვეწიეთ, ესიამოვნა. გავყევით, ვინც გზაში გვხვდებოდა, თითქმის ყველა სცნობდა, ჩერდებოდა და დიმილით გვაცილებდა.

ზენი, დავიწყებ უბერხულად ტანის გახდა. მცევა ივარის ტრაკოტაის საცელები. გავიხადე ჯერ ერთი პერანგი. საშინლად გაიწელა და დაგრძელდა. მეორის გახდას კიდევ უფრო დიდხანს მოეუნდა. ველაგდა და აღარ ვიკოდი, როგორ და რას ვშვებოდი. რამდენსაც შეტს ვცდილობდი, უფრო და უფრო იწვლებოდა და უფრო და უფრო დიდხანს ვწინდებოდა ვახდას. ეჭამებო იცინოდნენ და ეს უფრო მტანჯავდა და მახნივდაო. პერანგების მერე პერანგების ამხანაგების გახდა რომ დავიწყებ, ეჭამებმა ხელი ჩააქნიეს; არანორმალურადამიანად გამომახადეს და გამანათვისუფლესო.

— იცი, ილია პეტრეს ძე, სულერეიცკის წერილები მივიღე, კვიპროსის<sup>1</sup> დუბოზორები უკვე ჩავიდინე კანადაში. ახლა ი. კ. დიტერიჟის<sup>2</sup> ველი ამბავს.

ამ ლაპარაკის დროს მღვდელი დავინახეთ, იღვა ქუჩის მეორე მხარეს და გადმოსვლას აპირებდა. ლევ ნიკოლოზის ძე შეჩერდა.

— აბა, ვადაგვიჭრის გზას თუ არა ხუცესი, ვადაგვიჭრის თუ არა, — სთქვა მან სიცილით.

მღვდელი შეჩერდა, შეყოყმანდა, მიტრიალდა და უკან გაბრუნდა.

— ყაი ნიშანია, — უფრო შავრა გაიციინა ტოლსტოიშ, ჩვენც ვაგვეციანა.

— იცი, ნინო იოსების ასულა, ეს ცრუმორწმუნოება მონადირის ძველი ჩვეულებაა. ყოველი მონადირე, დაინახავს თუ არა მღვდელს, ან კურდღელს, უთუოდ ჩაუთქვამს, გადასჭრის თუ არა გზასო. ვადაჭრა არ ვარჯია. ვერ წარმოიდგენთ, რამდენი მონადირე ხელს იღებს ხოლმე ნადირობაზე და უკან ბრუნდება, ნამეტნავად თუ კურდღელმა გადაურბინა გზაზე. ამ მცბებერი მონადირე ვარ.

ცოტა გავცილიდით 'იმ ადგილს და შესახვევიდან, სკოლის ბავშვები გამოცვიდნენ. დავინახეს თუ არა, შეჩერდნენ. რამდენიმემ დაიყვირა.

— პაპა ტოლსტოი!

— პაპა ტოლსტოი!

ტოლსტოი თვითონაც გაჩერდა გაღიმებული.

— დილა, პაპა ტოლსტოი. მერე?

— პაპა, ახლა რას სწერ ჩვენთვის?

— რაც დავსწერე, ის წაიკითხეთ?

— მაშ არ წავეკითხეთ?

— მე ფუნთუშა წავეკითხე.

— მე სოკოებზე.

— მე კურკა.

— მე სოლსტომერი...

— მე ბატონი და მოჯამავირე...

— კიდეც ვაგვიწერე პაპა, კიდეც, — ისმოდა გარშემოხვეული ბავშვების ხმაური.

— პაპა, ზორცს მართლა არა სჭამ? — ჰკითხა ერთმა მალაღმა ბიჭმა, რომელიც ცალკე იღვა და ცდილობდა როგორმე დალაპარაკებოდა.

— არა, არა ვსჭამ, — მიუგო სერიოზულად ტოლსტოამ.

— რატომ?

— იმიტომ, რომ მცენარეული საჭმელი უფრო შეეფერება ჩვენს აგებულებას. მეორე და უმთავრესი კი ის არის, რომ ცოცხალ არსებას არ უნდა მოუსპო სიცოცხლე...

<sup>1</sup> დუბოზორების ერთი პარტია პირველად კონსტანტინოპოლში გადასახლდა, მაგრამ იმდენად ცუდი პაეა აღმოჩნდა, რომ იძულებულნი გახდნენ ისინიც კანადაში წასულიყვნენ.

<sup>2</sup> იოსებ კონსტანტინეს ძე დიტერიჟი, აგრონომი, მეაბრეშუმე, ტოლსტოის ახლო მეგობარი. კარგა დიდხანს მსახურობდა იბილისში მეაბრეშუმეობის სადგურში. დუბოზორებს გაეყვა ერთ-ერთ გვშიც და კარგა ხანს დარჩა იქ, სანამ დუბოზორები დაბინავდებოდნენ. გარდაიცვალა 1931 წელს. ბოლო დროს მუშაობდა მეაბრეშუმეობაზე ადრბრეიჯანში, ქ. განჯაში (კარაიოზადაში).

ამასობაში კარგა ბედობა ხალხმა მოიყარა თავი. ტოლსტოი თითქოს შე-  
შინდა:

— ახლა გამიშვით, მეგობრებო და სხვა დროს მოვილაპარაკებო. — შე-  
მართა ბავშვებს მან.

— პაპა, ჩვენ მოვალთ თქვენთან, შეიძლება? — გაისმა აქეთ-იქიდან.

მაგრამ ახლა დიდები შემოეხვევიან გარსსხვადასხვა კითხვებით. განდენ  
პოლიციელები და ხალხი დაშალეს.

. 11

როდესაც ერთ საღამოს მივედით, დიდი დარბაზი სავსე იყო სტუმრებით. ტოლსტოის მეგობრებმა, ტოლსტოის ასული ტატიანა, ვალაც ახალგაზრდა ქალები, ბროფესორი ჩიჩერინი, გლეხი მწერალი სემიონოვი და სხვ. ჩვენ მიგვეყვია ტამბოვიდან ჩამოსული ერთი გლეხი, გვარი აღარ მახსოვს, რომელიც სპეციალურად ტოლსტოის სანახავად იყო ჩამოსული. ტოლსტოის მეუღლე სოფია ამ საღამოს შინ არ იყო.

ჩვენ რომ შევედით, თედორე ანდრეას ძე უშაკოვის შესახებ<sup>1</sup> ლაპარაკობდნენ. როგორც ყოველთვის, ტოლსტოი სწუხდა და ილიკო ნაკაშიძეს დაჰპირდა წერილის მიწერას პეტერბურგში ნაცნობთან, შეიძლება რამე შედეგათა მისცენო.

— ლევ ნიკოლოზას ძე, — მიმართა მწერალმა სემიონოვმა, — როგორ უნდა მოვეპყრათ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ჯარიდან იპარებიან და ცხოვრობენ სოფელში არალეგალურად?

ტოლსტოი მაშინვე მიბრუნდა მისკენ, ცოტა ზანს სდუნდა.

— არა, გამოპარვას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს რასაკვირველია. საქმე ისაა, რითი ხელმძღვანელობს ადამიანი: ის ვინც გაურბის თავისი მოვალეობის შესრულებას, მხოლოდ საქმას სიმძიმეს, შშიშარაა. აიღეთ, დუნობორები: თავიანთი რწმენის გამო არ წავეიდნენ სამახურში და წამება არჩიეს.

— ეჰ, ლევ ნიკოლოზის ძე, მაგეთ გმირობას ვერ მოვთხოვთ საშუალო ადამიანს. გამოიპარა და მადლობა ღმერთს, დემორალიზაცია ხომ შეიტანა ჯარში, — სთქვა პროფ. ჩიჩერინმა.

— თუ კაცს თავის საქმის რწმენა ასულდგმულებს, ტვირთი მისი იქნება მსუბუქი, ამას მაგალითი ბევრია, აიღეთ ისეთი სუსტი, გამხდარი კაცი, როგორიც არის ფრანგი სინე. თქვენ იცნობთ იმას, სამხედრო სამსახურზე უარისათვის საფრანგეთის მთავრობამ ალყირში გაგზავნა. დისციპლინური რაზმის რევიმი არჩია და ერთ წელიწადს დაჰყო იქ. რაც შეეხება დემორალიზაციას, არ შეიძლება გამოპარულმა კაცმა რამე დემორალიზაცია შეიტანოს ჯარში. ამხანაგები ვერც კი იგებენ მის გაპარვას და თუ გაიგეს, სდუ-

1) თედორე ანდრეას ძე უშაკოვი (1871 — 1927) ტოლსტოის ნაწერების გავრცელებისათვის დაატუსაღეს და შემდეგ გადაასახლეს მოსკოვიდან. უშაკოვმა პატარა ნაკვეთი მიწა იყიდა ნათომის მახლობლად, ს. კინსეულში, და თავის შრომით ირჩენდა თავს. 1927 წ. დეკემბერში, დამე, ყაჩაღებმა მოკლეს გაძარცვის მიზნით. უშაკოვი იმ დღეს ზანკში იყო და ყაჩაღებს ეგონათ, უთუოდ ფული მიიღო, ნამდვილად კი აღმოაჩნდა 150 მანეთის ჩეკი. მეზობლები აღშფოთებულნი იყვნენ ამ მკვლელობით. უშაკოვს ქართველები ძალიან უყვარდა და უსაზღვრად მადლობელი იყო ილიკო ნაკაშიძისა, რომ ურჩია საქართველოში დასახლება. მეზობლებთან მეგობრული, მშური დამოკიდებულება ჰქონდა.

მან, ჩემთან იყვნენ გამოპარული ჯარისკაცები, მე ყველას ვურჩევ, დაბრუნებულიყვნენ ისევ ჯარში და მოეხადათ სამსახური. მაგრამ ეს ვინაა? არ ნიშნავს, რომ მე ომის მომხრე ვიყო, — დაუმატა მან სწორედ ის, რაც მას უნდოდა.

მერე აღდა, თავის განიერ, გრძელ „ტოლსტოვკაზე“ შემორტყმულ ქამარში ხელეები ჩაიწყო და ტამბოველ გლეხთან მივიდა.

— ილია პეტრეს ძემ შითხრა, რომ ჩემთან საუბარი გსურთ, ხელ 5 საათზე მოდით და ვილაპარაკოთ.

— მინდა ძალიან თქვენთან ლაპარაკი, ლევ ნიკოლოზის ძე. ცუდად ვცხოვრობდი, ძალიან ცუდად. თქვენი ნაწერები ჩამივიარდა ხელში და, მგონია, სწორედ ვზას დავადექი, მაგრამ მაინც ზოგიერთი კითხვა...

— პაპა, პაპა, — დაუძახა ტატიანა ლეონამ ლევ ნიკოლოზის ძეს, — აბა, ყური დაუგდე რას გვიამბობს პროფესორი.

პროფ. ჩინერინი-სიცილით გვიამბობდა, როგორ მოაწყეს „უმალლეს სფეროებში“ საქველმოქმედო საღამო და რა ლექსი დასწერა ამას გამო პოეტმა (ვერ გავიგონე — ვინ). პროფ. ჩინერინი განზე გადავა, განსაკუთრებულ ბოზა მიიღო და პათოსით წაიკითხა (მთლად ლექსი აღარ მახსოვს):

#### „НУЖДАЮЩИМСЯ БРАТЬЯМ

В пользу голодных я пизманское пил,  
В пользу безногих я танцовал,  
В пользу слепых я на дам смотрел...“

და ამგვარად ჩამოთვლილი იყო ყოველი უბედურებისათვის როგორ მზიარულებს უსაქმო, მოჭეფე ხალხი ვითომდა ღარიბთა დასახმარებლად გამართულ საღამოებზე.

ყველა გულიანად იციმროდა. ტოლსტოი პირდაპირ ფერდებზე ხელმოკერილი ხარხარებდა. ასე გაცივებული მე ის არ მინახავს. უცებ ჩინერინმა ზნა დაადებლა და რაღაც უთხრა.

— პო, სთქვით, სთქვით, რა უშავს.

— არ შენიძლია, ლევ ნიკოლოზის ძე, ქალები არიან.

— ქალებს საყურეები აქვთ ყურში, ვერ გავიგონებენ, — სთქვა ტოლსტოიმ. ჩინერინმა მაინც არა სთქვა ზნამალა, რაც უნდოდა ეთქვა. მე შეწყვიანა, რომ ტოლსტოიმ ასე დასციხა ქალებს. მაგრამ შემდეგში დაერწმუნდი, რომ ეს ქალებს მამაკაცებზე დაბლა არ აყენებდა. თუ ავიღებთ მის რომანს „ადღგოპაჰ“, სადაც მარია პავლოვნას სახით გამოყვანილი ჰყავს ქალის ტიპი, ნათელი გახდება, რომ მან აზრი ბევრ რამეში შეიცვალა და თუ „ომისა და შვედობის“ გმირი-ქალის ნატაშას ტიპი დადებითად მიაჩნდა, „ადღგოპაში“ მან სხვა მოთხოვნა დაწესა ქალის დადებითი ტიპისათვის.

ტოლსტოიმ ამ საღამოს გვიამბო სემიონოვის ახალი მოთხრობის შინაარსი. გვიამბო ძალიან თანაგრძნობით, თუ როგორ ითხოვს ცოლი კობტა ბიქმა და როგორ ჩქარა მობეზრდა უბრალო, მშრომელი ქალი, რომელიც არ აწონებდა თავს არავის და ოჯახზე და ქმარზე ზრუნავდა. ბიქს კი უყვარდა ცეკვა-თამაში, „გარმოშვა“ და კობტა გოგოები. ქალი დაჟოქდა და როდესაც მოკვდა, მაშინ მიხვდა ბიქი, ვინც დაკარგა. ამის შემდეგ მთელი თავისი არსებით შეიყვარა მიცვალებული. სწორედ ქეშმარიტებაა, რომ ამბობენ:

„კაცი რომ მოკვდება, მაშინ გაიგებ, ვინც დაკარგეო“, — დაბოლოება მან სემიონოვს ის ძალიან აფასებდა. მან სთქვა:

— ის სწერს სწორედ იმათ ცხოვრებაზე, ვინც რიცხვით დიდს უპირატესობას შეადგენს — გლეხებზე, რაც მართლაც აუცილებელ საქარობას წარმოადგენს. ჩემი ძველი ნაწერები ეჭებიან ხალხის იმ ნაწილს, რომლის ცხოვრების შესახებ წერა და მოსმენა არც კია საქირო... მაგრამ, მიუხედავად ამისა, მე მაინც მწერალს მეძახიან...

— ოჰ, ლევ ნიკოლოზის ძეგ, თუ თქვენ მწერალი არა ხართ, მამ ვილა მწერალი? — მოისმა ჩიჩერინის და სხვების ხმები.

ლევ ნიკოლოზის ძემ გაიღიმა.

— იცით, მე ვიდევ ვიმეორებ, მწერლობა არ არის ისე ძნელი საგნე. საამისოდ საქიროა ერთგვარი „ნახლობა“. სჩანს, მე არ მაკლია „ნახლობა“, თორემ ჩემი ძმა ჩემზე ბევრად ნიჭიერი კაცი იყო, და რადგან „ნახლობა“ ვერ გამოიჩინა მწერალი არ გახდა. მე კი, ეტყობა, იგი საკმაოდ მქონდა. — იცინოდა და ჩვენც ყველა ვიცინოდით მის ხუმრობაზე.

ლაპარაკი ისევ ხელოვნებას შეეხო. ამ ლაპარაკში ტამბოველმა გლეხმაც და საყურებიანმა ქალმაც მიიღეს მონაწილეობა.

საოცარი თვისება მქონდა ტოლსტოის: ლაპარაკის დროს მან ისეთი კათხვების დასმა იცოდა და იმგვარად, რომ დამსწრეთა შორის დიდ გამოძახილს პოულობდა. ერთ წუთს არა წყდებოდა საინტერესო ლაპარაკი. მახსოვს, თუ საღამოს ტოლსტოი რამდენიმე წუთით გავიდა სემიონოვისთვის რაღაც წერილის გამოსატანად. მთელი საზოგადოება დაიშრდა, ჯგუფ-ჯგუფად დაიყო. და როდესაც ლევ ნიკოლოზის ძე დაბრუნდა, მხოლოდ მამან გამოცოცხლდა.

სხვათა შორის ლევ ნიკოლოზის ძემ გვიამბო იმ საღამოს როგორ მივიდა მასთან ერთი ახალგაზრდა კაცი და რჩევა სთხოვა. ამ ახალგაზრდას რამდენიმე ათასი მანეთი ვალი დასდებოდა. ახლა ყველაფერი მობეზრებოდა და გადაეწყვიტა ტოლსტოისათვის ეკითხა, რა ცხოვრებისათვის მოეკიდა ხელი. სადმე კომუნაში შესულიყო, თუ ცალკე დაეწყო გლეხური ცხოვრება.

ტოლსტოიმ სთქვა:

— მე ვუთხარი, ჯერ ვალი გადაეხადა და თუ მოინდომებდა შემდეგ დაეწყო ახალი ცხოვრება.

— მერე, მან რა სთქვა? — მკითხა ტამბოველმა.

— მგონია, არ მოეწონა.

— რასაკვირველია, ვალის გადახდა ბატონს გაუძნელდებოდა. წარმოიდგინეთ, ლევ ნიკოლოზის ძეგ, როდესაც მე ათასობით მეწყო ფული ბილეში, განგებ ვიღებდი ვალს, მაგრამ თქვენა გგონიათ, ადვილად ვიხდიდი? მიჭირდა ფულის შელევა. თუ რომელიმე საწყალი მეზობელი სესხად მთხოვდა ფულს, ხუთი მანეთი რომ ეთხოვა, ორზე მეტა ვერ ვიმეტებდი და იმასაც ბევრი ხეყნის შემდეგ, — სთქვა ტამბოველმა.

თორმეტი საათი შესრულდა, ავდექით წამოსასვლელად. როგორც ზეითაც ვთქვი, ტოლსტოის ჩვეულებად მქონდა, 12 საათზე უთუოდ წასულიყო დასაძინებლად. დილით ადრე იწყებდა მეზობას. არასოდეს ტოლსტოი დამე არ სწერდა. სერიოზული წერა დღისით უნდა, როდესაც გონება დაღლილი არ ვაქვსო, — ამბობდა იგი.

გზაში რომ მიედიოდით, ტამბოველი გლეხი გვიამბობდა, როგორ შემთხვევით დაინტერესდა ის ტოლსტოის ნაწერებით და როგორც ჩვენი უკული კულაკურ ცხოვრებაზე. ფული რაც შეიძლება, ღარიბ ნათესავებს და ახლა მხოლოდ საკუთარი შრომით ვაპირებ ცხოვრებასო.

— პირველად ძალიან მიმწიფდებოდა იმის შეგნება, რომ იესო არ იყო ღმერთი და არ შეიძლო ჩემი ასუსტებულმა შეყვანა მას შემდეგ, რასაკვირველია, როდესაც ძალიან გავმდიდრდებოდი და ეკლესიას ავამყენებდი. ეკლესიის აშენებას ვაპირებდი. მაგრამ ახლა იესო აღამაზნი იესო ღმერთზე უფრო მიყვარს და მისი მოძღვრება ჩემთვის უფრო ზეღმისაწვდომია და ძვირფასი. ყველაფერი ეს ტოლსტოის შეოხებით ვისწავლე და როგორ არ უნდა მიყვარდეს ასეთი კაცი. მან ხომ პირდაპირ სანთელი მომცა ხელში და პნელი გზა გამინათა. თქვენ ვერ წარმოიდგენთ. — განაგრძო მან ცოტა სირთმის შემდეგ: — მიხდა, წამებაც კი გადავიტანო ჩემი წარსული ცხოვრების მოსანანიებლად. აქ სპასსეის ჭიშკარია კრემლში და მითხრეს, ვინც ამ ჭიშკარში გავლის დროს ქუდს არ მოიხდის, დაიპყრენ და ციხეში ჩასვამენო. მე ამ ჭიშკარში ვუშინ სამჯერ გავიარე, ქუდი არ მოეხადე. შესაშვრ რომ გავიარე, ვუთხარი პოლაციელს, რომელიც მართლა იღვა იქ ყარულად, ქუდი არ მოეხადე და რატომ არ მიტერ მეთქი. მან მითხრა: გაიარე, გაიარე, ბევრს ნუ ყბულობ. თუ გინდა დაგიტვირონ, ხვალ გაიარე, ვინც აქნება აქ, ის დაგიტვირს, ჩემთვის კი სულერთია, როგორც გინდა ისე გაიარე, თუ გინდა ხუთი ქუდი დაიხურეო. შემავინა კიდევცა. ძალიან ნაწყენი იყო.

## 12

ზაფხულში სამშობლოში დავბრუნდი და რადგან მოსკოვის პაერს ვერ ვიტანდა, ზამთარშიაც აქ დავრჩი. იმ წლის (ე. ი. 1900 წ.) შემოდგომაზე, მოსკოვს წავიდა ილიკოს უმცროსი ძმა ალექსანდრე. ალექსანდრე მიუწონა ტოლსტოის და რამდენჯერმე იყო მის სანახავად. განსაკუთრებით ავადმყოფობის დროს. ავად კი გახდა შემდეგი მიზეზის გამო. კარგა შებინდებანას. შინ მრდიოდა თურმე. გზაზე დაინახა, რომ ორი პოლიციელი ერთ ქალს სცემს. ალექსანდრე გამოესარჩლა ქალს. მაშინ პოლიციელებმა ქალი შიატოვეს და ალექსანდრეს დაუწყეს ცემა. ეს მოხდა 1901 წლის იანვარში. იმ დროს ალექსანდრე გაცივდა და ძალიან ავად გახდა ფილტვების ანთებით. ტოლსტოი აღმფრთხილებული იყო ამ გარემოებით და წერილი მიწერა მოსკოვის მაშინდელ ობერ-პოლიცმეისტერს ტრეპოვს. ტრეპოვმა მოხსნა პოლიციელები სამსახურიდან. მაგრამ ალექსანდრე კინაღამ იმსხვერპლა ამ შემთხვევამ. ტოლსტოიმ თვითონ გამოუგზავნა ალექსანდრეს ექიმი. მეგობრების დაუხარებელმა მოვლამ ახსნა იგი სიკვდილისაგან. ალექსანდრე ყოველთვის იგონებდა, როგორ მიდიოდა მის სანახავად ტოლსტოი და როგორ აღურსიანად ეპყრობოდა მას.

ალექსანდრე იგონებდა, როგორ შეხვდა ის ტოლსტოის, როდესაც მოსკოვში ჩასვლის შემდეგ პირველად ნახა აგი. ილიკო ამ დროს ცხოვრობდა ერთ ძველ ხის სახლში, პატარა ოთახში. ალექსანდრე თურმე მართო იყო, როდესაც შეესმა ძახილი:

— ილია პეტრეს ძე, ილია პეტრეს ძე, გამოიხედე!



→ გავედი და დავინახე, — იჯინებდა ალექსანდრე, — ქვევით, <sup>რომ</sup> ძირს, იდგა ვიღაც მოხუცი და ილიკოს ეძახდა. კიბე დანჯღერებულს ვეხუქ და ისეთი ვიწრო, რომ იარი კაცი გზას ვერ აღხვევდა ერთმანეთს. ილიკა პეტრეს ძმა ხართ? — შეითხა მოხუცმა. მე უცებ ვიცანი ტოლსტოი და ისე დავიბენი, რომ ვერც ერთ კითხვაზე პასუხი ვერ გავეცი. ვერც სახლში შევიპატარეე, მაგრამ თვითონ შემოუდგა კიბეს ამოსაყვლელად. მაშინ მე თვითონ ჩავიბრანე, გავცინა, ხელი ჩამომართვა და მხოლოდ მაშინ დავ-მშვიდდი და დავუწყე ლაპარაკი. ილიკა პეტრეს ძის ნახვა მინდა და შერე მოვალო, — მოთხრა და გამომეწმევიდობა. რომ მიდიოდა, კიბეზე აიხედა და მოთხრა ილიკა პეტრეს ძეს უთხარით, რომ თქვენ კიბეს პალმები აკლია აქეთ-იქით დასამშვენებლად და მაშინ ნამდვილი თავადური კიბე იქნება გრაფების მისაღებად-თქო.

1901 წ. განათქვამულზე, როდესაც მოსკოვს დაებრუნდი, ტოლსტოის შეგობრები ძალიან აღშფოთებული და აღელვებულები იყვნენ სინოდის განკარგულებით ტოლსტოის მართლმადიდებელ ეკლესიიდან განდევნის შესახებ. არა თუ მეგობრების, მთელი საზოგადოებრიობის მღელვარება გამოიწვია ამ ამბავმა. აღშფოთებულნი იყვნენ სტუდენტები და მწერლები. ქუჩებში და მოედნებზე ზდებოდა საპროტესტო კრებები. ამას მოჰყვა მთავრობის შეაცრა რეპრესიები. ტოლსტოის აუარებელი თანაგრძნობის წერილი და დეპეშა მისდიოდა, ტოლსტოისაც უხდებოდა აუარებელი წერილის წერა, როგორც შეკითხვების საპასუხოდ, ისე პრინციპიალური, მთავრობის მიერ მიღებული რეპრესიების წინააღმდეგ. ტოლსტოის მეგობრები უფრო ამიტომ სწუხდნენ, რომ ეს მოუსვენარი ცხოვრება ღლის და უფრო და უფრო ასუსტებს მოხუც ტოლსტოის და შიშობდნენ, ავიდ არ გახდესო. ამბობდნენ, მთავრობის რეპრესიები რომ არა, თვითონ ტოლსტოივე ეკლესიიდან განდევნა გაეულნას არ იქონიებდა, რადგან თვითონ ტოლსტოიმ დიდი ხანია დაანება თავი მართლმადიდებლობას, მაგრამ მისი ოჯახი, განსაკუთრებით ცოლი, სწუხდა ამის გამო. მან/მისწერა კიდევ აღშფოთებული წერილი მიტროპოლიტ ანტონის, სინოდის ობერ-პროკურორის პობედონოსცევს და სხვებს, ვინც ხელი მოაწერა ლევ ტოლსტოის ეკლესიიდან განდევნას.

ყველა ამ გარემოებამ შეაგვიანა, ტოლსტოის გამგზავრება სოფელში. ბოლოს, აღარ მახსოვს, აბრისის დამლევეს, თუ მაისის პარველ რიცხვებში გაემგზავრა. ამ დროს ილიკო და ყველა მისი მეგობარი ხშირად დადიოდნენ მასთან, და ილიკო ყოველთვის გვიამბობდა ტოლსტოის სულიერ სიძლიერესა და სიმშვიდესზე.

სოფელში წასვლამდის ლევ ნიკოლოზის ძე ჩვენთან მხოლოდ ერთხელ შემოვიდა. ზემოთაც აელნიშნე, რომ ჩვენ იმ დროს შედარებით ახლოს ეცხოვრობდით — მალაუშმიხაზე. თან მოჰყვა ალ. იარცევი, ჩვენი საერთო მეგობარი. სალამოს ზუთი საათი იქნებოდა.

— რამდენიმე წუთით შემოვიარე, ნინა იოსების ასულს. თქვენ აღარ მოხვედით. უნდა გამოგემშვიდობოთ. ალექსანდრე პეტრეს ძე ზომ აღარ ავადმყოფობს? შინ არ არის? სალამი ვადაეცით ჩემს მაგიერ. ილიკა პეტრეს ძეს უთხარით, რომ ძალიან კარგია მისი თარგმანი — ჰენრი ტოროს რჩეული აზრებისა<sup>1)</sup>, უთხარით კიდევ, რომ შემოიაროს ჩემთან, ჰაჯი მურადის შესახებ უნდა ველაპარაკო.

<sup>1)</sup> ჰენრი ტოროს რჩეული ნაწერები ცალკე წიგნად დაიბეჭდა „პოსტრედნიკის“ გამოცემაში.



უცებ ლაპარაკის საგანი გამოსცვალა და მკითხა:

— იცით, ნინა იოსების ასულო, რა არის **Лобни**? „ლ“ ასო, ქალღმერთებულად გამოთქვა. მე გამეცინა და ვუთხარი, რომ ლობიო და **Лобни** ერთი და იგივეა. უყვართ ჩემს სამშობლოში მეთქი. ჩვენი ხალხი ამბობს: ღმერთმა ჩვენ რომ ლობიო და მქადა გამოგვიგზავნა, თვითონ რაღა დაიტოვაო. ტოლსტოის ძალიან მოეწონა ეს თქმა და მეორედ გამამეორებინა.

— ნუ თუ ასეთი გემრიელი საქმელია ლობიო? ერთმა ჩემმა უცნობმა მეგობარმა მთელი ფული გამომიგზავნა კავკასიიდან. სადგურ კაზლოვკისა, ჯერ არ გამომიტანია. მეგობარი მწერს, რადგან თქვენ ვეგეტერიანნი ხართ, ლობიო საუკეთესო და ნოყიერი საქმელიაო.

ამ დროს მაგა ახე ჭადრაკი დაინახა.

— თამაშობთ? — მკითხა.

— ცოტას.

— არ ვიცოდი, თორემ ვეთამაშებოდით.

— ქალებს მოთმინება არა ჰყოფნით ჭადრაკის სათამაშოდ, — ჩაერია ლაპარაკში ა. იარცვევი.

— მე მგონია, ეგ ქალების კარგი თვისებაა, დედობრივი ინსტინქტი, თორემ თუ დედები მამებივით გადაეარღებიან ჭადრაკის თამაშობაში, **детям не сидрсавать**, — დაუმატა მან ღიმილით.

ლევ ნიკოლოზის ძე დღეს როგორღაც ძალზე ფერმკრთალა და ბეჭებში შარშანდელზე უფრო მოხრილი მეჩვენა.

### 13

ის ზაფხული ჩვენ სოფ. ბიკოვოში გაეატარეთ. ილიკოსა და ალექსანდრეს იქ პატარა ბოსტანი ჰქონდათ, დიდი გატაცებით მუშაობდნენ. ბიკოვოში ცხოვრობდნენ ტოლსტოის და, მამასადაამე, ჩვენი მეგობრები. ილიკო ზაფხულის განმავლობაში რამდენჯერმე იყო იასნაია პოლიანაში და ყოველთვის გაკვირვებით გვიამბობდა, როგორი ლობიერებით იტანდა ლ. ტოლსტოი ფანჯურ ავადმყოფობას. სულიერად ისევ ისე მზნეა და ყველაფერი აინტერესებს, სწერს წერილებს, სტატიებს, დებულობს მნახველებს, ებასებაო. ერთხელ ნიამბო, თუ როგორ აწყენინა ლევ. ტოლსტოის ცოლმა. თურმე გლეხებმა თივის ზვინი დასდგეს ცუდად. ცოლმა დაიწუნა, ხელფასი არ მისცა, მოსთხოვა, ზვინი ხელახლა დაეღვათ. გლეხები ამბობდნენ, თუ დაეწლით, ფული უნდა დაგვიბატოთო. ზეერს ეხვეწა თურმე ტოლსტოი ცოლს, დაუთმე, ხელფასი მიუმატე ან ნუ დაამოღებინებ ზვინსო. მაგრამ ცოლი არ დაეთანხმა და სანამ ზვინი არ დაშალეს და ხელახლა არ დადგეს, არ მიიღო, გასამრჯელოც თავდაპირველი მორიგების კვალობაზე გადაუბადა.

ალიკოს სწყინდა, რომ ცოლმა ხათრი არ გაუწია ლევ ნიკოლოზის ძეს, რომელიც არ გაუჯავრდა მეუღლეს, არც საყვედური უთხრა, მხოლოდ ძალიან დაღონებული მოშორდა და სასეირნოდ წაუვიდათო.

შემოდგომაზე იასნაია პოლიანადან ჩვენთან ჩამოვიდა ორი ინგლისელი, ისინი ლონდონიდან ჩამოსულიყვნენ ტოლსტოის „მოსარჯულებლად“. ორივე სპირიტები იყვნენ, გვირად ფერის და როუ. რადგან ტოლსტოი იმ დროს კარგად ვერა ვრძნობდა თავს, სტუმრები მოსკოვში გაგზავნა მეგობრებთან.

ჩვენთან მათ გაიცნეს ჩვენი მეგობრები, — აგრეთვე ქართველი სტუდენტები და პროფ. ა. ხახანაშვილი. ისინი ისევ ტოლსტოისთან აპირებდნენ რჩებას, მისი „შემცდარი“ აზროვნების გასასწორებლად. ისინი ამზობდნენ: ტოლსტოი ძალიან ნიკურია და დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია ჩვენი კავშირისათვის (სპირიტების კავშირისთვის). ცდილობდნენ ტოლსტოის მეგობრებსა და ახალგაზრდობაზე შთაბეჭდილება მოეხდინათ. მაგიდებზე ატრიალეს, მიცვალებულებსაც გამოუძახეს, ჰაპნოზით დაძინებაც სცადეს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, თანაგრძნობა ვერ მოიპოვეს. გადამწყვეტებს წავსლა. ილიკომ გააცილა. გზაში რომ მიდიოდნენ, სამივენი დაატუსაღეს. კარგა გვიან დაბრუნდა ილიკო შინ და სიცილით გვიამბო:

— შივიდოდით და ვლაპარაკობდით მშვიდობიანად. უეცრად ხელი დაგეჭვდა პოლიციელმა და გვითხრა, დატუსაღებული ხართო. რისთვის მეთქი? იქ, უბანში გაარჩევნო. წაგვიყვანეს უბანში. ბოქაული იქ არ დაგვხვდა. იმის ლოდინში ინგლისელებმა სპირიტის გამოყენება მოინდომეს, მაგრამ მრგვალი მაგიდა არ იყო, სკამი არ დატრიალდა და ვერც ერთი მიცვალებული ვერ გამოიხმეს. კარგა ხნის შემდეგ მოვიდა ბოქაული და ბასპორტები მოგვთხოვა, წააკითხა და გვითხრა, თავისუფალი ხართო. ვკითხუე, რატომ დაგვეჭირეს-მეთქი, მიპასუხა: ებრაელებს მოსკოვში ცხოვრების ნება არა აქვთ. თქვენ ქუჩაში ებრაულად ლაპარაკობდით, ეს კი აკრძალულიაო. მე ვუთხარი: ჩვენ ინგლისურად ვლაპარაკობდით, ინგლისური ლაპარაკი კი არ არის აკრძალული-მეთქი. ინგლისური და ებრაული ჩემი პოლიციელებისათვის სულერთია, მათ არც ერთი არ ესმითო. როდესაც ინგლისელებს გადავუთარგმნე და აუხსენი, რაშია იყო საქმე, ძალიან გაუკვირდათ. ფერისმა ერთი თითი მალღა ასწია და რუსულად სთქვა — Бор. ეთომ ღმერთი ერთია ყველასთვისო. ხოლო ბოქაულმა დაგვარიგა: ნურც ინგლისურად, ნურც ბერძნულად და ნურც გერმანულად ნუ ლაპარაკობთ ქუჩაში, ჩემი პოლიციელებისათვის სავალდებულო არ არის არა ქრისტიანული ენების ცოდნაო.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## აღმოსანდრე აბაშელი — „სამოცი წელი“. საიუზიფლო ნოზათი.

ბამომხმელოზა „ლიბრატურა და ხელოვნება“. თბილისი, 1944 წ.

სარეცენზიო კრებული მიძღვნილია აღმოსანდრე აბაშელის დაბადებიდან 60 წლისა და ლიტერატურული მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო თარიღისადმი.

კრებული შეიცავს პოეტის თერთმეტ ლექსს, დაწერილს უკანასკნელი წლების მანძილზე. ეს ლექსებია: „სამოცი წელი“, „სიმღერა სტალინზე“, „სიმღერა ბერიაზე“, ჩემს კალამს“, „მთვარის დამე“, „სამშობლოს ვარსკვლავი“, „ქვის ირემი“, „მზიანი ღღე“, „აკაკის“, „ლეჭის დამადება“ და „ღამე ფანჯარასთან“.

ეს ლექსები იღ. აბაშელის პოეტურ შემოქმედების დამახასიათებელ ნიმუშებს წარმოადგენენ. თუმცა ყველა მათგანზე არ შეიძლება ითქვას, რომ ისინი ეკლუთნიან პოეტის საუკეთესო ნაწარმოებთა რიცხვს.

კრებული იხსნება ლექსით „სამოცი წელი“, რომელიც ერთგვარ პოეტურ აღსარებას წარმოადგენს და გვიხატავს ხანდახნულ მგოსნის სულიერ განწყობილებას მისი ცხოვრების ამ ეტაპზე.

წარსულში პოეტს გამოვილი აქვს „გრგინივითა და ქარიშხლის ხმოვით“ აღსავსე ცხოვრების გზა, ის გრძობს, რომ „დღითა ცვლა ჩქარია, როგორც წიწვის დახამხამება“ და „ახლო შემოღამებაც“, მაგრამ მის გულს არ აკრობს მკუწვნარება, პოეტი არ მიჰყვება „ნადღლიან ფიქრებს“. პირიქით, ის აღსავსა ნათელი ოპტიმიზმით და ქარბი შემოქმედებით ენერგიით:

„შრომის ხალისი მაჭებს წინანდელი,  
გულში ათასი გეგმა მიწვევია,  
ჯერ მე სატყეისთვის ბრძოლა ნამდვილი  
მე მგონია, არც დამიწყია.  
ბჭამდე მხოლოდ ძალას ვიყრებდი  
და შეტევაზე იხლა გადავალ,  
მე ჩემი გრძობით, ჩემი ფიქრებით  
ჩენი ემოქის ახალგაზრდა ვარ!

ამ ლექსში, ისევე როგორც აღ. აბაშელის საუკეთესო ლექსებში, ისმის ზეშვარიტი საბჭოთა პოეტის დაუმრეტელი პათოსი, მარადი კაბუკობის განცდა, გრძობა ემოქის მიჯისცეშისა და მშობლიურ ხალხის ცხოვრებასთან სიახლოვისა.

ბელადისადმი მიძღვნილ სიმღერაში პოეტი მკვეთრად გამოხატავს ხალხის სიყვარულს იმ აღამიანსადმი, ვინც წარმოადგენს „სამშობლო ქვეყნის დიდების უბრწყინვალეს ჯაფარს“, ვინც ხალხი ხალხს დაუტეგობრა და „ათაგულივითი შეპონა“, ვინც „სამშობლოს თავისუფლება განსაცდელს გადაარჩინა, მშრომელი ხალხის სიმძლიერე საქვეყნოდ გამოაჩინა“.

ქართული ხალხის მადლიერი გრძობით არის გამოხარბი ლეიქნტი ბერიასადმი მიძღვნილი ლექსიც. რამდენიმე პოეტურ სტრიქონში, მოკლე და მატერულად გეამკნობს მგოსანი ამანაგ ლეიქნტი ბერიას როლსა და დამახარებას იმ შრისხანე დღეებში, როცა ბილწი და მუხანათი მტერი მოადგა კავკასიონის კედლებს და ლამობდა მის გადმოლახვას:

„...და ამ დროს დიდი ქართველი  
საქართველოსკენ მოჰქრდა,  
სტალინის ნება ურყვეი.  
მტრის შესამუსრად მოჰქონდა.



მოვიდა და მტერს შეუტრა  
 შთის ბილიკი და შარა-გზა,  
 კავკასიონის კარები  
 რკინის ურდულით ჩარაზა.

ილ. აბაშელის შემოქმედებისათვის სამამულო ომის დღეებში მეტად დამახასიათებელია ლექსი „ჩემს კალამს“, დათარიღებული 1941 წლის 3 ივლისით. ამ ისტორიულ მომენტში პოეტი ასე მიმართავდა თავის კალამს:

„დასთმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,  
 ყოველი კილო, სიტყვა და აზრი,  
 ვარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი  
 დაგრჩეს ყვილი, ზმალივით ბასრი.  
 ... ამ ერთ ყვილში მოზღვავდეს ერთად,  
 როგორც მომსყდარი მთიდან ლანჭერი,  
 კალამო! მხოლოდ შემუსვრა მტერთა!  
 გადავიწყე სხვა ყველაფერი“.

სარცენშიო კრებულში თავისი მალაპოეტური შთავგონებით და ბრწყინვალეებით ყურადღებას იპყრობს ლექსი „იაკის“, დაწერილი 1935 წელს, მგონის გარდაცვალების ოცე წლისთავზე:

„დვას საქართველო ოქროს თასივით  
 შგმი ლექსების ნექტარით სასვე!“ —

მომართოს ჩენი პოეტი ქართველი ხალხის ბუმბერაზი მკონის არდილს. ილ. აბაშელს აკაკისადმი რამდენიმე შექმნილი პოეტური ნაწარმოები აქვს მიძღვნილი, ეს ლექსი გართონის საუკეთესოთა რიცხვს.

კრებულში აღნიშნავია აგრეთვე ლექსები: „შვის ირემა“, „სამშობლოს ვარსკვლავი“, „ლექსის ღამადგმა“.

ღრმა და გულწრფელი განცდა ხალხის ცხოვრებასთან და მშობლიურ/ი ქვეყნის ბუნებასთან ორგანიული კავშირისა ამ ლექსებს აძლევს ცხოველმყოფელ პოეტურ მგზნებარებას და მომზიბლობას. საერთოდ ეს პატარა კრებული კარგი საიუბილეო საჩუქარია ჩენი მკითხველისათვის.

საქართველოში მიგვანია რამდენიმე სიტყვით შეგვირდით სარცენშიო კრებულის გაფორმებაზე. გამოცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნებას“ საცურადდებოდ უნდა იღნიშნოთ, რომ ეს „საიუბილეო ნობათი“ თავისი გარეგნული გაფორმებით ვერ სტოვებს დამაკმაყოფილებელ შთაბეჭდილებას. პირიქით, ის ატარებს უგემოვნობის და ერთგვარ პროვინციულობის ბეჭედს.

წიგნი ჩვეულებრივი ტიპოგრაფიული წესით როდია აწყობილი. არამედ მოლიანდ კლიშეზე გადაღებულ ხელნაწერს წარმოადგენს. ეს კლიშეები ილ. აბაშელის ეტოგრაფიდან რომ იყოს გადაღებული, მაშინ, ცხადია, ამგვარი გამოცემა საესებით გამართლებული იქნებოდა (ასეთის კარგი ნიმუშებიც ვიცი, მაგალ. ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, ი. გრიშაშვილის „ექსი“ ლექსი“ და სხვ.), მაგრამ საქმეც ისია, რომ აქ ეტოგრაფის ნაცვლად მკითხველის წინაშე წარმოდგენილია უხეირო კალიგრაფის მიერ უხეირო ქართული ასოებით გადმოწერილი ლექსები პოეტისა. ეს კიდევ არაფერია. კრებულში ყოველი გვერდი „დამშვენებული“ უგემოვნო და ყოვლად ანტიესთეტიური, ვითომ „შხატურული“ ჩარჩოებით, და ცალკეული ლექსებიც ასეთივე ღდასების ასომთავრულებით იწყება ქართულ დამწერლობას და პოლიგრაფიულ ხელოვნებას ამ დარგში მნიშვნელოვანი ტრადიცია მოეპოვება (ვაისხენთ ძველი ქართული ხელნაწერები, აგრეთვე მე-19 ს. ქილოგრაფის გრ. ტატიშვილის ნამუშევრები, ჩვენს დროში — შხატურები: ლ. გუდიაშვილი, ლ. გრიგოლია და სხვ.). ვეიკიორს, რატომ მიანდო გამოცემლობამ ამ საუბილეო კრებულის ტექსტების დაწერა და საერთოდ „შხატურული“ გაფორმება გამოუცდელ შეგვირდს.

მიმომხილველი.

## ი. გრიშაშვილი — სამი ამბავი

საბლიტბანი, 1944 წ. გვ. 21, ფ. 10 მან.



საბლიტბანის მიერ ახლო ხანში გამოსულ საბავშვო წიგნთა შორის ყურადღებას იმურობს ი. გრიშაშვილის პატარა წიგნაკები, რომელთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია: „სამი ამბავი“, — ქალაქური ფოლკლორი, — როგორც მას ავტორი უწოდებს.

ი. გრიშაშვილი, როგორც საბავშვო პოეტი, მტკიცედ შეეფიქსირა ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიაში. მას გულწრფელად უყვარს არა მარტო საბავშვო პოეზია, არამედ თავი თავს. ამის გარეშე პოეტი ვერც შეპყნინდა მათთვის ღირსეულ ნაწარმოებთ. ბავშვებიც გულწრფელად ინტერესით და სიყვარულით კითხულობენ ი. გრიშაშვილის წიგნებს.

სარტყენითა წიგნი სამ ზღაპრულ ამბავს შეიცავს: „მუსტაფის ვირი“, „მოლა და ძაღლი“ და „ბაბაჯანას ქოშები“. მათი სიტყვით აგებულია თბილისის ქალაქური ფოლკლორის მასალაზე და გამსჭვალულია საღი ქმობით.

იგი, თუნდაც მუსტაფას ვირის გაყიდვის ამბავი: მუსტაფა და მისი შეიღწეული არბები და მისდევნა სახედას. მაგრამ მათ მგზავრობას სოფლებში დამშვიდებულად როდი უყურებენ, პირიქით, უყვირთ მათი საქციელი. მათ არ მოსწონთ, რომ მგზავრები ფეხით მიანაწილებენ, სახედარი კი უტვიჩნოდ. მუსტაფაც იძულებულია შეეგდეს სახედარზე და ბაღში უკან მოისვას. მაგრამ ივერ, მეორე სოფელში პირუტყვის გულშემატკივარი აღმოჩნდნენ და მუსტაფას დასცინეს: პატარა საბრალო ვირუკაზე, ორი ვირი შეშვადარაო მუსტაფამ ეს შენიშვნაც გულაან ახლას მიიტანა: ბაღში ჩამოსვა, თვითონ ვირზე დარჩა. მაგრამ მესამე სოფელში მათ კვლავ საცილი დაყარეს: პაპა ვირთ მოზრძანდებდა, ბავშვი კი ფეხით. მუსტაფა ამ შენიშვნასაც აყვავა: ახლა თვითონ გაუდგა ფეხით, ბაღში კი შესვა ვირზე. მხოლოდ სოფელში ესეც დაუწუნეს: როგორ? მოხუცი ფეხით მიდიოდეს და ბავშვი კი ვირზე იჯდეს? ახლა კი მუსტაფა გაბრაზდა და დაასცინა:

— თორმე ყველა ადამიანი  
თითო ჰკეა უდევს თავში!

მან არჩია თავის ჰკეაზე სიარული, ე. ი. თვითონაც და ბავშვიც ფეხით გააყვეს ვირს ასე იცდინა მუსტაფამ „ჰკეადან გადარევა“. ყველა შემხვედრის ყურისგუბის გამო.

ბაბა ამბავი რამდენიმე დიდაქტოვარ ელემენტს შეიცავს (კოვების შეზრდებზე, პატარა ბავშვზე ზრუნვა, მოხუცის პატივისცემა და სხვ.). მოკლი ამბის შორალი კი ასეთია: ყველას გულსმოკვება ძენლია, ამიტომ სჯობია ადამიანმა საკუთარი ჰკეა და დაკვირება გამოიყენოს ყოველ საქმეში.

სხვა ხასიათისა „მოლა და ძაღლის“ ამბავი: ცხვრას პატრონს, დიდ ეპიარს, ერთგული ძაღლი მოუყვდა. ნაპარმა ძაღლს წესი აუგო და დამარბა სასაფლაოზე. მოლამ გაიგო ეს ამბავი, წყველა-ტრულვით მიუბტა ეპიარს. გამოცდილმა ეპიარმა ოცდაათი კარგი ცხვიარი მიაგება ქრთამად, რადგანაც ძაღლმა დაუბარა:

აარჩიეთ ფარებიდან  
ოცდაათი კარგი ცხვიარი  
და შიარითით ჩვენსა მოლას,  
როგორც ძენმა და სახსოვარი!

ამის შემდეგ მოლა არა თუ გაწერა ძაღლის დასათლავების გამო ადამიანთა სასაფლაოზე, არამედ წმინდა სულად ჩასთვალა იგი, თავის მეუფედ აღიარა და საფლაოზე ყურანიც წაიკეთა ძაღლს მისი „სტლის შესანდობლად“.

ივეთათი ქმობით არის გამოხატული ამ ამბავში მტკობამის ხარბი ბუნება. მესამე ნაწარმოები კრებულისა არის „ბაბაჯანას ქოშები“, რომელიც უკვე პოპულარობით სარგებლობს მკითხველ ბავშვებში.

„მდიდას უბრესი: „მშვიდობაში“ო, ღარიბს კითხეს: „ეინ მოგეოი!“ — ბე დემართა საცოდავ მეთულუნე ბაბაჯანას, რომელიც ხუთი წლის განმავლობაში ატარებდა ერთსა და იმავე ძველ ქოშებს. ერთხელ ბედმა ბაბაჯანასაც გაუღიმა. შიპის საბანებელად იმანანე ავესებინეს, საბუქრად სავსე ქისა მისცეს. ბაბაჯანამ დახილულად, პეწიანი ქოშები შეიძინა, მაგრამ კინამ სიცოცხლის ფსამელ დაუყვდა. არავინ დაიჯერა! ბაბაჯანას ძველი ქოშები

ჩაღად უნდოდა: ლაშის იქით გადასტყორცნა, გარიკაეზე გზირი მოადგა კეტიო და ცილი დასწამა: მდიდრის სახლი გასრდა გაგქურდა, ვერ მოხერხე და გატყვევისას, ქაშვილებს კლამა შეგნით დაგჩრენიაო. ბაბაჯანას განმარტებამ ვერ გასჭრა, ასა სახზე გადასტყორცნა, მათვეუ ზაბაჯანა დარღსა და სიბრაზეს ისევე ჯღან ქოშებზე იყრის, საღდაც ღუქნის კაიო ნახა — იქ შეავლო. აქაც უბედურება დატრიალდა: დამტვრა ბოთლები, დაიღვარა წარბათი და ბადაგი. კელავ წყებლები და ზარალის ანაზღაურება, ამით არ დამთავრდა საქმე, ბაბაჯანამ ვერც ჯღანი ქოშები მოიშორა, ვერც ზარალსა და ცემსა გადარჩა, დამტვრებისას შან თავისი ქოშები წყალსადენის ზერელში ჩატენა, იმ იმედით, რომ „ზევით აღარ ამოვიღოდა“, მაგრამ მოტყუდა, ქოშები მსიძე იყო, წყალმა ვერ წაიღო, წყალი დაგუბდა, და ქალაქში ზინზლიანი სუნი დადგა, დამნაშავეს ჰოვნა იღვილი იყო:

ვინ არ იცნობს ბაბაჯანას,  
იმის ქოშებს ძველს და ჯღანას.

ახლა ტარიფის ნედლი შოღტით სცემეს და ჯარიმაც გადახდევინეს საბოლოოდ უსაწარმოლო სამართალი გამოუტანეს ქოშებსაც და მის პატრონსაც: დამნაშავე ქოშები ციხეში გავაგუნეს და დიდი კლიტე დაიდეს, რათა ფეხი აღარ აედგათ.

ასე დასტინის ხალხი ძველ სამართალს, მის განაჩენს, მოსაგონად დარჩა ხალხს ანდაზა:

ბაბაჯანას ქოშები ხარ,  
ასე რისთვის ამეკიდებ?

სამივე ამბავი მოთხრობილია ი. გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი მუსიკალური ლექსით და ლირიკული სიტუბით, პოეტური გულწრფელობით და უბრალოებით. ამიტომ ითვისებს ბავშვაც იდეილად ამ ნაწარმოებს.

წიგნს დართული აქვს ზოგიერთი სიტყვას განმარტება, რაც მკითხველ ბავშვს ლექსიკის მარაგს უფაროვებს.

გვიანდა შევეჩრდეთ ლ. გუდიაშვილის ილუსტრაციებზე, დამამაყოფილებელია „მუსტაფას ვირის“ პირველი ორი სურათი.

„ბაბაჯანას ქოშებში“, როგორც სითაური და მთელი ამბავი გვაუწყებს, ძირითადი ქოშებია, რაზედაც ამოღენა უბედურება დატრიალდა, შატერას ქალის ქოშებივით მეტად პეროვან ქოშებად აქვს წარმოდგენილი „სამი ფუთის“ წონა ქოშები, ასე რომ ყოფადიყო, მის გადაყრას პატრონი ჩაღად მოსურვებდა?

ილუსტრაციები ნათლად უნდა გამოხატავდნენ საბავშვო წიგნის იდეას, ყურადღებას უნდა ამახვილებდნენ აშბის მთავარ მომენტებზე და აგრეთვე მკაფიოდ ასახავდნენ წერილმანებს. უამისოდ საბავშვო წიგნის ილუსტრაციები ჰყარგავენ საერთოდ თავის მნიშვნელობას.

ამ თვალსაზრისით საყრცენზეო წიგნის შატერობას ბევრი ნაკლი ახასიათებს, ეს გარეშოება შემდეგისათვის მხედველობაში უნდა მიიღოს ისეთმა ოსტატმა, როგორაც არის ლადო გუდიაშვილი.

ან. ლხინიაშვილი.



23



## შინაარსი

### მხატვრული ლიტერატურა

|  |      |
|--|------|
| გრიგოლ აბაშიძე — ლექსები წიგნიდან „დროშები“ . . . . .                        | 83-3 |
| ა. პ. ჩუხუაძე — ორი მოთხრობა (თარგმ. ქ. შ-ძისა) . . . . .                    | 6    |
| ვიქტორ გაბესკირია — წარსულში (ლექსები) . . . . .                             | 13   |
| გიორგი კაჭახიძე — წმინდა ადგილი (ლექსი) . . . . .                            | 15   |
| დ. თურდოსპირელი — ორი ბეჭობი (მოთხრობა) . . . . .                            | 16   |
| მარიკა შიქელაძე — იოანე შრისხანე რეპინის ტილოზე (ლექსი) . . . . .            | 18   |
| მიხეილ ჯაფარიძე — ჟამთაბერის ასული (პიესა) . . . . .                         | 19   |
| ბორის ჩხეიძე — ლიანვის პირას (მოთხრობა) . . . . .                            | 49   |
| ი. კრილოვი — იგავ-არაკები (თარგმ. ი. მოსაშვილის და გრ. ცეცხლაძისა) . . . . . | 69   |
| პანს გაბე — ათასნი დაეცემიან (მოთხრობა) თარგ. ი. ავლადისა. . . . .           | 75   |

### კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია

|  |    |
|--|----|
| გერონტი ქიქოძე — გიორგი ერისთავი . . . . . | 96 |
|--|----|

### ხელოვნება

|  |     |
|--|-----|
| ილია შურაბიშვილი — პირველი ქართველი დირიჟორი . . . . . | 106 |
|--|-----|

### მეშუარეები

|  |     |
|--|-----|
| ნინო ნაკაშიძე — ლევ ტოლსტოის ახლოს . . . . . | 120 |
|--|-----|

### ბიბლიოგრაფია

|   |     |
|---|-----|
| მემომხიდეელი — ალექსანდრე აბაშელი — „სამოცი წელი“ . . . . . | 156 |
| ან. ლვინიაშვილი — ი. გრიშაშვილი — „სამი ამაგი“ . . . . .    | 158 |